კვირის ქრონიკა

№3/731/ 18-24 იანვარი 2016 წ.

PRESS

ფასი 2 ლ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 2003 წლიდან

## გიგი უგულავასა და ლელა კილაძის დაშორების სკანდალური დეტალები

„ლელა კილაძე ამჟამად ლონდონში იმყოფება სამკურნალოდ, რათა ნარკოტიკებზე აღარ იყოს დამოკიდებული. მკურნალობის ხარჯებს კეზერაშვილი იხდის, დღეში 300 ევროს“



15

## რა ხდებოდა საგურამოში, ჭავჭავაძეების მარანში ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ვახშამზე?

მიუხედავად იმისა, რომ გუგულიმ ბიძინა ივანიშვილს საგურამოს წვეულებაზე „ჩიტი-გვრიტი“ უმღერა, მის მაგიდას წრე ურტყა, ბიძინა ივანიშვილს მისი შესატყვისი ადგილი არ დარჩა...



10

## „თავად ივანიშვილის ოჯახსაც აღარ მოსწონს კალაძე, განსაკუთრებით მის შვილებს!“

„დღეს დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, რომ ბერა ივანიშვილმა სიმღერა „ავტოგოლი“ კალაძეს მიუძღვნა... არადა, კალაძე ივანიშვილთან სწორედ მისმა შვილებმა დააახლოვეს“



8

## ამათ აწუხებთ ხალხის ბედი?!. ესენი ზრუნავენ ჩვენს ხელფასებზე, კრედიტებსა და ვალებზე? მთავარია, მათ ჰქონდეთ კარგი ხელფასი, დანამატები, ულიმიტო სასაუბრო ბარათები, საწვავის ტალონები, მაგარი მანქანები, დანარჩენებს მოსტ...იათ პატრონიო!



24

## „ახლა, როცა ღარიბაშვილი წააქციეს, პოსტებზე დარჩენილები ფიქრობენ, პრემიერი წააქციეს და ჩვენ რაღას გვიზამენო და არიან ჩუმად!!! ეს ღალატის ბოლფასია!“

„ხმა ამოიღეთ!!! — ვეუბნები ჩემს ყველა კოლეგას, თორემ მერე გვიან იქნება“



18

## სანამ ასეთი პოლიტიკოსები იარსებებენ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში, რომლებიც ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე, მილიონების შოვნაზე, არაფერი გვეშველება!

„ეროვნული ფორუმი“ შეტევაზე გადადის და ბიძინა ივანიშვილს ულტიმატუმს უყენებს!



7

## კერძო მევახშეები ფულს 20-30%-ში ვეღარ გააპროცენტებენ?!

შეუძლია თუ არა სასამართლოს საპროცენტო ზღვარი დაუწესოს კერძო გამსესხებელს?



30

## ვის კადრებს დაერივნენ შსს-ში? რომელ მაღალჩინოსან პოლიციელებს გაუშვებენ „პენსიაზე“ და ვის უფრო დააწინაურებენ?



13

## „მკვლელი სასოწარკვეთილი გაპკიოდა, — გადაარჩინეთო!“

რატომ მოხდა მკვლელობა სამტრედიის ქუჩაზე?



11

## პროკურორ ქირიას საზარელი მკვლელობისა და ბიძინა კუჭავას საეჭვო წარსულის სკანდალური ფაქტები!

„დადიოდა ჭორები, რომ უშიშროების გენერლის თამაზ ნინუას მკვლელობაც თითქოს ბიძინა კუჭავას უკავშირდებოდა“

ამბობენ, რომ ბიძინა კუჭავას სახელს უკავშირდება მისი დის უცნაური გაუჩინარება

14

## „ჯიპიაის“ საქციელი უპასუხისმგებლო და არაპარტნიორულია“ — კომპანიას სანქციები ემუქრება

„ჯიპიაი ჰოლდინგს“ სანქციები ემუქრება. ამის შესახებ განცხადებას ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აკეთებს. სერგეენკოს თქმით, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია ნაკისრ ვალდებულებას, კერძოდ, თუ 1-ელ მაისამდე ქალაქ ვანში საავადმყოფო არ ჩაბარდება ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ჰოლდინგს ფინანსური სანქციები დაეკისრება. დავით სერგეენკო კომპანიას უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს:

– ვანის საავადმყოფოსთან დაკავშირებით, იქ მართლაც სამედიცინო მომსახურების ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია. ჩვენ რაც მოვახერხეთ, მინიმალური კოსმეტიკური რემონტი ჩავატარეთ, ისიც იმის გამო, რომ ის შენობა იპოთეკით არის დატვირთული და რთული ქონებრივი დავებია. წელიწად-ნახევარი დავუთმეთ იმას, რომ სადაზღვევო კომპანიებთან, მათ შორის „ჯიპიაისთან“ სამართლიანი და პარტნიორული ურთიერთობა დაგვემყარებინა კონკრეტული ნაბიჯებით და ეს ნაბიჯები გადადგმულია და შესრულებულია ჩვენი მხრიდან.



მართლაც გასაოცარი იყო ასეთი არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება „ჯიპიაისგან“, რომლის მინიმალური ვალდებულება იყო ამ პროექტის დასრულება. შემოგვითვალეს, რომ გადაიფიქრეს ამის გაკეთება. ამიტომ, პირველი – სიტყვას ვიძლევი, რომ ვანის მოსახლეობას არ დავტოვებთ სამედიცინო ინფრასტრუქტურის გარეშე, წელსვე ამას აუცილებლად მოვაგვარებთ, მეორე – იმედი მაქვს, „ჯიპიაის“ მენეჯმენტს ოდნავ საღი აზრი მაინც აქვს შერჩენილი, საკუთარ თავს და საკუთარ ბიზნესს არ შეუქმნიან საფრთხეს იმითი, რომ ყველაზე ძვირფასი რაც არის, განსაკუთრებით სადაზღვევო კომპანიისთვის – საკუთარი სანდოობისა და რეპუტაციის შენარჩუნება, საკუთარი ხელით არ გაუთხრიან სამარეს. ჩვენ ყველა პროექტის მონიტორინგს ვახორციელებთ, იქ იმ პროექტზე რომელიც აპრილის ბოლოს უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს ლიცენზიის შესაბამისად, თითი თითზე არ არის დადებული. ეს გამოჩნდება უახლოეს დღეებში თუ ეს კომპანია სამცვლიან რეჟიმში დაიწყებს თავისი ვალდებულების შესრულებას, თუ არა, იმ პირობებს, რაც მე მოგახსენეთ, დავიცავთ. მათი მხრიდან ეს საქციელი ცალსახად არის უპასუხისმგებლო, დაუფიქრებელი და არაპარტნიორული, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

მისი თქმით, თუ „ჯიპიაი“ ვანის საავადმყოფოს 1-ელ მაისამდე ვალდებულების შესაბამისად არ ჩააბარებს, სანქციები დაეკისრება:

– ვანის საავადმყოფოსთან მიმართებაში, თუ 1-ელ მაისამდე არ მოხდა ისეთი ინფრასტრუქტურის ჩაბარება, რომელიც სანებართვო პირობებს შეესაბამება, ჩაერთვება ფინანსური სანქციების მზარდი კასკადით და მძიმე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიადგება მათ, იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე დაიხარებოდა ამ პროექტის განხორციელებაში და რაც მთავარია, ჩვენ ცალსახად დავკარგავთ სანდო პარტნიორს არა მხოლოდ მარტო ჯანდაცვის სამინისტრო, არამედ ვფიქრობ, მთელი ქვეყანა, – განაცხადა სერგეენკომ. (ipress.ge)



## შსს-ს განცხადებით, დაღესტანში დაკავებულები დაკარგული მონადირეები არ არიან



შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით, შს მინისტრის მოადგილეები შალვა ხუციშვილი და მერაბ მალანია ლაგოდეხის რაიონის სოფელ მსხალგორში ჩავიდნენ. ისინი რამდენიმე კვირის წინ მთებში დაკარგული სამი მონადირის – ლევან ჯალალოვის, ავთანდილ და დავით სამხარაძეების მშობლებსა და ნათესავებს შეხვდნენ.

მინისტრის მოადგილეებმა დაკარგული მონადირეების ოჯახების წევრებს ასევე განუცხადეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დადასტურებულ ინფორმაციას ფლობს იმის თაობაზე, რომ დროის კონკრეტულ მონაკვეთში რუსეთის ფედერაციაში, დაღესტნის ტერიტორიაზე საქართველოს არც ერთი მოქალაქე საზღვრის უკანონო კვეთის გამო დაკავებული არ ყოფილა და უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ დაღესტანში დაკავებულები დაკარგული მონადირეები არიან.

შალვა ხუციშვილმა და მერაბ მალანიამ ახალგაზრდების მშობლებსა და ოჯახის წევრებს მხარდაჭერა აღუთქვეს და კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შსს მათი შვილების ძებნის ოპერაციას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს. (ნიუპოსტი)

## „ნათლია დონ ბიძინა“ — „წარმომიდგენია, იქ ვაზელინის რა მასშტაბის მიმოქცევა იქნებოდა“



„ქართული ოცნების“ შეკრება მცხეთაში კახა კუკავას ფილმ „ნათლიას“ ახსენებს. „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი ამბობს, რომ როგორც ვიტო კორლეონეს თავის ნათლულები უდასტურებდნენ სიცილიური მაფიის შეკრებაზე ერთგულებას, აქაც იგივე მოხდა – ბიძინა ივანიშვილს მისმა ერთგულმა მარიონეტებმა კიდევ ერთხელ დაუდასტურეს ერთგულება, – აცხადებს კუკავა.

– ეს შეკრება იყო ერთგულების ფიცი. ეს არის მაფიოზებში აუცილებელი ტრადიცია. ალბათ, გახსოვთ, როგორ იწყება მარიო პიუზოს ცნობილი ნაწარმოები „ნათლია“, როდესაც საშობაო დღესასწაულზე მიდიან ნათლულები ვიტო კორლეონესთან და ზოგს ნამცხვარი მიაქვს და ზოგს საჩუქარი და ამით უდასტურებენ თავის ერთგულებას. ძველით ახალ წელს შეიკრიბნენ აქაური ვიტო კორლეონეს ნათლულები და ყველამ გამოუცხადა თავისი ერთგულება. ჭორაობის დონეზე გადაწყვეტილებები ამ ფორმატში არ მიიღება, თუმცა ბიძინა ივანიშვილმა, „დონ ბიძინამ“ ეს გეგმები გააცნო მათ, ანუ უთხრა, რომ მე ესე გადავწყვიტე, მე ესე ვთვლი საჭიროდ და წარმომიდგენია, იქ ვაზელინის რა მასშტაბის მიმოქცევა იქნებოდა. ყველა შეეცდებოდა, დაედასტურებინა მისთვის, რომ აი, ზუსტად ჩვენც ასე ვფიქრობდით და აი, ზუსტად ეს არის სწორი გამოსავალი, – განაცხადა კახა კუკავამ. (პირველი რადიო)



## ჯანაშიას ქუჩაზე ყოფილი მაღალჩინოსნის მანქანა დაწვეს

მანქანა დაწვეს თბილისში, ჯანაშიას ქუჩაზე. ლენდ კრუიზერის მარკის ჯიპს ცეცხლი ადგილობრივების ინფორმაციით, ჯერჯერობით დაუდგენელმა, ერთმა პირმა წაუკიდა. მეზობლებისვე განმარტებით, ავტომობილი დაახლოებით ერთი თვის წინ გარდაცვლილ ბადრი დვალიშვილს ეკუთვნოდა, რომელსაც ბიზნესინტერესები აკავშირებდა ფოთის პორტთან, წინა ხელისუფლების დროს კი მას ფოთის ვიცე-მერის თანამდებობაც ეკავა. (news.coa.ge)

## ჯორჯ სოროსი 2008 წლის მსოფლიო კრიზისის განმეორებას არ გამორიცხავს



ამერიკელი მილიარდერი ჯორჯ სოროსი 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განმეორებას არ გამორიცხავს.

სოროსის აზრით, ახალი კრიზისი შეიძლება გამოიწვის ჩინეთის მცდელობამ, იპოვოს განვითარების ახალი მოდელი.

– იუანის დევალვაციას მთელი მსოფლიოსთვის მოაქვს პრობლემები. განვითარებადი მსოფლიოსთვის დიდი გამოწვევაა დადებით საპროცენტო განაკვეთთან დაბრუნება, – განაცხადა სოროსმა და დასძინა, რომ დღეს არსებული მდგომარეობა 2008 წლის მსოფლიო კრიზისს აგონებს.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ჯორჯ სოროსი 2008 წლის კრიზისის განმეორებას ადრეც ვარაუდობდა. კერძოდ, 2011 წელს ამერიკელმა მილიარდერმა განაცხადა, რომ ევროპის საგარეო კრიზისი, რომელიც საბერძნეთის ვალების გამო დაიწყო, კიდევ უფრო სერიოზული იყო, ვიდრე 2008 წელს შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარება.

„ფორბსის“ ბოლო მონაცემებით, ჯორჯ სოროსის ქონება 24,2 მილიარდი დოლარია. (bpn.ge)



## „ეგ ლოტოს კოჭი მანდ აღარ დავინახოთ“ — ბოდოკიას თქმით, ივანიშვილი ნარმანიასა და მარგიშვილის მერიიდან გაშვებას ითხოვდა



მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ყოფილი უფროსი ჯოკია ბოდოკია სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი დავით ნარმანიასა და ალექსანდრე მარგიშვილის მერიიდან გაშვებას ითხოვდა.

ამის შესახებ ბოდოკიამ სასამართლო პროცესზე განაცხადა და აღნიშნა, რომ ივანიშვილის ეს მოთხოვნა „პანორამა თბილისს“ უკავშირდებოდა.

როგორც ბოდოკია ამბობს, მერია პროექტის განხორციელების წინააღმდეგი იყო.

– რა მოხდა რამდენიმე თვეში, რატომ შეიცვალა დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილმა დავით ნარმანიას წინააღმდეგ. მოხდა ის, რომ „პანორამა თბილისის“ განხორციელებას მერიაში პრობლემა შეექმნა. ამის შემდეგ ივანიშვილი ნარმანიასგან პირდაპირ ითხოვს მარგიშვილის განთავისუფლებას – ეგ ლოტოს კოჭი მანდ აღარ დავინახოო. აქაც ეწინააღმდეგება ნარმანია. ამის შემდეგ ივანიშვილს თამაშში შეჰყავს მისი ყველაზე კარგი დასაყრდენი ძალოვანი უწყებები. კონკრეტულად, შს სამინისტრო მინისტრ გომელაურის ხელმძღვანელობით და მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ბატონი შოთაძე. მათ პირდაპირ ავალებს, რომ არანაირი ძალისხმევა არ დაიშურონ მარგიშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად და საერთოდ, თავგასული და კონტროლიდან გასული მერის კონტროლის ობიექტზე დაბრუნების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიების დაბრუნებას უბრძანებს, – განაცხადა ბოდოკიამ. (ნიუპოსტი)

## ესეც ახალი პრემიერი, რომელიც ასობით ათასი ადამიანის მოთხოვნას არად აგდებს!



საქართველოში უკვე არსებული მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების მფლობელობას, ან გადაფორმებას, არანაირი საფრთხე არ ემუქრება, – განმარტება მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების ახალი პარტიების შემოტანისა და რეგისტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე, პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადამიანების საკუთრებას არავინ ეხება.

– მათ, ვისაც ჰყავთ შეძენილი მარჯვენასაჭიანი ავტომანქანები, შეუძლიათ, რამდენჯერაც ნებავთ, გაასხვისონ, ან გადააფორმონ. საუბარი იყო ახალი პარტიების შემოტანის ვადაში შეზღუდვაზე. დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ მთავრობის, არამედ საზოგადოების უდიდესი ნაწილის ნებას გამოვხატავ, როდესაც ვამბობ, რომ ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი და ამ საკითხში ნაბიჯი უკან არ იქნება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება თბილისის მცხოვრებთა ინტერესებს, რადგან თბილისში არის საშინელი მდგომარეობა, მოძრაობა გადატვირთულია და თუ ასე გაგრძელდა, სულ უფრო უარესი ვითარება გვექნება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ არსებული სიტუაციის უკონტროლოდ გაგრძელება უსაფრთხოების კუთხითაც მიზანშეუწონელია და შინაგან საქმეთა მინისტრს შესაბამისი სტატისტიკის წარმოდგენის თხოვნით მიმართა. (gov.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-

## მოქალაქეობა უკრაინაში მაღალ თანამდებობაზე მყოფ სხვა ქართველებსაც ჩამოერთმევათ



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლება, უკრაინულ „**Главком**"-თან ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეობა უკრაინაში დასაქმებულ სხვა ქართველებსაც ჩამოერთმევა.

ჟურნალისტის კითხვაზე, ჩამოერთმევათ თუ არა მოქალაქეობა უკრაინაში ხელისუფლებაში მყოფ სხვა ქართველებსაც, ელჩმა უპასუხა – „აუცილებლად".

– საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ წერია, რომ საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია, იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქე იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა სახელმწიფოს წინაშე არსებული დამსახურების გამო ენიჭება. მოქალაქეობის შეწყვეტისა და მიღების პროცედურები გაწერილია კანონში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ", სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეობას კარგავს პირი, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქე ხდება.

ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილთან მიმართებაში საქმე გვაქვს კონსტიტუციისა და კანონის ნორმების აღსრულებასთან. გუბერნატორად მისი დანიშვნის შემდეგ ჩვენ უკრაინულ მხარეს მივმართეთ და მათ შეგვატყობინეს, რომ მან მიიღო უკრაინის მოქალაქეობა, რის შემდეგაც მას შეუწყვიტეს საქართველოს მოქალაქეობა. ახლა იგივე პროცედურა მიმდინარეობს სხვა პირებთან მიმართებაში, – განაცხადა უკლებამ.

ამასთანავე, უკლება აღნიშნავს, რომ, თუ ეს პირები მომავალში თხოვნით მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს, ის აუცილებლად განიხილავს მათთვის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხს. (ნიუპოსტი)

## თურქეთი წელს 4,5 მილიონ ტურისტს დაკარგავს



თურქეთი წელს რუსეთიდან 4,5 მილიონ ტურისტს დაკარგავს. ამის შესახებ, თურქული მედიის ინფორმაციით, ქვეყნის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი, მაჰირ უნალი აცხადებს. ოფიციალური მონაცემებით, გასული წლის იანვრიდან ნოემბრამდე თურქეთს 3,6 მილიონი რუსი ტურისტი ეწვია, რაც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 18 პროცენტით ნაკლებია.

საერთო ჯამში, თურქეთში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი 1,4 პროცენტით შემცირდა. თუმცა, როგორც მინისტრი მაჰირ უნალი ამბობს, მას იმედი აქვს, რომ ანტალიაში აპრილიდან ოქტომბრამდე დაგეგმილი გამოფენა „ექსპო" საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვს გაზრდის, რაც რუსი ტურისტების ერთგვარი კომპენსირება იქნება.

თურქეთში რუსი ტურისტების რიცხვი მას შემდეგ შემცირდა, რაც მოსკოვმა ანკარას ეკონომიკური სანქციები დაუწესა. კერძოდ, რუსულმა ტუროპერატორებმა თურქეთის მიმართულებით საგზურების გაყიდვა გასული წლის ნოემბრის შემდეგ შეწყვიტეს. ამის მიზეზი კი თურქეთის მიერ რუსული სამხედრო ბომბდამშენის ჩამოდგება გახდა. (bpn.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## თბილისის ზოოპარკი მოსახლეობას თხოვნით მიმართავს




თბილისის ზოოპარკი მოსახლეობას თხოვნით მიმართავს:

– თუ საახალწლოდ ცოცხალი ნაძვის ხე (მთლიანი, არა ფიცრებისა და ტოტებისგან დამზადებული), ან ჩიჩილაკი გქონდათ, რომ დაშლით, პირდაპირ ნაგავში არ გადაუძახოთ. მათი გამოყენება შეიძლება ჩვენი ცხოველების გარემოს გასამდიდრებლად, კერძოდ, სამალავების მოსაწყობად, ბარიერების შესაქმნელად, ყნოსვითი, კვებითი და სენსორული „ენრიჩმენტისთვის", ანუ ზოოპარკის ბინადრების ყოველდღიური ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად. ყოველივე ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ჩვენი ცხოველები უფრო მხიარულები და აქტიურები იყვნენ, არ მოიწყინონ და სხვადასხვაგვარი საინტერესო გასართობით გაიხალისონ ცხოვრება.

ძალიან გაგვიხარდება, თუ გადაგდების, ან დაწვის ნაცვლად ზოოპარკში მოგვიტანთ ნაძვებსა და ჩიჩილაკებს. ეს ნამდვილად სასარგებლო საქმე იქნება, რადგან გადასაგდებად განწირული საბრალო ნაძვები და ქოჩრიანი ჩიჩილაკები იმქვეყნად წასვლამდე კიდევ ერთ, მეტად საჭირო საქმეს გააკეთებენ – მათი გამოყენება მოხდება ცხოველების კეთილდღეობისთვის; თანაც, ჩვენი ქალაქიც ნაკლებად დანაგვიანდება.

ამ პოსტს რომ წაიკითხავთ, წარმოიდგინეთ, როგორ გაუხარდებათ ჩვენს ლემურებს თქვენს ჩიჩილაკზე წამოცმული ვაშლების დანახვა. თქვენი საახალწლო ატრიბუტით, ფაქტობრივად, მათაც მიულოცავთ ახალ წელს. ჰოდა, გაავრცელეთ ეს თხოვნა, მოუყევით ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს... რაც მეტი ადამიანი გაიგებს, მით უკეთესი.

თქვენ ძალიან მარტივად, ყოველგვარი დანახარჯის გარეშე შეგიძლიათ ცხოველების დახმარება. (ნიუპოსტი)

## ირანის მიმართ სანქციები მოიხსნა — ქვეყანას მილიარდობით გაყინული დოლარის გამოყენებისა და ნავთობის საერთაშორისო ბაზრებზე გაყიდვის საშუალება მიეცა



ირანის მიმართ დაწესებული საერთაშორისო სანქციები მოიხსნა მას შემდეგ, რაც ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებმა დაადასტურეს, რომ მისი ნაბიჯები იმ შეთანხმებას შეესატყვისება, რაც მას ბირთვული იარაღის განვითარებისგან დაიცავს.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ შეთანხმება წვლილს შეიტანს როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებაში.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ ბრძანება გამოსცა, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ირანისთვის დაწესებული ბირთვულ პროგრამასთან კავშირში მყოფი ეკონომიკური სანქციები მოიხსნა.

რას მიიღებს ირანი სანქციების მოხსნით?

„ბიბისის" განმარტებით, 2012 წლის შემდეგ სანქციები ირანს მხოლოდ ნავთობით მიღებული შემოსავლების მხრივ, 160 მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდა. როგორც კი სანქციები მოიხსნება, ქვეყანას შესაძლებლობა ექნება, განაახლოს ნავთობის გაყიდვა საერთაშორისო ბაზრებზე და გამოიყენოს გლობალური ფინანსური სისტემა ვაჭრობისთვის. ირანი მსოფლიოს ნავთობის მარაგების მხრივ მე-4 ადგილზეა. ასევე, ირანს შესაძლებლობა ექნება 100 მილიარდზე მეტი ამერიკული დოლარი გამოიყენოს, რომელიც მას საზღვარგარეთ ბანკებში გაყინული ჰქონდა.

თუ ახლანდელი ფასებით ვიხელმძღვანელებთ, სანქციების მოხსნა ირანისთვის ნიშნავს იმას, რომ მან ნავთობის ექსპორტისგან მისი შემოსავლები შესაძლებელია, 10 მილიარდი აშშ დოლარით გაზარდოს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით, სანქციების მოხსნის შემდეგ ირანს შეეძლება, მისი მთლიანი შიდა პროდუქტი 2016-17 წლებში 5 პროცენტამდე გაზარდოს, რაც ახლა თითქმის ნულის ტოლფასია. (guardian.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## რა ვიცი, რა ვიცი, სხვების მონოპოლისტობა „ტეხავს" მარტო?



კომპანია „თბილისის მიკროავტობუსებში" მხოლოდ ერთი რადიოტალღა იქნება ჩართული, რომლის ლიცენზიაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რეჟისორ გოგა ხაინდრავას რადიო „თანამგზავრს" (შპს „მომხმარებელთა საყურადღებოდ") გასცა.

როგორც გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რადიო „თანამგზავრი" მიკროავტობუსებში მაუწყებლობას კომუნიკაციების კომისიიდან ლიცენზიის ოფიციალურად მიღებიდან 1 თვეში დაიწყებს.

რადიოსიხშირეზე ლიცენზიის მოპოვებას რადიო „თანამგზავრის" გარდა შპს „ახალი რადიო" (წარმომადგენელი ბეგლარ ლოგუა) ცდილობდა. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ლიცენზიის მფლობელი გოგა ხაინდრავას რადიო გახდა.

მისი კონცეფციის ერთ-ერთი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებები გაფორმებულია ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლებთან. ხელშეკრულების მიხედვით კი, მიკროავტობუსებში მხოლოდ ერთი რადიოტალღა, „თანამგზავრი" იქნება ჩართული.

– ექსკლუზიური კონტრაქტი კომპანია „თბილისის მიკროავტობუსთან" მაქვს, რომლის შედეგად ჩვენს რადიოსადგურს გარანტირებული მსმენელი ეყოლება. დამერწმუნება ნებისმიერი ადამიანი, რომ მუსიკალური პროგრამების მდარე ხარისხის თვალსაზრისით რთული მდგომარეობაა. აქ აღარ არის საუბარი გემოვნებაზე. აქ საუბარია პაპსაზე, ლილოს ბაზრობის დონის მუსიკალური პროგრამებით არის გაჯერებული პროგრამები. მე ზუსტად ვიცი, ვინ რას უსმენს. ისიც ზუსტად ვიცი, რა დროს რას უსმენენ. ყველა კონკრეტულ მძღოლთან გვარით, სახელით, პასპორტის ნომერით, ხელმოწერებით არის ხელშეკრულებები დადებული.

ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიკროავტობუსების მძღოლები ვალდებულნი არიან, ჩართონ რადიო „თანამგზავრი", – აღნიშნა ხაინდრავამ. (ipress.ge)

## თბილისში H1N1 ვირუსით მამაკაცი გარდაიცვალა




39 წლის მამაკაცი დედაქალაქში დასავლეთ საქართველოდან ჩამოიყვანეს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელის პაატა იმნაძის განცხადებით, დღეისთვის არსებული მონაცემებით, აღნიშნული ვირუსით ავადობა არის 240 ადამიანი 100 ათას მოსახლეზე. მისი თქმით, მძიმე შემთხვევები იშვიათია. იმნაძის განცხადებით, ეპიდემიის ზღვარი 100 ათას მოსახლეზე 500 შემთხვევაა.

– თებერვალში, ალბათ, უფრო მეტი შემთხვევა იქნება, მაგრამ ეპიდემიის ზღვარი არის 500 შემთხვევა 100 ათას მოსახლეზე და ამ ზღვარიდან ჯერჯერობით შორს ვართ, – აღნიშნა პაატა იმნაძემ. (პირველი რადიო)

**გასულ კვირაში „ალია" უკვე წერდა ამ თემაზე და აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რა სიმპტომები ახასიათებს ე.წ. ღორის გრიპს:**

**„მოგეხსენებათ, გრიპს ავრცელებენ მსუბუქი ავადმყოფები, მძიმე ავადმყოფი სახლში წევს, ვერ დადის. მახასიათებელი სიმპტომებია: 38-ის ზევით ტემპერატურა რამდენიმე დღე და სუნთქვის გაძნელება, რაც პნევმონიაში გადადის. რაიმე განსხვავებული სიმპტომი არ ახასიათებს ღორის გრიპს. ძირითადად, ეს არის, რაც ზემოთ ჩამოვთვალე. რაც შეეხება ვინ უნდა მიაკითხოს ექიმს — ბავშვებში, ერთი დღეც კი 38-ზე ზევით თუ აქვს სიცხე, აუცილებლად ექიმმა უნდა ნახოს, მოზრდილებში კი — თუ სუნთქვის გაძნელება დაერთვის სიცხეს 3 დღეზე მეტი, და ასევე, სისხლიანი და ჩირქიანი ნახველია, ამ შემთხვევაში", — განმარტა პაატა იმნაძე „ალიასთან" საუბრისას.**



## ოდესა, დერიბასოვსკაია. სააკაშვილს, ადეიშვილს. კანცელარიის თავზე ფრიალებს ქეთათო! არა „გაზპრომს"!

„არა გაზპრომს – მიშა მაგარია" „ნაციონალებმა" მთავრობის ადმინისტრაციასთან აქცია გამართეს.

აქცია-კონცერტში მონაწილეობდნენ: ნიაზ დიასამიძე, ეკო დეისაძე, სანდრო სულაქველიძე, ქეთათო, ბორის დენისი და ჯგუფები „ეპილონი, „გამოუვალი მდგომარეობა".

ორგანიზატორების თქმით, ეს არის გამაფრთხილებელი აქცია საქართველოს ხელისუფლების მიმართ. (mpress.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## მობილური ოპერატორების საბაზო სადგურების რაოდენობა

| საბაზო სადგურები | მაგთიკომი | ჯეოსელი | ბილაინი |
|---|---|---|---|
| 2G GSM | 1404 | 1213 | 948 |
| 3G UMTS | 1278 | 717 | 0 |
| 4G LTE | 456 | 34 | 309 |
| სულ საბაზო სადგურები | 3138 | 1964 | 1257 |

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით (2015 წლის მე-3 კვარტალი), საბაზო სადგურების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილს „მაგთიკომი“ იკავებს, მეორეა „ჯეოსელი“, ხოლო მესამე პოზიციაზე კომპანია „ბილაინია“.

იხილეთ ცხრილი, რომელშიც კომპანიების საბაზო სადგურების რაოდენობაა ნაჩვენები. (gncc.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## გეხვეწებით, მიშველეთ, დამეხმარეთ



– გამარჯობა, მე ინგა თორდია ვარ, მარტოხელა დედა, მაქვს მე-4 სტადიის ავთვისებიანი სიმსივნე. მყავს 9 წლის გოგონა, რომელსაც გულის თანდაყოლილი მანკი აქვს.

თოდუას კლინიკაში ჩამიტარდა 12-საათიანი ოპერაცია, რომლის ღირებულება 9 000 ევრო იყო. თანხის ნაწილი, 60 პროცენტი ჯანდაცვამ დაფარა, ნაწილი კი ჩვენ, რის გამოც 20 პროცენტში სესხი ავიღეთ და ველარ ვიხდით.

სიკვდილს ვებრძვი, რომ ცოტა ხანს ჩემს გოგონასთან ვიყო. ამომაჭრეს საკვერცხეები, მარცხენა თირკმელი და ჩადგმული მაქვს ხელოვნური შარდის ბუშტი. ძალიან მძიმედ და ცუდად ვარ.

გეხვეწებით, მიშველეთ, დამეხმარეთ, შემოსავალი არსაიდან გვაქვს, – წერს ინგა თორდია.

დახმარების მსურველები დაუკავშირდით ინგა თორდიას ნომერზე: **551028618.**

ანგარიშის ნომერი ლიბერთი ბანკში: **GE29LB0711109276614540**

ან სპეციალური სატელეფონო ნომერი მხოლოდ ბილაინის აბონენტებისთვის: **0901701036** (ფასი 1 ლარი) (marshalpress.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-

## „მარჯვნივ საჭე ჩვენი უფლებაა... არც ერთი ნაბიჯით უკან! ფართომასშტაბიან აქციებს გავაგრძელებთ!“

– მარჯვენასაჭიანი ავტომობილების საკითხში უკან ნაბიჯი არ იქნება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე, შესაბამის კანონპროექტზე საუბრისას განაცხადა. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, „ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი“.

„ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორის ვასო ურუშაძის განცხადებით, ორგანიზაციამ სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან ერთად აქტიურად დაიწყო ადვოკატირების სამოქალაქო კამპანია:

– გავმართეთ რამდენიმე გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია და სხვადასხვა აქტივობები, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. შსს-ს სურდა, კანონპროექტი პარლამენტში დაჩქარებული წესით გაეტანა, თუმცა, საპროტესტო აქციების ფონზე მსგავსი უსამართლო გადაწყვეტილების მიღება მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა და კანონპროექტი დარეგისტრირდა ჩვეულებრივი წესით, რაც ნიშნავს იმას, რომ განხილვები გაგრძელდება მინიმუმ ორ თვეს. როგორც პრემიერ-მინისტრი აცხადებს, ის არ აპირებს უკან დახევას. რა თქმა უნდა, უკან დახევას არ ვაპირებთ არც ჩვენ, არც ერთი ნაბიჯით უკან! – აცხადებს ურუშაძე.

მისი განმარტებით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების როლი საცობების წარმოქმნაში ისეთივეა, როგორც მარცხენასაჭიანი ავტომობილის. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციის მიღებით ვერც საცობების პრობლემას აღმოვფხვრით და ვერც მოსალოდნელ სატრანსპორტო კოლაფსს ავირიდებთ თავიდან.



– თუ გვსურს თბილისში მოძრაობის განტვირთვა და საცობების პრობლემის მოგვარება, აუცილებელია, ხელისუფლებამ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, უპასუხოს გაზრდილი ავტოპარკის გამოწვევას და განავითაროს საგზაო ინფრასტრუქტურა, შექმნას ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, გააჯანსაღოს მუნიციპალური ტრანსპორტი, შეიმუშაოს სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა, მოაგვაროს პარკირების პრობლემა, გამართოს როგორც შუქნიშნები ასევე, საგზაო ნიშნები, განავითაროს ქვეითების ინფრასტრუქტურა, გაზარდოს საპატრულო პოლიციის კომპეტენცია, შეიმუშაოს ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების სწორი ხედვა და სხვ.

აღნიშნული რეგულაცია ვერც ავტომობილების რაოდენობის ზრდის ტენდენციას შეაჩერებს ქვეყანაში, მეტიც ჩვენი გათვლებით მივიღებთ ბევრად მეტად ტექნიკურად გაუმართავი იმპორტირებული ავტომობილების რაოდენობას ქვეყანაში, რომლებიც მოძრაობის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური თვალსაზრისით მეტ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე მარჯვენასაჭიანი ავტომობილები.

შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნე ჩვენ არ ვაპირებთ უკან დახევას, პირველ ეტაპზე საკანონმდებლო ცვლილებას ადვოკატირებას გაუწევთ საპარლამენტო მოსმენებისა და განხილვების დონეზე, მოუწოდებთ საქართველოს პარლამენტის წევრებს, მხარი არ დაუჭირონ აღნიშნულ კანონპროექტს. პარალელურად საქართველოს მასშტაბით გავაგრძელებთ პერმანენტულ საპროტესტო აქციებს და თუ საქართველოს პარლამენტი მხარს მაინც დაუჭერს კანონპროექტს, ჩვენ ამას გავასაჩივრებთ საკონსტიტუციო სასამართლოში და საჭიროების შემთხვევაში ევროპის სასამართლოში, – აცხადებს ურუშაძე. (ნიუპოსტი)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## ISIS-ის მიერ ალყაშემორტყმულ სირიის ქალაქში 20 ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა



გაეროს ინფორმაციით, ქალაქ დეირ ეზ-ზორში მყოფ 200 000 სირიელს შიმშილით სიკვდილი ემუქრება. ქალაქში პროდუქტების უკმარისობაა, რადგან ის რამდენიმე თვის განმავლობაში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა ალყაშია. გავრცელებული ცნობებით, შიმშილით 20 ადამიანი უკვე დაიღუპა.

ეზ-ზორი არის ნავთობით მდიდარი რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელსაც ძირითადად ტერორისტები აკონტროლებენ, თუმცა ქალაქსა და აეროპორტს სირიის არმია იცავს.

გასულ დღეებში დეირ ეზ-ზორის გარეუბანში ტერორისტებმა ათეულობით ადამიანი დახვრიტეს. (ნიუპოსტი)

## მერიას უშიშროება მართავს — ვინ არიან ძმები მჭედლიშვილები?

ნიკა მელიასთვის ჯოკია ბოდოკიას თავის ჩვენებაში ახალი არაფერი უთქვამს. ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა თბილისის მერიის ყოფილი მაღალჩინოსნის სკანდალური განცხადების შეფასებისას ისაუბრა.



მელია ამბობს, რომ ბოდოკიამ დაასახელა ის გვარები, რომელიც აქამდეც არაერთხელ დაუსახელებია პირადად მას და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თბილისის მერიას მართავს სუს-ი:

„ბატონმა ბოდოკიამ თქვა დღეს ის, რაზეც მე და ჩემი მეგობრები ვსაუბრობდით თვეების განმავლობაში და სამწუხაროდ, ვერაფერი ახალი ვერ მოვისმინეთ ბატონი ბოდოკიასგან. მან დაადასტურა ის, რომ დედაქალაქის მერიას მართავდა სუს-ი, დღესაც მართავს სუს-ი და ასე იქნება, სანამ ბატონი ივანიშვილია ხელისუფლებაში. მან ახსენა ძმები მჭედლიშვილები. მე არაერთხელ მიხსენებია, რომ მჭედლიშვილები განკარგავდნენ რეალურად პროცესებს დედაქალაქის მერიაში. მე ვერ გამოვდგები ბატონი ბოდოკიას დამცველად, მაგრამ, როდესაც ეს ადამიანი საუბრობს იმას, რასაც მე ვხედავ თბილისში და ვხედავდი, ბუნებრივია, ვერ უარვყოფ და ვეთანხმები თავიდან ბოლომდე. მჭედლიშვილები მართავდნენ დედაქალაქის მერიას, ზედამხედველობის სამსახურის ყოფილი უფროსი ბატონი ნიჟარაძე იყო სუს-ის დაქირავებული თანამშრომელი და მისი ხელით დედაქალაქის მერიაში იმართებოდა პროცესები. მჭედლიშვილები პლუს ნიჟარაძე. რამდენადაც მე მოვისმინე, ამ ყველაფრის ირგვლივ ისაუბრა ბატონმა ბოდოკიამაც, ამიტომ მე ახალი აქ არაფერი მომისმენია, – განაცხადა ნიკა მელიამ. (პირველი რადიო)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის



## „ბატონო პრემიერო, ამდენი ფული ბიუჯეტიდან საპატრიარქოში რატომ გადარიცხეთ? რამდენ ბავშვს გადაარჩენდით...“ — ნანუკა ჟორჟოლიანი

– ბატონო პრემიერო, ამდენი ფული ბიუჯეტიდან საპატრიარქოში რატომ გადარიცხეთ? უპატრონო ბავშვებისთვის სწავლა დაგეფინანსებინათ. ან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვები, სხვა ქვეყანაში გადაგეფრინათ სამკურნალოდ. რამდენი რამის გაკეთება შეიძლებოდა ნახევარ მილიონად! ამ თანხად რამდენ ბავშვს გადაარჩენდით, – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

## ჯოკია ბოდოკიამ გადაწყვიტა, ვიღაცის დაწერილი ტექსტი წაეკითხა — ნარმანია ბრალდებებს პასუხობს



თბილისის მერი დავით ნარმანია ჯოკია ბოდოკიას მიერ გაკეთებულ განცხადებას აბსურდს უწოდებს.

მეტიც, დედაქალაქის მერი მიიჩნევს, რომ ბოდოკიამ სასამართლო პროცესზე სხვა პიროვნების მიერ დაწერილი ტექსტი წაიკითხა.

– ჯოკია ბოდოკიამ გადაწყვიტა, ვიღაცის დაწერილი ტექსტი წაეკითხა. ერთი რამ შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, რომ ვერც ამ სახის აბსურდებით და ვერც რაიმე სახით ყურადღების გადატანით, კორუფციის მიმართ ჩვენი ხელისუფლების მიდგომა არ შეიცვლება, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ყოფილმა უფროსმა ჯოკია ბოდოკიამ, სკანდალური განცხადება გააკეთა.

პატიმრობაში მყოფი ბოდოკია აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი დავით ნარმანიასა და ალექსანდრე მარგიშვილის მერიიდან გაშვებას ითხოვდა.

გარდა ამისა, მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ყოფილმა უფროსმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც იგი დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს, მასზე ზეწოლა განხორციელდა.

როგორც ბოდოკიამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, მას ღიად სთხოვდნენ ჩვენებებს ალექსანდრე მარგიშვილის წინააღმდეგ.

მისი ინფორმაციით, შუამავალი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი იყო, რომელიც მას პროკურატურის იმდროინდელი მაღალჩინოსნების ირაკლი შოთაძისა და გიორგი გოგაძის დანაბარებს გადასცემდა.

(ნიუპოსტი)

## თბილისში 40 წლის მამაკაცი მოკლეს — „ყვიროდა, ცოლ-შვილს მართმევენო“




თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე, 40 წლის მამაკაცი მოკლეს. მკვლელობა, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, მამაკაცი სანადირო თოფით არის მოკლული.

როგორც მეზობლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ი. ვ. ყვიროდა, „ცოლ-შვილს მართმევენო“.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი სამტრედიის ქუჩაზე არ ცხოვრობდა, ის კახეთიდანაა და სავარაუდო ვერსიით, მან მეუღლესა და მეგობარს ნაქირავებ ბინაში შეუსწრო.

მეზობლებმა რამდენიმე გასროლის ხმა გაიგეს.

შსს-მ მომხდარზე 108-ე მუხლით აღძრა საქმე, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## ივანიშვილის სურვილით, აჭარის მთავრობა 100-წლოვანი ხეების ციხისძირიდან შეკვეთილში გადარგვას აპირებს



აჭარის მთავრობა ციხისძირში, ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ასწლოვანი ხეების შეკვეთილში, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით მშენებარე ფილარმონიის ეზოში გადარგვას აპირებს.

„ტვ25“-მა ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივები გამოკითხა. ციხისძირელების თქმით, ტერიტორიითა და ნარგავების ბედით ბიძინა ივანიშვილია დაინტერესებული. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ციხისძირში ადგილობრივებმა ორი კვირის წინ არაერთხელ ნახეს. მათი თქმით, ივანიშვილი ხეებსა და ტერიტორიას, ასევე, სანაპირო ზოლს გულდასმით ათვალიერებდა. ნებართვის გარეშე მიმდინარე სამუშაოების მიზნებთან დაკავშირებით პასუხების გაცემა აჭარის მთავრობის თავმჯდომარისგან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოითხოვა.

არჩილ ხაბაძემ საკითხზე განმარტების გაკეთება არ ისურვა, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში კი „ტვ25“-ის შეკითხვებს არ უპასუხეს. მედიასაშუალებას ინფორმაცია მხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვის ინსპექციის პრესსამსახურმა მიაწოდა. მათი განცხადებით, ტერიტორიიდან ასწლოვანი 8 ტიტას ხის ამოღება და შეკვეთილში, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით მშენებარე ფილარმონიის ეზოში გადარგვა სწორედ აჭარის მთავრობის განკარგულებით იგეგმება. აქვე განმარტეს, რომ რვა ხიდან სამი კერძო საკუთრება იყო, რომელიც რეგიონის მთავრობამ შეისყიდა. თუმცა იმ მიზეზით, რომ საკითხი მათ კომპეტენციას სცილდება, კომენტარი არ გააკეთეს. ჟურნალისტებმა პირს, რომელმაც ხეები გაასხვისა, სოფელში ვერ მიაკვლიეს. ადგილობრივები მსგავს ინფორმაციას უარყოფენ. აჭარის მთავრობის აპარატის პრესსამსახურის განცხადებით, არჩილ ხაბაძე აღნიშნულ საკითხზე მომდევნო კვირაში ისაუბრებს. (ნიუპოსტი)




## საქართველოს ოფიციალურად მიენიჭა უფლება, საინტერნეტო მისამართები მხედრული ანბანით დაწეროს შემდეგი დაბოლოებით — „.გე“

მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის (**ICANN**) გადაწყვეტილებით, საქართველოს ოფიციალურად მიენიჭა უფლება, საინტერნეტო მისამართები დაწეროს მხედრული ანბანით, შემდეგი დაბოლოებით „.გე“. (ინტერპრესნიუსი)

## პოლიციის მაღალჩინოსანი: პოლიციელს, რომელიც მედიას ინფორმაციას მიაწვდის, დავაპატიმრებთ“




ოზურგეთში პოლიციას დანიშნულება კვლავ შეუცვალეს – ბენზინგასამართი სადგურების ნაცვლად ისინი ბანკებს უდარაჯებენ.

„გურიის მოამბის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, რომელშიც საუბარი იყო გურიის პოლიციის დეპარტამენტში არსებულ სიტუაციაზე, დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ პოლიციელთა მიერ ბენზინგასამართი სადგურების სადღეღამისო დარაჯობა შეწყვიტა, თუმცა პოლიციელები ბანკებს უდარაჯებენ.

პოლიციის თანამშრომელთა განცხადებით, ის პოლიციელები, რომლებმაც მედიას ინფორმაციას მიაწოდებენ, დადგენის შემთხვევაში სასტიკად დაისჯებიან:

– ყველა პოლიციელი, რომლებიც გაბედავენ და შიგნით არსებულ სიტუაციაზე ინფორმაციას ჟურნალისტებს მიაწოდებს, სასტიკად დაისჯება, მათ პატიმრობა ემუქრებათ, – ეს განცხადება პოლიციის თანამშრომლის ინფორმაციით, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს, გურიის პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, ირაკლი შავიშვილს ეკუთვნის. (ნიუპოსტი)

# „ელიტ ელექტრონიქსმა“ „ისთ ფოინთში“ ტექნიკის ყველაზე დიდი მაღაზია გახსნა

## ლადო ჯაბავა: „ეს მაღაზია სხვებისგან გამოირჩევა იმით, რომ წარმოდგენილია მსოფლიოში წამყვანი ბრენდების მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო და ციფრული ტექნიკის ასორტიმენტი“

მსოფლიოში წამყვანი ბრენდების ტექნიკა, უნიკალური კონცეფცია, ექსკლუზიური პროდუქცია და მომსახურების უმაღლესი სტანდარტი – ეს ყველაფერი „ელიტ ელექტრონიქსმა“ ერთ სივრცეში გააერთიანა და „ისთ ფოინთში" ტექნიკის ყველაზე დიდი მაღაზია გახსნა.

მაღაზია არა მხოლოდ მასშტაბით, არამედ უნიკალური კონცეფციით არის გამორჩეული, რაც გამოიხატება იმაში, რომ აქ „ელიტ ელექტრონიქსი“ მომხმარებელს საქართველოში ტექნიკის ყველაზე დიდ არჩევანს სთავაზობს.

მაღაზიაში წარმოდგენილია მსოფლიოში წამყვანი ბრენდების – **Apple**-ის, **Samsung**-ის, **LG**-ის, **Sony**-ს, **Bosch**-ის, **Siemens**-ის, **Gorenj**ე-ს, **Philips**-ის, **Acer**-ის და **Lenovo**-ს შოურუმები.

ასევე, მომხმარებელს საშუალება ექნება, მაღაზიაში „ბოშისა" და „სიმენსის" სამზარეულოს ტექნიკის ყველაზე მაღალი კლასის ექსკლუზიური მოდელები შეიძინოს.

მოგეხსენებათ, „ელიტ ელექტრონიქსი“ საქართველოში **Apple**-ის ავტორიზებული პარტნიორია, ასევე, **Bosch**-ის, **Siemens**-ისა და **Gorenje**-ს ექსკლუზიური და ერთადერთი წარმომადგენელი და **LG**-ისა და **Samsung**-ის ოფიციალური „რითეილ" პარტნიორი.

„ელიტ ელექტრონიქსის“ მაღაზიაში მომხმარებლისთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოა შექმნილი. თუ თქვენ გახლავთ ბავშვი, შეგიძლიათ, ისარგებლოთ ამავე შენობაში განთავსებული გასართობი სივრცით, სადაც შეგიძლიათ, თქვენი შვილი დატოვოთ, სანამ სასურველ ტექნიკას შეარჩევთ.



მაღაზიის გახსნის ცერემონიას „ელიტ ელექტრონიქსის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი შაულ ზილბერშტეინი, **BSH**-ის (**Siemens, Bosch, Gaggenau**) საბჭოს წევრი მაიკლ სშოლჰორნი და „სამსუნგის“ კავკასიის პრეზიდენტი ესწრებოდნენ.

**ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა „ელიტ ელექტრონიქსის“ გენერალური დირექტორი, ლადო ჯაბავა. მან მთელ საქართველოს ახალი წელი მიულოცა და განაცხადა, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ ეს მაღაზია ყველასგან გამორჩეული ტექნიკის მაღაზიაა მთელ საქართველოში:**

– პირველ რიგში, მოგილოცავთ შობა-ახალ წელს. სიმბოლურია, რომ ამ დღეს ჩვენ გავხსენით ტექნიკის ყველაზე დიდი მაღაზია „ისთ ფოინთში". ეს მაღაზია სხვებისგან გამოირჩევა იმით, რომ წარმოდგენილია მსოფლიოში წამყვანი ბრენდების მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო და ციფრული ტექნიკის ასორტიმენტი. გარდა ამისა, დამატებით, მაღაზიის მეორე სართულზე გავხსენით „ლაივ-ქიჩნი", ანუ სამზარეულო, სადაც მომხმარებლებს ჩვენი გამოცდილი შეფ-მზარეულები ასწავლიან, როგორ უნდა გამოიყენონ სამზარეულოს ტექნიკა და ასევე, აქვე შესთავაზებენ ჩვენი ტექნიკით მომზადებულ არაჩვეულებრივ კერძებს.

ჩვენი მიზანია, მომავალში მაღალი სტანდარტი დავამკვიდროთ მომხმარებლებისთვის და მივცეთ შესაძლებლობა პროდუქტთან ურთიერთობის, რაც აპრობირებული მეთოდია ბევრ განვითარებულ ქვეყანაში. შესაბამისად, ვცდილობთ, მსგავსი მეთოდი დავნერგოთ საქართველოში და ამით მეტი კომფორტი შევუქმნათ ჩვენს მომხმარებლებს.




**მაიკლ სშოლჰორნი, BSH-ის საბჭოს წევრი:**

– ყველას გილოცავთ ახალ წელს და მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ვიმყოფები. სასიხარულოა, რომ ელიტ ელექტრონიქსი“ არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი **BSH** ჯგუფის კავკასიაში. ჩვენ უკვე თითქმის 20 წელია პარტნიორები ვართ, როგორც „რითეილის", ასევე, ყიდვის შემდგომი მომსახურების კუთხით და ეს თანამშრომლობა ყოველწლიურად უფრო მჭიდრო ხდება, რასაც მივესალმებით, რადგან ბიზნესში სანდო პარტნიორის ყოლა, რომელიც ბაზრის უპირობო ლიდერია, მეტად მნიშვნელოვანია.

აქვე დავამატებთ იმასაც, რომ „ელიტ ელექტრონიქსი“ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე 20 წელია მუშაობს და მისი მიზანია მიაწოდოს თანამედროვე და ხარისხიანი პროდუქცია მომხმარებელს. ასევე, შეუქმნას მათ მაქსიმალურად კომფორტული გარემო ტექნიკის შესაძენად, გაუწიოს მაღალკვალიფიციური კონსულტაცია და ბაზარზე მუდამ ინოვაციური პროექტებით წარდგეს.

„ელიტ ელექტრონიქსი“ დღესდღეობით ტექნიკის ბაზარზე ყველაზე დიდი სავაჭრო ქსელია. საუკეთესო პროდუქტი, ფართო და მუდმივად განახლებადი ასორტიმენტი, საგარანტიო და გაყიდვის შემდგომი მომსახურება, შეძენილი ნივთის ადგილზე მიტანა და მომსახურების მაღალი დონე – ეს ყველაფერი განაპირობებს „ელიტ ელექტრონიქსის“ დღევანდელ სახელსა და ადგილს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე.

*მარიკა არღვლიანი*

## ობიექტების ჩამონათვალი, რომელიც სააკაშვილმა რუსეთს გადასცა

„რბილად რომ ვთქვათ უხერხულია, დღეს „ნაცმოძრაობა“, მისი სატელიტი პარტიები და ვაიექსპერტები საუბრობდნენ ხელისუფლების მიერ რუსეთისთვის პრორუსული პოლიტიკის წარმოებაზე და „გაზპრომთან“ გარკვეულ დათმობებზე წასვლაზე. თუკი ქვეყანას გაზის მიწოდების რამდენიმე საშუალება ექნება, ამას ეკონიმიკის ესქპერტებიც, მეცნიერებიც და საზოგადოებაც მიესალმება. „ნაცმოძრაობამ“ რუსეთს ჩააბარა ყველაფერი და სასაცილოა დღეს მათგან ნოტაციების მოსმენა". – განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მჟავანაძემ ბოლო პერიოდში „გაზპრომთან“ დაწყებულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟზე.



მჟავანაძე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს რუსულ კომპანიებზე გადაცემული ქართული სტრატეგიული ობიექტების სიას აქვეყნებს.

„ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი სწორედ სააკაშვილის უგნური პოლიტიკის შედეგად იქნა ოკუპირებული. სამხედრო ბაზები, რომლებიც შევარდნაძის დროს სტამბოლის ხელშეკრულების შედეგად გაყვანილი იქნა, კვლავ დაბრუნდა საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ „ნაცმოძრაობის“ და მისი ლიდერის წყალობით. თბილისადან 50 კმ დაშორებით იქნა მოყვანილი რუსის ჯარი. ყველა სტრატეგიული ობიექტი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა 2008 წლამდე და მის შემდეგ გადასცა რუსეთს. გთავაზობთამ ობიექტების მცირე ჩამონათვალს:

1. ენგურჰესი– რუსული კომპანია „რაოესი“;
2. ჟინვალჰესი – რუსული კომპანია „რაოესი“;
3. რიონჰესი – რუსული კომპანია „ენერჯი ინვესტი“;
4. გუმათი 1 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
5. გუმათი 2 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
6. ლაჯანურჰესი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
7. შაორჰესი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
8. ვარციხე 1 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
9. ვარციხე 2 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
10. ვარციხე 3 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
11. ვარციხე 4 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
12. ხრამი 1 – რუსული კომპანია „რაოესი“;
13. ხრამი 2 – რუსული კომპანია „რაოესი“;
14. ხრამი 3 – რუსული კომპანია „რაოესი“;
15. ხრამი 4 – რუსული კმპანია „რაოესი“;
16. ხრამი 5 – რუსული კომპანია „რაოესი“;
17. ყაზტრანსგაზ თბილისი – რუსული კომპანია „გაზპრომი“;
18. გაზ.კომპანია „იტერა“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია;
19. შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა;
20. გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი – რუსული კომპანია „ინტერ რაო“;
21. გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი – რუსული კომპანია „ინტერ რაო“;
22. მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კილოვატიანი ხაზები – რუსული კომპანია „ინტერრაო“;
23. „მადნეული“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
24. „კვარციტი“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
25. საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან „რუსეთის რკინიგზა“;
26. კომპანია „ბილაინი“ – რუსული კომპანიაა;
27. „აზოტი“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
28. „გაერთიანებული ქართული ბანკი“ – რუსული კომპანია „ვითიბი“;
29. „ლუკოილ ჯორჯია“ – რუსული კომპანია „ლუკოილი“;
30. ზესტაფონის „ფერო“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
31. ელმავალმშენებელი ქარხანა — რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“;
32. თბილისის წყალი – რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერი“.

და ამის შემდეგ „ნაცები“ და მისი სატელიტები საუბრობენ ვილაცის პრორუსულობაზე. სირცხვილია ბატონებო, რადგან „ნაცმოძრაობამ“ და სააკაშვილმა რუსეთს ტერიტორიებიდან, სტრატეგიულ ობიექტამდე ყველაფერი გადასცა“. – აღნიშნავს მჟავანაძე. (marshalpress.ge)

## რა ქონებით დატოვა თანამდებობა ირაკლი ღარიბაშვილმა — ყოფილი პრემიერის ქონებრივი დეკლარაცია

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქონებრივი დეკლარაცია 2015 წლის 31 დეკემბერს შეავსო.

საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული დეკლარაციის მიხედვით, ღარიბაშვილის პირად საკუთრებაშია სამი ბინა, ორი არასაცხოვრებელი ფართი და ერთი ავტოფარეხი.

უძრავი ქონება, რომელსაც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფლობს, გაგარინსა და მოსაშვილზე მდებარეობს. 121,80 კვ.მ-ის ფართის ბინა გაგარინის, ხოლო 170 და 159 კვ.მ ფართის ბინები მოსაშვილის ქუჩაზეა განთავსებული. ღარიბაშვილის საკუთრებას წარმოადგენს მოსაშვილის ქუჩაზე მდებარე 38 კვ.მ-ისა და 11 კვ.მ-ის არასაცხოვრებელი ფართები, ასევე, გაგარინზე არსებული 16 კვ.მ ფართობის ავტოფარეხი.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშ-



ვილის თანამდებობრივ სარგოს, დეკლარაციის მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე მუშაობისას მას 51 000 ლარი აქვს აღებული.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თანხა გასული წლების შემოსავალზე გაცილებით ნაკლებია. კერძოდ კი 2012 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მისი შემოსავალი – 150 000, 2013 წელს – 154 605.19, ხოლო 2014 წელს 83 815.67 ლარს შეადგენდა.

დეკლარაციის შევსების მომენტში ყოფილ პრემიერ-მინისტრს ნაღდი ფულადი თანხის სახით აქვს 10 ათასი ლარი, ასევე, მის სახელზე ფიქსირდება რამდენიმე საბანკო ანგარიში ბანკ „ქართუში“. მათგან ერთ-ერთ ანგარიშზე 3534.55 დოლარი, მეორეზე კი 3599.50 ევროა განთავსებული.

დეკლარაციაში ასახულია ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლის ნუნუ თამაზაშვილის პირადი ანგარიშის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც „თიბისი ბანკში“ მას მხოლოდ 45.26 ლარი ერიცხება.

დეკლარაციის შევსების მომენტში ღარიბაშვილის საკუთრებაში აღარ არის ავტომობილი.

დეკლარაციის მიხედვით, 2014 წლის 19 დეკემბერს მან პირად საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომანქანა, რომლის ღირებულებაც 9000.00 დოლარს შეადგენდა, საჩუქრად გადასცა მამას.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა 2015 წლის 23 დეკემბერს დატოვა.

ღარიბაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2013 წლის 20 ნოემბრიდან იყო. მანამდე კი მას შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. (25/10/2012-17/11/2013წ); 2012 წლის 15 თებერვლიდან კი იყო პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელი/წევრი და პარტიის სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი; 2009-2012 წლებში შპს (ლეიბლი) „ქართული ოცნების“ დირექტორი;

12/2007-14/02/2012 წწ. – ს.ს. „ბანკი ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

08/2006 წ. – საქართველოში სანმარინოს რესპუბლიკის საპატიო კონსულის პირადი წარმომადგენელი;

12/2005-14/02/2012 წწ. – საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე – გენერალური დირექტორი;

10/2005-01/11/2008 წწ. – სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტის თანაშემწე. (ambebi.ge)



## რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების დირექტორებმა თანამდებობები დატოვეს



რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების დირექტორებმა თანამდებობები დატოვეს, – აღნიშნულ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ.

როგორც შსს-ში აცხადებენ, სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, რიგი საკადრო ცვლილებები მოხდება.

როგორც ცნობილია, რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების უფროსებს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი 15 იანვარს შეხვდა.

14 იანვარს კი, ახალი მოადგილეების წარდგენისას, მინისტრმა უწყებაში მორიგი საკადრო ცვლილებების განხორციელება არ გამორიცხა.

– ეს არის პირველი ეტაპი იმ ძირეული საკადრო და ძირეული ცვლილებებისა, რომელიც შსს-ში იგეგმება. დარწმუნებული ვარ და ღრმად მჯერა, რომ ჩვენ ყოველთვის გვექნება საზოგადოების მხარდაჭერა და ვიქნებით წარმატებულები კრიმინალთან ბრძოლაში, – განაცხადა მღებრიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## მაღლივის ხიდთან ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს



უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ხიდის ქვეშ, 25 წლამდე ქალის ცხედარი იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გოგონა, სავარაუდოდ, ხიდიდან გადახტა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (pia.ge)

## გეოპოლიტიკური შეთქმულება და დამატებითი მილიარდები ივანიშვილ-კალაძე-მამაცაშვილის ანგარიშებზე



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე განცხადებას ავრცელებს:

– „გაზპრომის“ აქციონერ ოლიგარქ ივანიშვილის მოსკოვ-თეირანთან მიმდინარე მილიარდიანი გარიგების მიზანია, საქართველო გადააქციოს რუსეთ-ირანის შემაერთებელ ენერგეტიკულ კვანძად, რაც გამოყენებული იქნება მთელი მსოფლიოს დასაშანტაჟებლად და დამანგრეველ საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის უშიშროებას.

სახეზეა გეოპოლიტიკური შეთქმულება, რომელსაც მოსახლეობისთვის მოაქვს არა გაზზე ფასების დაწევა, არამედ გაძვირება და დამატებითი მილიარდები ივანიშვილ-კალაძე-მამაცაშვილის ანგარიშებზე.

საჭიროა ამ დანაშაულებრივი მაფიოზური ჯგუფის დროული საერთაშორისო ფინანსური იზოლირება.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ დემოკრატიულ სამყაროს! გაყინონ და დააყადაღონ მათი კრიმინალური გზით გახსნილი მილიარდიანი ანგარიშები, შესაბამის საბანკო-საფინანსო დაწესებულებებსა და ოფშორულ ზონებში, – ნათქვამია „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარის განცხადებაში. (პირველი რადიო)

## „მალე ნავთობი უფრო იაფი იქნება, ვიდრე ერთი ბოთლი წყალი“



– მალე ნავთობი უფრო იაფი იქნება, ვიდრე ერთი ბოთლი წყალი, თუ ე.წ. „შავი ოქროს“ ფასი კლებას განაგრძობს, – ამის შესახებ ექსპერტები აცხადებენ.

დეკემბრის დასაწყისიდან დღემდე ნავთობის ფასმა მსოფლიო ბაზარზე 30 პროცენტით იკლო. შედეგად „ბრენტის“ ტიპის ნავთობის ფასი ბარელზე 30 აშშ დოლარს ჩამოსცდა. ანალიტიკოსების ნაწილი შიშობს, რომ მალე, შესაძლოა, ბარელი „შავი ოქროს“ ყიდვა 10 აშშ დოლარად გახდეს შესაძლებელი.

– ჩვენ შესაძლოა, უჩვეულო დრო დაგვიდგეს, როდესაც ერთი ლიტრი საწვავი უფრო იაფი იქნება, ვიდრე ერთი ლიტრი ბოთლის წყალი, – აღნიშნა ანალიტიკოსმა სიმონ უილიამსმა.

მსოფლიო ბაზარზე ბოლო 1 წლის განმავლობაში ნავთობის ფასი რეკორდულად დაეცა. აშშ-ში 1 ბარელი ნედლი ნავთობი 1 წლის წინათ 100 დოლარზე მეტი ღირდა. ფასების ვარდნა მოთხოვნის შემცირებამ და ჭარბმა წარმოებამ გამოიწვია. (bpn.ge)

# სანამ ასეთი პოლიტიკოსები იარსებებენ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში, რომლებიც ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე, მილიონების შოვნაზე, არაფერი გვეშველება!

## „ეროვნული ფორუმი“ შეტევაზე გადადის და ბიძინა ივანიშვილს ულტიმატუმს უყენებს!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ სუბიექტებს მალე პოლიტიკური კრიზისი დაუდგებათ. ის დროა, კოალიციის წევრებმა ჯანსულ კახიძის მშვენიერი სიმღერა შეასრულონ – „მოვა მაისი, შენ კი აღარ დამელოდები და მე არ ვიცი, რა მეშველება, შენი მოსვლა მზის ამოსვლა მგონია, შენი ქება ზღაპრად გამიგონია, ვერც გაზაფხული ვეღარ მიშველის, ვარდობისთვეს ლხინის ნაცვლად ამ გულს გამოცლილს შენზე უძირო სევდით ამივსებს....“

ჩვენი ინფორმაციით, სწორედ მაისში, ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს, დატოვოს ამ შემადგენლობით კოალიცია თუ „ქართული ოცნება“ ცალკე გამოვიდეს არჩევნებზე და ის პარტიები, ვინც ბარიერს გადალახავს, კოალიციურ ფორმატში შეკრას, ესეც იმ შემთხვევაში, თუკი საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის ეს დასჭირდება. ასე რომ, ვარდობის თვე ლხინის ნაცვლად „რესპუბლიკელების“, „ფორუმელების“, „მრეწველების“ გულს, უძირო სევდით აავსებს ბიძინა და ვეღარ მიუმღერებენ „შენი მოსვლა მზის ამოსვლა მგონია, შენი ქება ზღაპრად გამიგონია...“ ფრაქცია „ქართული ოცნება“ შეტევაზე გადადის, მეჭიაურის შემდეგ ფორმულა – „მინუს ყველას“ და საარჩევნო მარათონზე მხოლოდ „ქართული ოცნებას“ ახმოვანებს სოსო ჯაჭვლიანი და ფრაქციის თითქმის ყველა წევრი, ღიად თუ კულუარებში, ამაზე საუბრობს. „რესპუბლიკელების“ შემდეგ განგაშის ზარი „ფორუმელებმა“ შემოსცხეს, მათ მხოლოდ სამი წლის თავზე გამოიღვიძეს. გუბაზ სანიკიძე, რომელიც პარლამენტში ამ ხნის განმავლობაში ენაგადაყლაპულივით იჯდა და ვერც მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩაძინებული გუბაზის აფრიალებულმა ფოტომ გამოაფხიზლა, მხოლოდ 2015 წლის დეკემბრის მიწურულს გამოფხიზლდა და პარლამენტში მუშტები აბრახუნა. „მურუსიძის ვირუსი ძალიან სახიფათოა, არ ვიცი, ახლა მოელვარე იურისტები ამ დარბაზშიც არიან და ამ დარბაზის მიღმაც, მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რა ვუყოთ სასამართლოს ხელისუფლებას...“ „ეროვნულ ფორუმს“, რომელიც ტრადიციების მიმდევარია, ხმა არ ამოუღია ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, არადა გუბაზ სანიკიძესთან ჰომოსექსუალებზე ანეკდოტი რომ მოგეყოლა, პანჩურებით გამოისროდა. არც ერთი აქტივობა, არც ერთი კანონპროექტი, რომელიც ხალხისთვის მისაღები და გასაგებია, არც ერთი პოლიტიკური განცხადება, „ფორუმის“ ანგარიშში არ არის. სანიკიძის დეკემბრის გამოსვლა კი მხოლოდ პოლიტიკური პარტიის გადარჩენისთვის გაკეთებულია და არა იმისთვის, რომ „ფორუმი“ ხალხზე ფიქრობს. ნამდვილად ვერასდროს წარმოვიდგენდით, რომ ასეთი სუსტი აღმოჩნდებოდა „ფორუმი“ პარლამენტში და გუბაზ სანიკიძე სამი წლის განმავლობაში ასე ურცხვად დაემალებოდა ჩვენს გაზეთს, რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა „ეროვნული ფორუმის“, როგორც სოლიდური პოლიტიკური ძალის, წარმოჩენაში. ალბათ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად გუბაზ სანიკიძეც გამოფხიზლდება და თავად გადაწყვეტს, რა ფორმატში ითანამშრომლოს თუნდაც ჩვენს გაზეთთან. საქმე ის გახლავთ, რომ „ეროვნული ფორუმი“ შეტევაზე გადადის და აპირებს, ბიძინა ივანიშვილს ულტიმატუმის ენაზე ელაპარაკოს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებას ემსახურებოდა, ასე მიიჩნევს „ფორუმი“ და მაშინ დადებული ხელშეკრულების მიხედვით, რაც ჰარმონიულ თანამშრომლობას ითვალისწინებდა, ამ ფორმატში აღარ გაგრძელდება. „ფორუმი“ დღეს უკვე აპირებს, კონკრეტული კვოტები მოითხოვოს და თუკი მათი სურვილი არ დაკმაყოფილდება, ოთხი-ხუთი კაცის პარლამენტში შეყვანის გამო არ აპირებენ „ოცნებასთან“ კოალიციურ ფორმატში თანამშრომლობას.

ჩემი მხრიდან კი გეტყოდით, – თუ მაგარი გოგო-ბიჭები ხართ, დღესვე დატოვეთ კოალიცია, მოემზადეთ არჩევნებისთვის და დაამტკიცეთ, რომ ბიძინას გარეშე ხართ მაგრები, მაგრამ „რესპუბლიკელები“, „ფორუმელები“, „მრეწველები“ და „კონსერვატორები“, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ყველა სუბიექტი, ერთი ძალიან დიდი პოლიტიკური ნაგავი ხართ, თქვენთვის მორალი ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც მარსზე ახალი სიცოცხლე... და როცა სვამთ კითხვას, – რა გვეშველება? მე გიპასუხებთ, – სანამ ასეთი პოლიტიკოსები იარსებებენ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში, რომლებიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე, მილიონების შოვნაზე ფიქრობენ, არაფერი გვეშველება.

საარჩევნო სიებზე დაწყებული სკანდალი ისევ ბიძინა ივანიშვილმა ჩააწყნარა, როცა ძველით ახალი წელი „ქართულ ოცნებასთან“ ერთად საგურამოში გურამიშვილ-ჭავჭავაძის მარანში აღნიშნა. ამ შეხვედრაზე არ იყო ვიცე-პრემიერი და 2012 წლის საარჩევნო სიის პირველი ნომერი კახი კალაძე, რაც თითოეული დეპუტატის თვალსაწიერს არ გამოჰპარვია. წინა წლისგან განსხვავებით, ამ შეხვედრას ასევე არ ესწრებოდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, თუმცა ამას აქვს ახსნა, რომ ეს იყო მხოლოდ ფრაქცია „ქართულ ოცნებასთან“ შეხვედრა და არა კოალიციის სხვა სუბიექტებთან... როგორც ჩანს, უახლოეს პერიოდში, პოლიტიკური თვალსაზრისით ნამდვილად საინტერესო პროცესები დაიწყება...

გუბაზ სანიკიძე, რომელიც პარლამენტში ამ ხნის განმავლობაში ენაგადაყლაპულივით იჯდა, ახლა გამოფხიზლდა და პარლამენტში მუშტები აბრახუნა



„ფორუმი“ დღეს უკვე აპირებს, კონკრეტული კვოტები მოითხოვოს და თუკი მათი სურვილი არ დაკმაყოფილდება, ოთხი-ხუთი კაცის პარლამენტში შეყვანის გამო არ აპირებენ „ოცნებასთან“ კოალიციურ ფორმატში თანამშრომლობას



თუ მაგარი გოგო-ბიჭები ხართ, დღესვე დატოვეთ კოალიცია, მოემზადეთ არჩევნებისთვის და დაამტკიცეთ, რომ ბიძინას გარეშე ხართ მაგრები!

ვერასდროს წარმოვიდგენდით, რომ ასეთი სუსტი აღმოჩნდებოდა „ფორუმი“ პარლამენტში და გუბაზ სანიკიძე სამი წლის განმავლობაში ასე ურცხვად დაემალებოდა ჩვენს გაზეთს და ენაგადაყლაპულივით იჯდებოდა პარლამენტში



# „თავად ივანიშვილის ოჯახსაც აღარ მოსწონს კალაძე, განსაკუთრებით მის შვილებს!“

**„დღეს დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, რომ ბერა ივანიშვილმა სიმღერა „ავტოგოლი“ კალაძეს მიუძღვნა... არადა, კალაძე ივანიშვილთან სწორედ მისმა შვილებმა დააახლოვეს“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**კვირის მნიშვნელოვან საკითხებზე „ქრონიკის“ კითხვებს იურისტი ვალერი გელბახიანი პასუხობს:**

**— თქვენი აზრით, რატომ არ ესწრებოდა კახი კალაძე საახალწლო სუფრას, ამან ძალიან ბევრი ეჭვი და კითხვა გააჩინა, რადგან არის მოსაზრება, რომ ღარიბაშვილის პრემიერობიდან წასვლის შემდეგ კალაძეა მიზანში ამოღებული. „გაზპრომის“ ყბადაღებული თემა კი წითელ ხაზებს ავლებს „ქართულ ოცნებას“, „რესპუბლიკელებსა“ და „ფორუმს“ შორის, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ სტრატეგიული გაზსადენის გასხვისებაზე ლაპარაკი, საქართველოს წინაშე ჩადენილი დანაშაული იქნება...**

— ჯერ ერთი, ეს იყო საახალწლო შეხვედრა, პარტიული გუნდი შეიკრიბა და არა კოალიციური. თუ უსუფაშვილი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ამ შეხვედრაზე მოვიდოდა, მას ჰყავს მოადგილეები — ძიძიგური და სანიკიძე, ასეთ შემთხვევაში ისინიც უნდა ყოფილიყვნენ. ეს შეხვედრა გახლდათ დემონსტრირება იმ მითქმა-მოთქმების შემდეგ, რომ არიან ერთიანი. სხვათა შორის, მომეწონა ივანიშვილის ეს ქმედება, იმისთვის, რომ შიგნით ერთიანობა შეინარჩუნოს, სწორი გზით მიდის. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს სახელმწიფო სტატუსი არ გააჩნია, მას ძალიან დიდი გავლენა აქვს გუნდზე, ამ შეხვედრაზე მიიწვია ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, საკუთარ გუნდსა და საზოგადოებასაც აჩვენა, რომ მათ შორის გაუგებრობა არ არსებობს და ისინი ერთი გუნდის წევრები არიან. ივანიშვილმა თავის თანაგუნდელებს მიმართა, რომ არავინ დაიჩაგრება, ყველა პოლიტიკური პროცესი მოითხოვს განახლებას. ბუნებრივია, ცვლილებები იქნება საპარლამენტო სიაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ, ვინც სიაში ვერ მოხვდება, ყურადღების მიღმა დარჩება და ხელისუფლებიდან წავა. ყველა სათანადო ადგილს მიიღებს. სიების გამო ატეხილი სკანდალი ივანიშვილმა ამით ჩააცხრო და ასე ვთქვათ, თავისი გუნდი დაამშვიდა. არადა, მათ ძალიან ბევრი პრეტენზია ჰქონდათ, ეს შეიმჩნეოდა პარლამენტის სხდომებზე... ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები განსაკუთრებულად აგრესიულები იყვნენ „რესპუბლიკელების“ მიმართ საკუთარ გამოსვლებში, ახდენდნენ დემონსტრირებას, რომ „ქართული ოცნება“ რჩება წამყვან პოლიტიკურ ძალად და ვერავინ, ვერც „რესპუბლიკელები“ და ვერც სხვა სუბიექტები ვერ შეარყევენ მათ პოზიციას. ეს შეხვედრა, ბუნებრივია, დადასტურება იყო კვლავ იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ცენტრალური ფიგურა, ხელისუფლებაში ის არის ყველაზე გავლენიანი. და მას აქვს უფლება დირექტივების გაცემისა, მაგრამ ჩვენთან დემოკრატია კლასიკურ ფორმაში შესული არ არის, რასაც კონტროლი სჭირდება. არსებობს სახელმწიფო კონტროლის სხვადასხვა მექანიზმი, როცა ერთკოალიციიანი პარლამენტია, ამ შემთხვევაში ის კარგავს კონტროლს ალმასრულებელ ხელისუფლებაზე და მოშლილია კონსტიტუციური მართვა. მაგალითად, თურქეთში სამხედრო საბჭოს ჰქონდა მინიჭებული უფლება, რომ, თუკი მთავრობა კონსტიტუციურ გზას გადაუხვევდა, საბჭოს უფლება ჰქონდა, პრეზიდენტიც მოეხსნა და პრემიერიც. ამ შემთხვევაში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი არ არის ხელისუფლებაში და მაინც მართავს ქვეყანას, რაც დემოკრატიისთვის, ცოტა არ იყოს, უხერხული ფორმაა, რაც არანაირ სტანდარტში არ ჯდება, ამ მხრივ, პრეტენზიები ივანიშვილის მიმართ მომდინარეობს ქვეყნის შიგნით როგორც პოლიტიკური ძალებისგან, ასევე საერთაშორისო და დიპლომატიური წრეებიდან. კონტროლი ივანიშვილის მხრიდან მთავრობაზე უნდა იყოს შენარჩუნებული, მაგრამ უნდა მოიძებნოს კონტროლის ფორმა და თუკი ივანიშვილი შექმნის ლეგიტიმურ ორგანოს საზოგადოებრივი დატვირთვით, რომელსაც გავლენა ექნება კონსტიტუციურ საქმიანობაზე, მაშინ კონტროლის ეს ფორმა ჩაჯდება კანონიერების ფარგლებში და საჭიროც არის ასეთი ტიპის ქვეყნებისთვის, რომლებიც გარდამავალ ფაზაში იმყოფებიან. რაც შეეხება კახი კალაძის საახალწლო სუფრაზე არყოფნას, მე არ მაქვს ინფორმაცია, რა მიზეზით არ იყო იგი... მაქვს ინფორმაცია, რომ უკმაყოფილო ამ პერსონის მიმართ ბევრია, მაგრამ ჯერჯერობით ეს განხეთქილების ფაზაში არ არის გადასული, განხეთქილება კი „გაზპრომთან“ დაკავშირებულმა საკითხმა წარმოშვა. „რესპუბლიკური“ პარტია ღიად თანამშრომლობს დასავლეთთან და პრინციპში, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის „გაზპრომის“ თემა არის მიუღებელი მოდელი, ამიტომაც „რესპუბლიკელებს“ აქვს შეკითხვები მთავრობის იმ წევრების მიმართ, ვინც კულისებს მიღმა საუბრებში მონაწილეობენ. საუბარია, რომ „გაზპრომმა“ ჩაანაცვლოს „სოკარი“, „სოკართან“ რთულდება ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში გაუფასურდა ენერგომატარებლებზე მანათის ფასი, რამაც ეროვნული ვალუტის კურსი საშინელ კატასტროფამდე მიიყვანა, ამიტომაც შექმნილი ვითარებით სარგებლობს ხელისუფლების ის ნაწილი, ვინც რუსეთთან „გაზპრომის“ თაობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობს, ბუნებრივია, კოალიციის სუბიექტებს — „რესპუბლიკელებს“ და „ფორუმელებს“ არა მარტო კითხვები ექნებათ, შეიძლება დაპირისპირებაც გამოიწვიოს, თუ „გაზპრომის“ თემა სერიოზულად გახდება საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ენერგოდერეფნის ნაწილი, „გაზპრომი“ მარტო ქართული ბაზრით არ არის დაინტერესებული, მას უნდა ამ სქემიდან აზერბაიჯანის ამოგდება და ასევე, სურს, სომხეთისთვის გახსნას ფართო დერეფანი, ამიტომ „გაზპრომი“ მხოლოდ „გაზპრომი“ არ არის და ეს საკითხი დაკავშირებული იქნება აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან, შავი ზღვის ზოლის გამოყენებასთან და ა.შ. ანუ „გაზპრომთან“ მიბმულია ძალიან ბევრი საკითხი როგორც



**„თუკი ვინმე ელოდება, კოალიციაში პოლიტიკურ სუბიექტებს ეტყვიან, — ახლა წაბრძანდითო, ასე არ მოხდება, ეს თავად კოალიციური სუბიექტების გადასაწყვეტია“**



**„რადგან ივანიშვილმა დაააანონსა — ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია პოლიტიკური პარტია გააკეთოსო, ალბათ, გააკეთებს. თუმცა ბატონ ირაკლის გაუჭირდება, ახსნას, რატომ წავიდა ხელისუფლებიდან, თუკი ისევ ხელისუფლებაში უნდა მოსვლა...“**



**„ერთადერთი, ვინც შეეცდება, კოალიციაში ჩარჩეს, ეს იქნება ზვიად ძიძიგური, ხოლო სხვა დანარჩენებს მოუწევთ ცალ-ცალკე გასვლა არჩევნებზე, ან ახალი კოალიციის გაკეთება“**



## „მერწმუნეთ, ივანიშვილი ახალი კოალიციის გამკეთებელი არ არის“

პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური. ამიტომ „რესპუბლიკელების“ შიდა გარჩევები გასაკვირი არ არის, თუმცა ეს გარჩევები ჯერ საჯარო არ გამხდარა, მაგრამ, თუ გაგრძელდება „გაზპრომთან“ სერიოზული საუბრები, გარწმუნებთ, რომ „რესპუბლიკელები“ თვითონ გახდებიან ინიციატორები, შეეწინააღმდეგონ ასეთ პროექტს...

**— თუმცა საკუთარი ინიციატივით კოალიციიდან გასვლას არც „რესპუბლიკელები“ და არც „ფორუმელები“ არ აპირებენ, მათი პოზიცია ასეთია — გვითხრან და გავალთ. „ფორუმი“ აპირებს სერიოზული მოთხოვნები წაუყენოს „ქართულ ოცნებას“ და გაზარდოს გავლენები.**

– ამ წუთას მიჭირს იმის თქმა, რამდენად აქვს „ფორუმს“ რესურსი, რადგან ამ პოლიტიკურმა ძალამ სიჩუმეში გალია წლები, საერთოდ არც კი იგრძნობოდა მათი პარლამენტში ყოფნა, პოლიტიკურ ამინდს ისინი ვერ ქმნიდნენ ვერც ერთ გადაწყვეტილებაში, როცა ყველაზე არასახარბიელო კანონი – ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო პარლამენტმა, სადაც საუბარი იყო სექსუალური ურთიერთობების გათანასწორებაზე, მაშინ ეს ტრადიციული „ფორუმი“ გაჩუმდა, ხმაც არ ამოუღია, რადგან ისინი კომფორტულ გარემოში გრძნობდნენ თავს, თუმცა მათი ღირებულებებიდან გამომდინარე, საკუთარი პოზიცია მაინც უნდა დაეფიქსირებინათ და რაც მაშინ სიჩუმით გააკეთეს, აუცილებლად შეახსენებენ „ფორუმს“ სხვადასხვა ეტაპზე, მაგრამ ტრადიციული ღირებულებების მატარებელი პარტიისთვის შეუნდობელია ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ხმის მიცემა. მე მოვისმინე გუბაზ სანიკიძის გამოსვლა ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით, მისი გამოსვლა არა მხოლოდ კრიტიკული იყო, არამედ იყო განაცხადი, რომ მათ აქვთ პოლიტიკური პრეტენზიები. მოკლედ, სანიკიძის სადეკემბრო გამოსვლა პარლამენტში იყო ულტიმატუმი „ოცნების“ მიმართ, ამ სასტარტო გამოსვლას გაგრძელება ექნება და შემთხვევითი არ არის, რომ „ფორუმმა“ პოზიციების დაფიქსირება უკვე დაიწყო... და თუკი ვინმე ელოდება, კოალიციაში პოლიტიკურ სუბიექტებს ეტყვიან, – ახლა წაბრძანდითო, ასე არ მოხდება, ეს თავად კოალიციური სუბიექტების გადასაწყვეტია და ასეთ შემთხვევაში რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს „ფორუმმა“, მათ ჩემი შეხსენება არ სჭირდებათ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ საბოლოოდ არჩევნებში „ქართული ოცნება“ ცალკე გამოვა, რადგან პროცესების დინამიკა ამ ლოგიკას გვკარნახობს?**

– ივანიშვილის ის განცხადება, რომ ღარიბაშვილს შეუძლია, დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა შექმნას, სწორედ მაგას ემსახურება. თუ ღარიბაშვილი შექმნის პარტიას, მაგალითად, კახეთში აიღებს სერიოზულ ხმებს, ბარიერის გადალახვის შემდეგ შეუერთდება „ქართულ ოცნებას“, ეს არის ცნობილი პოლიტიკური სქემა და არა მგონია, აქ რაღაც უცნაური გარიგება დავინახოთ, თუმცა გარწმუნებთ, რომ, თუ ღარიბაშვილი პარტიას გააკეთებს, ხმებს ისევ „ოცნებას“ წაართმევს და არა სხვებს, ამით „ოცნებას“ არაფერი მოემატება, თუ არ დააკლდება... რამდენად გამართლებული იქნება ეს პოლიტიკური ტექნოლოგია, ამას თქვენ ნახავთ, აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ივანიშვილი ახალი კოალიციის გამკეთებელი არ არის... ყველა დათვლით ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ ახალ კოალიციას არ გააკეთებს და ერთადერთი, ვინც შეეცდება, ჩარჩეს კოალიციაში, ეს იქნება ზვიად ძიძიგური, ხოლო სხვა დანარჩენებს მოუწევთ ცალ-ცალკე გასვლა არჩევნებზე, ან ახალი კოალიციის გაკეთება. „ქართულ ოცნებაში“ ერთ დეპუტატს ვერ ნახავთ, რომ მათ უნდათ, კოალიციაში ჰყავდეთ – „რესპუბლიკელები“, ან „ფორუმელები“... ისინი ამბობენ, რომ ხმები არის ივანიშვილის და არა, მათი მოტანილი. ივანიშვილი კი არის პარტია „ქართული ოცნების“ ძალა. რა საჭიროა დამატებითი ზედმეტი ტვირთები ვათრიოთ და შემდეგ, მათ პრეტენზიები წამოგვიყენონ. კოალიციის ყველა სუბიექტი ცალ-ცალკე გავიდეს არჩევნებზე კულისებში არის საუბარი, მაგრამ პირადად ბიძინა ივანიშვილთან არ ყოფილა საუბარი და არც იქნება, რადგან თავად ივანიშვილს არ სურს არჩევნებამდე შიდაკოალიციური არეულობა და განხეთქილება. ამ ეტაპზე „რესპუბლიკელების“ გასვლაც კი სერიოზულ ცვლილებებს იწვევს საპარლამენტო კონფიგურაციასა და მთავრობაში. მე ვპროგნოზირებ, რომ მაისამდე არაფერი იქნება, კოალიციის სუბიექტებისთვის კი არასასიამოვნო პროცესი მაისის შემდეგ დაიწყება.

**— შინაგან საქმეთა სამინისტროში მოულოდნელად დაიწყო საკადრო წმენდა, ასევე, მოულოდნელად დასახელდა შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი მოსახსნელ მინისტრთა სიაში. რას უკავშირებთ ამ პროცესს?**

– საარჩევნო წელია, შესაბამისად, გაორებულ და საეჭვო ადამიანებს, ვისაც საკვანძო თანამდებობები უკავიათ, მოიხსნებიან. შსს-ში მათ ამ თანამდებობებს პოლიტიკური დატვირთვა უნდა ჰქონდეთ არჩევნების პროცესში. შსს-ში თუ ასეთი ცვლილებები არ იქნება, შეიძლება ვითარება უკონტროლო გახდეს. პოლიცია ყოველთვის იყო და იქნება ბერკეტი, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს. არ გამოვრიცხავ მღებრიშვილის შეცვლასაც, რომ შს მინისტრის პოსტი დატოვოს. თუ ღარიბაშვილი ცალკე პარტიას გააკეთებს, მაშინ კი თავს დავდებ, რომ მღებრიშვილი პოსტზე ველარ დარჩება, რადგან ის ითვლება ღარიბაშვილის პირად კადრად. რადგან ივანიშვილმა დააანონსა, – ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია პოლიტიკური პარტია გააკეთოსო, მე მგონია, რომ გააკეთებს. თუმცა ბატონ ირაკლის გაუჭირდება ახსნას, რატომ წავიდა ხელისუფლებიდან, თუკი ისევ ხელისუფლებაში უნდა მოსვლა.

**— დაბოლოს, კახი კალაძის თემას მაინც ვერ ავცდებით. არის ინფორმაცია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის წასვლის შემდეგ პრემიერმინისტრობა კახი კალაძეს სურდა, თუმცა მის ამბიციას ივანიშვილმა უთხრა — არა!.. კალაძეს გუნდშივე საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს, რადგან იგი ყალიბდება დაუნდობელ პოლიტიკურ ფიგურად, რომელიც შესაძლოა, ივანიშვილს ძალიან ძვირად დაუჯდეს.**

– კახი კალაძეზე არ მინდა საუბარი, მაგრამ ერთ რამეს გეტყვით, – ის არ არის პარტიულ გუნდში, ივანიშვილის გარემოცვაში არის აზრი, რომ კალაძე უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი და შესაძლოა, ამიტომ ბევრი ინტრიგა წარმოიშვას კალაძის წინააღმდეგ. არსებობს ვერსია, მოქმედი ადამიანები, ვინც კი ივანიშვილის გარემოცვას წარმოადგენენ, მუშაობენ კალაძის გაპრემიერებაზე. რამდენად მოხდება ეს ამბავი, ვერ გეტყვით, რადგან მეორე ბანაკში მას ჰყავს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე და თავად ივანიშვილის ოჯახსაც, მგონი, კალაძე აღარ მოსწონს, განსაკუთრებით შვილებს. დღეს დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ბერა ივანიშვილმა სიმღერა „ავტოგოლი“ კალაძეს მიუძღვნა. მათ შორის აღარ არის ის ჯანსაღი ურთიერთობა, რაც ადრე იყო. არადა კალაძე ივანიშვილთან სწორედ მისმა შვილებმა დააახლოვეს. დღეს კი მათ შორის შავმა კატამ გადაირბინა.

---

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**ამ დღეებში „ნაციონალურმა“ საინფორმაციო სააგენტოებმა („თავისუფალ ზონაზე“ დაყრდნობით) გაავრცელეს ფოტო, სადაც მაგარი, არნახული პურმარილია დაფიქსირებული. ერთ-ერთ სუფრასთან არიან საპარლამენტო უმრავლესობის წევრები: თამაზ მეჭიაური, დიმიტრი ხუნდაძე და ომარ ნიშნიანიძე. ფოტოზე ყურადღება გამახვილებულია „ჩივას რეგალის“ ვისკიზე, რომელიც (4-ლიტრიანი ბოთლი) 575,98 ლარი ღირს. ჰოდა, ამ ამბავს მოჰყვა სრულიად ადეკვატური რეაქცია — საიდანო? როგორო? რა ენაღვლებათ ამ „ქოცებს“, როცა ჩვენი ფულით დაქეიფობენო? ჩვენ კიდევ აქ მშივრები ვიხოცებითო? მაშინ, როცა ქვეყანაში პენსია 160 ლარია და ბავშვები შიმშილობენ, ესენი რა უფლებით სვამენ 600-ლარიან ვისკისო?! მოკლედ, ჩვენ გადავწყვიტეთ, ამ ფოტოს წარმომავლობა და მიზანშეწონილობა თავად თამაზ მეჭიაურთან გაგვერკვია:**

## თამაზ მეჭიაური: „ზოგიერთები ერთ ადგილს აძლევენ, არ რცხვენიათ, პირადი ცხოვრებააო და მე ამათი შიშით 100 გრამი კონიაკი ველარ უნდა დავლიო?“








**— ბატონო თამაზ, გემრიელი იყო 600-ლარიანი ვისკი?**

– ჯერ ერთი, მილიონერების ბანკეტია, მეორეც – უმეტესობა ღვინოს სვამდა და მე ჩემი „ფლიაგით“ დამაქვს სასმელი, მესამეც – 1 ლიტრიც არ დალეულა და პატრონებს დარჩათ, კიდევ რამდენიმე სუფრას გაისტუმრებენ... გარდა ამისა, სუფრასთან 10 კაცი ვიჯექით... ან რა უფლება მაქვს, მასპინძლებს ვუკარნახო, რით გაგვიმასპინძლდნენ?

**— რა ვიცი, სააგენტოები ავრცელებენ ამ ფოტოს და ამიტომ გკითხეთ.**

– რაც დაილია, ერთლიტრიანით რომ მოეტანათ, რამე შეიცვლებოდა?

**— ეს რა ღონისძიება იყო?**

– ერთი დიდი საავადმყოფოს 2 წლისთავი და წლის ანგარიშის პრეზენტაცია იყო, მეპატრონეებმა გადაიხადეს ბანკეტი საკუთარი ფულით, არა ბიუჯეტიდან. ჩვენ მალე წამოვედით... ამის მოწმეა 200-მდე კაცი...

**— გასაგებია... ისე, თქვენ და ომარ ნიშნიანიძეს „ეგ საქმე“ გიყვართ, იმდენი ფოტო გაქვთ გადაღებული პურმარილებზე...**

– ეგ ვისკი ახლაც პატრონთანაა. ზოგიერთები ერთ ადგილს აძლევენ, არ რცხვენიათ, პირადი ცხოვრებააო და მე ამათი შიშით 100 გრამი კონიაკი ველარ უნდა დავლიო?

**— ფოტოები გამოქვეყნდა და რეაქციაც მოჰყვა.**

– ბანკეტია, მერე რა?

**— ვააა, ხალხზე ცუდად მოქმედებს, მეჭიაური დაქეიფობს, ჩვენ კიდევ მშივრები ვართო. ხალხმა არ იცის, ბანკეტია, წლის ანგარიშია თუ ვახშამია.**

**აქ თამაზ მეჭიაურის დუმილი მაფიქრებინებს, რომ მეთანხმება...**


ნინო სამხარაძე
599 71-14-22

# რა ხდებოდა საგურამოში, ჭავჭავაძეების მარანში

## მიუხედავად იმისა, რომ გუგულიმ ბიძინა გვრიტი" უმღერა, მის მაგიდას წრე ურტყა, ბიძინა

გასული კვირის მნიშვნელოვანი ამბავი ბიძინა ივანიშვილისა და ფრაქცია „ქართული ოცნების" საგურამოში ჭავჭავაძეების მარანში გამართული საახალწლო ვახშამი გახლდათ. ყველაზე სკანდალური, თანაც კომიკური





**ქალბატონო გუგული, დაგეწვათ „პისეცის შუბა", ქართველ პენსიონერებს 10 ლარად საუკეთესო ვახშმის მომზადებას რომ ასწავლით, გარემოვაჭრეებს მორალს რომ უკითხავთ**

იყო ის ფაქტი, რომ ქალბატონი გუგული მაღრაძე წვეულებაზე კოჭებამდე „შუბით" მიბრძანდა, რაც ცხადია, ჟურნალისტების ობიექტივს არ გამოჰპარვია. ყველას გაუჩნდა ერთი აზრი, ბოროტად ეხუმრა და გუგული მაღრაძის „შუბისთვის" ცეცხლი წაეკიდებინა, – ვაიმე, ქალბატონო გუგული, დაგეწვათ „პისეცის შუბა", ქართველ პენსიონერებს 10 ლარად საუკეთესო ვახშმის მომზადებას რომ ასწავლით, გარემოვაჭრეებს მორალს რომ უკითხავთ და მოუწოდებთ, მათმა შვილებმა არჩინონ, საკუთარი შვილი კი ყველაზე ჭკვიანად რომ მიგაჩნიათ და თქვენს თავს მარგარეტ ტეტჩერს უტოლებთ, უმუხრუჭო ცინიკოსი ხარ, გუგულიიიიი!.. ის ქალბატონები, ვისაც თქვენ დასცინით უმაღლესი ტრიბუნიდან, თქვენსავით მათაც რომ გამართლებოდათ, სახლში სადილის მომზადებასაც კი არ განდობდნენ. ქალბატონი გუგული გადის ფეთხუმი პოლიტიკოსების რანგში, ჯერ გიული ალასანიასთან დაქალობა არ გქონდათ მონელებული, ბიძინა ივანიშვილის ფლანგზე რომ აღმოჩნდით და დროშაააფრიალეთ და თქვენი საუბარი დაახლოებით ამ კონტექსტში ჟღერს – „ხელი გავიქნიე ფეხი"... და ეს აბდაუბდა პარლამენტში დროა დასრულდეს. მიუხედავად იმისა, რომ გუგულიმ ბიძინა ივანიშვილს საგურამოს წვეულებაზე „ჩიტი-გვრიტი" უმღერა, მის მაგიდას წრე ურტყა, ბიძინა ივანიშვილს მისი შესატენი ადგილი არ დარჩა. გუგულიმ ბიძინას ბუდეს გადაუფრინა და საბოლოოდ დეპუტატის პენსიით დაასრულებს კარიერას. ჰოდა, კიდევ ერთი ამბავი: ჭავჭავაძეების მარანში ორ მაგიდაზე ყოფილა სუფრა გაშლილი, სოსო ჯაჭვლიანს სუფრის წევრებში დეზინფორმაცია გაუვრცელებია, ვინც ჩემს მაგიდასთან სხედხართ, საპარლამენტო სიებში ველარ მოხვდებითო. ეს რომ გუგულიმ გაიგო, მყისიერად ბიძინა ივანიშვილის მაგიდასთან გადაგუგულდა, სოსო ჯაჭვლიანის მაგიდის წევრებმა ამის დანახვაზე ხარხარი ატეხეს, ბიძინას უკითხავს, რა გაცინებთო. სოსო ამდგარა და უთქვამს, – ბატონო ბიძინა, ბოროტი ენები ამბობენ, ვინც თქვენს მაგიდასთან სხედან სიაში მოხვდებიან, ხოლო ჩემი სუფრის წევრებს დააპანჩურებთ და ეტყვით, – „ჩაო, ბამბინო, სორი". ეს რომ გუგულიმ გაიგო, მაშინვე შემოგიერთდათო. მოკლედ, გუგულის წკაპუნები დაუცვეთია, იმდენი ურბენია ჯაჭვლიანისა და ივანიშვილის მაგიდებს შორის. გუგული ერთადერთი არ იყო, ვინც ბიძინა ივანიშვილს სიმღერით ანებივრებდა. არანაკლები ვოკალური ნიჭი აღმოჩენია ეკა ბესელიასაც, რომელიც მეგრული სიმღერებით ატკბობდა ბიძინას ყურთასმენას. ეკას მეგრულმა ფოლკლორმა ბიძინა ივანიშვილს ალეკო ელისაშვილის პოლიტპატიმრების სკანდალი რა თქმა უნდა გადაავიწყა, ამ თემაზე არ ყოფილა საუბარი. თამაზ მეჭიაურმა ტყუილად კი არ იხუმრა, სპორტსმენები, მომღერლები და მსახიობები რომ არ გინდათ სიაში, ენდე, სად გამოგვადგა, ისეთი მოილხინეს და ისეთი იმღერეს ჩვენმა დეპუტატებმა, შაბაშების გადახდაც აგვცდაო. ბოლოს და ბოლოს, როცა „ქართული ხმების" დამფუძნებელი, ამჟამად ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ჭკუასელი გუნდში გეყოლება, ჩათვალე, რომ ხომალდში ზიხარ, ისე აგაფრენს კოსმოსში მისი „ჩაკრულო". ამას დაუმატეთ იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, რომელიც განუმეორებელი მომღერალია, მისი ნამღერი ადრენალინის ფანტანია. მე თუ მკითხავთ, საცოდაობაა, ასეთი მომღერლის პოლიტიკაში გაფუჭება. სხვათა შორის, გივი ჭიჭინაძემ თითოეული კუთხის პატივსაცემად შეასრულა – მეგრული, სვანური, კახური, იმერული, მეგრული და გურული ფოლკლორი. დეპუტატებს სთხოვდა, ვისაც რა გსურთ შემიკვეთეთ, მზად ვარ, შეგისრულოთო. აი, ამას გულისხმობდა „უშაბაშო ქეიფში" თამაზ მეჭიაური. ამ სუფრას ჭკუასელი თამადობდა, არაორდინარული სადღეგრძელოებით. იყო ნაკლები პოლიტიკა, მეტი სითბო და სიყვარული. ყალყზე მდგომ ფრაქციის წევრებს ბიძინასგან სწორედ ეს ესაჭიროებოდათ, რადგან მათ პარტია „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის ნათქვამმა თავზარი დასცათ, – მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები პარლამენტში ვეღარ მოხვდებიანო... ეს განცხადება კი სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა და ჩვენ მოვისმინეთ არაერთი განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრების მხრიდან, რომლებიც ირაკლი კობახიძეს აკრიტიკებდნენ. კახი კალაძე, რომელიც ფეხბურთელია, კობახიძის ლოგიკით, არც ის უნდა იყოს ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრიო. კობახიძეს ასევე შეახსენეს, რომ რონალდ რეიგანი იყო კარგი მსახიობი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ ყოფილიყო კარგი პრეზიდენტი და ჩვენს დისკრიმინაციას ნუ ახდენო. მოკლედ, ბიძინა ივანიშვილმა საღამოს თანაგუნდელებს მასტერკლასი და საღამო ჩაუტარა, – თქვენი განაწყენება სულაც არ მაწყობს, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და თუ სიაში ვერ მოხვდებით, ადგილებს მიგიჩენთო. ამბავი გამოვიდა, თითქოს, საგურამოს წვეულებაზე „ჩალიჩი" მიდიოდა, სოსო ჯაჭვლიანის საუბრებს თამაზ მეჭიაური იწერდაო.

**ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილეს, კვირის ყველაზე სკანდალურ დეპუტატს სოსო ჯაჭვლიანს „ქრონიკა" დაუკავშირდა ინფორმაციების გადამოწმების მიზნით. დავინტერესდით, ვინ იჯდა მის მაგიდასთან და რას აწერინებდა თამაზ მეჭიაურს. მან ღიმილით გვიპასუხა, რომ მისი მაგიდის წევრებიდან ყველაზე გამოკვეთილად ახსოვს მეჭიაური:**

– მე გავიგე ეგ ხმები, თითქოს, თამაზ მეჭიაური სიის სავარაუდო კანდიდატებს იწერდა, გეტყვით, რომ ამ თემაზე საერთოდ არ იყო ლაპარაკი, ბატონ თამაზს რაღაც ვუთხარი, ტელეფონში ჩაინიშნა, არ დამავიწყდესო. როგორც ჩანს, ვიღაცამ ეს მომენტი დააფიქსირა და ამბავი გარეთ გამოიტანა.

**— დავით უსუფაშვილის არყოფნამ ეჭვები გააჩინა, ფრაქცია „ქართული ოცნება" ხომ არ გაემიჯნა „რესპუბლიკელებსო", რადგან ყველას გვახსოვს, შარშან, ამ დროს, ქუთაისში დიდ კოალიციურ ფორმატში აღნიშნეთ ძველით ახალი წელი.**

– შარშანდელისგან განსხვავებით, ძველით ახალი წელი ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ" აღნიშნა. არ ვიცი, ამას ვინ რა კუდი მოაბა, მაგრამ შემიძლია, დავიფიცო ან დავიგინო, რომ ფული დეპუტატებმა დავდეთ და პირადად მე 100 ლარს ჩავედი. ყველა ამბობს, თითქოს სუფრებზე გვეპატიჟებენ, ყველა ღებულობს პრემიას ჩემ გარდა და მაინც ლაპარაკობენ. ამ დროს, ვისაც 100 ლარი არ დაედოს, ჩემდა თავად იმის ჯიში და ჯილაგიც...

**— რატომ დადეთ 100 ლარი, 50-50 ლარი დადო თითოეულმა დეპუტატმა, ხოლო ვინც მეორე ნახევრით მივიდა, იმან დადო 100 ლარი, თქვენ კი მეუღლის გარეშე იყავით.**

– სხვათა შორის, მკითხეს, მეუღლე რატომ არ წამოიყვანეო და ვუპასუხე, აქ მოსვლა ეუხერხულა-თქო.

**— გულწრფელად მიპასუხეთ, ივანიშვილთან პოლიტიკურ საკითხებზე ისაუბრეთ?**

– არა, იქ იყო საუბარი, რომ ჩვენ ვართ ერთი გუნდი, იმ დროისთვის, რა მოცემულობაც იქნება, იქიდან გამომდინარე, გუნდი იმსჯელებს და გადაწყდება ეს საკითხები.

**— რატომ არ ესწრებოდა ვიცე-პრემიერი კახი კალაძე საახალწლო ვახშამს?**

– ეს ნამდვილად არ ვიცი.

**— მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართეთ და გაზეთ „ალიას" ინტერვიუ მიეცით სიებთან დაკავშირებით, გაჩნდა მოსაზრება, რომ სოსო ჯაჭვლიანი ოპოზიციაში გადადის. თუკი სიაში ველარ მოხვდებით, რას აპირებთ?**

– ჯერ არ დავმსხდარვართ და არ განგვიხილავს ეს საკითხები, მე არსად წასვლას არ ვაპირებ, თუ ვინმეს უნდა სადმე წავიდეს და წამოვიდეს, გზები დამილოცნია, თუ მთლიანად გუნდი მეტყვის, რომ საჭირო აღარ ვარ, რა დონის ნაძირალა უნდა ვიყო, ვამტკიცო, გინდა თუ არა უნდა დავრჩე. მაგრამ ასეთი საუბარი არ ყოფილა, ჯანსაღი პროცესი მიდის, კითხვები ექნებათ როგორც ჩემთან, ასევე მათთან მექნება კითხვები, არავის არაფერს ვუმალავ და არც დავუმალავ. სხვათა შორის, საახალწლო სუფრაზე ასეთი რამ ვთქვი, – თბილისის „დინამომ" დიუსელდორფში თასი რომ აიღო, ეს იყო თბილისის „დინამოს" უზარმაზარი გამარჯვება, მაშინ ამ გუნდში მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა არ ათამაშა ლეგენდარული ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე, რადგან გუნდს სხვა ტაქტიკით უნდა ეთამაშა და ვთქვი, შეიძლება მწვრთნელის გადაწყვეტილებაში იყო სიმართლე, რადგან მაშინ ასეთი ტაქტიკა იყო საჭირო. ამიტომ შეიძლება მომავალ გუნდში ვიღაც სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე

# ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ვახშამზე?

## ივანიშვილს საგურამოს წვეულებაზე „ჩიტი-ივანიშვილს მისი შესატყენი ადგილი არ დარჩა...



გივი ჭიჭინაძემ თითოეული კუთხის პატივსაცემად შეასრულა — მეგრული, სვანური, კახური, იმერული, მეგრული და გურული ფოლკლორი. დეპუტატებს სთხოვდა, ვისაც რა გსურთ, შემიკვეთეთ, მზად ვარ, შეგისრულოთო. აი, ამას გულისხმობდა „უშაბაშო ქეიფში“ თამაზ მეჭიაური...



ვოკალური ნიჭი აღმოჩენია ეკა ბესელიასაც, რომელიც მეგრული სიმღერებით ატკბობდა ბიძინას ყურთასმენას...

აღმოჩნდეს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ სად იქნება, მთავარია, იყო გუნდში. ზოგი თავდასხმაშია, ზოგი – თავდაცვაში. და თუ გუნდის წევრად არ გთვლიან, მაშინ იწყებ სხვა გუნდის ძებნას, რომ თამაში გააგრძელო. მე ვთვლი, გუნდის წევრებმა უნდა იცოდნენ, მომავალში ვინ სად იქნება.

**— რა ინფორმაცია გაქვთ, სად აპირებს ღარიბაშვილი, გააგრძელოს მოღვაწეობა, რჩება აქტიურ პოლიტიკაში, თუ?**

– ირაკლი ღარიბაშვილი რჩება გუნდში, სად გააგრძელებს მოღვაწეობას, ამას გავიგებთ მარტში. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო.

**— ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ თითქმის ყველა ეთანხმება მეჭიაურის ფორმულას — თუკი ასეთი მაგრები არიან კოალიციაში შემავალი სხვა პარტიები, დამოუკიდებლად იყარონ კენჭი და გამარჯვების შემდეგ შეიქმნას საპარლამენტო კოალიციაო. რამდენად უჭერს მხარს ამ სქემას ბიძინა ივანიშვილი?**

– ვეთანხმები მეჭიაურის მოსაზრებას, კოალიცია იქნება ძლიერი, გამჭვირვალე და სამართლიანი მაშინ, როცა ყველა პარტია ცალ-ცალკე იყრის კენჭს და გამარჯვების მერე შექმნიან კოალიციას. აღარ იქნება საუბრები, ვის რამდენი კვოტა უნდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ვინ მაგარია, ვინ სუსტია. ხალხმა უნდა გადაწყვიტოს თითოეული პარტიის ბედი. გამოჩნდება, ვის უჭერს ხალხი მხარს, ვის მეტი ნდობა აქვს, მერე უფრო ადვილია ყველაფერზე საუბარი. მეჭიაურის ეს მოსაზრება არის ძალიან მაგარი და საინტერესო. ეს უბრალოდ პოზიცია და აზრია, რასაც დიდი სიამოვნებით დავუჭერ მხარს. ვინც ამ მოსაზრების წინააღმდეგი იქნება, ე.ი. ის ჩაჭიდებულია პარლამენტარის სკამს. როგორც ვიცი, ამ საკითხზე ივანიშვილთან ლაპარაკი არ ყოფილა. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ არ იყოს ზედმეტი საუბრები, რომ მე ვარ ჯორდანო ბრუნო, ინტელექტი ვარ, თავი მისკდება ცოდნით და კოალიციაში წამყვანი პოზიცია მიჭირავს, იმდენ თარგმანს ვაკეთებ ჩემს ნათარგმნებს სოსო ჯაჭვლიანიც კი ვერ აწევსო, გავიდნენ ცალკე „რესპუბლიკელები“ და იყარონ კენჭი, ვნახოთ, რა შეუძლიათ. მე არ წამომიწყია ამაზე ლაპარაკი, ლევან ბერძენიშვილმა წამოიწყო, განაცხადა: მეკითხებიან, რა გინდა სოსო ჯაჭვლიანთანო და ამ კითხვას სოსოსაც უსვამენ. ჩვენ რამენაირად საერთო ენას გამოვნახავთო. პარიტეტი რომ იყოს და ასეთი საუბრები დასრულდეს, რომ ლევან ბერძენიშვილი ასეთი ჯორდანო ბრუნო და ინტელექტბანკია, ამომრჩეველს მიანდონ საკუთარი ბედი. ისინი შეაფასებენ, ვინ ვინ არის.

**— ფრაქციაში რას ამბობენ, არ გარკვეულა, ვინ იქნება საარჩევნო სიის პირველი ნომერი?**

– ჩემი აზრით, სიის პირველი ნომერი ივანიშვილი უნდა იყოს, უნდა გამოვიდეს და ჩაუდგეს სათავეში სიას, თუ უნდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წარმატებას მიაღწიოს. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია. უამრავი არგუმენტია, რომელიც დაასაბუთებს, რატომ უნდა იყოს სიის პირველი ნომერი. დღეს რომ ამბობენ, კულისებიდან მართავს პოლიტიკასო, ეს რომ გააქარწყლოს, მას შეუძლია თქვას, – ვერ გაამართლა ჩემმა დატოვებულმა გუნდმა, სიას ჩავუდგები სათავეში, რასაც დაგპირდით ნემსის ყუნწში გავძვრები და გავაკეთებ, და თუ ვერ შევძლებ დანაპირების შესრულებას, იმასაც აგიხსნით, რატომ ვერ გავაკეთე. თუ ივანიშვილი სიას სათავეში არ ჩაუდგა, ამომრჩეველი ნაკლებად დაუჯერებს „ქართულ ოცნებას“...

ნანა სულავა
599 07-01-89



რამდენიმე დღის წინ, სამტრედიის ქუჩაზე, №2ა კორპუსში, რომელიც წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის გვერდით მდებარეობს, საკუთარი ბინის კართან სათად, კახეთის ერთ-ერთ სოფელში უცხოვრიათ, მშრომელი, წესიერი ხალხი ჩანდა, ქალბატონი ერთგული მეუღლე იყო. ის კაცი საიდან გადაეკიდა მათ ოჯახს, ვერავის აუხსნია. მსხვერპლი მათ გამოჩენისთანავე აკითხავდა, შინ ეჭრებოდა, ქალს უხეშად მიმართავდა, ეძახდა. ზნესი აქვს კახეთში და მუდამ შრომაშია. მისი ცოლისთვის, რაც გათხოვილ ქალს არ ეკადრება, ისეთი არაფერი შეგვიმჩნევია, ვერ ვხსნით, სხვის ცოლზე ის კაცი რატომ ძალადობდა, რატომ გამოჩნდა მათ ცხოვრებაში. ყველანი შოკირებული ვართო.

# „მკვლელი სასოწარკვეთილი გაჰკიოდა, — გადაარჩინეთო!“

## რატომ მოხდა მკვლელობა სამტრედიის ქუჩაზე?








ნადირო თოფით იოსებ ვარდიაშვილმა ზაზა ქ. მოკლა. როგორც მკვლელის მეზობლები ამბობენ, მიზეზი წინასწარ განზრახვით არ მომხდარა, მოძალადე მამაკაცი იოსებ ვარდიაშვილს ოჯახში მიეჭრა, ვარდიაშვილის ცოლს გარეთ გასვლას სთხოვდა. ამის გამო აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა ის მოკლა. უბნის მაცხოვრებლების თქმით, მსხვერპლს ოჯახის ქალბატონისთვის დაუდგამს თვალი და თავს ვეღარ აკონტროლებდა, შესაძლოა, არაფხიზელ მდგომარეობაშიც იყოო.

**ლელა მაისურაძე:**

– ცოლ-ქმარი ხშირად ჩამოდიოდნენ თავიანთ ერთადერთ ქალიშვილთან ერხმაურზე ქალის მეუღლემ რომ გამოიხედა, მომხვდურმა ფეხი არ მოიცვალა. – ვინ ხარ, რას გადაგვეკიდეო, შეკამათდნენ, რა თქმა უნდა... გამოიტანა ვარდიაშვილმა სანადირო თოფი... მოძალადის მოკვლა რომ არ უნდოდა, იქიდანაც ჩანს, რომ ხმამაღლა გაჰკიოდა, – გადაარჩინეთო. პოლიციაში საკუთარი ფეხით წავიდა და მკვლელობის შესახებაც განაცხადა.

იქვე, სადარბაზოსთან, ახალგაზრდა კაცი მკვლელობასთან დაკავშირებით გვერდზე მდგომს უყვებოდა, – ეს ბინა მკვლელის მამას ეკუთვნის, ისიც წესიერი და მშრომელი ადამიანია, მკვლელს ბი-

მომხდართან დაკავშირებით შსს-ს პრესცენტრს დავუკავშირდი. როგორც ყოველთვის, ძალიან მწირი ინფორმაცია მოვიპოვე: გამოძიება მიმდინარეობს 108-ე მუხლით, განზრახ მკვლელობით (რატომ?! – ნ.ს.). მკვლელი ცხელ კვალზე დააკავეს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე ვერ ვისაუბრებთო...

# „მარჯვენასაჭიანებს“ არჩევნების შემდეგ აკრძალავენ?

## ვისი ბიზნეს-ინტერესები დევს ამ სამარცხვინო კანონპროექტში?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



საქართველოს არა და არ ეღირსა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ხალხზე იზრუნებს და არა ვიწრო ბიზნესსა და სხვა ჯგუფებზე. „ქართული ოცნება“ ხალხზე ზრუნვა-პატრონობის დაპირებით მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ დღეს ხალხი ფეხებზე ჰკიდია და თუ რამეს აკეთებს, მხოლოდ ხალხის საწინააღმდეგოდ. ამის ნათელი მაგალითია შსს-ს მიერ პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი, რომლის შედეგადაც, ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი უნდა აიკრძალოს, ასევე, მოძრაობის დამრღვევი მძღოლებისთვის დამატებითი სანქციების დაწესების მცდელობა – მართვის მოწმობაზე ქულათა ამორიცხვის სისტემის დაწესება. მოკლედ, როგორ გაურთულონ ისედაც ძაღლუმადური ყოფა ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენი მთავრობის წევრები მხოლოდ ამაზე ფიქრობენ და სხვა არაფერზე. არა, კარგი, მთავრობამ, ამ შემთხვევაში, შსს-მ შემოიტანა კანონპროექტი, შე დალოცვილო, დეპუტატი რომ ხარ, არ შეიძლება წაიკითხო და თუ რაიმეა ხალხისთვის საზიანო, ადგე და თქვა, მოუთითო იმ შსს-ს, რომ სისულელეს ითხოვს და მასაც და ყველა სამინისტროს კანონპროექტი ერთი ხელის მოსმით არ აქციო კანონად? შეიძლება, „ქართული ოცნების“ დეპუტატები დღენიადაგ სხვადასხვა სამინისტროების იდიოტური საკანონმდებლო ინიციატივების „გაპრავებაში“ იყვნენ? აი, რამდენიმე დღის წინ ცოტა არ იყოს, გამოფხიზლდნენ ჩვენი დეპუტატები. საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის წევრები შსს-ს წარმომადგენლებს შეხვდნენ და ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები 1-ლი მარტიდან აღარ აიკრძალება და ეს საქმე გაურკვეველი ვადით გადაიდო. კანონპროექტთან დაკავშირებით დეპუტატებს გარკვეული შენიშვნები აქვთ. მარჯვენასაჭიანთა რეგისტრაციის აკრძალვის გადავადებასთან დაკავშირებით, უმრავლესობის დეპუტატი ნოდარ ებანოიძე აცხადებს, რომ კანონპროექტის გაჟღერებისთანავე ავტოიმპორტიორებს გარკვეული ზიანი მიადგათ. „როგორც ჩანს, ვადები გადაიწევს, ვიდრე ეს წინასწარ იყო დაანონსებული, ანუ კანონი ძალაში, სავარაუდოდ, არა მარტიდან, არამედ წლის მეორე ნახევრიდან შევა. ამ ბიზნესით დაკავებულია ძალიან ბევრი კომპანია. ჩვენ ვთქვით, რომ უნდა იყოს ვადები, რომელიც პრობლემას არ შეუქმნის ბიზნესმენებს“, – ამბობს ებანოიძე. არა, ძალიან კარგია ნოდარ ებანოიძე ამ სრულიად უაზრო ინიციატივის წინააღმდეგი რომ გამოვიდა და თუნდაც მის გადავადებას უჭერს მხარს, მაგრამ საგულისხმოა, რომ არც მას გახსენებია ის მოქალაქეები, რომლებიც მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვის გამო დაზარალდებოდნენ, ხარისხიან და იაფფასიან ავტომობილებს ვეღარ შეიძენდნენ, ებანოიძე მხოლოდ ბიზნესჯგუფების ინტერესების დამცველად გვევლინება, თუმცა, სულ არაფერს კი სჯობია.

უმრავლესობის დეპუტატს ზურაბ ტყემალაძეს კი მართვის მოწმობის 100-ქულიან სისტემასთან დაკავშირებით აქვს შენიშვნები. მისთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ მოქალაქე კანონდარღვევის დროს, ქულების ჩამოკლებასთან ერთად, ადმინისტრაციული წესითაც დაჯარიმდება. „დაჯარიმების გამოყენება და ამავე დროს ქულების ჩამოჭრა და შემდეგ გამოცდის ჩაბარება, ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე დანაშაულზე მოქალაქის დასჯა ორჯერ ხდება. მე ასე მიმაჩნია“, – განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

პოზიციას არ იცვლის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ამ განცხადებების შემდეგ, 15 იანვარს მთავრობის სხდომაზე განაცხადა: „მათ, ვისაც ჰყავთ შეძენილი მარჯვენასაჭიანი ავტომანქანები, შეუძლიათ, რამდენჯერაც ნებავთ, გაასხვისონ, ან გადააფორმონ. საუბარი იყო ახალი პარტიების შემოტანის ვადაში შეზღუდვაზე. დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ მთავრობის, არამედ საზოგადოების უდიდესი ნაწილის ნებას გამოვხატავ, როდესაც ვამბობ, რომ ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი და ამ საკითხში ნაბიჯი უკან არ იქნება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება თბილისის მცხოვრებთა ინტერესებს, რადგან თბილისში არის საშინელი მდგომარეობა, მოძრაობა გადატვირთულია და თუ ასე გაგრძელდა, სულ უფრო უარესი ვითარება გვექნება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ არსებული სიტუაციის უკონტროლოდ გაგრძელება უსაფრთხოების კუთხითაც მიზანშეუწონელია და შინაგან საქმეთა მინისტრს შესაბამისი სტატისტიკის წარმოდგენის თხოვნით მიმართა...

ამ და სხვა კითხვებზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ ხელმძღვანელი, ვასო ურუშაძე გვპასუხობს.

**— თქვენი აზრით, რატომ დაიხია უკან პარლამენტმა, რატომ არ გაიზიარა შსს-ს პოზიცია და მარჯვენასაჭიანი მანქანების ექსპორტის აკრძალვის ვადა რატომ გადაწია?**

– ხელისუფლების მმართველ გუნდში აქტიურად დაიწყო მსჯელობა შსს-ს მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივებთან დაკავშირებით. ჩვენი სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკო ტრანსპორტ ცენტრი“ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდით მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას, ავტომობილების განბაჟების სისტემის შეცვლის გადადებას და გადახედვას, ასევე, მართვის მოწმობების 100-ქულიანი სისტემის შემოღების გადადებას და ვითხოვდით აქტიური საინფორმაციო კამპანიის დაწყებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ აქტიურად დავიწყეთ სამოქალაქო ადვოკატირების კამპანია, სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფებთან ერთად გავმართეთ რამდენიმე გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია და სხვა აქტივობები, რამაც შედეგი გამოიღო. შსს-ს სურდა, კანონპროექტი პარლამენტში გაეტანათ დაჩქარებული წესით, თუმცა საპროტესტო აქციების ფონზე მსგავსი უსამართლო გადაწყვეტილების მიღება მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა და კანონპროექტი დარეგისტრირდა ჩვეულებრივი წესით, რაც ნიშნავს იმას, რომ განხილვები გაგრძელდებოდა მინიმუმ 2 თვეს. ჯერჯერობით კანონპროექტის განხილვა პარლამენტში არ დაწყებულა, თუმცა აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით პარლამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ჩვენი ინფორმაციით, მმართველ გუნდში განიხილება კანონპროექტის ამოქმედების წლის ბოლოსთვის გადადება, ამ შემთხვევაში მათი ტრაფარეტული მოტივი არის ის, რომ არ დაზარალდეს ბიზნესსექტორი, თუმცა ეს ვარიანტი, რა თქმა უნდა, რეალობას არის მოკლებული. ის რომ აღნიშნული კანონპროექტი დააზარალებდა ბიზნესსექტორს, შსს-მ ძალიან კარგად იცოდა და შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, თუმცა როცა ამას სახალხო პროტესტი მოჰყვა, საქართველოს ხელისუფლებაში პარტიული თანამდებობის პირები ალაპარაკდნენ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აწყობს პოტენციური ამომრჩევლის განაწყენება. შესაბამისად, გაიმარჯვა პარტიული თანამდებობის პირების იდეამ და კანონპროექტის ამოქმედება გადავადდება მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების გამო. ეს, რა თქმა უნდა, არის ჩვენი წარმატებული ადვოკატირების კამპანიის შედეგი, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. თუმცა ფორმალურად ეს ყველაფერი დადასტურდება მას შემდეგ, რაც დაიწყება საქართველოს პარლამენტში საკომიტეტო მოსმენები, რაც, სავარაუდოდ, თებერვლის მეორე ნახევარში მოხდება. ჩვენთვის, ასევე, გაუგებარია, რატომ მართავენ მთავრობის წარმომადგენლები და საპარლამენტო უმრავლესობა დახურულ შეხვედრებს და რატომ არ არის ეს პროცესი გამჭვირვალე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

**— როგორ ფიქრობთ. არჩევნების შემდეგ, ახალი პარლამენტი მიიღებს ამ კანონს?**

– კი, სავარაუდოდ, ასე იქნება, არა მგონია, არჩევნებამდე გაბედონ ამ კანონის მიღება. თუ ისევ მმართველმა კოალიციამ მოიგო საპარლამენტო არჩევნები, ამ კანონს მაშინ მიიღებენ. თუმცა, სერიოზული პროტესტი რომ არ ყოფილიყო, უკვე მიღებული ექნებოდათ. ნახეს, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვის ამ მცდელობას, ცალკე ავტო დილერების პროტესტი მოჰყვა, ცალკე – ამგვარი ავტომობილების მფლობელებისა და ამჯერად უკან დაიხიეს. არც მოძრაობის უსაფრთხოებასთან, არც საცობებთან, არც ეკოლოგიასთან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის ამ მცდელობას საერთო არ აქვს, შსს-ს არგუმენტები თითიდან გამოწოვილია... არ არსებობს არანაირი სტატისტიკა, არანაირი კვლევა, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანები უფრო საფრთხის შემცველია საგზაო მოძრაობის წესების დაცვისას. ასე თუ ჩავეძიეთ, სტატისტიკურად შეიძლება გამოვიდეს, რომ რომელიღაც მარკის ავტომობილი უფრო ხშირად ახდენს ავტოავარიებს, ამ ავტომობილს მე არ დავასახელებ, მაგრამ რა ვქნათ, ავკრძალოთ ამის გამო?

**— მე დავასახელებ, „ბე-ემ-ვეა“ ასეთი ავტომობილი.**

– ჰოდა, უნდა ავკრძალოთ? ეს ხომ აბსურდია? „ბე-ემ-ვე“ აღიარებულია საერთაშორისო უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების შესაბამის ავტომობილად. მაშინ მოტოციკლი ავკრძალოთ, რადგან ყველაზე დაბალია მისი უსაფრთხოების ნორმები, მაგრამ მისი აკრძალვა არსად აზრად არ მისვლიათ...

...ამ იდეას ყველა ხელისუფლების დროს კონკრეტული ბიზნესჯგუფების სასარგებლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები ლობირებდნენ. ცხადია, მათი ინტერესი ის იყო და არის, რომ ჩამოიცილონ კონკურენტი კომპანიები, აიკრძალოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი, გამკაცრდეს განბაჟების სისტემა, ანუ მოძველებული ავტომობილების განბაჟების საფასური გაძვირდეს, ხალხი ვერც მარჯვენასაჭიან ავტომობილებს შემოიყვანს, ვერც შედარებით ძველ ავტომობილებს შესწვდება და, შესაბამისად, ამ გამოთავისუფლებულ სეგმენტს ეს ბიზნესჯგუფები დაეპატრონებიან, მათ მიერ შემოყვანილ ავტომობილებს შეიძენს ხალხი, სხვა გზა რომ აღარ ექნებათ. მონოპოლისტი კომპანია ამით უფრო მეტ მოგებას ნახავს ახალი ავტომობილების რეალიზაციის შედეგად.

**— დღეს რომელი ბიზნესჯგუფის ინტერესებს ლობირებენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები და ვინ არიან ისინი?**

– თუ მთავრობის წარმომადგენლებს გადავხედავთ, ამ ყველაფრით დაინტერესებული უნდა იყოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ტარიელ ხეჩიკაშვილი. ის გახლავთ ერთ-ერთი მეპატრონე საქართველოში ყველაზე მსხვილი ავტოიმპორტიორი კომპანიისა. „იბერია ბიზნესჯგუფში“ დაახლოებით 20 უცხოური საავტომობილო ბრენდია გაერთიანებული. არა მგონია, მისი გამოჩენა პოლიტიკაში და ამ საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა პარლამენტში, ეს სავარაუდო აკრძალვები, უბრალო დამთხვევა იყოს.

**— იქნებ დროებით არ გადადეს ამ კანონპროექტის კანონად ქცევა და საერთოდ აღარ აკრძალონ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები? ხომ შეიძლება, ხელისუფლებამ დაითვალა, რომ აკრძალვის შემთხვევაში, რეექსპორტით ბიუჯეტი უზარმაზარ თანხებს დაკარგავდა?**

– არა, ამ შემთხვევაში რეექსპორტი არ იკრძალება, 90 დღის ვადაში შეგიძლია, ჩამოიყვანო და გაყიდო მარჯვენასაჭიანი ავტომობილი. თუმცა, ძალიან ძნელია, რომ 90 დღეში გაყიდო მანქანა, ამას ყველა ვერ ახერხებს, კლიენტი წინასწარ უნდა გყავდეს ნანახი. ცხადია, ეს ფაქტორი გარკვეულ ზარალს მიაყენებს ბიუჯეტს, გასათვალისწინებელია და შესაძლოა, ამაზე დაფიქრდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამის გამო ხელს არ აიღებენ განზრახვაზე და არჩევნების შემდეგ მიიღებენ კანონს.








**„ამ ყველაფრით დაინტერესებული უნდა იყოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ტარიელ ხეჩიკაშვილი. ის გახლავთ ერთ-ერთი მეპატრონე საქართველოში ყველაზე მსხვილი ავტოიმპორტიორი კომპანიისა. „იბერია ბიზნესჯგუფში“ დაახლოებით 20 უცხოური საავტომობილო ბრენდია გაერთიანებული. არა მგონია, მისი გამოჩენა პოლიტიკაში და ამ საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა პარლამენტში, ეს სავარაუდო აკრძალვები, უბრალო დამთხვევა იყოს“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# ვის კადრებს დაერივნენ შსს-ში? რომელ მაღალჩინოსან პოლიციელებს გაუშვებენ „პენსიაზე“ და ვის უფრო დააწინაურებენ?




„ღარიბაშვილის ხალხი ასე არასოდეს გაძლიერებულა, როგორც დღეს“



თავად გიორგი მღებრიშვილი ირაკლი ღარიბაშვილის კადრია, თავის დროზე მან მიიყვანა ციხეების უფროსად, ასევე მან დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად და მეორეც — იგივე ღარიბაშვილი კადრებს ხშირად ივანიშვილის რჩევით, ან მასთან შეთანხმებით ნიშნავდა

„ბესიკ ამირანაშვილს აჭარაში არც არაფერი დაუშავებია, არც არაფერი გაუკეთებია, იქაურებს თავი მხოლოდ იმით დაამახსოვრა, რომ, როდესაც თანამდებობაზე დანიშნეს, თბილისიდან 14 კაცი ჩაიყვანა და ყველა რაიონში ისინი გაამწესა „პოლიცმაისტერებად“



შინაგან საქმეთა სამინისტროში ცვლილებების, გაშვებისა და გადაადგილებების პროცესი ჯერ კიდევ წინა კვირას დაიწყო. მას შემდეგ, რაც მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა სამი მოადგილე გამოცვალა, პოლიციის რეგიონული სამმართველოების უფროსებსაც დააწერინა განცხადებები. კულუარული ინფორმაციით, ზოგს საერთოდ გაუშვებენ, ზოგს კი დააწინაურებენ. ავი ენები ამბობენ, რომ ამჟამად მიმდინარეობს ირაკლი ღარიბაშვილის კადრებისთვის ბაზის გამოცლა და მათ ანაცვლებენ პირადად ივანიშვილის კადრებით. როგორც საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი ლევან თარხნიშვილი აცხადებს, იმ სამი ადამიანიდან, რომელიც მღებრიშვილმა თავის მოადგილეებად დანიშნა, ერთ-ერთი, მერაბ მალანია არის ბატონი ბიძინას პირადი დაცვის წევრი. მეორე – დავით ვარდიაშვილი არის ოთარ ფარცხალაძის კადრი, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა ფინანსურ პოლიციაში, შემდეგ მუშაობდა ნავთობის კორპორაციაში. მას პოლიციასთან არავითარი საერთო არ აქვს.

თარხნიშვილი ნამდვილად ფლობს ინფორმაციას, მაგრამ სამთავრობო წრეებში ასე არ ფიქრობენ, ინკოგნიტო წყაროს თქმით: ჯერ ერთი, თავად გიორგი მღებრიშვილი ირაკლი ღარიბაშვილის კადრია, თავის დროზე მან მიიყვანა ციხეების უფროსად, ასევე, მან დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად და მეორეც – იგივე ღარიბაშვილი კადრებს ხშირად ივანიშვილის რჩევით, ან მასთან შეთანხმებით ნიშნავდაო. რაც შეეხება მღებრიშვილის ახლად დანიშნულ მესამე მოადგილეს, ბესიკ ამირანაშვილი ის ბოლო დროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი იყო და მანამდე კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსად ღარიბაშვილმა დააწინაურა.

როგორც უკვე გითხარით, 16 იანვარს რეგიონული სამმართველოების უფროსებმა განცხადებები დაწერეს: მცხეთა-მთიანეთი – ივანე ზურაბიშვილი, შიდა ქართლი – იაგო საური, ქვემო ქართლი – ლევან კვიციანი, კახეთი – გიორგი ბუბუნაური, სამცხე-ჯავახეთი – თეიმურაზ კალანდაძე, იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი – თეიმურაზ კალანდაძე, გურია – კობა ცერცვაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთი – გურამ ზესაშვილი.

ინკოგნიტო წყაროს მტკიცებით, აქ ხდება ერთგვარი შეჯერება და ირაკლი ღარიბაშვილის კადრების დაწინაურებაც კი:

„შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ სულ ირაკლის კადრებია... მაგალითად, ამირანაშვილი კახეთის სამხარეოს უფროსი იყო, ირაკლის დანიშნული. ვარდიაშვილი გიორგი მღებრიშვილის კადრია. უკვე გადაწყდა, რომ თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსად ლევან კვიციანი ინიშნება, ეს ამბავი ჯერ არსად არ გახმაურებულა – ეგ ჭიკაიძის კადრი იყო, მან დააწინაურა. პირიქით, ასე ღარიბაშვილის ხალხი არასოდეს გაძლიერებულა. როგორც კი გიორგი მღებრიშვილი სამინისტროში მივიდა, მაშინვე უნდა გაეტარებინა ცვლილებები, მაგრამ მერე თქვა, ცოტა ხანს მოვიცდი, დავაკვირდებიო. ჩემი აზრით, მაგარ ცვლილებებს აკეთებს. თბილისის პოლიციის უფროსი, შალვა ბედოიძე უკვე წავიდა. ჩვენში დარჩეს და მაგისი მოხსნა ყველას გაუხარდა, საიდან მოვიდა და ვინ იყო, კაცმა არ იცის. აი, ეგ არ იყო ირაკლის კადრი, ფარცხალაძის კაცად მოიაზრებოდა“.

რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების უფროსებს შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი მღებრიშვილი 15 იანვარს შეხვდა. 14 იანვარს კი, ახალი მოადგილეების წარდგენისას განაცხადა, რომ მალე დაიწყებოდა ძირეული ცვლილებების ახალი ეტაპი:

**„მე დარწმუნებული ვარ და ღრმად მჯერა, რომ ჩვენ ყოველთვის გვექნება საზოგადოების მხარდაჭერა და ჩვენ ვიქნებით წარმატებულები კრიმინალთან ბრძოლაში“.**

მღებრიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებები სხვა მიმართულებითაც არის მოსალოდნელი, მაგრამ საპატრულო პოლიციის მხრივ ჯერ არაფერი იგეგმება. სხვათა შორის, რეგიონული „პოლიცმაისტერების“ გადაყენებიდან რამდენიმე საათში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გურიის პოლიციის უფროსად მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნულ ბესიკ ამირანაშვილის თანაკურსელი, გურიის ვიცე-გუბერნატორის, ქეთი მოისწრაფიშვილის მეუღლე, ბესო ბოლქვაძე ინიშნება. პრინციპში, რომ არა თანაკურსელობა, ესენი ისედაც „ნათესავები“ გამოდიან – ორივე ბესიკია.

**აბა, როგორ გინდათ, ხალხო, ვისაც დააწინაურებენ, იმან თავისი კურსელ-კლასელები და დეიდაშვილ-მამიდაშვილები უნდა დანიშნოს, აბა, თქვენს ახლობლებს ხომ არ დანიშნავს?**

როგორც უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე ამბობს „ქრონიკასთან“ საუბარში, ბესიკ ამირანაშვილს აჭარაში არც არაფერი დაუშავებია, არც არაფერი გაუკეთებია, იქაურებს თავი მხოლოდ იმით დაამახსოვრა, რომ როდესაც თანამდებობაზე დანიშნეს, თბილისიდან 14 კაცი ჩაიყვანა და ყველა რაიონში ისინი გაამწესა „პოლიცმაისტერებად“.

**ამ ქვეყანაში წესია ეგეთი, ადათია, თუ მაღალჩინოსნები ასე არ მოიქცევიან, ახლობლობაში სახელი გაუფუჭდებათ, ცოტა ხანში თანამდებობებზე აღარ იქნებიან და მერე ყველა წამოაძახებს: ჰააა... შენ ის არ ხარ, მაღალ თანამდებობაზე რომ წამოგსვეს და ყველა დაივიწყეო?! ჰოდა, არ გამოდის სხვანაირად. ჩვენ კიდევ ვსხედვართ და მერე თვეების განმავლობაში ვმარჩიელობთ, ვინ ვისი კადრია, ვინ რას წარმოადგენს, ვინ საიდან მოხვდა თანამდებობაზე და ვის რა ინტერესები აქვსო? გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ესენი არიან ერთნი, ანუ მეგობრები და კურსელები, ნათესავები და ოჯახის წევრები, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, 2012 წლამდე ვინ სად იყო, მიშას ემსახურებოდა თუ გრიშას, ყველა მათგანის ბიოგრაფია ძალოვან უწყებებში იწყება 2003-2005 წლებიდან და არც იმ პერიოდში გრძნობდნენ თავს ცუდად. ჰოდა, ჩვენი მოსახლეობა, ანუ თქვენ იმისთვის იბრძოდით და იმისთვის გირტყამდნენ მიტინგებზე „დუბინკებს“, რომ ისევ ესენი ყოფილიყვნენ კარგად.**

აბა, როგორ, ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი მოსულა?! მაგალითად, ავიღოთ შალვა ბედოიძის ბიოგრაფია, რომლის გადადგომაც ჯერ არ არის გახმაურებული: 2006-2007 წლებში იყო გლდანი-ნაძალადევის კრიმინალური პოლიციის გამომძიებელი, შემდეგ უფროსი გამომძიებელი. 2008 წელს გადაიყვანეს ფინანსთა სამინისტროში, 2012 წელს – ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად. 2013 წელს უცებ გახდა ახმეტის რაიონული სამმართველოს უფროსი, იმავე წელს ძველი თბილისის სამმართველოს უფროსი, იმავე წელს – თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, იმავე წელს – უფროსი. ხედავთ, რა თავბრუდამხვევი კარიერაა? 2013 წელს საქართველოში „ავრორა“ მარტო ამ ადამიანისთვის ისროდა. მერე იტყვიან, საიდან მოვიდა, ვისი კაცია, ვინ დააწინაურა, არავინ იცისო. ზესტაფონის უბნის ინსპექტორი უცებ თბილისის მთავარი პოლიციელი გახდა, მეტი რაღა გინდათ?!

ახლა ვნახოთ, რა ბიოგრაფია აქვს ბედოიძის მომავალ შემცვლელს? 1999 წელს დაამთავრა პოლიციის აკადემია. 2001 წელს მთაწმინდა-კრწანისის პოლიციაში იყო სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკური ქვეგანყოფილების ინსპექტორი. შემდეგ ამავე რაიონის კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი. ავტოტრანსპორტის საშუალების გატაცების ქვეგანყოფილების ინსპექტორი. 2003 წლიდან ისანი-სამგორის პირველი განყოფილების ინსპექტორი. შემდეგ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი ინსპექტორი. 2006 წლიდან – ისანი-სამგორის კრიმინალური პოლიციის უფროსი გამომძიებელი. 2007 წლიდან – შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს გამოძალვის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილე, სამძებრო სამმართველოს გამოძალვის განყოფილების უფროსის მოადგილე. 2008 წლიდან გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მე-8 განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდეგ დეტექტივების განყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსის მოადგილე. ისანი-სამგორის სამმართველოს უფროსი. ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი. 2013 წლიდან – ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსის მოადგილე და აქედან გაამწესეს ქვემო ქართლში.

**როდესაც ამ ბიოგრაფიებს ვკითხულობთ და ვსწავლობთ, ჩვენ ვერანაირად ვერ ვიტყვით, რომ დღევანდელი ხელისუფლება ან კადრების გადახალისებას ცდილობს, ან კიდევ ახალ კადრებს ეძებს სანთლით — ყველა ერთ „კრუგზე“ ტრიალებს, ზოგი ადრე იყო მაღალ თანამდებობაზე, მერე რეგიონში გაუშვეს და ახლა ისევ დააბრუნეს, ზოგს ისეთი მფარველი გამოუჩნდა, ძვრა ვერ უყვეს, ზოგიც ცოტა დაბალ თანამდებობაზე იყო და ახლა აწინაურებენ. საბოლოო ჯამში, ყველას გავლილი აქვს მიშას „სკოლა“, რომელიც ნამდვილად იყო მონათმფლობელური. ჰოდა, ყოფილი მონების აშენებული დემოკრატია და დამყარებული წესრიგი არ გაიშვა არსად.**

# პროკურორ ქირიას საზარელი მკვლელობისა და ბიძინა კუჭავას საეჭვო წარსულის სკანდალური ფაქტები!

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი ვახტანგ ქირია ხუთი დღე ჰყავდათ გატაცებული... ამ ხნის განმავლობაში მას ოჯახი ეძებდა, ბოლოს საქმეში პოლიცია ჩაერთო და მოკლული პროკურორის ცხედარი 16 იანვარს ვაჟა-ფშაველას გამზირზე მე-7 კვარტალში 24-ე კორპუსის ერთ-ერთ დაკეტილ საცხოვრებელ ბინაში აღმოაჩინეს. დადგინდა, რომ ბინა, რომელშიც ვახტანგ ქირიას ცხედარი აღმოჩნდა, ნაქირავები ჰქონდა 1962 წელს დაბადებულ, რადიო „თავისუფალი ხმის“ დირექტორს, „საქართველოს ხმის“ დამფუძნებელ ბიძინა კუჭავას... გავრცელებული ინფორმაციით, მოკლული და მკვლელი ნათესავები იყვნენ და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. თავიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ქირიას მკვლელობა მის სამსახურებრივ საქმიანობას ეხებოდა. კერძოდ, ის აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებსა და კასრებში ჩამარხული სკანდალური ვიდეოფირების წარმომავლობას იძიებდა... მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით კი, ეს მკვლელობა გაურკვეველი რაოდენობის ფულს, კონკრეტულად კი იმ ვალს ეხებოდა, რომელიც ბიძინა კუჭავას პროკურორ ქირიასთვის მართებდა.

ვახტანგ ქირია 10 წელი სისტემიდან იყო წასული, სულ ორი წელია დაინიშნა ზემო სვანეთის პროკურორად, მას პროფესიონალად ახასიათებენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ, სხვებისგან განსხვავებით, წინა ხელისუფლების რეჟიმის წლებში ადეიშვილის პროკურატურას არ გაჰკარებია. მოკლული პროკურორი, როგორც გითხარით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულებს იძიებდა და სარწმუნო წყაროდან შევიტყვე, სააკაშვილის, ახალაიებისა და მეგის ქარდავას მიერ შეკვეთილი მკვლელობები არაერთი გაუხსნია. კერძოდ, შამგონაში, ხურჩაში მომხდარი ტერაქტი, რომელიც 2008 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის არჩევნების წინ დაიგეგმა, მეგის ქარდავას დავალებით შესრულდა. ააფეთქეს ავტობუსი და სრულიად უდანაშაულო ხალხს დააბრალეს, სადაც აშკარად ჩანდა „ნაციონალების“ კვალი. ამბობენ, რომ პროკურორმა ქირიამ ბოლო წლებში აღკვეთა ოკუპირებულ ტერიტორიაზე კრიმინალთა თარეში, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში თავისუფლად ბოგინობდნენ, გადმოდიოდნენ საზღვარზე და დივერსიას აწყობდნენ. ეს ინფორმაცია ზუგდიდიდან სარწმუნო წყაროს მეშვეობით მოვიპოვე.

ახლა კი შემზარავ მკვლელობას დავუბრუნდები, რომელიც, პრაქტიკულად, უკვე გახსნა პოლიციამ და მკვლელობის ოფიციალური სურათიც დადო: გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 13 იანვარს, დაახლოებით 16:15 საათზე, ვახტანგ ქირია სახლიდან გავიდა და მისი ადგილსამყოფელი რამდენიმე დღის განმავლობაში ოჯახის წევრებისთვის უცნობი იყო. გამორთული იყო მისი მობილური ტელეფონი, ვერ ხერხდებოდა მასთან დაკავშირებაც.

გატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ამოღებული იქნა კვალის ასარევად ქალაქ რუსთავში გადაგდებული ვახტანგ ქირიას კუთვნილი მობილური ტელეფონი. დაადგინეს ქირიას ავტომანქანის ბოლო გადაადგილების მარშრუტი, რომელიც მოძრაობდა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-7 კვარტალის მიმდებარე ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ პოლიცია მიმდებარე ტერიტორიას ამოწმებდა და მაცხოვრებლებს ჰკითხავდა. როგორც ჩანს, მკვლელმა საფრთხე იგრძნო, მოკლული ქირია მიატოვა და ბინიდან წავიდა... არადა, გამოძიების მასალებით, ქირიას, რომელიც თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით იყო მოკლული, სხვა ძალადობის კვალიც ეტყობოდა... მკვლელი ცხედრის დანაწევრებასა და კვალის დაფარვას ცდილობდა. „შემთხვევის ადგილს ემჩნეოდა დანაშაულის დაფარვის მცდელობის კვალი. კერძოდ: სისხლის კვალის მოსასპობად აბაზანაში დამაგრებული იყო მასის ასაწევად საჭირო ე.წ. ტალი და ვახტანგ ქირიას სხეულს ემჩნეოდა მისი დანაწევრების საწყისი ეტაპისთვის დამახასიათებელი კვალი. იქვე იყო ე.წ. „ბალგარკა“, რომელსაც ასევე ემჩნეოდა, სავარაუდოდ, ადამიანის სისხლის კვალი და მოცულობით დიდი საგნების გადასატანად საჭირო გორგოლაჭებიანი ჩანთა... ბინა, რომელშიც ვახტანგ ქირიას ცხედარი აღმოჩნდა, ნაქირავები ჰქონდა 1962 წელს დაბადებულ ბიძინა კუჭავას და იქ არსებული დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთებიც მის მიერვე იყო შეძენილი ე.წ. ელიავას ბაზრობაზე რამდენიმე დღით ადრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიებას შეექმნა მაღალი ალბათობა იმისა, რომ დანაშაული ჩადენილი იყო ბიძინა კუჭავას მიერ“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში... როგორც გითხარით, სავარაუდოდ, ბიძინა კუჭავა კორპუსთან პოლიციის დანახვამ შეაშინა და გადაწყვიტა, მიმალულიყო. საკუთარ მანქანაში „მერსედეს ემელში“ მეგობარი და მისი მეუღლე ჩაისვა და საბურთალოდან ორთაჭალის მიმართულებით წავიდა. პატრულმა ის იუსტიციის სახლთან გააჩერა. ბიძინა კუჭავამ იარაღი ამოიღო და თავი მოიკლა.

„ბიძინა კუჭავას ტანისამოსის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა, სავარაუდოდ, ადამიანის სისხლით დასვრილი ვახტანგ ქირიას კუთვნილი ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, ხელთათმანები, 3 ცალი მობილური ტელეფონი და სხვა...“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში...

პარალელურად ინტერნეტში საინტერესო ფაქტები ვრცელდება. ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა „ფეისბუკზე“ წერს: „მე ვიცნობდი ბიძინა კუჭავას, ის არ იყო ჩვეულებრივი მარტივი პიროვნება. მისი საქმიანობა, გარდა „საქართველოს ხმისა“, უკავშირდება კაზინოს. ის ცნობილი „იგროკი“ იყო, 2007 წელს მცხეთის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში იპოვეს, ასევე „იგროკის“, გოჩა მალალდაძის გვამი... მკვლელობის ვერსიები მიდიოდა ბიძინა კუჭავასთან, რომელსაც წაგებული 50 ათასი დოლარის გადახდა არ სურდა მოკლულისთვის, თუმცა მაშინ ვერ დაუმტკიცდა ეს მკვლელობა. ასევე, დადიოდა ჭორები, რომ უშიშროების გენერლის თამაზ ნინუას მკვლელობაც თითქოს ბიძინა კუჭავას უკავშირდებოდა, თუმცა იქ მკვლელობაში თამაზ გოგია იქნა ეჭვმიტანილი, რომელიც დღემდე არ აღიარებს მეგობრის მკვლელობას! და აი, დღეს ბიძინა კუჭავა კლავს ნათესავ პროკურორს, აქაც, სავარაუდოდ, ვალი ფიქსირდება, გარბის ქალაქიდან. იგრძნო თუ არა, რომ მის კვალს პოლიცია მისდევდა, მანქანაში ახლობელი ცოლ-ქმრის თვალწინ იღებს იარაღს და იკლავს თავს! სამწუხარო ისაა, რომ ბიძინა კუჭავას განეიტრალება არ მოხდა 2007 წელს“...

სხვათა შორის, ბიძინა კუჭავას ვალებს უკავშირებენ წლების წინათ მისი დის უცნაურ გაუჩინარებასაც. როგორც „კურიერთან“ ჯავახიშვილის ქუჩის მაცხოვრებლები, ბიძინა კუჭავას დის მეზობლები ამბობენ, ბინა ბიძინამ რაღაც მაქინაციებიც გაყიდა, მერე მისი და უცნაურად გაუჩინარდა... ბინის ახალი მფლობელებიც დაობდნენ, რადგან ფული გადაიხადეს და საცხოვრებელი მათზე არ იყო გაფორმებულიო...

არის თუ არა ეს გახმაურებული მკვლელობები მართლაც კავშირში, წესით, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ ცოლ-ქმარი ნინუების მკვლელობისა და გოჩა მალალდაძის საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყოს.



„დადიოდა ჭორები, რომ უშიშროების გენერლის თამაზ ნინუას მკვლელობაც თითქოს ბიძინა კუჭავას უკავშირდებოდა“



ამბობენ, რომ ბიძინა კუჭავას სახელს უკავშირდება მისი დის უცნაური გაუჩინარება





„ბიძინა კუჭავა ცნობილი „იგროკი“ იყო, 2007 წელს მცხეთის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში იპოვეს, ასევე „იგროკის“, გოჩა მალალდაძის გვამი... მკვლელობის ვერსიები მიდიოდა ბიძინა კუჭავასთან, რომელსაც წაგებული 50 ათასი დოლარის გადახდა არ სურდა მოკლულისთვის“

# გიგი უგულავასა და ლელა კილაძის დაშორების სკანდალური დეტალები

**„ლელა კილაძე ამჟამად ლონდონში იმყოფება სამკურნალოდ, რათა ნარკოტიკებზე აღარ იყოს დამოკიდებული. მკურნალობის ხარჯებს კეზერაშვილი იხდის, დღეში 300 ევროს“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61









თბილისის ყოფილმა მერმა, გიგი უგულავამ მატროსოვის ციხიდან „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერილი გამოაქვეყნა:

„მე არ მჩვევია და არც მიყვარს პირად ცხოვრებაზე საჯაროდ საუბარი. ამჯერად გამონაკლისს დავუშვებ, იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ბულვარული და ყვითელი მითქმა-მოთქმა. მოკლედ, მე და ლელამ 6-წლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ, გაშორება გადავწყვიტეთ. ეს გადაწყვეტილება დიდი ხანი მწიფდებოდა და ურთიერთშეთანხმებით მივიღეთ. ასე რომ, ნურც მე და ნურც მას ნუ დაგვძრახავთ, ჩვენო საერთო მეგობრებო! ჩვენ, ჩვენი ბავშვების გარდა, საერთო შვილი ალექსანდრე გვყავს, რომელზე ზრუნვაც გაგვაერთიანებს“.

რაღა დაგიმალოთ, მეგობრებო, არც მე მჩვევია და არც მიყვარს სხვის პირად ცხოვრებაში ქექვა, მაგრამ თუ ეს სხვა ის ადამიანია, რომელმაც დედა უტირა ჩემს ქვეყანას და 10 წლის განმავლობაში ჩემი ფულით, ანუ ბიუჯეტის ხარჯზე „იბაირამა“ და ისიც კარგად „აბაირამა“, ვისაც ახლა დაშორდა, უნდა დავწერო... აქვე გეტყვით, რომ ქვემოთ რასაც წაიკითხავთ, უმეტესი ნაწილი სანდო წყარომ გვიამბო. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ და მეტიც, ამ ინფორმაციების გადამოწმებას „ნაცებთანაც“ შევეცადეთ... რადგანაც ეს თემა საზოგადოების მაღალი ინტერესის სფეროშია, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ ინფორმაციების გამოქვეყნება, მით უფრო, რომ ამ წყაროს მიერ მოწოდებული უამრავი ინფორმაცია ასრულებულა. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, ქვემოთ მოყვანილმა პირებმა სასამართლოებში რომ არ ირბინონ, ჩვენ, ანუ გაზეთი „კვირის ქრონიკა“, ამ ინფორმაციის უტყუარობას არ ვამტკიცებთ!

მოკლედ, გიგი ცოლს გაშორდა, აქ გასაკვირი არაფერია, ცხოვრებამ ლოგიკურად დასვა წერტილი, მაგრამ საინტერესო აქ სხვა დეტალებია. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში გავრცელდა ინფორმაცია ამ წყვილის გაშორებაზე, მაგრამ ქალბატონმა კილაძემ მაშინ ქოში უკუღმა ყარა:

„მსურს გამოვეხმაურო ჭორს იმასთან დაკავშირებით, თითქოს მეუღლეს გავშორდი და გუკა რჩეულიშვილზე ვიქორწინე. ეს არის ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ტყუილი. მესმის, რომ გიგი უგულავას სტატუსიდან გამომდინარე, ჩვენი ოჯახი საჯარო ყურადღების ცენტრშია და მსგავსი ჭორების მიმართ თმენის ვალდებულება გვაკისრია, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მე და გიგი უგულავას გვყავს 5 მცირეწლოვანი შვილი და ამ ტიპის კამპანია, პირველ რიგში მათ აყენებს ტრავმას. წინასწარ გიხდით დიდ მადლობას“.

გასაგებია, ბავშვებს არც არავინ უნდა შეეხოს, არც შენსას, არც სხვისას. აი, ახლა კი კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეს იყო იძულებითი გადაწყვეტილება. მას შემდეგ, რაც გიგი უგულავა დააპატიმრეს, ლელა კილაძეზე არცთუ კარგი ხმები დადიოდა... მოკლედ, ღალატობსო, ნარკოტიკებს ეძალებაო, ზომაზე მეტს სვამსო და ასე შემდეგ. სანამ უგულავა ამ წერილს დაწერდა, როგორც წყარო ამბობს, რამდენიმე მამალი „ნაციონალი“ ყოფილა მასთან შესული, გოკა გაბაშვილის მეთაურობით. სწორედ მათ უთქვამთ, ეგ ქალი ისე იქცევა, შენს იმიჯს ლახავს, ნამდვილად აღარ შეგეფერება, საერთოდ გაიბანძა თავი და ოფიციალურად უნდა გაშორდეო. როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს, გიგიმ ისედაც დაახლოებით იცოდა ეს ამბები და როცა ის ერთი დღით გამოუშვეს ციხიდან, მაშინ ფაქტობრივად დამთავრებული იყო დიდი სიყვარულის ამბავი:

„ლელა კილაძე ამჟამად ლონდონში იმყოფება სამკურნალოდ, რათა ნარკოტიკებზე აღარ იყოს დამოკიდებული. მკურნალობის ხარჯებს კეზერაშვილი იხდის, დღეში 300 ევროს. ძებნილ მილიონერს ისიც კი უთქვამს, უკვე შემჭამეთ თქვენი პრობლემებით, ეს ბოლო იქნებაო. გიგიმ სწორედ „ნაციონალების“ რჩევით გააკეთა ეს განცხადება. თუმცა, ლელა გაჭირვებაში არ მიატოვა და „ნაცებს“ ლონდონამდე ჩააცილებინა, ადგილზე ჩაიყვანეს. ახლა არ ვიცი, იქ კეზერაშვილის გარდა კიდევ ვინ პატრონობს. ყოველ შემთხვევაში, კლინიკიდან მაქვს ინფორმაცია, ექიმებს უთქვამთ, ძალიან მძიმე მდგომარეობაშიაო“.

ჯერ კიდეც 2013 წელს ჭორის სახით გავრცელდა, ლელა კილაძე გუკა რჩეულიშვილთან ერთად ამერიკაში გაიქცაო. მაშინ მას გიგა ბოკერიას ცოლი, თამარ ჩერგოლეიშვილი გამოესარჩლა:

„როგორც ამ ოჯახის მეგობარმა, შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით და თავდადებით განვაცხადო, რომ ლელა კილაძე კვლავინდებურად გიგი უგულავას ცოლია და არასოდეს გუკა რჩეულიშვილზე დაქორწინება არ უფიქრია. 99%-იანი ვარაუდით შემიძლია ვთქვა, რომ არც გუკა რჩეულიშვილს უფიქრია, ლელა კილაძეზე ექორწინა“.

თავად გუკა რჩეულიშვილმა ამაზე მხოლოდ ასეთი რამ დაწერა: „ჩერგო, ასეთ ყ...ზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო, ლადაობ“? გუკას მამა, ვახტანგ რჩეულიშვილი კი ერთ-ერთი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ასეთ რამეს ამბობს:

„ლელა არის ჩემი ძმაკაცის, შალვა კილაძის შვილი. სვანეთისუბნელია შალვა და ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. მიუხედავად იმისა, რომ ლელას ქმარმა დააქცია ჩვენი ოჯახი მერობის დროს, ამ გოგოსთან კარგი ურთიერთობა მაქვს და დღემდე მიყვარს. გიგი უცნაური ბიჭია, ფეხებზე ჰკიდია ოჯახიც და სხვა დანარჩენიც, დაანგრია ყველაფერი“.

აჰა, თუ ეს ყველაფერი მართალია, გამოდის, რომ ასე აუღო „აბაროტი“ ვახტანგ რჩეულიშვილმა გიგი უგულავას. არადა, რჩეულიშვილების სამშენებლო ბიზნესი სწორედ „ნაციონალების“ ზეობის ხანაში ყვაოდა. ახლა კილაძე-უგულავას ნანუკა ჟორჟოლიანი ესარჩლება და საზოგადოებას აქეთ მოძღვრავს, სხვის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა არ გახლავთ კარგი საქციელიო:

„მე მესმის, რომ სხვისი პირადი ყოველთვის საინტერესოა. განსაკუთრებით საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების, მაგრამ ცხვირის ჩაყოფის უფლება სხვის ცხოვრებაში გვაქვს იქამდე, სადამდეც ეს თავად სურს ადამიანს. მანამ სანამ აოხრებთ სხვის ცხოვრებას, ენებს მოიფხანთ, გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი მათგანი ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანია, როგორც თქვენ. ჩვეულებრივი ემოციებით, ტკივილებით, პრობლემებით. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ის რაღაც, რაზეც არ გვინდა, სხვებმა იჭორაონ, გათელონ, შეალამაზონ, გააზვიადონ. ბუმერანგია ეს ცხოვრება და პირდაპირ ცხვირში მოგხვდებათ, რასაც დათესავთ“!

აი, ზუსტად ჩვენი სათქმელი თქვა ნანუკა ჟორჟოლიანმა: ბუმერანგია ეს ცხოვრება და პირდაპირ ცხვირში მოგხვდებათ, რასაც დათესავთო. ეგრეა, მაშ, თავად ხომ უკვე იმას იმკიან, რაც დათესეს? ეჰ, ქალბატონო ნანუკა, განა სხვას არ ჰქონდა პირადი ცხოვრება, განა სხვას არ ჰყავდა შვილები, როცა ერთ ადგილას ხან ბოთლს უკეთებდნენ, ხან ცოცხს და თან ვიდეოს უღებდნენ? განა „ნაციონალ-ფიქჩერსმა“ არ გადაიღო 27 ათასი ფირი, სადაც ამაზრზენი რაღაცები იყო დაფიქსირებული? ამას ხომ არ ვიგონებთ, ეს ხომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა თავისი თვალით ნახა? საერთოდ, ნათქვამია, წაქცეულს აღარ ურტყამენო და აღარც ჩვენ ვურტყამთ, პირიქით, ზოგიერთი გვეცოდება კიდეც, მაგრამ, როცა გვახსენდება, რა გაუკეთეს ქართველ ხალხს, იმის ნება მაინც მოგვეცით, ვთქვათ. გმადლობთ!!!

ჩვენ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად „ნაციონალების“ ლიდერებსაც მივმართეთ, მაგრამ ამაზე ყველა დუმილს ამჯობინებს. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს, ირმა ნადირაშვილს წერილიც გავუგზავნეთ, თუმცა ისიც „ბოიკოტს“ გვიცხადებს და არამხოლოდ ახლა, უკვე კარგახანია. ჩვენ პროფესიული ვალი პირნათლად მოვიხადეთ, რათა მერე არ დაიწყონ, ინფორმაცია ჩვენთან რატომ არ გადაამოწმეთო. ვცადეთ, მაგრამ ეგენი დუმილის უფლებას იყენებენ, რომელიც ხშირად დასტურის ნიშანია.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# „არ მესმის, რატომ უნდა ვთქვათ უარი, როცა 200 დოლარის ფარგლებში შეგვიძლია, რუსეთიდან შემოვიტანოთ გაზი მაშინ, როცა ამ გაზს აზერბაიჯანიდან 260 დოლარად ვყიდულობთ?!“

**მსოფლიო ვარსკვლავს ლედი გაგას ქართველი კონკურენტი გამოუჩნდა — ლედი ქეთათო, რომელმაც „ნაციონალების“ მიერ მოწყობილ აქციაზე „არა გაზპრომს“ წითელ საცვლებში იმღერა. „ნაციონალური მოძრაობის“ რეაქტიული ფსიქოზი ასტრალში გაიჭრა, საზოგადოების ეს ნაწილი უკვე დედამიწის საკუთრება აღარაა და სადღაც კოსმოსიდან გვესაუბრება. „ნაციონალური მოძრაობის“ სექტა გიჟების თავშესაფარს დაემსგავსა. საქმე ისაა, რომ მათ კიდევ ერთხელ ჩაისვარეს და მათ მიერ ორგანიზებულ აქციას 500 კაციც არ შეუერთდა. შესაბამისად, ეს მიანიშნებს იმას, რომ „ნაცმოძრაობა“ მათი მხარდამჭერისთვისაც აღარ არის მოდური ტრენდი და პოლიტიკურ მოუსავლეთში დიდი სისწრაფით მიექანება. არადა, ყველას კარგად გვახსოვს, რომ სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ სურდა, 300 მილიონ დოლარად მიეყიდა „გაზპრომისთვის“ მილი, ამის ინიციატორი გახლდათ კახა ბენდუქიძე, რომელიც აცხადებდა, — რა პრობლემაა, თუკი რუსეთიდან შემოსულ გაზის მილში გადაგვიხდიან ფულს და შემდგომ, რუსები თავად მოუვლიან ამ მილს. არ მესმის, რას ცვლის ეს ჩვენს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში, — ეს განცხადება ბენდუქიძემ 2005 წლის 22 თებერვალს გააკეთა, როცა იგი ეკონომიკური რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იყო. საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იტალიურ გამოცემასთან საუბარში ადასტურებდა, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზებასთან დაკავშირებით, თუმცა დეტალებს არ ასაჯაროებდა. ამ ფონზე ამნეზირებული „ნაციონალური მოძრაობა“ უკიდურესად სასაცილოდ მოჩანს, თუმცა „ნაციონალური მოძრაობიდან“ პროტესტანტებს მიმდევრები გამოუჩნდნენ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, „რესპუბლიკელი“ თამარ კორძაია და „ფორუმი“ „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებას ეჭვქვეშ აყენებს. რამდენად შესაძლებელია, ეს საკითხი წყალგამყოფი აღმოჩნდეს კოალიციის სუბიექტებს შორის, რა ხდება ამ და სხვა მიმდინარე საკითხებზე? „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია „კვირის ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს, რომელიც ამ კვირაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა „გაზპრომის“ ლობირებაში.**

**— ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის მიმართ ყოველთვის კრიტიკით გამოირჩეოდით, დღეს როგორ აფასებთ მის მოლაპარაკებას „გაზპრომთან“ და ეს თემა გახდება თუ არა კოალიციაში განხეთქილების ვაშლი?**

– კოალიციის შიგნით არის ინტრიგა, რაც გამწვავდა არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ხელახლა დაიწყო ძალაუფლების გადანაწილების, სიების შევსების პროცესი. შესაბამისად, ასეთი ეკლექტური კოალიციისთვის დამახასიათებელია დაპირისპირება, რომლებიც სრულიად დიამეტრალურად განსხვავებული პოლიტიკის მატარებლები არიან. ერთადერთი, რაც მათ აინტერესებთ, ეს არის ბიძინა ივანიშვილის რესურსი, რომელსაც შეუძლია, შეუნარჩუნოს მათ ხელისუფლებაში ყოფნა და პრივილეგიები. ინფორმაციები კოალიციაში მათი დაპირისპირების შესახებ უამრავი მესმის, მაგრამ ეს მათი პრობლემაა და არ მაქვს სურვილი, თქვენი პოპულარული გაზეთის ფურცლები ამ საკითხზე მსჯელობით დავხარჯო. რაც შეეხება კახი კალაძის საქციელს „გაზპრომთან“ დაკავშირებით, დადებითად ვაფასებ. თქვენ იცით, რომ კალაძის მიმართ ნდობა არ მაქვს და ნეგატიურად ვაფასებ, მაგრამ „გაზპრომთან“ დარეგულირების საკითხი არის სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი და ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში სწორად იქცევა. თუმცა არ გამოვრიცხავ, კალაძე თავის პირად ინტერესებზე ზრუნავდეს და რაღაც-რაღაცებზე ხელის გამოკვრაც სურდეს. მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფო დენთის კასრზე ზის იმიტომ, რომ მას ჰყავს მხოლოდ ერთი მომწოდებელი, ეს არის „სოკარი“ და არ შეიძლება მხოლოდ ერთ კომპანიაზე ვიყოთ დამოკიდებული, აუცილებელია ქვეყანაში გაჩნდეს კონკურენტუნარიანი გარემო, რომ მოხდეს ფასებისა და ხარისხის კონკურენცია, მომავალ ზამთარს ტექნიკურად შესაძლებელია, ირანიდანაც შემოვიტანოთ გაზი და როცა ქვეყანაში იქნება ალტერნატიული მომწოდებელი, იქნება სალი კონკურენცია და ამით ჩვენი მოსახლეობაც ისარგებლებს. „გაზპრომი“ რომ იყოს დღეს საქართველოში მონოპოლისტი მომწოდებელი, ასეთივე განცხადებას გავაკეთებდი მის მიმართ.

**— თუმცა, ჩვენ გვახსოვს გაზის მილის აფეთქება რუსების მხრიდან 2006 წელს, მას შემდეგ, რაც ჩაიშალა „გაზპრომთან“ მოლაპარაკება მილის გაყიდვასთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, იყო სასტიკი გაფრთხილება, რომ არ მიეყიდათ მილი ქართველებს რუსებისთვის, რადგან „გაზპრომი“ მხოლოდ ეკონომიკური საკითხი არ არის, შესაძლოა, რუსებმა პოლიტიკური ზეწოლისთვისაც გამოიყენონ.**

– ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ააფეთქა გაზის მილი, რომლის რეაბილიტაციაც ერთ კვირაში მოხდა. თქვენ რა, ეჭვობთ, რომ „გაზპრომს“ შემოჰყვება ტანკები და ბომბები? ეს ხომ სასაცილოა. მე იმას ვამბობ, რომ შევქმნათ კონკურენტუნარიანი გარემო და არ ვიყოთ ერთ მომწოდებელზე დამოკიდებული, მით უფრო, რატომ უნდა ვთქვათ უარი, როცა 200 დოლარის ფარგლებში შეგვიძლია, რუსეთიდან შემოვიტანოთ გაზი მაშინ, როცა ამ გაზს აზერბაიჯანიდან 260 დოლარად ვყიდულობთ. აქვე ერთმნიშვნელოვნად მინდა გითხრათ, რომ არამც და არამც არ უნდა იყოს გაგებული, რომ „სოკარი“ არის ცუდი და უნდა განვდევნოთ. პირიქით, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ „სოკარი“, მაგრამ პარალელურად შემოვიყვანოთ მისი კონკურენტები...

**— რას უნდა მიანიშნებდეს შს სამინისტროში დაწყებული საკადრო წმენდა?**

– ამას წმენდას ვერ ვუწოდებ, ეს არის გადადგომები, ყველა ცდილობს, თავისი გუნდი მოიყვანოს, „ქართული ოცნების“ მიმართ ოპტიმისტური განწყობა აღარ მაქვს, ისინი ვერაფერს შეცვლიან, რადგან ამის სურვილიც აღარ აქვთ. დაუჟინიათ, ყველაფერი კარგად არისო, ეს მათთვის არის კარგად, გაიარონ და ხალხს ჰკითხონ, როგორ არიან, ამიტომ ამათგან კარგს რას უნდა ელოდო. შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი არ იცვლება, შესაძლოა შს მინისტრიც მოხსნან, მაგრამ გეკითხებით, ამით რა შეიცვლება?!. აქვე გეტყვით, რომ გიორგი მღებრიშვილის მიმართ არ ვარ უარყოფითად განწყობილი, ნორმალური და დალაგებული პიროვნებაა. ასე რომ, პოზიტიური ცვლილება არ იქნება, ამის რესურსი „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა. მთავარია, მოხდეს საზოგადოებისთვის პოლიტიკური ძალების მხრიდან ხელისუფლების ალტერნატივის შეთავაზება და თუ ჩვენ მოვახერხეთ, შევქმენით ალტერნატიული ძალა, მაშინ ხელისუფლება შეიცვლება. თუ ვერ შევთავაზებთ ალტერნატივას და ამომრჩეველს მოვუწოდებთ, მოვიდნენ და ხმა მოგვცენ გათითოკაცებულ პარტიებს, შესაძლოა, 5%-იანი ბარიერი გადავლახოთ, ხალხს გული მოვფხანოთ ჩვენი გასვლებით და საერთო სურათი ვერ შევცვალოთ. ამიტომ ჩვენ უნდა ვუთხრათ საზოგადოებას, მზად ვართ, ვიყოთ ამ ხელისუფლების ალტერნატივა და შევთავაზოთ ცვლილებები. მხოლოდ ამის შემდეგ მოვა საარჩევნო ყუთებთან ამომრჩეველი იმისთვის, რომ არჩევნებით დაამხოს ხელისუფლება, რადგან მას უკვე ცვლილებების რეალური იმედი გაუჩნდება.

**— არასაპარლამენტო ოპოზიციამ რომ ცვლილებები შესთავაზოს ამომრჩეველს და ამ ხელისუფლების ალტერნატივად ჩამოყალიბდეთ, საჭიროა დიდი კოალიციური გაერთიანება, თითქოს დაიწყო საუბრები, რომ ინტერპარტიულ ჯგუფში ამ თემაზე მსჯელობა მიდის. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ დიდ კოალიციურ გაერთიანებას?**

– სასურველია, ჯანსაღმა პოლიტიკურმა პარტიებმა ამომრჩეველი კი არ დაქსაქსოს, არამედ გააერთიანოს და ასევე, ამორფულად განწყობილი ამომრჩეველი სახლებიდან გამოიყვანოს. დიახ, მისთვის საჭიროა პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია. თუ ჩვენ შევძელით, დავძლიოთ პოლიტიკური ამბიციები და ალტერნატიულ ძალად ჩამოვყალიბდით, ამ ხელისუფლებას გამარჯვების შანსი აღარ ექნება, ინტერპარტიული ჯგუფიდან დიდი კოალიციური გაერთიანება არ გამოდნება, რადგან იქ ზოგიერთი ისეთი პარტიაა გაერთიანებული, რომელთანაც გამარჯვების თქმაც უჭირთ. აქ დიამეტრალურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პარტიებია გაერთიანებული და ეს ჯგუფი მხოლოდ ერთჯერადი მიზნითაა შექმნილი, რომ მოხდეს საარჩევნო სიის გაუმჯობესება.

**— 25 იანვარს ინტერპარტიული ჯგუფი ახალ პრემიერს გიორგი კვირიკაშვილს ხვდებით საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების თემაზე. რა გარანტია გაქვთ, რომ შეხვედრას შედეგი ექნება და ეს შეხვედრა შეხვედრისთვის არ იქნება?**

– ირაკლი ღარიბაშვილისგან განსხვავებით, გიორგი კვირიკაშვილი დიალოგზე წამოვიდა, მინდა გითხრათ, რომ ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი, რომ იგი ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მაგრამ უკვე კარგია, რომ პრემიერ-მინისტრი ოპოზიციასთან კონტაქტზე გადის. სწორედ ეს იყო ირაკლი ღარიბაშვილის შეცდომა, რომ ოპოზიციასთან მას არაკონსტრუქციული დამოკიდებულება ჰქონდა. თუმცა მას დადებითი მხარეებიც ჰქონდა. ის იყო შს ერთ-ერთი წარმატებული მინისტრი და არ უნდა დავუკარგოთ რეფორმები, რომელიც შსს-ში განახორციელა. თუმცა შეცდომა იყო დისტანცირება ოპოზიციასთან. ერთადერთი ძალა, რომელსაც „ქართული ოცნება“ მთავარ ოპოზიციად აღიარებს, ეს „ნაციონალური მოძრაობაა“, რადგან მასთან პოლემიკის ფონზე ღირსეულად გამოჩნდეს. „ქართული ოცნება“ იმ შეუხედავი ქალის როლშია, რომელიც ცდილობს, მასზე მახინჯი დალაქი ჰყავდეს, რომ მის ფონზე ლამაზი გამოჩნდეს. ამ საკითხში გარღვევა გიორგი კვირიკაშვილმა მოახდინა, ის დაგვთანხმდა შეხვედრაზე, არ ველი, მასთან შეხვედრისას კონსენსუსს მივაღწევთ, მაგრამ უნდა ვცადოთ. სხვათა შორის, ინტერპარტიულ ჯგუფშიც არის განსხვავებული შეხედულებები, ნაწილი კომპრომისულ ვარიანტზე თანხმდება, ხოლო ნაწილი ამ კომპრომისზე არ მიდის. მოკლედ, ინტერპარტიულ ჯგუფში დუღილის პროცესია. პირადად ჩვენი მოთხოვნაა, გაუქმდეს მაჟორიტარული არჩევნები და პროპორციულზე გადავიდეს. თუ მძაფრი მოტივაცია არ გავაჩინეთ, ხელისუფლება დათმობაზე არ წავა.

**— როგორ უნდა გააჩინოთ, ეს მძაფრი მოტივაცია, რას აპირებთ?**

– ინტერპარტიული ჯგუფი ამ მხრივ ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა იქ შემავალ ყველა პარტიას თავისი გეგმა აქვს. ვთვლი, რომ თუკი არ შევაჯანჯღარებთ ხელისუფლებას, საარჩევნო კანონი არ შეიცვლება, შეჯანჯღარების ტექნოლოგიები კი კარგად ვიცით, ამას სჭირდება ოპოზიციის კონსოლიდაცია, რაც ასევე რთულია. საერთოდ, როცა რაიმე შედეგს ვერ აღწევ, პასუხისმგებლობის წილი ნაწილდება არა მხოლოდ ხელისუფლებაზე, რომელიც კომპრომისზე არ წამოვიდა, არამედ შენზეც, ოპოზიცია რომ გქვია, იმიტომ, რომ კარგად ვერ ითხოვე და პოლიტიკურ ამბიციებს საერთო საქმე გადააყოლე.







# „უახლოეს დღეებში ივანიშვილთან დიდი „რაზბორკა“ მოეწყობა“

## „დასხდებიან და გაარკვევენ, ვინ ვის რას უკეთებს, ვინ ვის უდებს „პადნოჟკას“

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელმა, ლადო სადღობელაშვილმა მორიგი კამპანია წამოიწყო. ის დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, ასე ემოციურად მიმართავს:

**„სინათლე ჩვენს ფანჯრებში!!! სანამ შუქი მოსულა, მანამ ტელეფონიდან ვწერ ამ სტატუსს. მოგმართავ შენ, ხელისუფლების მაღალჩინოსანო, ნუ გგონია, რომ შენი კარგად შენიღბული მზაკვრობები არ ვიცი... შენ, დამკვეთო, კარგად მომისმინე — ნუ გგონია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შენი ბრძოლა წარმატებით დასრულდა და მომავალი შენია, ნურც ის გგონია, რომ თეთრ ცხენზე ხარ და მაგ ცხენიდან ვერავინ ჩამოგაგდებს. ბოლო ორი წელია, ირაკლის პირში უცინოდი და ზურგს უკან სამარეს უთხრიდი, ეს შენს ზნეობაზე მეტყველებს, მაგრამ შენისთანებთან ზნეობაზე საუბარი ზედმეტია. ეხლა კარგად მომისმინე: ყველაფერი ვიცი, ისიც ვიცი, ორი წლის განმავლობაში რა ინფორმაციებს აწვდიდი ირაკლის და სხვა პოლიტიკოსების წინააღმდეგ შენგან დაქირავებულ ვითომ ჟურნალისტებს, ეს არ იკმარე და ბიძინა ივანიშვილზე დაიწყე ცილისმწამებლური ინფორმაციების მიწოდება. ეხლა ჩემი და სხვა პატრიოტების განადგურება დაუკვეთე. მინდა დაგარწმუნო, რომ მე და ახალგაზრდები ნიღაბს ჩამოგხსნით, გაგაშიშვლებთ და ქართველ საზოგადოებას გამოპრანჭული მაჩოს მაგივრად პატარა „ცახესი“ შერჩება ხელში, რომლის არაკაცური და მზაკვრული ქმედებები ყველასთვის ცნობილი გახდება და თვითონ ბიძინა ივანიშვილი მოგთხოვს პასუხს იმაზე, რომ ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში მთელი შენი დიდი ფინანსური რესურსი მიმართული იყო ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პოსტიდან ჩამოშორებაზე და ბიძინა ივანიშვილის უერთგულესი თანამებრძოლების ჩამოშორებაზე. შენ, ეი, „მეგობარო“, ისეთი ვულკანი გააღვიძე, რომელსაც ველარ ჩააქრობ. ეს ჟურნალია — მძაფრსიუჟეტიანი ფილმი მალე დაიწყება“!**

**ახლა ბავშვიც კი მიხვდება, რომ ლადო სადღობელაშვილი ენერგეტიკის მინისტრს, კახი კალაძეს მიმართავს. კი, მაგრამ რა მძაფრსიუჟეტიანი ფილმი დაიწყება, რა დაკვეთასა და რა კულუარულ ბრძოლაზეა საუბარი? რა დოკუმენტი გააჩნია იგივე სადღობელაშვილს, რომ ასე თამამად ლაპარაკობს კალაძე-ღარიბაშვილის თითქოს დაძაბულ ურთიერთობაზე? „ქრონიკა“ „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელს ლადო სადღობელაშვილს დაუკავშირდა:**

**— ლადო, რა დოკუმენტები და მტკიცებულებები გაქვს?**

– მე მაქვს ინფორმაცია და ისიც ვიცი, რომ უახლოეს ხანში გაიმართება დიდი „რაზბორკა“, სადაც ამ თემაზე იქნება ლაპარაკი. ეს გარჩევა იქნება ივანიშვილთან და ალბათ, იქ გაარკვევენ ყველაფერს. მე მაინტერესებს, რატომ დაიწყო ჩემ წინააღმდეგ კამპანია?

ჯერ კიდევ 6 თვის წინ იძახდნენ, ბიძინა ივანიშვილმა „თავისუფალ თაობას“ დაფინანსება შეუწყვიტაო. ჯერ ერთი, საიდან ამტკიცებენ, რომ ივანიშვილი მაფინანსებს და მეორეც – რა იციან, რომ საერთოდ დაფინანსება მაქვს? ახლა ვიღაცები გამოდიან და სახელმწიფო გადატრიალებაში თუ ათასნაირ სიბინძურეში მდებენ ბრალს. მე ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში იოსებ გოგაშვილზეც ვთქვი უარყოფითი და საერთოდ გავემიჯნე სუსსაც და ყველაფერს. ახალგაზრდა ვარ, თბილისში გავიზარდე და ძალიან მეთაკილება, რომ ვიღაცები ხელს მადებენ და გოგაშვილის აგენტს მეძახიან. ამას არავის არ შევარჩენ! უბრალოდ, აქ მთავარი სხვა რაღაცაა – მაინც და მაინც ახლა რატომ დაიწყეს შეტევა? თუმცა ვიცი, რატომაც, მე ბოლო დროს დავიწყე ლაპარაკი იმ ადამიანებზე, რომლებმაც ირაკლი ღარიბაშვილი ჩამოიშორეს. ეტყობა, ათიანში გავარტყი, რაც გასარტყმელი იყო და არ ესიამოვნა ზოგიერთს. ალბათ, ჩვენ მალე ტერორისტებად გამოგვაცხადებენ, თბილისში ფსიქიატრიული რომ დაიხურა, მაგის ბრალია ყველაფერი. მე არ მაინტერესებს შემსრულებლები, ყველაზე საინტერესოა, ამ სიბინძურეს ვინ უკვეთს. ამ დამკვეთის სახე ნელ-ნელა ჩნდება და ამას ბოლო მოეღება. თუნდაც დაუკვირდით იმას, ვინ იმყოფებოდა საგურამოში ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე და ამით ყველაფერია ნათქვამი.

**— კულუარებში ამბობენ, რომ შენ ჯერ გოგაშვილს გადაეკიდე, მაგასთან გინდოდა „პაიოკში“ ჩაჯდომა, არ გამოგივიდა, იმან თავი შორს დაიჭირა, ახლოს არ გაგიკარა და ახლა კახი კალაძეს ურტყამ, ფული უნდაო.**

– გოგაშვილი 6 თვეა, რაც სუს-ში მუშაობს. აქ არაფერ შუაშია „პაიოკი“ და რაღაცაში ჩაჯდომა. ჩვენ ვართ ახალგაზრდები, რომლებიც ვაფიქსირებთ საკუთარ აზრს, ვგულშემატკივრობთ ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს, ასევე, პატრიარქს. ეტყობა, აქ არიან ისეთი მარგინალები, რომლებიც ებრძვიან ყველას და ყველაფერს. აგერ, „ელგებეტე“ საზოგადოებამ კიდევ ახალი კამპანია წამოიწყო სანდრო ბრეგაძის წინააღმდეგ, გიორგი კვირიკაშვილს მიმართავენ, ეს ადამიანი თანამდებობიდან გაათავისუფლეო. მე ღარიბაშვილის მოშორებაში გოგაშვილსაც ვადებ ხელს, კალაძესაც და სხვებსაც. ყველამ შეინარჩუნა პოსტი, გარდა ერთი კაცისა, ეს არის ღარიბაშვილი. ახლა ყველაზე მეტად ვინ ამოხტა შარვლიდან, ყველა ხედავს ძალიან კარგად. ესე იგი, ეგ არის. გოგაშვილმა არ მიიღო თავის თავზე, „რესპუბლიკელებმა“ არ მიიღეს, კვირიკაშვილმა არ მიიღო, დარჩა კალაძე, რომლის გარემოცვაც ძალიან გაღიზიანდა.

**— ესე იგი, შენ ამბობ, რომ ამ საკითხზე დიდი გარჩევა იქნება?**

– არჩევნები ახლოვდება, ახლა ხდება ძალთა გადანაწილება. შეიძლება ამას „რაზბორკა“ არ დავარქვათ, დასხდებიან და გაარკვევენ, ვინ ვის რას უკეთებს, ვინ ვის უდებს „პადნოჟკას“. დაილაპარაკებენ, ვინაა მოღალატე და ვინ ემსახურება თავის ქვეყანას.

კახი კალაძის გარემოცვაში ამ თემაზე კომენტარს არავინ აკეთებს. ფაქტია, ჩვენ თვალწინ საინტერესო მოვლენები ვითარდება. ყოველ შემთხვევაში, არ მოვიწყენთ. ბიძინა ივანიშვილი კი იძულებული იქნება, მართლაც ჩაატაროს ერთი მაგარი „რაზბორკა“ და საბოლოოდ გაარკვიოს, ვინ რა თამაშს თამაშობს. სადღობელაშვილის თქმით, რაღაც დასკვნების გაკეთება საგურამოს შეხვედრიდანაც შეიძლება... პრინციპში, ივანიშვილის გვერდით ისევ ირაკლი ღარიბაშვილი იდგა, კახი კალაძე ამ საახალწლო ქეიფს არ ესწრებოდა. კულუარულად იმასაც ამბობენ, რომ „გაზპრომთან“ გაუგებარმა და გაჭიანურებულმა მოლაპარაკებებმა ივანიშვილი ძალიან გააღიზიანა და თითქოს კალაძეს მის კარზე პოზიციები შეერყა. მახვილ თვალს არც ის უნდა გამოჰპარვოდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ იგივე კალაძეს დღემდე გაბედული კომენტარიც არ გაუკეთებია. გარდა ამისა, უკვე ინტენსიურად დაიწყეს ლაპარაკი ირაკლი ალასანიას პარტიის დაბრუნებაზე კოალიციაში. ყოველ შემთხვევაში, თუ ალასანიას ბიჭები არ დაბრუნდებიან, „ქართულ ოცნებაში“ ნამდვილად გაუჩნდათ ამისი სურვილი. თუმცა სურვილი ვერ გაუჩნდებოდათ, რომ არ იყოს ივანიშვილის „დაბრო“. რა გამოდის, ყველა ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი გახდა და მათ რომ ფრთები გამოსვლოდათ, ირაკლი ღარიბაშვილი უშლიდათ ხელს? აქ რაღაც აშკარად ვერ არის ისე, როგორც უნდა იყოს. ვნახოთ, დაველოდოთ დიდ „რაზბორკას“.





**„მე ღარიბაშვილის მოშორებაში გოგაშვილსაც ვადებ ხელს, კალაძესაც და სხვებსაც. ყველამ შეინარჩუნა პოსტი, გარდა ერთი კაცისა, ეს არის ღარიბაშვილი. ახლა ყველაზე მეტად ვინ ამოხტა შარვლიდან, ყველა ხედავს ძალიან კარგად“**





**დაიწყეს ლაპარაკი ირაკლი ალასანიას პარტიის დაბრუნებაზე კოალიციაში. ყოველ შემთხვევაში, თუ ალასანიას ბიჭები არ დაბრუნდებიან, „ქართულ ოცნებაში“ ნამდვილად გაუჩნდათ ამის სურვილი. თუმცა სურვილი ვერ გაუჩნდებოდათ, რომ არ იყოს ივანიშვილის „დაბრო“. რა გამოდის, ყველა ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი გახდა და მათ რომ ფრთები გამოსვლოდათ, ირაკლი ღარიბაშვილი უშლიდათ ხელს?**

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი: „არ მგონია, რომ ორწლიან სიცივეს თუ გაუცხოებაში ყოფნით რამენაირად მოიგო რომელიმე მხარემ. თუ შევხედავთ, რომ ამ პროცესმა არანაირი პოზიტივი არ მოუტანა არც პროცესს და არც პოლიტიკურ აქტორებს, ლოგიკურად მგონია, რომ ეს ასე აღარ იქნება“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



ვახტანგ მაისაია, ექსპერტი: „რა უნდოდათ მინისტრებს პანკისის ხეობაში სამხედრო ვერტმფრენებით? ამდგარიყვნენ და მანქანებით წასულიყვნენ. პანკისში იმ დღეს არც მოყინული გზა იყო, რომ მანქანით წასვლა პრობლემა ყოფილიყო და ეს კუთხე პირიქითა ხევსურეთი არ არის, სადაც სამანქანო გზა არ გადის... ბარემ ტანკების კოლონით წასულიყვნენ“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



სოსო ჯაჭვლიანი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი: „სამსახურებში ვერ მოხვდნენ ადამიანები, ვინც თავი გაწირეს „ოცნების“ გამო. ხოლო ისინი, ვინც ბუჩქებში იმალებოდნენ, დასაქმებულები არიან. ასეთი მხდალი ადამიანები დღეს თანამდებობაზე არიან. აი, ამას აკეთებს ჩემი გუნდი, მაგრამ ჩემი თანამებრძოლები განა იმისთვის იდგნენ ჩემ გვერდით, რომ გამარჯვების შემდეგ პირში პონჩიკს ჩავუდებდი, მათ თავი გაწირეს ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის და რა მიიღეს? — წიხლი!..“

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



თამაზ მეჭიაური, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი: „სააკაშვილი, მომწონს თუ არ მომწონს, ის თავისით გახდა პრეზიდენტი. ერთხელაც და მეორედაც, ძალით, მაგრამ სხვის დაუხმარებლად გააკეთა ეს ყველაფერი, განსხვავებით მარგველაშვილისგან, რომელსაც ნულიც არ ჰქონდა შანსი, პრეზიდენტი კი არა, პრეზიდენტის თანაშემწე გამხდარიყო ბიძინა ივანიშვილის დახმარების გარეშე“.

# „ახლა, როცა ღარიბაშვილი წააქციეს, წააქციეს და ჩვენ რაღას გვიზამენო და არიან „ხმა ამოიღეთ!!! — გეუბნები ჩემს ყველა

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**სამოქალაქო პლატფორმაში „არა ფობიას!“ შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები პრემიერ-მინისტრს მიმართავენ. ისინი კვირიკაშვილს სთხოვენ, რომ მთავრობამ სანდრო ბრეგაძის თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხზე იმსჯელოს. ამის მიზეზი მინისტრის მოადგილის მიერ გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ გაკეთებული განცხადება გახდა, სადაც ბრეგაძე რატი ამაღლობელს, ნინია კაკაბაძესა და გიგი თევზაძეს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლებს უწოდებს. განცხადებას ხელს აწერს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „მედიის განვითარების ფონდი“, „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“, „იდენტობა“, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“...**

**„კვირის ქრონიკა“ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს სანდრო ბრეგაძეს დაუკავშირდა:**

– ყველა კარგად ხედავს როგორი აღვირახსნილი და ყოვლად გაუგონარი კამპანია მიმდინარეობს საქართველოს პატრიარქის წინააღმდეგ, ასევე, მართლმადიდებლური, სამოციქულო კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ამ კამპანიას აწარმოებენ ყოვლად მარგინალური ჯგუფები, რომლებიც საკმაოდ საეჭვო ტიპის უცხოური ორგანიზაციებისგან ფინანსდებიან, რომლებიც პირდაპირ იღებენ დავალებებს, რათა მოხდეს ჩვენი ეკლესიის დისკრედიტაცია. ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ გოგი გვახარიას, ნინია კაკაბაძის, სერგო ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის სულიერი შვილების მიერ გავრცელებული პასკვილები და ამაზრზენი დეზინფორმაციები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ, ეს გახლავთ იმ მიზანმიმართული კამპანიის შედეგი, რომელსაც ზურგს უმაგრებს, ყველასთვის კარგად ცნობილი ავაზაკი და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნება გიგი თევზაძე. სწორედ გიგი თევზაძის მიერ გაჟღერდა პირველად ის იდეა, რომლის რეალიზაციასაც აპირებენ ეს მარგინალური დაჯგუფებები.

**— რაში მდგომარეობდა თევზაძის განცხადების იდეა?**

– სინამდვილეში რას წარმოადგენდა ამ განცხადების იდეა, პირველი საინფორმაციო საშუალება ხართ თქვენ, ვისთანაც ამის თაობაზე ვსაუბრობ. თევზაძემ თქვა, რომ შობის ზეიმი 7 იანვარს, ეს არის ოკუპანტის მხარდაჭერა და შობის დღესასწაული ამოღებული უნდა იქნას დღესასწაულების ჩამონათვალიდან. გიგი თევზაძის ეს განცხადება გახლავთ პირველი მერცხალი იმ კამპანიისა, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ რელიგიური დღესასწაულები არ უნდა იყოს სახელმწიფო დღესასწაული, დასვენების დღე და ა.შ. რადგან ეს თითქოს ლახავს სხვა რელიგიური ჯგუფების უფლებებს და მათ ინტერესებს, რადგანაც არ შეიძლება, მთელი ქვეყანა მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით იყოს მოწყობილი.

ეს გახლავთ საკმაოდ დიდი და ნაძირალური გეგმა, იმისთვის, რომ ყველანაირად მოსპონ რელიგიის როლი სახელმწიფოს განვითარებაში და მოახდინონ მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტაცია. რელიგიური დღესასწაულების ამოღება არის იმის ნიშანი, რომ მზადდება ნიადაგი იმ აღვირახსნილი კამპანიისთვის, რომელსაც ეს ადამიანები აწარმოებენ ბოლო ორ კვირაა.

ყველაფერ აქედან გამომდინარე, მე, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, როგორც უბრალოდ მოქალაქე, კატეგორიულად მოვითხოვ, რომ თითოეული ჩვენგანი გაემიჯნოს ამ ნეობოლშევიკურ წარმონაქმნებს და მინდა მივმართო ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას – არ აქვს მნიშვნელობა, შინაურები არიან ეს პოლიტიკური პარტიები თუ გარეულები. არ დავიწყებ დაკონკრეტებას, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ხელი წაუცდეთ და მხარი დაუჭირონ გიგი თევზაძის და ამ ავაზაკების მიერ შემოგდებულ პროვოკაციას, თორემ ამ შემთხვევაში მათი დანდობა ნამდვილად არ იქნება და მათაც იგივე პოლიტიკურ სანაგვეზე მოუწევთ გადაგდება, რომელზეც ის სულიერები არიან, რომელთა მთავარი მიზანიც არის ის, რომ როგორმე ფული გააკეთონ, იმით, რომ აგინონ ყოველი ქართული, ტრადიციული და ეროვნული.

**— რომელ პოლიტიკურ ჯგუფს გულისხმობთ?**

– მე არ მინდა დავასახელო კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფი. მინდა, რომ ეს იყოს დადასტურებული ინფორმაცია.

**— თქვენ კი იკავებთ თავს ამ პოლიტიკური ჯგუფის დასახელებისგან, მაგრამ სოციალური ქსელის მომხმარებლებმა, ყველამ ვნახეთ, როგორი ტექსტითაც გამოვიდა თამარ კორძაია. „გაჩუმდი რა!!!“ — ასეთი რეპლიკა წამოისროლა მან თქვენი მისამართით, იმ განცხადების საპასუხოდ, სადაც ზემოხსენებულ თემაზე საუბრობთ.**

– ეგღა მაკლია ახლა მე, თამარ კორძაიას დაძახილზე გავჩერდე. თამარ კორძაიას გიგი თევზაძის მხარდაჭერა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა თუ სურს, მიხედონ ამ ადამიანს პარტიამ და კოალიციამ, თორემ მე ჯვარი არ მაქვს დაწერილი თანამდებობაზე. აქედან გამომდინარე, თვითონ ჩვენში უნდა გაირკვეს, ვინ არის ეკლესიის მომხრე და ვინ არის ეკლესიასთან ბრძოლის მომხრე. კოალიციაში კი არა, ჩემს ოჯახშიც თუ იარსებებს ადამიანი, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ, მე იმ ადამიანის გვერდით არ გავჩერდები! ასეთ ადამიანთან სუფრასთანაც კი არ დავჯდები და თუ თამარ კორძაია ამ ყველაფერს მხარს უჭერს, კეთილი ინებოს და წავიდეს იქ, საიდანაც მობრძანდა. ანგაჟირებული და ეგზალტირებული ქალების კომპლექსის დასაკმაყოფილებლად, მე ამაზე მეტს არ ვილაპარაკებ. დათესეს ქარი? – მოიმკიან ქარიშხალს. ამათ ისეთი ვულკანი გააღვიძეს, რომელსაც ველარ ჩააქრობენ. „კეთილისმსურველები“ მირჩევენ, – სანდრო გაჩერდი, თორემ თანამდებობას დაკარგავო! თანამდებობას დავკარგავ კი არა, სიცოცხლე რომ დავკარგო, მაინც არ გავჩერდები. ბოლომდე ვიბრძოლებ ამ სატანის მოციქულებთან – პოლიტიკური პარტიის კი არა, ოჯახის წევრიც რომ იყოს, მაინც. ჩირადაც არ მიღირს თანამდებობა! მე აქ იმიტომ ვარ, რომ გავაკეთო ის ქართული საქმე, რომელი საქმისთვისაც 2012 წელს ვიბრძოდით, როცა „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში. თუ მთავრობამ გიგი თევზაძისა და თამარ კორძაიას ჭკუაზე დაიწყო სიარული, მაშინ ჩემი ადგილი ხელისუფლებაში ნამდვილად არ იქნება.

ერთხელ და სამუდამოდ, ამ ქვეყანაში უნდა აიკრძალოს





„კოალიციაში კი არა, ჩემს ოჯახშიც თუ იარსებებს ადამიანი, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ, მე იმ ადამიანის გვერდით არ გავჩერდები!“

გაგრძელება ოცდამესამე გვ.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მხატვარი ... მოდილიანი
2. კატაბალახას ნაყენი
3. გამოსამარგლი ბალახი
4. ისტორიული შუამდინარეთი
5. რძის პროდუქტი
6. სკულპტურა, ანუ ...
7. კუდიანი ამფიბია
8. მგალობელი ფრინველი
9. ქართული ხალხური ზღაპარი
10. დონ კიხოტის ცხენი
11. პატარა არხი
12. ყურძნის ჯიში
13. მომღერალი ჯასტინ ...
14. ღორის ნაშიერი
15. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
16. ელვის ... პრესლი
17. მსახიობი ... გოლდბერგი
18. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში
19. ქვეყნის მატიანე
20. ლენონის ქვრივი
21. ცვარი
22. ყველაზე მტკიცე მინერალი
23. „ვეფხისტყაოსანი" პერსონაჟი
24. სასოფლო-სამეურნ. ტექნიკა
25. საქმიანობაში ტექნიკის დანერგვა
26. სპორტის სახეობა
27. მწვერვალი ყაზბეგი
28. მოზაიკის კერამიკის ნატეხი
29. ... დაიჭირავს სიკვდილსა
30. ადამიანის წინაპარი
31. გიორგი სააკაძის სოფელი
32. ვულკანური მინა
33. ნადირობის ქალღმერთი
34. დიამეტრის ნახევარი
35. მეფედ კურთხევა
36. ოპერა „სევილიელი ..."
37. გარეული ფრინველი
38. მთათა სისტემა ევროპაში
39. მსახიობი ჟან ...
40. ჩონჩხის ნაწილი
41. საოპერო პარტია
42. მდინარე გერმანიაში
43. კაცუნა ზურგზე პროპელერით
44. ბოჭკოვანი მცენარე
45. მხ/ფ „ქალაქი ..."
46. მწერალი ... დუმბაძე
47. უსინათლოთა ანბანი
48. მომღერალი ეკა ...
49. აზროვნების ორგანო
50. მსახიობი ... ფლინი
51. ქალაქი ნიდერლანდში
52. უნგრეთის დედაქალაქი
53. ცხოველი. იცვლის ფერს
54. ცხენის ნაშიერი
55. მთა აფრიკაში
56. მდინარე კახეთში
57. ჩარხი
58. ნასესხები ფული
59. მსახიობი ... დიტრიხი
60. ციხესიმაგრე თბილისში
61. დროის უკმარისობა ჭადრაკში
62. მწვანილი
63. სამკურნალო მცენარე
64. სათევზაო ჯოხი
65. ნიშნავს საშუალოს
66. ავტორბოლა
67. ხინკლის რუსული ვარიანტი
68. მომღერალი ნიაზ ...
69. ჯარის ნაწილების ცვლა
70. მსახიობი ვივიენ ...
71. ელდარ შენგელაიას ფილმი
72. ვირის ხმიანობა
73. ძაღლი ... ქარავანი მიდის
74. სამედიცინო იარაღი
75. ყვავილი
76. მისი დედაქალაქია ლონდონი
77. უძველესი სამეფო კოლხეთში
78. ჭურჭელი ზოგადად
79. მსახიობი ... დე ფიუნესი
80. პრეზიდენტი ... ალიევი
81. გოგოლის მოთხრობა
82. კატის ნაშიერი
83. ესპანელი დამპყრობელი, ანუ ...
84. კომპოზიტორი მიქაელ ...
85. სასმელი: ჯინი და ...
86. ქალაქი გერმანიაში
87. ცისარტყელას ფერი
88. რაიმე საქმეში ფულის ჩადება
89. ღრმა თეფში
90. იგავი „მგელი და ..."
91. მხ/ფ „... მზე"
92. კომპოზიტორი ... ყანჩელი
93. ბულგარული არაყი
94. ფასდაკლება
95. შხამიანი გველი
96. მზის ღმერთი ეგვიპტეში
97. ტრამვაის მძღოლი
98. ... ბურთი და ... მოედანი
99. მწერი
100. ბიბილოზე მოსაჭერი საყურე
101. მდინარე ინდოეთში
102. ველოდრომი
103. აივენჰოს სატრფო
104. სოფელი მარტვილის რაიონში
105. მწერალი ... სკოტი
106. აგენტი ჯეიმს ...
107. თეთრი რეპერი
108. მსახიობი მონიკა ...
109. რუსული ხის სათამაშო
110. ხის ჯიში
111. უძვლო ხორცი
112. შენობა საწნახ-ლით
113. ბიბლიური მოსეს ძმა
114. ... ულენშპიგელი
115. მწერალი ტომას მაინ ...
116. მსახ. ... უჩანეიშვილი
117. გამარტივებ. ინგლისური ენა
118. მსახიობი ... დეპი
119. მხ/ფ „ზოლიანი ..."
120. მსახიობი ... როჯერსი
121. შვედური ფულის ერთეული
122. „ხევის ბერი გოჩა" პერსონაჟი
123. პერსონა ...-გრატა
124. ნაგებობა მდინარეზე
125. შოკოლადის ხის ნაყოფი
126. „... გრძელი წინდა"
127. მხატვარი სალვადორ ...
128. დიდი ჩაქუჩი
129. მსახიობი ... მანჯგალაძე
130. „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" ტონი კერტისი და ჯეკ ...
131. ომის ღმერთი ბერძ.მით.
132. საკონდიტრო სანელებელი
133. მისი დედაქალაქია პეკინი
134. კლდიაშვილი. „... გასაჭირი"
135. მწვანე ადგილი უდაბნოში
136. ციხესიმაგრე პარიზში

პასუხები: 1. ამედეო; 2. ვალერიანი; 3. სარეველა; 4. მესოპოტამია; 5. არაჟანი; 6. ქანდაკება; 7. ტრიტონი; 8. ტოროლა; 9. „მუჭანახევარა"; 10. როსინანტი; 11. რუ; 12. თითა; 13. ტიმბერლეიკი; 14. გოჭი; 15. კინტო; 16. აარონ; 17. ვუპი; 18. რულადა; 19. ისტორია; 20. ონო; 21. ნამი; 22. ალმასი; 23. ტარიელი; 24. ტრაქტორი; 25. მექანიზაცია; 26. კრივი; 27. მყინვარწვერი; 28. სმალტა; 29. ვერ; 30. ნეანდერტალელი; 31. ნოსტე; 32. ობსიდიანი; 33. დიანა; 34. რადიუსი; 35. კორონაცია; 36. დალაქი; 37. ყვავი; 38. ალპები; 39. მარე; 40. მენჯი; 41. არია; 42. რაინი; 43. კარლსონი; 44. სელი; 45. ანარა; 46. ნოდარ; 47. ბრაილი; 48. მამალაძე; 49. ტვინი; 50. ეროლ; 51. როტერდამი; 52. ბუდაპეშტი; 53. ქამელეონი; 54. კვიცი; 55. კილიმანჯარო; 56. იორი; 57. ჯარა; 58. ვალი; 59. მარლენ; 60. ნარიყალა; 61. ცაიტნოტი; 62. კამა; 63. მრავალძარღვა; 64. ანკესი; 65. მეცო; 66. რალი; 67. პელმენი; 68. დიასამიძე; 69. როტაცია; 70. ლი; 71. „შერეკილები"; 72. ყროყინი; 73. ყეფს; 74. პინცეტი; 75. ია; 76. ინგლისი; 77. ეგრისი; 78. ტარა; 79. ლუი; 80. ილჰამ; 81. „ვიი"; 82. კნუტი; 83. კონკისტადორი; 84. ტარივერდიევი; 85. ტონიკი; 86. ლაიფციგი; 87. იისფერი; 88. ინვესტიცია; 89. მათლაფა; 90. კრავი; 91. უძინართა; 92. გია; 93. რაკია; 94. სეილი; 95. ასპიტი; 96. რა; 97. ვატმანი; 98. ჰა; 99. კალია; 100. კლიფსი; 101. ინდი; 102. ტრეკი; 103. როენა; 104. ბანძა; 107. ემინემი; 108. ვიტი; 109. მატრიოშკა; 110. აკაცია; 11. ფილე; 112. მარანი; 113. აარონი; 114. ტილ; 115. რიდი; 116. ლევან; 117. პიჯინი; 118. ჯონი; 119. რეისი; 120. მიმი; 121. კრონი; 122. ძიძია; 123. ნონ; 124. ხიდი; 125. კაკაო; 126. პეპი; 127. დალი; 128. ურო; 129. ეროსი; 130. ლემონი; 131. არესი; 132. ვანილი; 133. ჩინეთი; 134. დარისპანის; 135. ოაზისი; 136. ბასტილია. იკითხება: დაგვებედოთ.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მდინარე კახეთში
2. ბიზეს ოპერა
3. ზღვა იტალიასთან
4. ოთხკაციანი ანსამბლი
5. სომხური გვარის ნაწილაკი
6. „ილიადა“ ავტორი
7. კუდიანი ვარსკვლავი
8. მუსლიმანური მარხვა
9. ბიჭუნა. ჰქონდა მფრინავი ქოშები
10. დაკეპილი ხორცის კვერი
11. ენათმეცნიერი ვახუშტი ...
12. „განკლიცხულნი“ პერსონაჟი
13. ეკონომიკის სპეციალისტი
14. საგრაფო ინგლისში
15. მინისტრების დიდი ფორუმი
16. სცენაზე დადგმული პიესა
17. თეფში
18. მეკარე ლევ ...
19. ინგლისის დედაქალაქი
20. მეცნიერება ფესვების შესახებ
21. საბერძნეთის დედაქალაქი
22. ეგზოტიკური ფრინველი
23. რეჟისორი ეტორე ...
24. მწერალი თეოდორ ...
25. პოეტი ... ბარტო
26. ქალაქი საფრანგეთში
27. ნახ. კუნძული ევროპაში
28. რეჟისორი ... ბრასი
29. სანოტო სისტემის ფრჩხილი
30. ბოსტნეული
31. ნაკვერჩხლის ასაღები საგანი
32. ორელექტროდიანი მილაკი
33. მარცვლოვანი მცენარე
34. ... ნასრედინი
35. მწერალი ტომას ... რიდი
36. ვაშლის ღვინო
37. მსახიობი ანტონიო ...
38. თაგვის სადგომი
39. ნინგის სახეობა
40. თბილისის უბანი
41. რეჟისორი ... პარკერი
42. მდინარე აფრიკაში
43. საშხაპე ოთახი
44. ფოლგა
45. მოკლე პალტო
46. ქანდაკება პირამიდებთან
47. სრული გამარჯვება ძიუდოში
48. მომღერალი ვალერი ...
49. ნაცია
50. „უდიპლომო სასიძო“ პერსონაჟი
51. კაკლის გული
52. შვედური ფულის ერთეული
53. სინთეზური ვანილი
54. მომღერალი ... კუპერი
55. ბოსფორი და ...
56. მსახიობი ჟერარ ...
57. მორწყვის სისტემა
58. მსახიობი ... აფლეკი
59. კიმონოს აქსესუარი
60. იაპონელი თვითმკვლელი
61. მხ/ფ „ცისკრის ...“
62. პატარა ჩიტი
63. აეროპორტი პარიზში
64. მსახიობი ... ჩახავა
65. რეჟისორი ალფონსო ...
66. გერმანული ავტომობილი
67. ყვავილი
68. ყვავილი
69. „ნირვანას“ სოლისტი
70. ... აღმართს ხნავს
71. მეფე არტურის პირველი რაინდი
72. ცეცხლგამძლე კარადა
73. მთაში გაყვანილი კომუნიკაცია
74. მარცვლოვანი მცენარე
75. ჟამი
76. მეგრული სამზარ. საჭმელი
77. აკრძალვა ეპიდემიის დროს
78. ქიმიური ნივთიერება
79. ძვ. გამოსახდელი ჭურჭელი
80. მსახიობი ... ლეტო
81. პერიოდული საგაზეთო გამოცემ.
82. ყვავის ბარტყი
83. ესტონეთის დედაქალაქი
84. უნაგირის დეტალი
85. ჩეხოვი. „... ვანია“
86. ვაქცინაცია
87. ქართ. საესტრადო ანსამბლი
88. სანაყი
89. სახელი, ავტორიტეტი
90. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
91. რეჟისორი პედრო ...
92. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
93. მეფის მრჩეველი
94. კაკლის საზერტყი ჯოხი
95. ბულგარული ფულის ერთეული
96. შტატი აშშ-ში
97. იაპონური ხალათი
98. ვაზის ჯიში
99. გერდას მეგობარი ბიჭუნა
100. აზოტშემცველი სასუქი
101. თვალის ნაწილი
102. მწვანილი
103. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
104. მეგობრული შარჟი
105. ცომში ხორცი რუსულად
106. ლენინის ქვრივი
107. სასულე კლავიშ. ინსტრუმენტი
108. ხალისიანი, მხიარული
109. კლდიაშვილი. „ბაკულას ...“
110. რადიოს იტალიელი გამომგონებელი
111. მსახიობი ... აბაშიძე
112. კინოაკადემიის ჯილდო აშშ-ში
113. თავდაცვის იარაღი
114. იტყვიან ახალ კიტრზე
115. მომღერალი რაფაელა ...
116. ირმის სახეობა
117. კანადის დედაქალაქი
118. მომღერალი ... პავლიაშვილი
119. რაიონი აჭარაში
120. აგენტი ჯეიმს ...
121. ქალაქი სიღნაღის რაიონში
122. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
123. თბილისის უბანი
124. მსახიობი იური ...
125. მსახიობი ... პაპასი
126. ჯგუფის მონინავე ადამიანი
127. მზის ღმერთი ეგვიპტეში
128. კოვბოის ქამანდი
129. ბრედ პიტი ფილმში
130. მსახიობი ... ლონგორია
131. ...-კლარჯეთი
132. ბოსტნეული
133. შხამიანი მწერი
134. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
135. ძვირფასი თვლების წონის ერთეული
136. პოეტი ... ასათიანი
137. ხორცის ნაჭერი
138. ქალაქი რაჭაში
139. „შენ ... ვენახი“
140. ქალაქი საფრანგეთში
141. საღეჭი რეზინი
142. რეჟისორი ... დე ბონტი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ღია საზაფხულო კაბა
2. უფროსი მწყემსი
3. ქვის სამარხი
4. მინის ხრახნიანი ჭურჭელი
5. თაეტრალური განცხადება
6. თრითინა
7. ბრინჯის შეჭამანდი
8. მსახიობი ... ლაღიძე
9. მეცნიერება მღვიმეების შესახებ
10. მან აავო კიდობანი
11. ძალების აღდგენა
12. ქალაქი ერაყში
13. სახელმწიფო ევროპაში
14. სანთლის სამაგრი
15. გერმანული ავტომობილი
16. მომღერალი ... მატიე
17. ობობის ქსელი
18. მწერი
19. მტაცებელი ფრინველის ფრენა
20. ბილიარდის ჯოხი
21. პოეტების საკრებულო მთა
22. საფრანგეთის ისტორიიდან ... ღამე
23. გეომეტრიაში: დამვებული ხაზი, სიმაღლე, ანუ ...
24. ნორვეგიის სანაპირო ყურე
25. ყაიმი
26. პერუელების კვანძოვანი დამწერლობა
27. პლაჟი ჰავაიზე
28. ჭრიჭინას ბებია
29. საძერწი მასალა ...-მაშე
30. მზის ღმერთი ...-რა
31. პოეზიის სიმბოლო
32. სომნამბული
33. მისალმება მუხლის მოხრით
34. ალა პუგაჩოვას საკულტო სიმღერა
35. კომპოზიტორი ... ნემსაძე
36. გამარჯვების ქალღმერთი
37. ტბა თბილისში
38. მთის წვეტი
39. ისლანდიის დედაქალაქი
40. მსახიობი ... აბაშიძე
41. ქალაქი სამეგრელოში
42. სამაგიდო თამაში
43. მომღერალი ენრიკე ...
44. ანწლი
45. სამწლიანი ცხენების რბოლა
46. თამაში ვოლანით
47. მსახიობი ... გიბსონი
48. ბალეტის დასი სცენაზე
49. ჯეიმს კამერონის ფილმი
50. თოვლის კაცი
51. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
52. იტალიელი კომპოზიტორი
53. ებრაული სალოცავი ტაძარი
54. იტალ. გმირი ჯუზეპე ...
55. ცივი იარაღი
56. ერთგვარი ნაყინი
57. სამიანი ნარდში
58. ავეჯი
59. პარფიუმერ. ფირმა
60. სანიკიძ. „... ხმლები“
61. მსახიობი ... როსელინი
62. კურორტი თურქეთში
63. მსახიობი ... ასანტე
64. მოდელი ... კროუფორდი
65. პარაზიტი ყვავილი
66. წამლებით გამოწვეული მოჩვენებ.
67. ზამბახი
68. ტაძრის მოცეკვავე ქალი ინდოეთში
69. იტალიელი კომპოზიტორი
70. ტერიტორიული ერთეული
71. სკანდინავიური თქმულება
72. ქალაქი იტალიაში
73. მოკლე კაბა
74. ჟაკ-... კუსტო
75. ხურდის შესაგროვებელი საგანი
76. ძვირფასი ქვა
77. ნიკულინი, მორგუნოვი, ..
78. ხსნადი ყავის ბრენდი
79. რბილი ადგილი ჩვილის თავზე
80. ბრონტე. „ჯეინ ...“
81. ... გათეთრების ყორანი
82. მწერალი ... ქიაჩელი
83. კომპოზიტორი გიორგი ...
84. მომღერალი ... მორისეტი
85. ცხიმის გამოსაყოფი აპარატი
86. მსახიობი ნატალია ...
87. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ პერსონაჟი
88. ტბა დუშეთის რაიონში
89. წყლის მოლუსკი
90. ალკოჰოლური სითხე
91. მხ/ფ „მიდიოდა ...“
92. წყალქვეშა სუნთქვის აპარატი
93. კედლის შანდალი
94. რეჟისორი ... რიაზა-ნოვი
95. რბილი ლითონი
96. ძალიან ტკბილი ნივთიერება
97. ბინოკლი
98. მისი დედაქალაქია დუბლინი
99. გერმანული ფულის ერთეული
100. სახელმწიფო აფრიკაში
101. პატარა არხი
102. მსახიობი ... დე ფიუნესი
103. ამერიკული ავტომობილი
104. მისი დედაქალაქია ოსლო
105. სიმინდის ყვავი-ლედი
106. ნაჭრის ჩანთა
107. საკვები ცხიმი
108. „კაცი რომელიც იცინის“ პერსონაჟი
109. შხამიანი გველი
110. კონსტ. გამსახურდიას მოთხრობა
111. ზრდადაუსრულებელი ქათამი
112. მათემატიკის ნაწილი
113. შვედური ხურდა ფული
114. სამკურნალო მცენარე
115. მსახიობი ერიკ ...
116. სოფლის ტრანსპორტი
117. საწოლის ატრიბუტი
118. ტროპიკული ნაყოფი
119. შებოლილი ხორცი
120. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის შვილი
121. მსახიობი ... ჰეპბერნი
122. შეზღუდული კვების რეჟიმი
123. მსახიობი ... დელონი
124. ანტილოპას სახეობა
125. დასახლება ბათუმში
126. წყლის ტრანსპორტი
127. ამოთხრილი ადგილი
128. ჟან-კლოდ ... დამი
129. მინი-ბოულინგი
130. მეტყველების ორგანო
131. უძველესი კოლხეთი
132. ბაზრის ფასები
133. მსახ. ... ფრეინდლიხი
134. მსახიობი ... პიტი
135. ამფიბია
136. ყვავილი
137. კავშირებითი სიტყვა
138. მხ/ფ „ქალაქი ...“
139. ბოშათა საბჭოთა თეატრი

პასუხები: 1. სარაფანი; 2. სარქალი; 3. სარკოფაგი; 4. ბოცა; 5. აფიშა; 6. სინდიოფალა; 7. შილაფლავი; 8. სოსო; 9. სპელეოლოგია; 10. ნოე; 11. რელაქსაცია; 12. ბასრა; 13. ნიდერლანდი; 14. შანდალი; 15. „მერსედესი“; 16. მირეი; 17. აბლაბუდა; 18. პეპელა; 19. ირაო; 20. კიი; 21. პარნასი; 22. ბართლომეს; 23. პერპენდიკულარული; 24. ფიორდი; 25. ფრე; 26. კიპუ; 27. ვაიკიკი; 28. ელპიტე; 29. პაპიე; 30. ამონ; 31. ლირა; 32. მთვარეული; 33. რევერანსი; 34. „არლეკინო“; 35. ლილიკო; 36. ნიკე; 37. ლისი; 38. პიკი; 39. რეიკიავიკი; 40. ლეილა; 41. აბაშა; 42. ნარდი; 43. იგლესიასი; 44. ავი; 45. დერბი; 46. ბადმინტონი; 47. მელ; 48. კორდებალეტი; 49. „ტიტანიკი“; 50. იეტი; 51. ინდიგო; 52. მასკანი; 53. სინაგოგა; 54. გარიბალდი; 55. ხმალი; 56. ესკიმო; 57. სე; 58. კარადა; 59. „ნივეა“; 60. უქარქაშო; 61. იზაბელა; 62. ანტალია; 63. არმან; 64. სინდი; 65. რაფლეზია; 66. ჰალუცინაცია; 67. ირისი; 68. ბაიადერი; 69. დონიცეტი; 70. რაიონი; 71. საგა; 72. გენუა; 73. მინი; 74. ივ; 75. ყულაბა; 76. იაგუნდი; 77. ვიცინი; 78. „ნესკაფე“; 79. ყიფლიბანდი; 80. ეარი; 81. არ; 82. ლეო; 83. ცაბაძე; 84. ალანის; 85. სეპარატორი; 86. ვარლეი; 87. ტასია; 88. ბაზალეთი; 89. მიდია; 90. სპირტი; 91. მატარებელი; 92. აკვალანგი; 93. ბრა; 94. ელდარ; 95. კალა; 96. ქსილიტი; 97. დურბინდი; 98. ირლანდია; 99. მარკა; 100. ანგოლა; 101. რუ; 102. ლუი; 103. „კრაისლერი“; 104. ნორვეგია; 105. ტარო; 106. აბგა; 107. მარგარინი; 108. დეა; 109. კობრა; 110. „ლილ“; 111. ვარია; 112. ალგებრა; 113. ერე; 114. ალოე; 115. ბანა; 116. ურემი; 117. ლეიბი; 118. ბანანი; 119. ბეკონი; 120. კრეოლი; 121. ოდრი; 122. დიეტა; 123. ალენ; 124. გნუ; 125. გონიო; 126. ნავი; 127. ორმო; 128. ვან; 129. კეგლი; 130. ენა; 131. აია; 132. მაზანდა; 133. ალისა; 134. ბრედ; 135. ტრიტონი; 136. ია; 137. და; 138. ანარა; 139. „რომენი“. იკითხება: ფიფქები.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



პაჭუ ბაბუხადიამ რომ დაინახა ხალხი ზებუნებრივი ძალე- ბის დახმარების იმედზე-ლა დარჩაო, სასწრაფოდ შექმნა შ.პ.ს.

1. ცხენ- ბურთი
2. მიმ- დინარეობა მხატვ- რობაში
3. ხარებთან ბრძოლა
4. სიმინდის გამხმარი ღერო
5. მისი დედაქა- ლაქია ლისაბონი
6. ლაფი
7. რკინის გასახეხი ძელაკი
8. თმის წითელი საღებავი
9. ტექსტის შემოკ- ლებით ჩაწერა
10. შენი ხმალი და ... კისერი
11. მამაკაცი ძიძა
12. უქოწრო თუთი- ყუში
13. მე- ვიოლინე ... პაგანინი
14. ცხენებ- შებმული ტრანს- პორტი
15. კონსტ. გამსახურ- დიას მოთხრობა

და არც მოტყუებუ- ლა: შედეგმა მოლო- დინს გადააჭარბა. არ წყდებოდა სატელეფონო ზარები, ოთხფეხა მეკვლეები საქმეს ძლივს აუდიოდნენ

16. პირის ღრუს თაღი
17. მსახიობი ... ბროსნანი
18. წრეების შემოსახაზი ხელსაწყო
19. ყვავის ბარტყი
20. სასწორის ჯამი
21. ყაიმი
22. გრძელი კარავი
23. პეპინიას ვაჟი
24. ინგლისური ლუდი
25. თბილისის უბანი
26. ოპერის შესავალი ნაწილი
27. უნი- ვერსიტეტი ...- მატერი
28. ნიშნავს ცივს



დღესასწაულების გასვლის შემდეგ მენტორმა ბროლიამ ანგარიში ჩაიბარა: -აბა, როგორ მიდიოდა საქმეები? -მე ხადურის მეკვლე ვიყავი. იმდენი საჭმელ-სასმელი ჰქონდათ, რომ მაგიდა კვნესოდა, ის კიდევ

29. წვიმისგან დამცავი
30. მატყუარა
31. ... სუხიშ- ვილი
32. რე- ჟისორი კლოდ ...
33. ფრანგი იუველირი ჟან ...

მომაძებნინეო, მეხვეწებოდა

34. კიანუ რივზი ფილმში
35. იაპონური თეატრი
36. გაზი, ანუ ...
37. მხატვარი ედგარ ...
38. მისი დედაქა- ლაქია ჯაკარტა
39. თქმულება ღმერ- თებზე
40. სახოტბო ლექსი
41. საწოლი, ანუ ...
42. ქალაქი ფლორი- დაზე
43. ქალაქი ყირიმზე
44. ... ფონ ბისმარკი



-მე აჭარ-ლების მე- კვლე ვიყავი. თავის დროზე დუმბაძემ ისეთი დიაგ- ნოზი დაუსვა ამომრჩევ- ლებს, რომ წითელი ჯვარი ლამის

ხომ სჭირდე- ბოდათ აჭარლებს გამხნევება!

45. ცხვრების სადგომი
46. მხარე დას. საქართ.
47. ტროპი- კული ნაყოფი
48. მონარქი
49. მწერალი ... პირან- დელო
50. ზეთში შემწვარი კარტოფ.
51. კონტი- ნენტი
52. დინამიტის გამომგო- ნებელი
53. რძის პრო- დუქტი
54. სახის ნაწილი
55. მწერალი ჭაბუა ...



-მე ფაჩულიას მეკვლე ვი- ყავი. ოოო, დიდი გეგმები აქვს, მაგრამ მის გეგმებს მარტო ჩემი ფეხები არ ეყოფა, თქვენი

უნდა დაახ- მაროთ

56. კავშირი, გაერთი- ანება
57. „... მოვი- პარით მილიონი“
58. სოფელი კასპის რაიონში
59. მსახიობი ... ბრანდო
60. შექ- სპირი. „მეფე ...“
61. გაფუჭე- ბული კვერცხი
62. მოკრივე ... მარჩიანო
63. ... შრომა, მერე ხტომა
64. მსახიობი ... ჟირარდო
65. დაღესტ- ნური სოფელი
66. ქალაქი საფრან- გეთში
67. მი- მართვა ინგლისელი მამაკა- ცისადმი
68. „კილიმან- ჯაროს თოვლიანი ...“
69. პატარა ტანის ძაღლი
70. მდინარე იტალიაში



-მე კუზანო- ვებში შევი- არე. ძალიან პატივი მცეს, მოკრძალე- ბული ღიმი- ლით შევედი და

ღიმი- ლით გამო- მიშვეს

71. ავსტრიის დედაქა- ლაქი
72. სამ- წლიანი ცხენების რბოლა
73. რუსი მეიგავე
74. ლანგარი
75. მსახიობი ... ოლდმენი
76. იაპონური ჭადრაკი
77. მომ- ღერალი დაიანა ...
78. უბედუ- რების სიგნალი
79. კონტი- ნენტი
80. კრივის არენა
81. საჭმლის მომნე- ლებელი ორგანო

უნდა გაახუ- როს



-მე გოგა ხაჩიძემ გირ- ჩების მოგრო- ვება მთხოვა და რად უნდა ვერ გავი- ვიგე, ალბათ



ნაციონალე- ბში მივედი და ისეთი დამიღრინეს, რომ ღირსები იყვნენ

82. მტაცებელი ფრინველის ფრენა
83. ზღაპრული კაციჭა- მია
84. ფარდაგი
85. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
86. „ლონდრე“ ქალაქის თავის ცოლი

მივსუ- ლიყავი

87. მსახიობი ... დეიმონი
88. ტროპი- კული ბუზი
89. მხ/ფ „... ხვიტია“
90. დედამიწის გუმბათი
91. მომ- ღერალი ... ბადურაშ- ვილი
92. მსახიობი ია ...
93. ... ჰო, ... არა
94. მწერალი ... ტოლსტოი
95. მხ/ფ „ნატვ- რის ...“
96. მსახიობი ... ნოლტი
97. მსახ. ... ვარდა- ლოსი
98. ანიკოს პირველი ქმარი (ფილმიდან)
99. პურის სოკო
100. შვე- იცარიის დედაქა- ლაქი

თუ დაახმა- რენ, მაგათ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს,- გაიფიქრა ბროლიამ

ბროლია აშკარად კმაყოფილი დარჩა შესრულებული სამუშაოთი. -ახლა ქართველები ჩვენს ფეხებს თავიანთ



პასუხები: 1. პოლო; 2. პოსტიმპრესიონიზმი; 3. კორიდა; 4. ჩალა; 5. პორტუგალია; 6. ტალახი; 7. ქლიბი; 8. ინა; 9. სტენოგრაფია; 10. ჩემი; 11. ლალა; 12. არა; 13. ნიკოლო; 14. ეტლი; 15. „ლილ“; 16. სასა; 17. პირს; 18. ფარგალი; 19. ბახალა; 20. პინა; 21. ფრე; 22. სეფა; 23. აგული; 24. ელი; 25. ვაკე; 26. უვერტიურა; 27. ალმა; 28. კრიო; 29. ქოლგა; 30. ცრუ; 31. ილიკო; 32. ლელუში; 33. შარდენი; 34. „მატრიცა“; 35. ნო; 36. აირი; 37. დეგა; 38. ინდონეზია; 39. მითი; 40. ოდა; 41. სარეცელი; 42. მაიამი; 43. სიმფეროპოლი; 44. ოტო; 45. ფარეხი; 46. იმერეთი; 47. ბანანი; 48. მეფე; 49. ლუიჯი; 50. ფრი; 51. ამერიკა; 52. ნობელი; 53. ყველი; 54. ყბა; 55. ამირეჯიბი; 56. ლიგა; 57. როგორ; 58. გრაკალი; 59. მარლონ; 60. ლირი; 61. ლაყე; 62. როკი; 63. ჯერ; 64. ანი; 65. აული; 66. ლიონი; 67. სერ; 68. მთა; 69. ფინია; 70. პო; 71. ვენა; 72. დერბი; 73. კრილოვი; 74. სინი; 75. ჰარი; 76. გო; 77. როსი; 78. სოს; 79. აზია; 80. რინგი; 81. კუჭი; 82. ირაო; 83. ოგრი; 84. ნოხი; 85. ათი; 86. ამეთვისტო; 87. მეთ; 88. ცეცე; 89. მაცი; 90. ცა; 91. ნინი; 92. ნინიძე; 93. ან; 94. ლევ; 95. ხე; 96. ნიკ; 97. ნია; 98. კია; 99. ობი; 100. ბერნი. იკითხება: „ჩემი ფეხები“. გაქცეული ციკანი. გაფითრდეს. ხელებიც. ჰოლივუდის. აბანო. ცოცხით. ხელებსაც.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**მამუკა არეშიძე**, ექსპერტი: „ხან იყო ლაპარაკი, თითქოს, დამატებითი გაზი გვჭირდება, ხან იყო საუბარი, თითქოს უნდა შეცვლილიყო გადახდის ფორმა. მოკლედ, ბურუსმა მოიცვა ეს საკითხი, ხელ-ფეხი გაეხსნათ იმ ადამიანებს, ვინც დღევანდელი ხელისუფლების წინაამდეგია. საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი დარჩა აღშფოთებული იმიტომ, რომ მათ ინფორმაცია მოაკლეს“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**უჩა ნანუაშვილი**, სახალხო დამცველი: „სახელმწიფოს არ გააჩნია ბავშვთა თვითმკვლელობის პრევენციის ერთიანი დოკუმენტი. ამდენად, ვერ ხერხდება პრობლემის გამომწვევი მიზეზებისა და რისკ-ფაქტორების შესწავლა და აღნიშნული ფენომენის აღმოსაფხვრელი პრევენციული ზომების მიღება“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**ლადო სადღობელაშვილი**, „თავისუფალი თაობის“ ლიდერი: „საქართველოს სირცხვილია, შენ რომ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა გიჭირავს, საქართველოს სირცხვილია „რესპუბლიკური“ პარტია ასეთ რესურსს რომ ფლობს, თუმცა დარწმუნებით იცოდე, რომ ამას ერთი ადამიანის პატივისცემით ითმენს მოსახლეობა, იმიტომ, რომ გვჯერა მისი და არა შენი, ან რომელიმე შენი ბინძური თანაპარტიელის“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**ზურაბ ჯორბენაძე**, ადვოკატი: „როდესაც სახელმწიფო აღიარებს, რომ მას ჰყავს 197 პოლიტპატიმარი, მაშინ, რატომ არ გვყავს პასუხისგებაში მიცემული 197 პროკურორი ან იმდენი, რამდენიც ამ საქმეებში მონაწილეობდა?“

# პოსტებზე დარჩენილები ფიქრობენ, პრემიერი ჩუმად!!! ეს ღალატის ტოლფასია!“

## კოლეგას, თორემ მერე გვიან იქნება“



„დათესეს ქარი? — მოიმკიან ქარიშხალს. ამათ ისეთი ვულკანი გააღვიძეს, რომელსაც ვეღარ ჩააქრობენ“

„რომ დადიან ეკლესიაში და ჩემი სიგრძე სანთლები რომ უჭირავთ და თავზე თავშალი აქვთ მოხვეული, მუხლებზე ჩოქვით რომ პოზიორობენ, თურმე როგორი მორწმუნეები არიან, ასე არ არის, რა!“

„„კეთილისმსურველები“ მირჩევენ, — სანდრო გაჩერდი, თორემ თანამდებობას დაკარგავო! თანამდებობას დავკარგავ კი არა, სიცოცხლე რომ დავკარგო, მაინც არ გავჩერდები“

*მეთვრამეტე გვერდიდან*

არა მარტო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, არამედ ნებისმიერი რელიგიური მიმდევრობის სულიერი ლიდერის შეურაცხყოფა.

იცით, ამათ რამხელა საცეცები აქვთ? როგორც კი დაინახეს, რომ მათი ჩანაფიქრების გაშიფვრა მოხდა, არ იციან, რა გააკეთონ. დადიან, ეძებენ სხვადასხვა სახის კომპრომატებს, უნდათ, რომ ეს ყველაფერი სხვა სიბრტყეში გადაიყვანონ...

**— ვინ უდგას თავში ამ პროცესებს?**

– პირდაპირ გეტყვით, ამ ყველაფერს სათავეში უდგას, „ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ე.წ. ფრთა და მისი ხელმძღვანელი გიგა ბოკერია. აი, ესენი, ყველანი, გიგა ბოკერიას ხელის ბიჭები და გოგოები არიან. იბრძვიან, რომ ფული იშოვონ გრანტების სახით და მეორე მხრივ, ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ საქართველოს მიენიჭოს ტერიტორიული ერთეულის სტატუსი, სადაც ქართველები კი არ ცხოვრობენ, არამედ ცხოვრობენ ისეთი წარმოშობის მუტანტები, როგორებიც არიან თვითონ.

**— რას ამბობენ ყოველივე ამაზე მთავრობაში? ხელისუფლების წარმომადგენლებს თუ ესაუბრეთ ამ საკითხებზე? რატომ არიან ჩუმად? არავის აღელვებს ეს პროცესები?**

– ძალიან ბევრი ჩემი კოლეგა და თანამებრძოლია შეშინებული. ბევრმა დამირეკა და მეუბნებიან, – სანდრო, გაჩერდი შენი ჭირიმე, ვერ მოერევი მაგათ, ათასგვარ სიბინძურეს დაგაბრალებენ, ლაფში ამოგსვრიან. ეს ყველაფერი იცით, რას მაგონებს? – ჩემს ბავშვობაში რატომღაც რომანტიკულად ითვლებოდა ქურდული ცხოვრება და ეზოში ბიჭებს, ჩვენი უფროსი მეგობრები გვეუბნებოდნენ ასეთ რამეს, რომ „კანონიერმა ქურდმა“ ხელიც რომ გაგარტყას და დედა რომ შეგაგინოს, შენ ხელი არ უნდა შეუბრუნო, იმიტომ, რომ „ქურდიაო“. ახლა რა ხდება, ესენი, ეკლესიასთან მებრძოლები, „კანონიერი ქურდების“ სტატუსით მოძრაობენ? ჩვენ გვირტყან, გვლანძღონ, გვაგინონ ისე, რომ სიტყვის შებრუნება არ შეიძლება? ხმა ამოიღეთ!!! – ვეუბნები ჩემს ყველა კოლეგას. შვილები გვყავს, ოჯახები გვყავს... საქართველო დგას ჩვენს უკან, თორემ მერე გვიან იქნება. არანაირი სკამი და ფული არ ღირს იმად, რომ ქედი მოუხარო იმ მანქურთებს, რომლებიც მოწადინებული არიან ყველაზე დიდ სიმტკიცეზე, რწმენაზე ითამაშონ. ყველამ დააფიქსიროს პოზიცია – რომ დადიან ეკლესიაში და ჩემი სიგრძე სანთლები რომ უჭირავთ და თავზე თავშალი აქვთ მოხვეული, მუხლებზე ჩოქვით რომ პოზიორობენ, თურმე, როგორი მორწმუნეები არიან, ასე არ არის, რა! მორწმუნეობა ნიშნავს შენი სარწმუნოების დაცვას და არა კამერების წინ პოზიორობას. აწი უნდათ, გადამაყენონ და უნდათ, გადმომაყენონ. როგორი ქარცეცხლები გამოვიარეთ, ისევ ისეთში ვივლი, რომ ასეთი ადამიანების ადგილი არათუ ხელისუფლებაში, არამედ სახელმწიფოშიც კი არ იყოს.

ერთ ფაქტს გაგახსენებთ – შარშან, ირაკლი ღარიბაშვილმა რომ ისაუბრა ოჯახის ინსტიტუტზე, მაშინ პრემიერ-მინისტრიც კი კინაღამ შეჭამეს ამის გამო. კარდაკარ დაიწყეს სიარული და ხდებოდა მისი კომპრომეტაცია. ეს არ იყო მატო გარედან, ეს ხდებოდა შიგნითაც. ახლა, როცა ღარიბაშვილი წააქციეს, პოსტებზე დარჩენილები ფიქრობენ, პრემიერი წააქციეს და ჩვენ რაღას გვიზამენო და არიან ჩუმად. სიმამაცის ელექსირი რომ არსებობდეს, დავალევინებდი, მაგრამ არ იღებენ ხმას და ვის რა გინდა, აიძულო?!

**— თუ ეს სიჩუმე შენარჩუნდა ხელისუფლებაში, მაშინ რას აპირებთ?**

– ბოლოჯერ ვამბობ – ხმა ამოიღეთ! თორემ, თუ ხმას არ ამოიღებენ, მე წავალ და ჩემი წასვლით შესაძლოა, ქვეყანა არ დაიქცეს, მაგრამ მე წავალ, გარედან დავიწყებ ბრძოლას და ჩემს გაჩერებას ნურავინ ნუ შეეცდება, რა. დავაკვირდები ჩემი კოლეგების რეაქციებს. თამარ კორძაიამ გააჩუმოს თავისი ოჯახის წევრები, ეგღა მაკლია, თამარ კორძაია მიმითითებდეს, რა უნდა გავაკეთო. მთელი საპარლამენტო უმრავლესობა მის ლანძღვაგინებაში რომ არის და პირში ვერაფერს ეუბნებიან, მივიდნენ და უთხრან – ის კი არა, შენ გაჩერდი და შედი ბუტკაშიო. აი, ეს უნდა ვუთხრა. პირდაპირ, თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომელიც ყოველთვის ეროვნულ პოზიციაზეა და იქნება, ვსვამ საკითხს – ამას, თუ უნდათ, სამთავრობო სკანდალი დაარქვან და რაც უნდათ, ის დაარქვან, ეს არ არის პოლიტიკური თემა, ზნეობრივი თემაა და ვამბობ, – დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიციები ამ საკითხთან დაკავშირებით. თქვი რა, შეკაიდედმამიშვილო, რის გეშინია?! ამას გავაკეთებ და თუ შედეგად ვერაფერი დავინახე, მეცოდინება, რომ ჩემი ადგილი არ არის იქ, სადაც ეკლესიისა და ეროვნული ფასეულობების დაცვის სურვილი არ არსებობს.

ჩემს წინააღმდეგ დაქირავებული ჟურნალისტების მხრიდან, ბევრი სიბინძურე წამოვა და მე წინასწარ მინდა, ბოდიში მოვუხადო ჩემს ოჯახს, რომელსაც ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავაგდებ ამის გამო, ბოდიში მინდა მოვუხარო ჩემს ყველა იმ მეგობარს, რომლებიც ძალიან ინერვიულებენ შემდგომ პროცესებზე, მაგრამ მე ამ ბრძოლას ვერ მივატოვებ. სულ მარტო რომ დავრჩე ამ ქვეყანაზე, მარტო არ გავჩერდები, ვერ გამაჩერებენ. 19 წლის ბიჭი ვიყავი, როდესაც „მხედრიონმა“ დამიჭირა და სასტიკად მაწამა ორჯერ. ჩემგან მხოლოდ ორ სიტყვას ითხოვდნენ, რომ ტელეკამერების წინ აუგი მეთქვა ზვიად გამსახურდიაზე. ვერ მათქმევინეს. 19 წლის ასაკში ვერ გამტეხეს და ახლა ხომ მით უმეტეს ვერ გამტეხენ, რაც არ უნდა ქნან და როგორ არ უნდა ქნან. ჩვენი მფარველი ამ ბრძოლაში, წმინდა გიორგი და მისი მადლი იქნება, ხოლო მათი მფარველი, ამ ბრძოლაში, სერგო ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის ბინძური სულები იქნებიან.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**ვიდრე „ქართული ოცნების“ წევრები შპაგატში ჯდებიან, ჰაერში სალტოებს აკეთებენ და ფეხებს აბაკუნებენ, — ოქროს თევზები გვინდა, თუ სიაში არ მოვხვდებით, ხარაკირს ჩავიტარებთო, ამასობაში კიდევ გაფრინდა ჩვენი ლარი, გაფრინდაააა... ამათ აწუხებთ ხალხის ბედი?!. ესენი ზრუნავენ ჩვენს ხელფასებზე, კრედიტებსა და ვალებზე? მთავარია, მათ ჰქონდეთ კარგი ხელფასი, დანამატები, ულიმიტო სასაუბრო ბარათები, საწვავის ტალონები, მაგარი მანქანები, დანარჩენებს მოსტ...იათ პატრონი. ეს ყველაფერი მხოლოდ ჟურნალია, წინ კი მძაფრსიუჟეტიანი კინო გველის. ჩვენ გვგონია, რომ ვიმყოფებით სოციალურ კრიზისში, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს მხოლოდ კრიზისის შესავალია. ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში ისეთი ტოტალური ინფლაციაა, აზერბაიჯანელებს ყველაზე ცუდ სიზმარშიც რომ არ უნახავთ. საქართველოში ლარის კურსი ვარდნას განაგრძობს. მთავრობა დუმს, ექსპერტები შეგნებულად აღარ პროგნოზირებენ, საბოლოოდ რა ნიშნულს მიაღწევს ლარი დოლართან მიმართებაში, რათა უფრო მეტი დაძაბულობა არ შექმნან. აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესები კი ერთგვარი სიგნალია, დავინახოთ საქართველოში მოსალოდნელი რეალობა ლარის ინფლაციასთან დაკავშირებით.**

**ეკონომისტი დემურ გიორხელიძე „კვირის ქრონიკის“ კითხვაზე, — რამდენად იქონიებს გავლენას მეზობელ ქვეყანაში ტოტალური ინფლაცია, აცხადებს:**

– აზერბაიჯანის ეკონომიკა თავიდან ბოლომდე აგებული იყო ნავთობსა და გაზზე, ამ პროდუქტებზე ფასის ასეთი კატასტროფული ვარდის პირობებში, რა თქმა უნდა, დადგებოდა აზერბაიჯანი ამ პრობლემის წინაშე. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკური სტრუქტურა საკმაოდ პრობლემატურია. საბაზრო ეკონომიკური პრობლემები გაცილებით გლობალურია, ვიდრე საქართველოში, რადგან იქ არ არის თავისუფალი კონკურენტული გარემო, რაც კრიზისულ სიტუაციებს ვეღარ უძლებს. ჩვენ, ქართველები, რისთვის ვემზადოთ? ერთი მხრივ, ის, რაც გვჭირდება, რომ გაიაფდეს – ენერგომატარებლები, მისი გაიაფება ჩვენთვის ცუდი სულაც არ არის. გააჩნია, რამდენად აისახება სახელმწიფო შიდა პოლიტიკაზე ის რეალობა, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ჩამოყალიბდა. ნავთობზე ფასის შემცირების მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ საკმარისზე მაღალია ნავთობპროდუქტებზე ფასი. ბუნებრივია, ჩვენი პრობლემა არ არის ნავთობზე ფასის დაცემა, არამედ დოლარის გამყარებაა, რომელიც დამატებით პრობლემას ქმნის ქართული ვალუტისთვის. რეფინანსირების განაკვეთის ზრდა დამატებით ზეწოლას ახდენს ყველა ვალუტაზე, განვითარებად ქვეყნებში ინვესტორები ფულის ჩადებისგან თავს შეიკავებენ, ფული დაიძვრება ისევ შეერთებული შტატებისკენ, დოლარის გამყარების თაობაზე 2016 წელს ჩვენ გვაქვს პრობლემა, რომელიც ნავთობის ფასს კიდევ უფრო ქვევით ექაჩება, ლარზე ზეწოლა გაძლიერდება, ფაქტობრივად, ჩვენ ვხედავთ იმ შედეგს, რომელზეც, საუბედუროდ, ადრეც ვსაუბრობდი, რომ 2,40 არ არის წონასწორული მდგომარეობა და ახალი წლის ადრე პერიოდიდან სერიოზული რყევები იქნებოდა მოსალოდნელი. ფუნდამენტური ხასიათის პრობლემა იგივე რჩება, ფულის მოზიდვის სტაბილური არხები არ არსებობს, სავალუტო წყაროების შემოდინების სტაბილური არხებიც არ არსებობს, ექსპორტი იკლებს, ისედაც ძალიან მწირია, მოხმარება იკლებს იმის გამო, რომ არ არის შემოსავლები და ეს კიდევ უფრო კუმშავს ეკონომიკას. ჩვენ მოგვიწევს ამ არასტაბილური სიტუაციის პასიური დაკვირვება, ჯერჯერობით ვერ ვხედავ სახელმწიფოს და ეროვნული ბანკის შეთანხმებულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

**— დაახლოებით, რა ნიშნულს მიაღწევს ლარი დოლართან მიმართებაში?**

– ამის პროგნოზირება ძალიან რთულია, საქმე ის არის, რომ 2016 წელი ყველასთვის ძალიან მძიმე იქნება, მათ შორის, საქართველოსთვის, ჯერ კიდევ შარშან თქვენთან ინტერვიუში ვსაუბრობდი, რომ 2016 წელი იქნებოდა გაცილებით რთული და მძიმე, საგანგებო მდგომარეობაა შექმნილი, რასაც სჭირდება საგანგებო გადაწყვეტილებები. ამას სჭირდება ეროვნული ბანკისა და მთავრობის ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და ვერ ვხედავ გზას, როგორ უნდა ავიცილოთ მოსალოდნელი კრიზისი. რა თქმა უნდა ვარდნას ამ ეტაპზე ვერავინ შეაჩერებს, მაგრამ აქ საუბარია, რამდენად ინტენსიური იქნება ეს ვარდნა, ნელი, მცოცავი დაშვება ლარის კურსისა ქვემოთ, რომელიც გარდაუვალია... მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყნის გარეთ სიტუაცია არაკონტროლირებადია და შეიძლება სერიოზულ გართულებამდე მივიდეთ, ჩვენს მეზობელ განვითარებად ქვეყნებში სერიოზული კრიზისია, რაც დამატებითი ზეწოლის ფაქტორი იქნება. ამიტომ, აქ საჭიროა გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გათვლილი იქნება არა ერთ და ორდღიან შედეგზე, პროექტების განხორციელებას სჭირდება რაღაც დრო და ეს პროექტები უნდა იყოს მიმართული საშინაო წარმოების განვითარებაზე, განსაკუთრებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წარმოებების განვითარებაზე. მანამდე როგორმე უნდა გავძლოთ და გავიაროთ ეს რთული პერიოდი. თუკი ვცდილობთ, რომ პრობლემები მოკლე პერიოდში დასრულდება, ეს არის შეცდომა, რადგან მსოფლიოში ეს კრიზისი მოკლე პერიოდში არ დასრულდება, ამიტომ, ხანგრძლივი, მძიმე პერიოდისთვის უნდა მოვემზადოთ.

**— ბატონო დემურ, რა იქნება პიკი? თქვენ გვთავაზობთ დაახლოებით ასეთ ფორმულას — ვემზადოთ ომისთვის, რომ გვქონდეს მშვიდობა. რისთვის ვემზადოთ, ბოლო ნიშნული რა იქნება, რასაც ლარი დოლართან მიმართებაში მიაღწევს?**

– ნეგატიური ინფორმაციით რომ არ დავზაფროთ ხალხი, შემიძლია, ძალიან ფრთხილად გითხრათ, საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუკი ხელისუფლების ხელში ლარის კურსის დაცემა კონტროლირებადი იქნება და ის მდორედ, ნელ-ნელა დაეშვება, რომ რაღაც ადაპტირების საშუალება მაინც მისცეს მოქალაქეებს. პრობლემა რჩება პრობლემად, ქვეყანას სჭირდება ვალუტა, ვალუტა არ არის, ვალუტის შემოდინების ყველა წყაროში გვაქვს უდიდესი პრობლემა. ვერ გეტყვით კონკრეტულ ნიშნულს, რადგან არც არსებობს კონკრეტული ნიშნული, რამდენს მიაღწევს ლარი დოლართან მიმართებაში, ღმერთმა დაიფაროს და ქვეყანაში უმართავი პროცესები რომ წავიდეს, ვერავინ მოზომავს ქვედა ძირს, ამიტომ ახლა არის სწორი და ფაქიზი გადაწყვეტილებების მიღების პერიოდი.

**— საქართველოს მოსახლეობის 80% ბანკთან ანგარიშვალდებულია. რა ელოდება ხალხს, ვისაც კრედიტები აქვს აღებული?**

– რა თქმა უნდა, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, სახელმწიფო დონეზე მორიგი გადაწყვეტილებაა მისაღები, როდესაც დომინირებს სავალუტო სესხები დოლარში, ასეთი გამოკვეთილი ტრენდის პირობებში, ვალის დაფარვის პრობლემა ჩნდება. ეს უკვე მსესხებლის უპასუხისმგებლობასთან დაკავშირებული არ არის, ეს ხდება საგარეო და საშინაო ფაქტორების გამო, შეუძლებელი გახდება სესხების დაფარვა, არ გამიკვირდება, თუ პირველ კვარტალში პრობლემური სესხების პროცენტი კიდევ უფრო გაიზრდება და შეიძლება წლის განმავლობაში საშიშ მდგომარეობას მიაღწიოს.

**— ამ ფონზე მოსალოდნელია სოციალური ბუნტი?**

– ჯერჯერობით ნაკლებად სავარაუდოა სოციალური ბუნტი, მთავარია, რამდენად მოხერხდება ინფლაციის დაჭერა მეტ-ნაკლებად მისაღებ საზღვრებში. შექმნილი მდგომარეობა აშკარად გამოიწვევს ფასების ზრდას, ჩვენ დევალვაციის პირველი სერიოზული ტალღა ისე გადავიტანეთ, რომ ინფლაცია ნახტომისებურად არ შეიცვალა, ეს თავისთავად კარგი იყო, მაგრამ ახლა, ამ სიტუაციაში ინფლაციის ზეწოლის საფრთხე არის განსაკუთრებულად მაღალი.

**— ოპოზიცია ყოფილ პრემიერს ირაკლი ღარიბაშვილს ადანაშაულებს ლარის ინფლაციაში, გადადგა ღარიბაშვილი, მაგრამ მცოცავი ინფლაცია არ შეჩერებულა.**

– ღარიბაშვილი ლარის ინფლაციასთან პირდაპირ კავშირში არ არის, ეს იყო ეროვნული ბანკისა და მთავრობის სუსტი მუშაობის შედეგი, ჩემთვის ეროვნული ბანკიც და მთავრობაც, ერთი რიგია, ორივე ხელისუფლებაა, მათი ხელმძღვანელების მიუხედავად, მათმა სუსტმა პოლიტიკამ განაპირობა ლარის ინფლაცია, რა თქმა უნდა, ღარიბაშვილი არ

# ამათ აწუხებთ ხალხის ბედი?!. ესენი ზრუნავენ ჩვენს ხელფასებზე, კრედიტებსა და ვალებზე? მთავარია, მათ ჰქონდეთ კარგი ხელფასი, დანამატები, ულიმიტო სასაუბრო ბარათები, საწვავის ტალონები, მაგარი მანქანები, დანარჩენებს მოსტ...იათ პატრონიო!

**„სამწუხაროდ, არც არსებობს კონკრეტული ნიშნული, რამდენს მიაღწევს ლარი დოლართან მიმართებაში“**





**„თუ ბიძინა ივანიშვილი ხელს შეუშლის აღმასრულებელ გუნდს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები მიიღოს, დამერწმუნეთ, ვითარება უფრო გართულდება, რადგან ივანიშვილს არ გააჩნია რესურსი, ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს“**



**„შეუძლებელი გახდება სესხების დაფარვა, არ გამიკვირდება, თუ პირველ კვარტალში პრობლემური სესხების პროცენტი კიდევ უფრო გაიზრდება და შეიძლება წლის განმავლობაში საშიშ მდგომარეობას მიაღწიოს“**

მიეკუთვნებოდა ძლიერი პრემიერ-მინისტრის კატეგორიას, რომელსაც პროფესიულ დონეზე შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა.

**— ახალი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც ეკონომიკის მინისტრი გახლდათ და მას ექსპერტები საყვედურობდნენ იმის გამო, რომ არ იყო აქტიური და მისი მინისტრობით ქვეყანას არაფერი დასტყობია, რამდენად გაართმევს თავს პრემიერის პოსტზე არსებულ გამოწვევას?**

– საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღები არის მთავრობა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. ცალკეულ სამინისტროებსა და მინისტრებს არ შეუძლიათ, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება, გიორგი კვირიკაშვილი კვალიფიციური და წესიერი ადამიანია. ვფიქრობ, კრიზისული სიტუაცია ყველას აიძულებს, მათ შორის კვირიკაშვილს, მიიღონ მყისიერი, კვალიფიციური და მათ შორის, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, რომელიც სიტუაციიდან გამომდინარეობს და რომელიც დაჯგუფების ინტერესში არ არის მოხვედრილი, რომელიც დაგაძლევინებს კრიზისს. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა უდიდესი პრობლემების წინაშე დადგება... იმის იმედი არ უნდა ჰქონდეს მთავრობას, რომ არსებობს პიროვნება, რომელიც ხელისუფლებაზე უფრო მაღლა დგას, სახელმწიფო დონეზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები და არა რომელიმე პიროვნების ფაქტორიდან გამომდინარე. ვფიქრობ, თუკი კვირიკაშვილი ენერგიულად და სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედებს, მას აქვს უნარი, სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს, მთავარია, ხელი არ შეუშალონ.

**— ნოდარ ხადური უკვე მერამდენედ გადაურჩა საკადრო ცვლილებას, თუმცა ახლა კი დადასტურებით აცხადებენ, რომ ხადური პოსტს დატოვებს. მინისტრების ცვლა იმოქმედებს ლარის ინფლაციის შეჩერებაზე?**

– საქმე ის გახლავთ, რომ მთავარი აქ მინისტრების პიროვნებები არ გახლავთ, ჩემთვის მთავარია გადაწყვეტილებები, რომელიც კრიზისულ სიტუაციას სჭირდება. ეჭვი არ მეპარება, მთავრობაში სერიოზული ცვლილებები გარდაუვალი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, მთავრობა არჩევნებს წააგებს. ასევე, წავაგებთ ჩვენ, ყველა. ვინც არ უნდა იყოს ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელი, ამას ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, მთავრობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. სიტუაციის ზერელე ხედვა, არის აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული, შედეგს არ მოიტანს, პირიქით, კრიზისს გააღრმავებს. მით უმეტეს, არ დაგავიწყდეთ, რომ ვიმყოფებით საარჩევნო ციკლში, რომელიც თავისი არსით არის დესტაბილიზაციის შემცველი, ბუნებრივია, დაპირისპირებული ძალები ხელისუფლების ყველა წარუმატებლობას გამოიყენებენ ხელისუფლებასთან დაპირისპირებისთვის. ამიტომ ეს არის კიდევ უფრო მეტად დამამძიმებელი ფაქტორი 2016 წლისთვის და რეალურად შეიცავს დესტაბილიზაციის წყაროს. თუ ბიძინა ივანიშვილი ხელს შეუშლის ალმასრულებელ გუნდს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები მიიღოს, დამერწმუნეთ, ვითარება უფრო გართულდება, რადგან ივანიშვილს არ გააჩნია რესურსი, ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს. სახელმწიფომ ახლა კომპლექსური პოლიტიკა უნდა გაატაროს, როგორც ეკონომიკაში, ასევე ყველა სფეროში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიმინალური სტატისტიკა გაიზრდება და დანაშაულს ვერავინ შეაკავებს და დანაშაულთა სტატისტიკა გაიზრდება.

**— „გაზპრომთან“ დაკავშირებულ სკანდალს როგორ აფასებთ?**

– ეს არის ცარიელ ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი, ამ ხმაურს აშკარად გარკვეული ინტერესები უდევს საფუძვლად, დღევანდელი გადასახედიდან იმ პირობების გათვალისწინებით, რა პირობითაც „გაზპრომთან“ მიდის საუბარი, არანაირი საფრთხე საქართველოს და მის დამოუკიდებლობას არ ემუქრება. რუსეთს ისედაც უამრავი ობიექტი აქვს საქართველოში ოფიციალურად და ლეგალურად, რომელიც წინა ხელისუფლებამ გადაულოცა. ასე რომ, ეს არის უპასუხისმგებლო პოლიტიკური ჯგუფის მიერ გარკვეული ინტერესით წარმოქმნილი პრობლემა, რომელსაც აქვს ხელისუფლების მორყევის მიზანი. ხელისუფლება ისედაც სუსტია და, ფაქტობრივად, სერიოზულ, არგუმენტირებულ პასუხს ვერ სცემს დაინტერესებულ ჯგუფს, სინამდვილეში, საქართველოში ენერგომონოპოლიის სერიოზული ნიშნებია, რომელზეც არ ლაპარაკობს ხელისუფლება. ხელისუფლებამ და მათ შორის ბიძინა ივანიშვილმა ვერ მოუარა ამ პრობლემას თავის დროზე, თუმცა მცდელობები ჰქონდა. მაგრამ როცა ამხელა პრობლემაა, ხელისუფლების პირველმა პირმა უნდა გაჭრას კვანძი და როცა საკუთარ ხელქვეითს გადაულოცავ ამ პრობლემას, იქ იწყება ათასი უბედურება და ჩვენ სწორედ ამის გამო ვერ მოვაგვარეთ აქამდე ეს პრობლემა ბოლო სამი წლის განმავლობაში. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, წინა ხელისუფლება განიხილავდა რუსეთზე გაზსადენის მიყიდვის საკითხს. ბენდუქიძე აცხადებდა, რა მოხდა მერე, თუკი რუსები გაზზე ფულს გადაგვიხდიან, ამიტომ „გაზპრომზე“ ატეხილი სკანდალი, ეს არის უფრო დაინტერესებული პოლიტიკური ჯგუფის შეფასებები, თითქოს „გაზპრომის“ გამო ქვეყანა დაიქცევა. ქვეყანა სხვა რამის გამოა პრობლემებში და არა იმის გამო, რომ ქვეყანაში „გაზპრომზეა“ საუბრები. სამწუხაროა, რომ მთავრობას არ ეყო გამბედაობა, ღიად ესაუბრა „გაზპრომთან“, რაზეც საუბრობს ის დახურულ კარს მიღმა.

# რამდენით და რატომ ძვირდება ხორცი?



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80




**რა პრობლემის წინაშე დგანან ხორცზე მომუშავე ბიზნესოპერატორები და რა პრობლემების წინაშე დადგებიან მალე სუპერმარკეტები, აგრარული ბაზრების მყიდველები?**

**„ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე, გიორგი ბურჯანაძე:**

– ახლო წარსულში „ქრონიკისთვის“ მოცემულ ინტერვიუში ვსაუბრობდით, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ჰასპის“ პროგრამა უნდა აემუშავებინა. აღნიშნულის შესახებ, ვამბობდით, რომ ის გარკვეულ პრობლემებს შეუქმნიდა, როგორც მოსახლეობას, ასევე ბიზნესოპერატორებს. აღნიშნული პროგრამა ამუშავდა პირველი იანვრიდან. კონკრეტულ პრობლემას წარმოადგენს ბოინები (სასაკლაოები). ქალაქ თბილისი და მიმდებარე ტერიტორიები მარაგდება, ქალაქგარეთ, რამდენიმე ასეულ კილომეტრზე განლაგებული ბოინიდან (საუბარია მარნეულზე). აღნიშნული რამ პრობლემას, დისკომფორტს უქმნის პირველ რიგში ბიზნესოპერატორებს, რომლებიც ამხელა მანძილიდან ეზიდებიან ხორცპროდუქტებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც თბილისში არის 5 თუ 6 სასაკლაო, მე არ ვიტყვი, რომ რომელიმე კონკრეტული გახსნან, უბრალოდ, ვამბობ, რომ როდესაც არის ამდენი ბოინი, მათივე სურვილის მიხედვით გახსნან, რომელიც მოესურვებათ, რომ თბილისში მომუშავე ბიზნესოპერატორებმა აქვე, თბილისში, შეძლონ სუპერმარკეტების, აგრარული ბაზრების მომარაგება.

ეს მანძილი ქმნის პრობლემას იმ მხრივაც, რომ მეწარმე იძულებული ხდება, ფორსმაჟორულ მდგომარეობაში იმუშაოს. მათაც აქვთ გარკვეული ვალდებულებები სუპერმარკეტებთან და გარკვეულ ვადებში უნდა მოამარაგონ კონკრეტული შპსები. როდესაც საცობია აღნიშნულ სასაკლაოზე და ბიზნესოპერატორები ერთმანეთს თავზე ახტებიან, – არა ჩემი დაკალი და არა ჩემიო, ეს პრობლემას ქმნის ვალდებულებებში, რაც მერე ფინანსურ სანქციებში აისახება. ეს, სამეწარმეო საქმიანობის განვითარება კი არა, ხელშეშლაა და ისეთი პრობლემების შექმნაა, რომელზეც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

**— რა პრობლემების წინაშე დადგებიან უბრალოდ მყიდველები? ადამიანები, რომლებიც ხორცის საყიდლად შევლენ ბაზარში?**

– მიიღებენ უხარისხო პროდუქტს, ვინაიდან, როცა ყველა ვერ ახერხებს სასაკლაოში შესვლას და ხორცპროდუქტების დამუშავებას, იძულებულია ეზოში მოჭრას ის მკვდარი თუ ცოცხალი, კარგი თუ ცუდი ხორცი.

**— რაც შეეხება ხორცის ფასს, როგორ იმოქმედებს ამ საკითხზე?**

– შედეგად, მივიღებთ 20-დან 35%-მდე ფასნამატს. მოვუწოდებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოგვისმინოს და გაითვალისწინოს ის პრობლემები, რაც ჩვენს თვალთახედვაში ხვდება და რაზეც გესაუბრებით. რატომღაც ვერ ხედავენ დამოუკიდებლად და ალბათ, არც უნდათ ამის ყურება. გვინდა, რომ უწყებას ვუთხრათ შესაბამისი რამ – ის სარეკომენდაციო სახეები, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მისცა ბიზნესოპერატორებს, ჰასპის სტანდარტთან მიმართებაში, უკვე შესრულებული აქვთ და ნუ ელოდებიან სარეკომენდაციო ვადის გასვლას. მისცენ მუშაობის უფლება და ეს დიდწილად მოაგვარებს პრობლემებს. შედეგად, მე, როგორც მომხმარებელი და თქვენ, როგორც სუპერმარკეტის ადმინისტრაცია, დაზღვეული ვიქნებით, რომ დახლზე დროულად გვექნება ხარისხიანი პროდუქტი.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

– გამოსავალი არის იმაში, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და შესაბამისმა სამსახურებმა, დროულად დაიწყოს სასაკლაოებისთვის ვალდებულების ამოქმედებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მინიჭება. ეს არის ჩვენი მოთხოვნა. ასევე, ჩვენი მოთხოვნაა, რომ გაიხსნას ის სასაკლაოები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრე, არის ამის საშუალება.

**— თუ რეალურად არსებობს იმის შანსი, რომ ამოქმედდეს სასაკლაოები, რატომ იბლოკება ყველა მათგანი იმ ერთის ხარჯზე?**

– აქ იკვეთება კონკრეტული ბიზნესინტერესები, კორუფციული სქემა, აქ კეთდება დიდი ფული, სადაც გარკვეული სახის მექანიზმები იყო ჩადებული, რაც უნდა ამოქმედებულიყო.

**— ვინაა ჩართული ამ ამბებში, ვინაა დაინტერესებული ამ ყველაფრით?**

– ეს პრობლემა არსებობს და იმართება ქვედა რგოლიდან. პროცესები მართულია და ამ ყველაფრის უკან მდგომი ადამიანები უნდა გამოაშკარავდნენ. სასწრაფოდ უნდა ჩამოაცილონ კორუმპირებული ადამიანები ამ სფეროს. ხალხს მილიონები ჩაადებინეს, რომ მათი საქმიანობა იქნებოდა მონოპოლიზებული და უცებ, სხვა სასაკლაოები რომ გაიხსნას, ხომ გამოვა ეს ადამიანი და იტყვის, – ძმაო, მე შენ რომ ფული გადაგიხადე, ეგრე არ არისო და ჩვენთან მოვა და ილაპარაკებს, რაც და როგორც მოხდა. ამიტომაც ხდება ასე, ამიტომ არ აწყობთ სხვა სასაკლაოების გახსნა. ამ საკითხზე სამინისტრო მუშაობს, მაგრამ როცა მინისტრი ამბობს, გააკეთეთო და არ აკეთებენ, მინისტრმა რა უნდა ქნას?

**— ასეთ ადამიანებს სამსახურიდან უშვებენ, როგორ თუ რა უნდა ქნას?**

– ხაზს ვუსვამს, რომ პროექტი ამოქმედდა პირველი იანვრიდან. ბევრი სამსახური ისევ დასვენების რეჟიმშია, მოდუნებული არიან. დარწმუნებული ვარ, ორშაბათიდან გააქტიურდებიან სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამსახურები და გადახედავენ ამ საკითხს.

**— ხომ არ თვლით, რომ ამ საქმით შესაბამისი სამართალდამცავი უწყებები უნდა დაინტერესდნენ?**

– უნდა დაინტერესდნენ, აბა, რა უნდა ქნან, მაგრამ რეალურად ვხედავთ იმას, რომ არა ასეთი საქმეებით, არამედ ჩვენი ორგანიზაციით ინტერესდებიან. სისტემა მე მიპირისპირდება. შე დალოცვილო, მე კი ნუ მებრძვი, ვისაც ვამხელ, იმ ამბებით დაინტერესდი. მესიჯიც მივიღე, – ფრთხილად იყავი, ძალიან ჩანხარ და შენი ქმედებებით ძალიან დიდ პრობლემებს უქმნი გარკვეულ რგოლებსო.

**სურსათის ეროვნულ სააგენტოს უფროსის მოადგილემ, კახა სოხაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა:**

**„საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, არსებობს ასეთი ვალდებულება, რომ პირს, რომელიც ახორციელებს ცხოველის დაკვლას, ასევე ბიზნესოპერატორს, რომელიც ახორციელებს ცხოველის დაკვლის შედეგად მიღებული ნედლეულის გადამუშავებას, აქვს ვალდებულება, დაემორჩილოს გარკვეულ ნორმებს. ჰასპის დანერგვა, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არის მოთხოვნილი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი პროდუქციის მიტანას მომხმარებლამდე. ასევე, ჰასპი არის საშუალება, რომელსაც გავყავართ საერთაშორისო ბაზარზე. დღეს ხდება ამ სისტემის ეფექტიანობის შემოწმება და სადაც საწარმო წესების დაცვით მოქმედებს, იქ არანაირი პრობლემა აღარ არის. რას შეეხება სარეკომენდაციო ვადებს — ყველა საწარმო მუშაობს, ვისაც რეკომენდაციები ჰქონდათ მიცემული, არც ერთ ასეთ საწარმოს საწარმოო პროცესი არ შეჩერებია, ისინი ჩვეულებრივ აგრძელებენ საწარმოო პროცესს.**

**მსხვილფეხა პირუტყვის დაკვლასთან დაკავშირებით სტატისტიკასაც მოგიყვანთ — 2013 წელს, დაკვლების რაოდენობა იყო 150 ათასი, 2014 წელს იყო 100 ათასზე ცოტა მეტი, 2015 ში კი 200 ათასს მიაღწია. ეს ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ინტერესია, ბიზნესი განვითარდეს და არა პირიქით. არ არსებობს საქართველოში რეგიონი, სადაც სასაკლაოები არ არის წარმოდგენილი, მე გეუბნებით, რომ მარტო მარნეულიდან არ ხდება თბილისის მარკეტებისა და აგრარული ბაზრების მომარაგება, სასაკლაოები მუშაობს არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც — მათ შორის მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლსა და დასავლეთშიც. გამორიცხულია, მხოლოდ ერთ სასაკლაოს მიეცეს ექსკლუზიური უფლება, რომ ბაზრები მოამარაგოს“.**

## რეპორტაჟი ქუჩიდან

ეთერ ბალაძე
593 15-64-47

## „მეტი საქმე არ გაქვთ ჟურნალისტებს, გაჭირვებულ ხალხს რომ დასდევთ?! რომ არ მიჭირდეს, აქ რა მინდა. მე რას დამდევთ, წადით, ხელისუფლებას ჰკითხეთ, რატომ ჰყავს ხალხი მშიერი?“



## გაიხედე ხელისუფლებავ, თბილისის ქუჩებში შიმშილი დადის!

„მეხანძრე ვიყავი. ახლა ასაკში ვარ, მაგრამ პენსია არ მაქვს. ჩემი შვილი ცალკე ცხოვრობს, შარშან მეუღლე გარდამეცვალა და მარტო დავრჩი. დილით, ადრე გამოვდივარ, რომ აქ არავინ მნახოს. მეზობლებმაც არ იციან. ასე ვშოულობ ყოველდღიურ პურის ფულს“

„შიმშილი საშინელი რამ არის, თავიდან ძალიან მიჭირდა აქ ქექვა, მაგრამ ახლა შევეჩვიე, სხვა რა გზა მაქვს? შიმშილით ხომ არ მოვკვდები?“

საქართველოში სიღარიბის დონე გაიზარდა, თბილისის ქუჩებში სულ უფრო ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ნაგვის ურნებში იქექებიან და საკვებს ეძებენ, ხალხი, ამ ხელისუფლების გადამკიდე, დღითი დღე ღატაკდება და კარგავს სამუშაოს.

გაიხედე ხელისუფლებავ, თბილისის ქუჩებში შიმშილი დადის!

„კვირის ქრონიკამ“ თბილისის ქუჩებში რეპორტაჟი ჩაწერა და იმ ადამიანებს გაესაუბრა, რომლებიც ურნებიდან მინის ტარას, თუ სხვა საყოფაცხოვრებო რკინის ნივთებს აგროვებენ, აბარებენ და საკვებს ყიდულობენ, რათა შიმშილისგან თავი გადაირჩინონ.

ვზივარ და ვხედავ, ნაგვის ურნაში ახალგაზრდა ბიჭი იქექება, ხელით ამოიღებს ბოთლებს და საგანგებოდ მომზადებულ ტომარაში ყრის. უკვე გაავსო ტომარა და წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, მეორე ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა, ისიც ბოთლებს ეძებს, ჯოხით ქექავს ნაგავს, რამდენიმე ბოთლი იპოვა და ძველი ქვაბი, პარკში ჩაალაგა და წავიდა.

ერთი საათის შემდეგ, ურნასთან შუახანს გადაცილებული კაცი გამოჩნდა, თავზე კაპიუშონი ეხურა, ისე, რომ სახე არ უჩანდა, ეძება ურნაში, როგორც ჩანს, ველარაფერი იპოვა და წავიდა.

ვაჟა ფშაველას გამზირზე მდებარე ნაგვის ურნასთან შუახნის ქალია, ხელში პარკი უჭირავს, რაღაცას ეძებს, მორიდებით მივუახლოვდი და თითქოს მეც რაღაცას ვეძებდი და იქაურობა მოვათვალიერე.

შორიახლოს ვდგავარ.

– როგორ დამაგვიანდა მოსვლა, – ჩაილაპარაკა ქალმა.

– უკაცრავად, თქვენც ბოთლებს აგროვებთ? – თითქოს მეც ამისთვის ვიყავი იქ მისული.

– რა გაინტერესებთ? – აგრესიულად მიპასუხა ქალმა, ეჭვით შემათვალიერა და გამეცალა...

სადგურის მოედანზე ნაგვის ურნასთან კაცი დგას, მივედი და მივესალმე.

**ზურაბი აღმოჩნდა, 60 წლის.**

**— უკაცრავად, რას ეძებთ?**

– ბოთლებს ვაგროვებ და ვაბარებ. ადრე საკმაოდ საპატიო პროფესია მქონდა, მეხანძრე ვიყავი. ახლა ასაკში ვარ, მაგრამ პენსია არ მაქვს. ჩემი შვილი ცალკე ცხოვრობს, შარშან მეუღლე გარდამეცვალა და მარტო დავრჩი. დილით, ადრე გამოვდივარ, რომ აქ არავინ მნახოს. მეზობლებმაც არ იციან. ასე ვშოულობ ყოველდღიურ პურის ფულს.

**— დახმარებისთვის სოციალური მომსახურების სააგენტოს რატომ არ მიმართეთ?**

– რომელი სააგენტო მოგცემს საკვებს? ერთხელ დახმარების სათხოვნელად სოციალური მომსახურების სააგენტოში ვიყავი. მოვიდა აგენტი, დეკლარაცია შეავსო, სადაც ჩაწერა, რომ ჩემი შვილი ყოველთვიურად 25 ლარით მეხმარება. თურმე, ეს თანხა საკმარისი ყოფილა თავის გასატანად. რა დახმარება? ადამიანების ბედი არავის ადარდებს. შიმშილი საშინელი რამ არის, თავიდან ძალიან მიჭირდა აქ ქექვა, მაგრამ ახლა შევეჩვიე, სხვა რა გზა მაქვს? შიმშილით ხომ არ მოვკვდები?

**ბუკიას ბაღთან ახალგაზრდა ქალი გავიცანი, ლამზირა, 35 წლის... ისიც ბუნკერში ეძებს გადარჩენას...**

**— რას ეძებთ?**

– ოქროს (თან იცინის). რა გნებავთ?

**— არაფერი, ჟურნალისტი ვარ და რეპორტაჟს ვაკეთებ.**

– მეტი საქმე არ გაქვთ ჟურნალისტებს, გაჭირვებულ ხალხს, რომ დასდევთ? რომ არ მიჭირდეს, აქ რა მინდა. მე რას დამდევთ, წადით, ხელისუფლებას ჰკითხეთ, რატომ ჰყავს ხალხი მშიერი? კარგი ხელისუფლება რომ გვყავს, აქ იმიტომ ვარ. ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს, მარტოხელა ვარ, არ გაგეცინოთ და ეს ნაგავი ჩემთვის ოქრო გახდა. აქ რომ არ მოვსულიყავი, შვილები შიმშილით დამეხოცებოდნენ. დღეში 10 ლარის რკინას თუ ბოთლებს ვაგროვებ. თავიდან ძალიან მრცხვენოდა, ახლა შევეჩვიე. თუ ჟურნალისტი ხართ, იმაზე დაწერეთ, ხელისუფლება რატომ არ ზრუნავს ჩვენზე, თვითონ ხომ არაფერს იკლებენ, ჩვენ კი ხედავთ რა დღეში ვართ?

**გიორგი კალაშვილი, 54 წლის:**

– ურნებში ბევრი ხალხი იქექება. იმიტომ, რომ ხალხი დაიმშა, სამუშაო აღარ აქვთ. თუ სადმე ორ კაპიკს აკეთებენ, ბანკში მიაქვთ, რომ სახლი არ წაართვან. თუ დათქმულ დროს ფულს არ მიიტანენ, მაშინ სახლს წაართმევენ და ქუჩაში გამოაგდებენ. სხვა რა გზა აქვთ, ბუნკერში უნდა იქექონ. მოაგროვონ, ბოთლი, რკინა და ჯართში ჩააბარონ. საახალწლო განათებასა და კონცერტზე რომ ამდენი ფული დახარჯეს, ამ ფულით რამდენ ადამიანს დაეხმარებოდნენ? ხალხი კი მშიერია. მეც შევაგროვე ამას წინათ ურნიდან, ამ ფულით სახლში საჭმელი მივიტანე, ოჯახში 5 სული ვართ, არც ერთი არ ვმუშაობთ, რით ვიარსებოთ?

**მერაბი:**

– 30 წლის ვარ, პროფესია არ მაქვს, ხან რა ვიმუშავე, ხან რა, მაგრამ სამსახურიდან დამითხოვეს. ერთ დღეს სიგარეტის და პურის ფული არ მქონდა, ვიფიქრე, ბოთლებს მოვძებნი და ჩავაბარებ-მეთქი. დილით ადრე გამოვედი, ისე ჩავიცვი, რომ არავის დავენახე და დავიწყე ბუნკერიდან ბოთლების შეგროვება. ამის შემდეგ ვაგროვებ, პირველად იმდენი ავიღე, რომ რამდენიმე დღის საჭმელი ვიყიდე. მას შემდეგ ვაგროვებ, აქედან აღებული ფულით ტანსაცმელსაც ვყიდულობ. დილით ადრე თუ არ გამოვედი, სხვები დამასწრებენ შეგროვებას. აქაც იმდენი ხალხი დადის... კონკურენციაა.

სიღარიბის ინდექსის განსაზღვრა სხვადასხვა კრიტერიუმებით ხდება, მოფლიო ბანკმა სიღარიბის ზღვარი, დღეში 1,25 დან 1,90 დოლარამდე გაზარდა. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის, ჯიმი ენ კიმის განცხადებით, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი მსოფლიოში მსყიდველუნარიანობის შემცირება გახდა. ბოლო კვლევებმა კი აჩვენა, რომ იმდენივე პროდუქტის საყიდლად, რაც 2008 წელს 1,25 დოლარად იყო შესაძლებელი, დღეს უკვე 1,90 დოლარია საჭირო.

„ჩვენ 15 ყველაზე ღარიბი ქვეყანა შევარჩიეთ (მათ შორისაა საქართველო) კარგად შევისწავლეთ, როგორ ცხოვრობს იქ ხალხი და როგორია მათი სამომხმარებლო კალათა“, – განაცხადა ენ კიმმა. „იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ძველ ნიშნულს დავტოვებდით, მსყიდველობითუნარიანობის შემცირების ფონზე, გამოვიდოდა, რომ მსოფლიოში სიღარიბე შემცირდა“, – აცხადებს ბანკის მთავარი ეკონომისტი, კაუშიკა ბასუ.

ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, სიღარიბის ზღვარის ზრდა რამდენიმე მილიონ ადამიანს მსოფლიოში სიღარიბის ზღვარს მიღმა დატოვებს... რა ხდება საქართველოში? გაიზარდა თუ შემცირდა სიღარიბის ინდექსი? როგორც ჩვენი ერთი რეპორტაჟიდანაც კი ჩანს, სიღარიბემ არათუ იკლო, არამედ იმატა, ადამიანები ნაგვის ურნებში ეძებენ საკვებს... სამწუხაროდ, ხელისუფლებას მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდება ხალხი...



ლაურა აბრამია
591 97-67-09



**ჩვენი რუბრიკის მორიგი სტუმარია პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა. ის პროფესიით იურისტია, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი, დაიბადა თბილისში, თუმცა ყოველთვის სიამოვნებით უსვამს ხაზს, რომ მისი ფესვები არის ხობში და სამეგრელოში, მისი ბავშვობის ტკბილი მოგონებები სოფელ ხამისკურს და დედულეთში ჩხოროწყუს უკავშირდება.**

– რაც შეეხება გატაცებას, ორი ძირითადი ჰობი მაქვს – მოგზაურობა და ცურვა. ეს ორი დასვენებაა ჩემთვის მთავარი, ან ზღვაზე და აუზზე დასვენება ან მოგზაურობა. ვმოგზაურობ ბევრს, შესაძლებლობების ფარგლებში, ძირითადად მაინც საქართველოს კუთხეებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება მიყვარს ძალიან. ახლა, როცა შვილებიც წამოიზარდნენ, შევძელი ზაფხულში მათთან ერთად ხევსურეთის, თუშეთის, ვარძიის მონახულება და დასვენება, ყველაზე კარგი დასვენება ჩემთვის ასეთ ადგილებში ყოფნაა ოჯახთან ერთად. ცურვას რაც შეეხება, ვცურავ ყოველთვის, როცა კი დრო და საშუალება მაქვს.... ოჯახთან ყოფნის დეფიციტი მაქვს, რა თქმა უნდა, ძირითადად ჩემი მშობლები და მეუღლე მონაწილეობენ ბავშვების აღზრდის პროცესში, ბავშვებთან ურთიერთობას ვახერხებ მაინც, როცა დრო მაქვს. ჩემი ყველაზე დიდი პრიორიტეტია, მათთან ერთად სადმე გავიდე დასასვენებლად, განსაკუთრებით ზაფხულში და ზამთარშიც, როცა პოლიტიკური ცხოვრება არც ისე აქტიურია.

— **ბავშვობის ოცნება თუ გქონდათ, რომელიც ვერ აიხდინეთ?**

– ოცნება როგორ არ მქონდა, მინდოდა ფეხბურთელი გამოვსულიყავი. ბიჭების მთავარი ოცნებაა, მგონი, ეს. მერე მოხდა ისე, რომ არ აღმომაჩნდა ფეხბურთელის მონაცემები და რისი უნარი და მისწრაფებაც აღმომაჩნდა, იმას გავყევი, დავდიოდი ფეხბურთზე, მაგრამ წამყვან და სერიოზულ საფეხბურთო სკოლებში არასდროს მივლია. იმ პერიოდში ეს ჩემი სურვილის მოკვლა იყო, ალბათ, რაშიც მშობლებმა ხელი არ შემიშალეს.

— **ნადირობა, თევზაობა?**

– ნადირობა, თევზაობა ერთმნიშვნელოვნად არაა ჩემი გატაცება, ამას მირჩევნია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მოვინახულო და შევისწავლო, როგორც საქართველოში, ასევე ევროპაში. ნადირობა, ბანაკები და ბუნებაში კარვების დაცემა არაა ჩემი სტიქია ნამდვილად.

— **თქვენი პროფესიით, ანუ იურიდიული მოღვაწეობა 90-იანი წლების ბოლოს დაიწყეთ, როგორ აღმოჩნდით პოლიტიკაში?**

– 2003 წლიდან, შევარდნაძის წინააღმდეგ მოძრაობაში ვიყავი ჩართული და შემომთავაზეს პარლამენტის წევრობის სიაში ჩასმა. სიმართლე გითხრათ, ამ ამბავს სერიოზულად არ ვიყურებდი, არ მქონდა პარტიული ცხოვრება და არავინ არ იცოდა, ის პროცესები რით დამთავრდებოდა. ჩემი იმდროინდელი მოტივაცია იყო შევარდნაძის მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლა, პარლამენტის წევრობა ფორმალობა იყო, ასე ვთქვათ. როგორც იცით, ზოგადად კანდიდატების სია ძალიან ვრცელია ხოლმე და უმრავლესობა ფორმალურად ეწერებოდა, ამიტომ არც ველოდი, რომ პარლამენტის წევრი გავხდებოდი. მერე, როგორც ხდება, ჩამითრია პოლიტიკურმა პროცესმა და აქამდე მოვედი. ახლა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, გვინდა ხელისუფლებას შევაცვლევინოთ საარჩევნო კოდექსი, რადგან დღევანდელი საარჩევნო კოდექსი პრაქტიკულად შევარდნაძის დროიდანაა მემკვიდრეობით მიღებული და შესაცვლელია, რათა ქვეყანაში დემოკრატიულად ჩატარდეს არჩევნები. ასევე, ბევრ სხვა პროცესში ვართ ჩართული, მოგეხსენებათ, არსებული ხელისუფლება, წინა ხელისუფლებისმაგვარად, ძალიან ბევრ მიზეზს იძლევა პროტესტისთვის. უმრავლესობა პარტიებისა, რაც მთავრობაში მოვიდნენ, აღარ იხსენებენ იმ პრობლემებს, რაც ვითომდა წინა ხელისუფლების დროს აწუხებდათ. „თავისუფალი პარტია“, იმით განსხვავდება ყველა სხვა პარტიისგან, რომ ჩვენ რეალურად ვართ იგივე პრინციპების ერთგულნი, რაც წინა ხელისუფლების მმართველობის დროს გვქონდა.

— **როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ როგორ დამთავრდება ეს ბრძოლა?**

– უნდა მოხდეს გადაფასება, არამარტო მთავრობა, ხალხიც დამნაშავეა. ხალხმა, ზოგადად, უნდა ისწავლოს სწორი არჩევანის გაკეთება. 25 წელი, როგორც ჩანს, ცოტა დროა, ჩვენი ხალხი კიდევ ვერ დაბრძენდა. ის, რომ მაფიოზი ავირჩიეთ მოტივით, რომ კეთილი და ქველმოქმედი მაფიოზია, მეტყველებს ქართველი ერის განუვითარებლობაზე. სამწუხაროა, რომ ეს მესამედ თუ მეოთხედ ხდება საქართველოს ისტორიაში, არჩევანში რომ ვტყუვდებით, ამიტომ იგივე შეცდომის უფლება არ გვაქვს. ბიძინა ძალიან არ მოსწონს ხალხს, მაგრამ არ არის აუცილებელი, ბიძინას გამო პაატა ბურჭულაძეს დაუჭიროს მხარი, ალტერნატივები არის. არიან პარტიები, რომელთაც აქვთ საქართველოში ტრადიცია იმისა, რომ რაღაც პრინციპებს იცავენ, ათწლეულზე მეტია. ბიძინა ივანიშვილი გასაგებია, რომ კარგი იარაღი იყო სააკაშვილის დასამხობად, მაგრამ, თუ ჩვენს თავს გულწრფელად ჩავეკითხებოდით, იქნება თუ არა ციმბირში გამდიდრებული ოლიგარქი დემოკრატიული ქვეყნის კარგი მშენებელი, პასუხი არ გაგვიჭირდებოდა, რომ ეს ადამიანი არ გამოდგებოდა, ეს არის ხარბი განგსტერი, რომელიც რაღაც თავის კრიმინალური იმპერიის მეთოდებით ცდილობს ქვეყნის მართვას. ეროვნული მოძრაობის დროს გახსოვთ, ვეჯიბრებოდით ლიტვას, უსწრებსო საქართველოს. რომელი ლიტვა, აზერბაიჯანმაც გაგვასწრო და ყაზახეთმა. ეს მოდელი, არაფორმალური მართვის მოდელი, ამის ანალოგია შეიძლება მხოლოდ აფრიკის ქვეყნებში ნახოთ. საქართველო გახდა მაჩანჩალა რეგიონი, რადგან ის, რომ ოლიგარქი არაფორმალურად მართავდეს ქვეყანას, არც ერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში არ ხდება დღეს. რაც შეეხება არჩევნებს, წარმოდგენილი იქნება მყარი და პრინციპული პარტიები და პირიქით... ხალხის გადასაწყვეტია, ვის მისცემს ხმას.

— **მერედა იქნება ხალხის არჩევანზე დამოკიდებული, რა ძალა გაიმარჯვებს?**

– ამაზე ასე გეტყვით, იგივე ლიტვაში ბიძინა ივანიშვილს რომ მიეღო მონაწილეობა, მიიღებდა ხმების 3 პროცენტს, საქართველოში კი თანამედროვე სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა მიიღო 60 პროცენტი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ქრისტიანი და ევროპელი ერი ვართ, დავადასტურეთ, რომ მთელი 25 წლის მანძილზე ძალიან ხარბი, გაუმაძღარი, აზიელი ერი ვართ, სამხრეთელი ერი, ეს სამხრეთელობა გულისხმობს იმას, რომ არასახელმწიფოებრივი ერი ვართ ჩვენ.

— **თქვენ სოციალურ ქსელში კრიტიკულად გამოეხმაურეთ ბერას ბოლოდროინდელ კლიპს, სადაც ამბობს, — პრეზიდენტი ხარ, დროებით ხარ და არაფრის მაქნისი ხარო. ამბობთ, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში იყო ასეთი კარის პოეტი: დემიან ბედნი, ბერას კი ანალოგიით ბერა ბაგატი უწოდეთ...**

– ჩემთვის ეს იმდენად პოლიტიკური პრობლემა არ არის, ბერა რას იმღერებს. არის ესთეტიკური პრობლემა, სად არის ჩვენი ხალხი განვითარების თვალსაზრისით, ხომ ვამბობ, რომ 90-იანების დასაწყისში ვიყავით ლიტვის, რუმინეთის, ბულგარეთის დონეზე, გვქონდა ყოველ შემთხვევაში ამაზე პრეტენზია, ის რომ ქვეყანაში დღეს აქტუალურია ისეთი პოეზია და სიმღერები, როგორიც გასული საუკუნის ოციან წლებში იყო, მეტყველებს იმაზე, რომ განვითარების დაბალ დონეზე ვართ. საქართველოში, სააკაშვილის დროს გახსოვთ გაჰიტებული სიმღერა პოლიციაზე, „მგზავრები“ მღეროდა, ახლა ისევ ეს ტრენდი დარჩა, ანუ პოლიციაზე, პარტიაზე და ა.შ. უნდა დავწეროთ აუცილებლად ამ ხასიათის სიმღერები? გვახსოვს შევარდნაძის დროინდელი ცნობილი „გიხაროდენ“ და წინ უნდა წავსულიყავით. წარმოიდგინეთ, მერკელის პარტიამ რომ დაწეროს, მაგალითად, სოციალდემოკრატიულ ნოტაზე სიმღერა, ეს არის ავადმყოფური საზოგადოების ფსიქიკისთვის დამახასიათებელი ფენომენი. ესაა ჩამორჩენილობის მახასიათებელი და არაფერი სხვა.

— **ივანიშვილის კარზე გამართული ძველით საახალწლო ვახშამზე რას იტყვით?**

– ესეც ისაა, მარიო პიუზოს ცნობილ ნაწარმოებში „ნათლიაში“ ყოველი შობის დღესასწაულზე ვიტო კორლეონე რომ უხმობს თავის ნათლულებს, ეძახის, ანგარიშებს ისმენს და რეკომენდაციებს გასცემს, დაახლოებით ასე იყო, ნათლია ივანიშვილმა უხმო თავის ნათლულებს, ანუ პარლამენტსა და მთავრობას, და ესენიც უკანა თათებზე დამდგარნი მიბრძანდნენ, ესეც ჩამორჩენილობის მახასიათებელია. განვითარებულმა ქვეყნებმა ოლიგარქიული მართვის მეთოდი 60-70-იან წლებში დაასრულეს, ჩვენ კი ჯერ კიდევ სად ვართ.

# „ის, რომ მაფიოზი ავირჩიეთ მოტივით, რომ კეთილი და ქველმოქმედი მაფიოზია, მეტყველებს ქართველი ერის განუვითარებლობაზე“

## „ბიძინა ძალიან არ მოსწონს ხალხს, მაგრამ არ არის აუცილებელი, ბიძინას გამო პაატა ბურჭულაძეს დაუჭიროს მხარი“



**„ლიტვაში ბიძინა ივანიშვილს რომ მიეღო მონაწილეობა, მიიღებდა ხმების 3 პროცენტს, საქართველოში კი თანამედროვე სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა მიიღო 60 პროცენტი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ქრისტიანი და ევროპელი ერი ვართ, დავადასტურეთ, რომ მთელი 25 წლის მანძილზე ძალიან ხარბი, გაუმაძღარი, აზიელი ერი ვართ“**



**„ნათლიაში“ ყოველი შობის დღესასწაულზე ვიტო კორლეონე რომ უხმობს თავის ნათლულებს, ეძახის, ანგარიშებს ისმენს და რეკომენდაციებს გასცემს, დაახლოებით ასე იყო, ნათლია ივანიშვილმა უხმო თავის ნათლულებს, ანუ პარლამენტს და მთავრობას, და ესენიც უკანა თათებზე დამდგარნი მიბრძანდნენ“**



# რითი ისჯება ქუჩაში დაკმაყოფილება, მანქანაში სექსი,

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



როგორც „ქრონიკის“ წინა ნომერშიც ვწერდი, ჩემს „ფეისბუკ“-სტატუსს, ანუ უკვე „გაჰიტებულ“ „რედისონში“ ქუნქურის ამბავს დიდი ხალისი და გარჩევები მოჰყვა.... უმეტესობა ადამიანებისა, მეუბნებოდა, რა გინდა, ადამიანები თავის ნომერში იყვნენ და რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენო... ზოგი მეუბნებოდა, როდესაც ქუჩიდან ყველაფერი ჩანს, თან ამას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილიდან ხედავ, წესით, უნდა ისჯებოდეს კიდეცო... მოკლედ, გადავწყვიტე, უკვე სამართლებრივი კუთხით გამერკვია, ასეთი პიკანტური სიტუაციებიდან რა არის ნებადართული და რა – კანონით აკრძალული. კონკრეტულად, იყო თუ არა იმ წყვილის საქციელი დასჯადი? როგორ კვალიფიცირდება საზოგადოებრივ ადგილებში მანქანაში სექსი და ასევე, საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება და რა სამართლებრივი ღონისძიებები მოჰყვება მას?

**„კვირის ქრონიკას“ საქართველოს ადვოკატთა გაერთიანების დირექტორი, ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე ესაუბრა:**

– მოდით, თავიდან დავიწყოთ: ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ანუ გადაცდომა, არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედება, რაზეც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მაშინ, თუ ეს არ არის ისეთი მძიმე ქმედება, რომელსაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამოწვევა შეუძლია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე, გაუფრთხილებლობით და ასაკი, რომლიდანაც პიროვნებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება, არის 16 წელი და ზემოთ, ანუ 16 წლის ქვემოთ შეუძლებელია, ამ ქმედების ჩადენისთვის პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისროს.

**— უფრო გარკვევით და გასაგებად ვთქვათ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის რომელ მუხლზე გვაქვს საუბარი?**

– ეს რეგულირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171-ე მუხლით, რომელიც გვეუბნება და მიგვითითებს: საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმის, ან ადამიანის ღირსებებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელების შესახებ. ანუ ამ მუხლის პირველი ნაწილი ეხება ალკოჰოლურ სასმელებს, რომლის მიხედვითაც ალკოჰოლური სასმელების სმა სტადიონებზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა საავაჭრო და საზოგადოებრივი კვების, საწარმოების ადგილებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელები იყიდება, – იწვევს ჯარიმას 50-დან 150 ლარამდე. რაც შეეხება მეორე ნაწილს, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა: ის ეხება საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას, რაც იწვევს ადამიანისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. აღნიშნული შეიძლება იყოს სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქცევა, ასევე, სრული ან ნაწილობრივი გაშიშვლება და პრაქტიკას თუ გადავხედავთ, აღნიშნულით შეიძლება ასევე დაკვალიფიცირდეს საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ეს მუხლშიც არის მითითებული. რეალურად, რაც ახლა ჩამოვთვალე, ანუ მეორე ნაწილით გადაცდომა, ისჯება 100-დან 200 ლარამდე ოდენობის ჯარიმით.

**— მართალია, სასტუმროს ნომერი, რა თქმა უნდა, ზოგადად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი არ არის და ნომრის ბინადრის უფლებაა, რაც უნდა ის გააკეთოს მის მიერ ნაქირავებ ნომერში, მაგრამ, როდესაც წყვილს სექსი სასტუმროს ნომრის ფანჯარასთან აქვს, რაც გარედან გარკვევით ჩანს, ეს შეგვიძლია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩავთვალოთ კანონმდებლობის მიხედვით?**

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ რაიმე ქმედება აშკარად აწუხებს საზოგადოებას, ანუ აშკარად შესამჩნევია, ჩემი, როგორც იურისტის, მოსაზრებით, ის უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ ქმედებად. საზოგადოებრივ ადგილს რაც შეეხება, რეალურად, რასაც ახლა გეტყვით, ამის პრაქტიკა ნამდვილად არსებობს - მალაზიის შენობაში, რომელიც მდებარეობს შუა გზაზე, ტრასაზე და რომელიც არის კერძო საკუთრება, ან მალაზიის კიბეზე რომ ვიღაცამ ლუდი დალიოს, ის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად ითვლება, რადგან იქ მოსიარულე ადამიანები ადვილად დაინახავენ, რომ ვიღაც ალკოჰოლურ სასმელს სვამს. დაჯარიმებულმა პირმა რომ ეს გაასაჩივროს, სასამართლო პირველ გადაწყვეტილებას აუცილებლად ძალაში დატოვებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რასაც თქვენ მიყვებით, რომ წყვილს, ასე ვთქვათ, ხალხის დასანახად ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა, საკმაოდ ბევრი შემთხვევაა, როცა ასეთი წყვილი დაუჯარიმებიათ, მაგრამ პრაქტიკულად, ამას სასამართლოში არავინ ასაჩივრებს, ამიტომ ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს დადგენილება იქნებოდა საინტერესო. პირადად მე მიმაჩნია, რომ, თუ ეს აქტი საზოგადოებისთვის ადვილად შესამჩნევ ადგილას ხდება და წყვილი აშკარა უპატივცემულობას გამოხატავს საზოგადოების მიმართ, ჩვენ ეს შეგვიძლია, საზოგადოებრივ ადგილად ჩავთვალოთ, იმის მიუხედავად, რომ ის კერძო საკუთრებაა და ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, სასტუმროს ნომერი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი არაა. ოპონენტები მეტყვიან, – რას ერჩით, სექსი სასტუმროს ნომერში ჰქონდათო, მაგრამ მათ გასაგონად ვიტყვი: სასტუმროს ნომერში არსებობს უამრავი დამცავი მექანიზმი, რომ, რასაც შენ შიგნით აკეთებ, ის გარეთ არ გამოვიდეს. თუ ფარდები გადაწეული ჰქონდათ, ოთახი განათებული იყო და ყველაფერი მიმართული იყო იქითკენ, რომ გარდაუვალი იყო, საზოგადოებას ეს არ დაენახა, ჩემი აზრით, პატრულს რომ ის წყვილი დაეჯარიმებინა და მათ რომ ჯარიმა გაესაჩივრებინათ, სასამართლოში ამ საქმეს ვერანაირი წარმატება ვერ ექნებოდა მათთვის.

**— ჩემი „ფეისბუკის“ ცნობილი პოსტიც სწორედ იმიტომ დავწერე, რომ იმ წყვილის ქმედება სწორედაც რომ საზოგადოების უპატივცემულობა იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „საახალწლო ქალაქში“ ბავშვები გვყავდა მიყვანილი და მათმა ნაწილმაც დაინახა ეს. მე რომ მაშინ, სიტყვაზე, პატრულში დამერეკა, როგორ ფიქრობთ, იმ წყვილს დააჯარიმებდნენ?**

– ჩემი ვარაუდით, შესაძლებელი იყო, ის წყვილი დაეჯარიმებინათ. აქ ერთი მომენტია: პატრულის ზოგი თანამშრომელი, სავარაუდოდ, ჩათვლიდა, რომ ეს ნამდვილად იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ზოგი გაფრთხილებით შემოიფარგლებოდა და ზოგს კი შეიძლება, საერთოდ არ მოეხდინა რეაგირება ამასთან დაკავშირებით, რადგან ჩათვლიდა, რომ ის არ იყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. რაც შეეხება სასტუმროს: იმ კონკრეტულ შემთხვევაზე, რაც თქვენ მომიყევით, არანაირი სამართლებრივი ბერკეტი, მუხლი და კანონი არ არსებობს, რომლის



**„ოპონენტები მეტყვიან, — რას ერჩით, სექსი სასტუმროს ნომერში ჰქონდათო, მაგრამ მათ გასაგონად ვიტყვი: სასტუმროს ნომერში არსებობს უამრავი დამცავი მექანიზმი, რომ, რასაც შენ შიგნით აკეთებ, ის გარეთ არ გამოვიდეს“**

# ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მაღაზიასთან ლუდის დალევა?..








**„თვითონ პატრულის თანამშრომლებისგან გამიგია, რომ არის უამრავი შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ დარღვევაზე ისინი პირს საერთოდ არ აჯარიმებენ, ანუ რეალურად, ესეც ძალიან ინდივიდუალურია და პატრული თავად წყვეტს, დააჯარიმოს თუ არა სიტყვაზე მანქანაში სექსით დაკავებული პირები“**

თანახმადაც შესაძლებელი იქნებოდა, სასტუმროს მენეჯმენტი თუ მომსახურე პერსონალი დაჯარიმებულიყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა სასტუმროს მეპატრონე უნდა ცდილობდეს, რომ სასტუმრო იყოს ისე და იმგვარად მოწყობილი, რომ ნომრებში განხორციელებული ქმედებებით საზოგადოება არ შეწუხდეს და სიტყვაზე, სექსუალური აქტის გარედან დანახვა შეუძლებელი უნდა იყოს. ძალიან დიდი ადგილას ექნება, თუ სასტუმროს ნომრის ფანჯარასთან, რაც გარედან თვალნათლივ შეიძლება ჩანდეს?.. წელან მაღაზიის კიბეზე ლუდის სმის საკითხზე ვისაუბრე და ამის პრეცედენტი არსებობს, ის პიროვნება დააჯარიმეს, რომელმაც ჯარიმა გაასაჩივრა, ორი ინსტანცია მოიარა სარჩელმა, მაგრამ ორივემ ძალაში დატოვა და სასამართლომ განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ ის პიროვნება **ვიცი, და არ აქვს მნიშვნელობა, ამას შუა ქალაქში გააკეთებ, თუ, ვთქვათ, მოფარებულ ადგილას, კუს ტბაზე...**

– აქაც იგივეა, ანუ ეს არ უნდა ხდებოდეს ისეთ ადგილას, სადაც საზოგადოება შეიძლება შეწუხდეს და ასეთ შემთხვევაში, ჯარიმაც იგივეა – 100-დან 200 ლარამდე, მაგრამ ნახეთ, რა ხდება: 171-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ალკოჰოლს ეხება, თუ პირის იგივე მოტივით და- არ აჯარიმებენ, ანუ რეალურად, ესეც ძალიან ინდივიდუალურია და პატრული თავად წყვეტს, დააჯარიმოს თუ არა, სიტყვაზე, მანქანაში სექსით დაკავებული პირები.

**— აი, მაგალითად, ვარკეთილის ზღვის მიმდებარე ტერიტორია საჯარო ადგილად ითვლება და იქ საღამოს საათებში მანქანაში განმარტოებული წყვილები პატრულმა აუცილებლად უნდა დააჯარიმოს? იქ საღამოს საათებში ხომ, ფაქტობრივად, მოსახლეობა არ არის** ჩნევია და აშკარად ჩანს, ეს აღნიშნული კოდექსის აღნიშნული მუხლით, საზოგადოების უპატივცემულობა და საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნაა და მაშინ, რა თქმა უნდა, ჯარიმის გამოწერა შესაძლებელია და ლოგიკურიცაა.

**— საუბარში ახსენეთ საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაზეც ასევე ჯარიმაა. ხომ არის მომენტი,** და გამჭირვალე შუშები ქმნის რისკს, რომ საზოგადოება შეიძლება შეწუხდეს... ფაქტობრივად, საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური ქმედების განხორციელება ხომ იკრძალება იმ მუხლით, რაც მე თქვენ მოგიყვანეთ? ანუ ამ მუხლის მიზანი რა არის? რომ საზოგადოებამ არ დაინახოს, შენ რას აკეთებ და არ შეწუხდეს. თუ სასტუმროს ნომერში საზოგადოება, მათ შორის ბავშვებიც, ყველაფერს გარკვევით ხედავს, წუხდება და გარედან ყველაფერი კარგად ჩანს, რა განსხვავებაა, მითხარით, წყვილს სექსი საზოგადოებრივი თავშეყრის თავის საკუთარ კერძო საკუთრებაში არსებულ კიბეზე იჯდა, ის ადგილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ხალხი ამ ყველაფერს უყურებსო. რეალურად, პირადად მე, როგორც იურისტს, მიმაჩნია, რომ შეგვიძლია, ეს პრეცედენტი გამოვიყენოთ იმ ფაქტზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რადგან თქვენ მიერ ნათქვამი ამბის მსგავსი ამბის ირგვლივ, სასამართლო გადაწყვეტილების პრეცედენტი არ გაგვაჩნია.

**— მოდით, ახლა სხვა საკითხზე გადავიდეთ: მანქანაში სექსზეც ჯარიმაა, როგორც** ჯარიმება წლის განმავლობაში განმეორდა, მაშინ ჯარიმა უკვე 500 ლარია, თუმცა ეს მხოლოდ ალკოჰოლს ეხება და არა ამ მუხლის მეორე ნაწილს, ანუ პირის მიერ საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება თუ წლის განმავლობაში განმეორდა, ჯარიმა მაინც 100-დან 200 ლარია. თვითონ პატრულის თანამშრომლებისგან გამიგია, რომ არის უამრავი შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ დარღვევაზე ისინი პირს საერთოდ **და მაინც ითვლება ასეთ დროს მანქანაში სექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად?**

– პირადად მე მიმაჩნია, რომ თუ წყვილი განმარტოებულია მაშინ, როდესაც იქ ხალხი არ არის და არავინ წუხდება, აღნიშნული არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედება. ასეთ დროს პატრული ხშირად მაინც თვითნებობს და წყვილს მაინც აჯარიმებს, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად, მათი ქმედება საზოგადოებრივ წესრიგს არ არღვევს. მაგრამ, თუ იქ ხალხია, ყველაფერი შესამ-

**როდესაც, დავუშვათ, შუა ქალაქში ხარ მანქანით, ან ფეხით, არ აქვს მნიშვნელობა და უცებ ტუალეტში შესვლა მოგინდა. ასეთ დროს რა ქნას ამ გაჭირვებულმა, დაჯარიმების შიშით ჩაიფსას? ბიოტუალეტები ყველგან არ არის, ბატონო.**

– მიმაჩნია, რომ, თუ ასეთი პირი საზოგადოებრივ ადგილებში დაიკმაყოფილებს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, აუცილებლად უნდა დაისაჯოს, რადგან ეს ქმედება პირდაპირ კვალიფიცირდება აღნიშნული კოდექსის 171-ე მუხლით. რახან შუა ქალაქის მაგალითზე ვსაუბრობთ, ქალაქში უამრავი ისეთი დაწესებულებაა, სადაც პიროვნებას შეუძლია, შევიდეს და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს, ბევრი რესტორანია, ბარია და არაა აუცილებელი, მაინცდამაინც შუა ქუჩაში გააკეთოს ეს. დარწმუნებული ვარ, ამ ქმედებისთვის დაჯარიმებულმა პირმა ჯარიმა რომ გაასაჩივროს, გასაჩივრებას არანაირი პერსპექტივა არ ექნება და არც უნდა ჰქონდეს, ჩემი აზრით. ამ ტიპის ადმინისტრაციული სამართალდარღვევაც 100-დან 200 ლარამდე ჯარიმდება.

**— ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 171-ე მუხლით დაჯარიმებების სტატისტიკა ხომ არ გაქვთ?**

– ზუსტი სტატისტიკა არ მაქვს, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე ხშირად ადამიანები ჯარიმდებიან ამ მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ალკოჰოლური სასმელის საზოგადოებრივ ადგილებში მიღებას გულისხმობს. ეს არის პრაქტიკაში ყველაზე ხშირი პრეცედენტი და ასევე, ყველაზე ხშირია შემთხვევა, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით დაჯარიმებული პირები ჯარიმას სასამართლოში ასაჩივრებენ. არის მომენტები, რომ ასეთი საჩივარი ხანდახან მეორე ინსტანციასაც და უზენაეს სასამართლოსაც მოივლის ხოლმე. აქ კიდევ ერთი მომენტია საინტერესო: თუ პიროვნება წლის განმავლობაში იგივეს გაიმეორებს ალკოჰოლთან დაკავშირებით, როგორც გითხარით, 500 ლარით დაჯარიმდება და ამასთანავე, მათ ასევე სამ წლამდე ვადით შეიძლება ჩამოერთვათ იარაღის ტარების უფლება (ვისაც აქვს), რაც ზოგიერთ ადამიანს დისკომფორტს უქმნის და ამ გადაწყვეტილებას სწორედ ამიტომაც ასაჩივრებენ ხოლმე.

**— ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღნიშნული 171-ე მუხლი წვრილმან ხულიგნობასაც ხომ არ გულისხმობს?**

– ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ ეს მუხლი ძალიან ბევრს წვრილმან ხულიგნობაში ერევა, თუნდაც პოლიციელებს, რომლებიც აჯარიმებენ და იურისტების ნაწილსაც კი. არადა, წვრილმანი ხულიგნობა აბსოლუტურად განსხვავებული მუხლია და ის გულისხმობს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებას, ანუ როდესაც ვიღაც მოქალაქე ვიღაცას შეურაცხმყოფელად გადაეკიდება და ამის შედეგად დაირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე. აღნიშნული წვრილმანი ხულიგნობა იწვევს ჯარიმას 100 ლარის ოდენობით, მაგრამ, თუ სამართალდამცავებმა და სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ქმედება პიროვნების უფლებას განსაკუთრებულად არღვევდა, წვრილმან ხულიგნობაში ბრალდებულს შეიძლება ადმინისტრაციული პატიმრობაც შეეფარდოს 15 დღემდე ვადით.

# კერძო მევახშეები ფულს 20-30%-ში ველარ გააპროცენტებენ?!

## შეუძლია თუ არა სასამართლოს საპროცენტო ზღვარი დაუწესოს კერძო გამსესხებელს?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ისეთი სასესხო ურთიერთობა, როდესაც კერძო მევახშეები მოვალეებს გაცემულ სესხზე თვეში 10პროცენტიან სარგებელს არიცხავდნენ, საჯარო წესრიგთან და ზნეობრივ ნორმებთან შეუთავსებლობიდან გამომდინარე, ბათილად იქნა ცნობილი, – ამის შესახებ ადვოკატმა ამირან გიგუაშვილმა განაცხადა.

„ეს არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. სამოქალაქო კოდექსში 2007 წელს გაუქმდა ნორმა, რომელიც კერძო სასესხო ურთიერთობაში პროცენტის მაქსიმალურ ზღვარს განსაზღვრავდა. ამის შემდეგ მევახშეებს ხელები გაეხსნათ და გაცემულ სესხებს თვეში რვა-ათ პროცენტ სარგებელს არიცხავდნენ. ხშირად ხდება ისე, რომ ადამიანებს პროცენტის სახით ორი იმდენი აქვთ გადახდილი, ვიდრე სესხი აქვთ აღებული. მთელი თანხა პროცენტში მიდის, სესხი კი წლების მანძილზე არ მცირდება, რის გამოც ყიდიან სახლ-კარს და ზოგჯერ მთელ ქონებას კარგავენ. ეს გადაწყვეტილება თავისი შინაარსით უპრეცედენტო ჩარევას წარმოადგენს კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში და დაფუძნებულია სამართლიანობის, საჯარო წესრიგისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთი გარიგება, როდესაც სესხის ხელშეკრულების პროცენტი არის შეუსაბამოდ მაღალი, ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, საჯარო წესრიგს, სოციალური სამართლიანობის პრინციპს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ეს გადაწყვეტილება 2016 წლის 12 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატის მიერ მოსამართლეების: მაია სულხანიშვილის, ბესარიონ ტაბალუას და ნატალია ნაზღაიძის მონაწილეობით ძალაში დარჩა. ამით ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება კერძო სასესხო ურთიერთობებში შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთების არსებობა. უნდა გვესმოდეს, რომ მაშინ როდესაც ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს და ბანკები მათ უმეტეს შემთხვევაში კრედიტის გაცემაზე უარს ეუბნებიან, არაგონივრულად მაღალი საპროცენტო განაკვეთები მევახშეების არათანაზომიერ გამდიდრებას იწვევს და აშკარად არღვევს სოციალური თანასწორობის პრინციპს, რაზეც ზოგადად სამართლებრივი სახელმწიფოა დაფუძნებული".

**კონკრეტულად რა შეღავათები მიეცემათ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ მოქალაქეებს, რა შეზღუდვები დაუწესდებათ მევახშეებს, ამის შესახებ „ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის" თანადამფუძნებელი, მარიკა არევაძე გვესაუბრება.**

**— მარიკა, რა შეიცვლება სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ?**

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ძალიან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბანკო ურთიერთობებთან მიმართებაში. სასამართლო ამკვიდრებს პრაქტიკას, რომლითაც გამსესხებლებს, ფაქტობრივად, სესხის პროცენტის რეგულირებას აიძულებს. კერძო გამსესხებლებისგან თანხას უმთავრესად ის პირები თუ პირთა ჯგუფები იღებდნენ, რომლებსაც ბანკი არ აძლევდათ კრედიტებს, ანუ რისკ-ჯგუფების მსესხებლები. შესაბამისად, კერძო გამსესხებლები მათ საკუთარ პირობებს უყენებდნენ, ცხადია, კაბალურს და ამ პირობებით ასესხებდნენ თანხას. მოდით, ვთქვათ, აპროცენტებდნენ მათზე თანხებს. ცხადია, ეს პროცენტი იყო ძალიან მაღალი. ამ კერძო გამსესხებლების, ე.წ. მევახშეების, საქმიანობა არ რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ, ეროვნული ბანკის კომპეტენციაში მათი კონტროლი არ შედის, შესაბამისად, მათი საპროცენტო განაკვეთები იყო უკონტროლო. და თავიანთ ნებაზე იყვნენ მიშვებულნი. რამდენ პროცენტსაც უნდოდათ, იმდენს უწესებდნენ კლიენტებს და შესაბამისად, კლიენტებს კაბალურ მდგომარეობაში აყენებდნენ. 100%-იანი საპროცენტო განაკვეთი რომ დაედოთ, ვერც ამაზე შეედავებოდათ აქამდე ვინმე მევახშეებს.

**— ამ კერძო გამსესხებლების, ანუ მევახშეების დიდი წილია იმაში, ლამის ნახევარ საქართველოს ბინები და სხვა უძრავი ქონება რომ აქვს ჩადებული იპოთეკაში და ხალხი მათი გადაუხდელი ვალების გამო თავსაც კი იკლავს.**

– კი, ბატონო, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ხალხი და ამაში მევახშეებს დიდი წილი უდევთ, ბევრი სესხულობს, ვთქვათ, 20 000 დოლარს თვეში 30%-ით. დავუშვათ, 2 წელიწადში, ამ პიროვნებას მევახშისთვის უკვე გადახდილი აქვს ეს 20 000 დოლარიც და მეტიც, მაგრამ ძირს არაფერი აკლდება, მევახშე ისევ სთხოვს პროცენტსაც და ამ ძირი თანხის, 20 000-ის გადახდასაც. ზოგიერთ შემთხვევაში, ხუთმაგად და მეტადაც იღებდნენ მევახშეები გასესხებულ თანხას. ხალხს კოლოსალური თანხები აქვს გადახდილი ამ მავახშეებისთვის.

სასამართლოს გადაწყვეტილება არის ერთგვარი მესიჯი კერძო გამსესხებლებისთვის. თუ ისინი არ მოახდენენ პროცენტის თვითრეგულირებას, მაშინ მსესხებელი წავა სასამართლოში და სასამართლო ჩაერევა საქმეში, ამ პროცესს და ზოგადად, სასესხო ხელშეკრულებას რაღაც ნორმის ფარგლებში მოაქცევს. შესაძლოა, სასამართლომ ჩათვალოს, რომ კერძო გამსესხებლებლის მიერ დაწესებული პროცენტი ზნეობრივი ნორმების ფარგლებს სცილდება და მას პროცენტის დაწევა მოსთხოვოს. მეტიც, თუ აღმოჩნდა, რომ მსესხებელს ნასესხებ თანხაზე, დავუშვათ, ორჯერ მეტი აქვს გადახდილი, სასამართლოს შეუძლია, მას თანხის გადახდა აღარ დააკისროს, თუნდაც, ძირი თანხა გადასახედი იყოს ხელშეკრულების მიხედვით. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ხელშეკრულება კაბალურია, არ არის ზნეობრივი ნორმების შესაბამისი, ხელშეკრულებასაც გააუქმებს.

**— ანუ შესაძლოა, მევახშემ გასესხებული თანხაც კი ვეღარ ამოიღოს, პროცენტს რომ თავი დავანებოთ?**

– კი, მაგას ვამბობ, ხელშეკრულების ბათილად ცნობა ნიშნავს, რომ ხელშეკრულება აღარ არსებობს.

**— სასამართლოს შეუძლია საპროცენტო ზღვარი დაუწესოს კერძო გამსესხებელს?**

– არა, სასამართლოს ამის უფლებამოსილება არ გააჩნია, მაგრამ ახლა უკვე შეუძლია, დაიცვას მევახშეებისგან მოქალაქეები. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მევახშის მიერ კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულება ზნეობრივ ჩარჩოებს სცილდება, მის კორექტირებასაც მოახდენს და გააუქმებს კიდეც.

**— დავუშვათ, კონკრეტულმა ოჯახმა ოჯახის წევრის სიცოცხლის გადასარჩენად, გადაუდებელი ოპერაციისთვის, მევახშისგან აიღო მაღალ პროცენტში თანხა, მაგრამ მას ვეღარ იხდის. რა მოხდება შემდეგ? აღარ გადაახდევინებენ ამ თანხას?**

– ასეთ ადამიანურ ფაქტორებს, ამის შემდეგ, სასამართლო გაითვალისწინებს. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, სასამართლო შესაბამის გადაწყვეტილებას გამოიტანს. ძნელია იმის თქმა, ასეთ შემთხვევაში რას იზამს სასამართლო, მაგრამ იმის თქმა შემიძლია, რომ დიდი ალბათობით, ასეთ ოჯახს თუ პიროვნებას, გასესხებული თანხის გადახდას დააკისრებენ და სხვა არაფერს. უარეს შემთხვევაში, პროცენტსაც, მაგრამ გონივრულ პროცენტს. თუმცა, ეს ვარაუდია. აქ მთავარი ის არის, რომ სასამართლო დადგა სიმართლის მხარეს. შეიძლება ითქვას, ხალხის მხარეს.

**— მოდით, მევახშეებსაც მივხედოთ. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, ამ ხალხმა ახლა რა უნდა ქნას? ფული აღარ გაასესხოს?**

– არა, მათ შეუძლიათ, თავიანთი საქმიანობა ჩვეულებრივად განაგრძონ, ოღონდ გონივრული, მართლა ადამიანური და მისაღები პროცენტი დაუწესონ კლიენტებს. რა უბედურებაა 20 და 30%? ხომ შეიძლება, რომ ნორმალურ, მისაღებ პროცენტში გაასესხონ თანხა? ახლა სხვა გზა არ ექნებათ, პროცენტს დაუწევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ კლიენტებს ახლა უფლება აქვთ, სასამართლოს მიმართონ და იქ იდავონ. ეს კი მავახშეებისთვის დიდი საფრთხეა. სხვა სამართლებრივ პრობლემებთან ერთად, ისინი შესაძლოა, კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფრთხის წინაშე დადგნენ, ეს კი იმას ნიშნავს, პროცენტით, მოგებით კი არა, საერთოდ, გასესხებული თანხაც ვეღარ დაიბრუნონ. შესაბამისად, იძულებულნი გახდებიან, პროცენტი დასწიონ.

**— ვისაც უკვე ნასესხები აქვს თანხა მევახშეებისგან, ეს ცვლილებები მათაც შეეხებათ?**

– ცხადია, მათაც შეეხებათ. თუ ჩათვალეს, რომ არასამართლებრივად მოექცნენ მევახშეები, შეუძლიათ, სასამართლოს მიმართონ.

**— ისე, კარგი კი იქნებოდა ამ მევახშეებს საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი დაუწესონ.**

– კი, კარგი იქნებოდა, მაგრამ მათ საქმიანობას არავინ აკონტროლებს, ეროვნული ბანკი ვერ უწესებს საპროცენტო ზღვარს. საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო, რომ გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცნენ მევახშეები, ამ სფეროს უკონტროლოდ მიტოვება არ შეიძლება. ახლა ვამზადებ საკანონმდებლო ინიციატივას და იქ ეს საკითხიც იქნება. ამის შესახებ დეტალურად სხვა დროს ვისაუბროთ.

**— ეს კერძო მევახშეები ამიერიდან ნაკლებ მოგებაზე იმუშავებენ?**

– კი, თავისთავად, სასამართლოს შიშით, იძულებულნი იქნებიან, დაწიონ საპროცენტო განაკვეთი. რაც ნაკლები იქნება პროცენტი, მით ნაკლები იქნება მოგება.

**„მევახშეები პროცენტს დაუწევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ კლიენტებს ახლა უფლება აქვთ, სასამართლოს მიმართონ და იქ იდავონ. ეს კი მავახშეებისთვის დიდი საფრთხეა"**







გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს პარლამენტი კი არა, რაღაც საიდუმლო ორგანიზაციაა, რომელიც კანონებს „აცხობს“, ჭერში აწყობს და არავის აცნობს

## პარლამენტარებმა თვითონაც არ იციან, რა კანონი მიიღეს და რა არ მიიღეს, ავტომატურად აჭერენ ხელს პულტებზე და ამ დროს კაი პურმარილზე ფიქრობენ





„ქრონიკის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ 2015 წელს მიღებული კანონები, რომელთა შესახებაც ბევრი არაფერი გსმენიათ. არადა, საპარლამენტო უმრავლესობას თავში ტვინი რომ ჰქონდეს, თავად უნდა ეწეოდეს მიღებული კანონების დეტალურ პიარს და ხალხს ეუბნებოდეს: აი, პატივცემულო მოსახლეობავ, ძვირფასო საზოგადოებავ, ესა და ეს კანონი მივიღე შენს საკეთილდღეოდ, მართალია, ზოგიერთზე შეიძლება გაგეცინოს, მაგრამ მერწმუნე, ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ ცვლილებებიც კი შენზე ზრუნვამ მაიძულაო. არა, მე მგონი, ამათ თვითონაც არ იციან, რა მიიღეს და რა არ მიიღეს, ავტომატურად აჭერენ ხელს პულტებზე და ამ დროს კაი პურმარილზე ფიქრობენ....

ალბათ, მართლა არ იცით, რომ 2015 წელს შევიდა ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და ეს ეხება საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესს, ანუ ექსპროპრიაციას. ეს კი ნიშნავს შემდეგს: ადრე, როცა საქართველოში მიხეილ სააკაშვილს მიჰყავდა „პარადი“, სადაც კარგ ადგილს ნახავდა ხოლმე, მიწას ან შენობას, სახლს, კარს, ეგრევე გასცემდა ბრძანებას, ჩამოართვით, მაგათი პატრონი დედაცო და ართმევდნენ. კი, როგორ არა, ჩამორთმევის კანონი მაშინაც არსებობდა, მაგრამ მიშას და მის ბიჭებს ფეხებზე არ ეკიდათ? წესით, როცა სახელმწიფო საზოგადოებრივი საჭიროებისთვის რაღაცას გართმევს, ჯერ სასამართლოში უნდა შეიტანოს სარჩელი, მერე იმ სასამართლომ უნდა დაადგინოს კომპენსაციის ამბავი და ჩამორთმევის აუცილებლობაც. ბუნებრივია, ამ ყველაფერს სჭირდება ვადები. ჰოდა, ამათ, ამ პარლამენტარებმა დაწერეს:

**„ექსპროპრიაცია ხორციელდება ისეთი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტების განხორციელების მიზნით, როგორიცაა გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობა, რკინიგზის ხაზების გაყვანა, ეროვნული თავდაცვისთვის საჭირო სამუშაოები და ა.შ. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების საკითხის სასამართლოში განხილვის ვადა შეადგენს არაუგვიანეს 2 თვეს განცხადების მიღებიდან, რაც უმეტეს შემთხვევაში, საგრძნობლად აფერხებს და აჭიანურებს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტების ეფექტურ განხორციელებას, ამიტომ სასამართლო განხილვის 2-თვიანი ვადა უნდა შემცირდეს არაუგვიანეს 1 თვემდე“.**

აჰა, ეგეც თქვენ, თუ აქამდე სასამართლოში დავა შეგეძლოთ 2 თვის განმავლობაში, ახლა გეძლევათ 1 თვე. რა ვქნათ, იმდენი სამუშაო გვაქვს, იმდენ საქმეს ვაკეთებთ, ჩვენ თუ 2 თვე სასამართლოში ვირბინეთ, რაღას მოვასწრებთო? ჩვენც მეტი რა გზა გვაქვს?

შემდეგი ცვლილებები „შეგვიტანეს“ „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების კანონში“. ამით გვეუბნებიან, ხარვეზები აღმოვფხვერით, აწი აღარაფერი გიჭირთო. მაგალითად, უკვე ახლებურად განისაზღვრება „სასტუმროს“ განმარტება, ადრე ეს განმარტება თურმე იყო ვიწრო. კერძოდ, სასტუმროდ ითვლებოდა მხოლოდ შენობა, რომელიც განკუთვნილი იყო დროებით გადაადგილებული პირის მიღებისთვის და განთავსებისთვის. ახლა ეგრე აღარ იქნება ამიერიდან:

**„სასტუმრო ნიშნავს შენობას ან ერთიანი კომპლექსის სახით არსებული შენობა-ნაგებობათა ერთობლიობას თავისი ინფრასტრუქტურით, რომელიც სამშენებლო დოკუმენტის პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროდ“.**

მეტიც, ამიერიდან შესაძლებელი ხდება, დაინტერესებულმა პირმა სპეციალურ კომისიას მიმართოს თავისუფალი ტურისტული ზონის კოორდინატებში მოქცეულ როგორც სახელმწიფო, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემაზე, რაც, თავის მხრივ, გააფართოებს ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებს და პოზიტიურად აისახება საინვესტიციო გარემოზეოოო... ესე იგი, ტურისტულ ზონებში თუ ვინმეს რამის ყიდვა გინდათ, შეგიძლიათ, მიმართოთ კომისიას და პირდაპირ მოგყიდიან, კონკურსები და მსგავსი რალაცები ამოვარდა დღის წესრიგიდან. კანონით აღარ იქნება დაწესებული დამატებითი ვადის ზედა ზღვარი – 3 თვე. კანონიდან ამოღებულია ასევე სასტუმროსთან თავსებადი საქმიანობის ცნება, რომლის ნუსხაც დამტკიცებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ. თურმე აქამდე ვინც სასტუმროს აშენების სურვილს გამოთქვამდა, უნდა გაეთვალისწინებინა დადგენილი ნუსხა, რომელიც ინვესტორებს ავალდებულებდა, სასტუმროები მოეწყოთ თავიანთი საჭიროების საწინააღმდეგოდ, ტურისტულ ზონებში აუცილებლად უნდა ჰქონოდათ კაზინო, საცურაო აუზი ან აკვაპარკი. ეს მაშინ, როდესაც შესაძლოა, ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობდა. ახლა ეს შეზღუდვა მოიხსნა, სასტუმროს ააშენებ, როგორიც შენ გჭირდება. ამავე კანონის თანახმად, უკვე დაზუსტდა ინვესტორის საშეღავათო პირობებიც. კერძოდ, აქამდე ბუნდოვანი იყო, რასთან დაკავშირებით სარგებლობდა ინვესტორი შესაბამისი საგადასახადო შეღავათებით და საიდან აითვლებოდა კანონით განსაზღვრული საშეღავათო პერიოდი. ახლა კი:

**„ინვესტორი თავისუფლდება თავისუფალ ტურისტულ ზონაში უშუალოდ სასტუმროს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან სასტუმროს ექსპლუატაციაში შესვლიდან საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვადით (2026 წლის 1-ელ იანვრამდე). ამასთანავე, სასტუმროს ფუნქციონირება მოიცავს მხოლოდ სასტუმროს ნომრების გაქირავებას და მასთან პირდაპირ დაკავშირებულ მომსახურებას, ასევე, სასტუმროს შენობაში კვების ობიექტების ფუნქციონირებას“.**

ვერ გავიგე, მეტი რა გინდათ? მიწას პირდაპირი წესით მოგყიდითო, ქონებისა და მოგების გადასახადებს 2026 წლამდე მოგიხსნითო, შეზღუდვები აღარ გექნებათო, აშენეთ, ხალხო, აშენეთ და „იგულავეთ“!

კი, „იგულავეთ“, მაგრამაო, სამოქალაქო კოდექსში იმნაირი ცვლილება შევიტანეთ, 18 წლამდე მაინც არაფერი გეშველებათო. სხვათა შორის, ამ ცვლილებებზე 2015 წლის შემოდგომაზე ერთი ამბავი იყო ატეხილი, ვინაიდან საქართველოში ადრეული ქორწინება კვლავ დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს და განსაკუთრებით შემაშფოთებელია იძულებითი ქორწინების შემთხვევები, კანონი უნდა შეიცვალოსო. მოკლედ, თუ აქამდე მშობლებს შორის თავიანთი შვილების დაქორწინების თაობაზე გარიგებებს ჰქონდა ადგილი და ხშირად ეს არასრულწლოვანთა მხრიდან სწავლისთვის თავის დანებების საბაბიც ხდებოდა, ახლა კანონი ხელს შეუწყობს:

**„17-დან 18 წლამდე პირთა არასასურველ და იძულებით ქორწინებათა პრევენციას, რასაც ხშირად ადგილი აქვს მშობლების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანი პირების მშობლები არიან თავიანთი შვილების ადრეულ ასაკში ქორწინების ინიციატორები. მშობელთა შორის ხდება გარიგება ფულის ან სხვა მატერიალური სიკეთის სანაცვლოდ. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი გოგონების მოტაცების შემდეგ, მშობლები მათ უკან აღარ იღებენ, რითაც, ფაქტობრივად, შვილებს აიძულებენ, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ შექმნან ოჯახი არასასურველ პირთან. სკოლის მოსწავლე გოგონები ხშირად აღნიშნავენ, რომ, თუ მათ მშობლები ძალით გაათხოვებენ, ისინი თავს მოიკლავენ. განათლების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე 7367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება“.**

მაშ ასე, ცვლილების მიხედვით, გაიზარდა არასრულწლოვნის მინიმალური საქორწინო ასაკი და ნაცვლად 16 წლისა, განისაზღვრა 17 წლით. ასევე, დადგინდა, რომ მშობლებსა და მზრუნველებს აღარ აქვთ ქორწინებაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება, ვინაიდან აღნიშნული მოექცევა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში. სამოქალაქო კოდექსით, მინიმალურ საქორწინო ასაკად განსაზღვრული იქნება 18 წელი და არასრულწლოვანი პირები საერთოდ ველარ იქორწინებენ. სხვათა შორის, როგორც კი ეს კანონი შევიდა ძალაში, აჭარაში მოხდა ერთი კურიოზი – პროკურატურამ საქმე აღძრა იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც ქალი (რაღა ქალი – ბავშვი) მოუტაცებია 2 წლის წინათ 14 წლის ასაკში. რომ არა უფლებადამცველთა ვაჟკაცობა, ამ საცოდავს ციხეში ჩააგდებდნენ. ესე იგი, ზოგიერთი პროკურორი ისეთი ხისთავიანია, ისიც კი არ იცის, რომ ეს ახალი კანონი აქეთ მოქმედებს და არა – იქით, წლების წინ!

შემდეგი კანონი, რომელიც ისევ ხალხის საკეთილდღეოდ მიუღიათ, ეხებათ ტუბერკულოზით დაავადებულებს. ცვლილება შევიდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში: ამიერიდან პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საკითხს მოსამართლე გადაწყვეტს. თუ ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანი თავისი ნებით უარს იტყვის მკურნალობაზე, აღსრულების ეროვნული ბიურო სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში მოათავსებს მოსამართლის ბრძანებაში მითითებული მონაცემების საფუძველზე. თუ პაციენტი არ დაემორჩილება აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნას, ბიურო დახმარებისთვის მიმართავს აღსრულების პოლიციას. მაგალითად, მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა თქვას ტუბერკულოზით დაავადებულმა ადამიანმა მკურნალობაზე უარი, როცა ეს მკურნალობა უფასოა, მაგრამ ასეთებიც არსებობენ, რომლებიც მართლაც საშიშები არიან საზოგადოებისთვის. ტუბერკულოზი აღარ განეკუთვნება დაავადებათა იმ კატეგორიას, რომელიც არ იკურნება. ასე რომ, აზრი არ აქვს ფეხებზე დაკიდებას, ნებით თუ არა, ძალით მიგაბრძანებენ კლინიკაში!

წინა სტატიაშიც გითხარით და ვიმეორებ: 2015 წელს 250-ზე მეტი კანონი შევიდა ძალაში, რომელთა შესახებაც არსად არ დაწერილა და არავის არაფერი უთქვამს. მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს პარლამენტი კი არა, რაღაც საიდუმლო ორგანიზაციაა, რომელიც კანონებს „აცხობს“, ჭერში აწყობს და არავის აცნობს. აჰა, გავრითმე კიდეც. მოკლედ, გაგრძელება იქნება.

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# „თუ ეს ხელისუფლება დანაპირებს არ შეგვისრულებს და ბინებს არ დაგვიკანონებს, ჩვენს ხმებს ვეღარ ეღირსება!“

## 200 000 ადამიანი „ოცნების“ ხელისუფლებას უპირისპირდება

200 000-ამდე ადამიანს ქუჩაში გამოყრა ემუქრება. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ადამიანები, უკვე ცხოვრობენ საცხოვრებელ ფართებში. ე.წ. მართლზომიერი მოსარგებლეები არიან უკვე 20 წელია. თუმცა, ისინი ამ ფართების იურიდიული მფლობელები ჯერ კიდევ არ არიან. 2007 წელს, 73-ე ბრძანებულებით, ეს ადამიანები საცხოვრებელი ფართების მართლზომიერი მოსარგებლეები გახდნენ. „ოცნების“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეს ბრძანებულება ანულირებულ იქნა. ამ ბრძანებულების შესატყვისი სამართლებრივი აქტი კი დღევანდელ ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გამოუცია. ეკონომიკის სამინისტრომ შარშან სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია დაიწყო.

ჩნდება კითხვა, ინვენტარიზაციის შემდეგ „მართლზომიერ მოსარგებლეზე“ იმ ქონების ჩამორთმევა ხომ არ მოხდება, რომელიც ერთ დროს მოქალაქეს დროებით სარგებლობაში გადაეცა, თანაც გარკვეული დოკუმენტაციის საფუძველზე. ეს ადამიანები თავის დროზე გარკვეული სახელმწიფო სტრუქტურების ნებართვით შევიდნენ საცხოვრებელ ფართში და არა თვითნებურად. ამ ადამიანების სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფაც შესაძლებელია. მათ შორის არიან, იმ კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც სხვა საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ და არც იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ საცხოვრებელი ბინა შეიძინონ. ამის გადამოწმება ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს მარტივად შეუძლია, თუნდაც საჯარო რეესტრში. ხოლო შეჭირვებული და მწირი შემოსავლების პირების შესახებ, ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს აქვს.

საინტერესოა, რისთვის მოახდინა ეკონომიკის სამინისტრომ ინვენტარიზაცია? ამ ადამიანების ქუჩაში გამოსაყრელად ხომ არა? დღევანდელი ხელისუფლება ამ ადამიანებისთვის თავშესაფრის ჩამორთმევას აპირებს? ხალხს არ უნდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც მათ პრობლემებს ვერ მოაგვარებს. ყველა არჩევნების დროს ამ კატეგორიის ადამიანებს კარგად იყენებს ხელისუფლება. მათ, ხმის მიცემის სანაცვლოდ, საცხოვრებელი ბინების დაკანონებას ჰპირდება. მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. თუ წინა ხელისუფლების დროს, ხელისუფლების საერთო პოლიტიკა იყო ისეთი, რომ არ გადაწყვეტილიყო ეს საკითხი, ახლა ხელს რაღა უშლით?

რატომღაც, როცა საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციაზეა საუბარი, მხოლოდ დევნილები მოიაზრებიან, სხვა დანარჩენი კატეგორიის ადამიანები კი იგნორირებულნი არიან. დღეს „ოცნების“ ხელისუფლება კვლავ გვპირდება, არჩევნების შემდეგ საცხოვრებელ ფართებს დაგიკანონებთო, მაგრამ ამის სანაცვლოდ საარჩევნო ხმებს ითხოვს, ისევე, როგორც წინა წლებში. არჩევნების შემდეგ კი ყველა იმალება.

**გულნაზი, უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი:**

– დავით ნარმანია ბინის დაკანონებას შემპირდა. როცა მივედი, არც კი შემხვდა. როგორც ჩანს, ნარმანიას ისე უნდოდა ქალაქის მერობა, ყველაფერს გვპირდებოდა და ტყუილებსაც არ ერიდებოდა. ახლა დავით ნარმანია ქალაქის მერია, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. წინასაარჩევნო შეპირება რომ შევახსენე ნარმანიას, ასე მიპასუხა, როდის შეგპირდიო? რა სისულელეა! ახლა ხელისუფლებას, კარზე მომდგარ არჩევნებში ხალხის ხმები ჰაერივით სჭირდება, თუ არ დააკანონებს ჩვენს ბინებს, არჩევნების შემდეგ ვის გავახსენდებით? ან ვის გაეკარები? შალვა შავგულიძემ მაშინ კაბინეტშიც არ შეგვიშვა. კვირიკაშვილს უთქვამს: ჯერ ხმები მოგვეცით და მერე ვილაპარაკოთო, როდესაც არჩევნების შემდეგ გიორგი კვირიკაშვილს მივაკითხეთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, გვიპასუხა: ამ ბინებს ვერ დაგიკანონებთო.

**თეიმურაზი, საცხოვრებელი ფართის მართლზომიერი მოსარგებლე:**

– დროა, ხელისუფლებამ კეთილი ნება გამოიჩინოს და ბინები დაგვკანონოს. თუ ამ შეპირებებზე საბოლოოდ უარს იტყვიან, მაშინ „ოცნება“ ხმებს ვერ მიიღებს და ისევ ის ოხერტიალი „ნაციონალები“ მოვლენ.



„კვირიკაშვილს უთქვამს: ჯერ ხმები მოგვეცით და მერე ვილაპარაკოთო, როდესაც არჩევნების შემდეგ გიორგი კვირიკაშვილს მივაკითხეთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, გვიპასუხა: ამ ბინებს ვერ დაგიკანონებთო“



„დავით ნარმანია ბინის დაკანონებას შემპირდა. როცა მივედი, არც კი შემხვდა. როგორც ჩანს, ნარმანიას ისე უნდოდა ქალაქის მერობა, ყველაფერს გვპირდებოდა და ტყუილებსაც არ ერიდებოდა“



„ისღა დამრჩენია, უარი ვთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და თავშესაფარი სხვა ქვეყანაში მოვითხოვო“

**თეა ბალანჩივაძე, ეკომიგრანტი:**

– 20 წელია, საცხოვრებელ ფართში ვცხოვრობ, რომელსაც დღემდე საკუთრებაში არ მაძლევენ. დევნილთა სამინისტრომ ჩამასახლა, როგორც ეკომიგრანტი. მართალია, ჩასახლების ორდერი დღემდე ინახება იძულებით გადაადგილებულ პირთა და განსახლების სამინისტროში, მაგრამ შემდეგ ეკომიგრანტის სტატუსის ანულირება მოახდინეს. ფაქტობრივად, ჰაერში ვარ გამოკიდებული. გარდა იმისა, რომ ეკომიგრანტის სტატუსი მაქვს, ვარ აფხაზეთის ომის მონაწილეც. იქ, სადაც ვცხოვრობ, დევნილები არიან ჩასახლებული, რომლებსაც საკუთრებაში საცხოვრებელი ფართები უკვე დაუკანონეს. რად გვინდა ხელისუფლება და რისთვის ავირჩიეთ? ყოველი არჩევნების წინ გვეუბნებიან, ხმა მოგვეცით და ბინებს დაგიკანონებთო. არჩევნები რომ ჩაივლის, შეპირებას შარშანდელი თოვლივით ივიწყებენ. ახლა არჩევნებამდე მოვითხოვთ ბინების დაკანონებას და საკუთრებაში გადმოცემას. თუ ქუჩაში გამომაგდებენ და ჩემს კანონიერ სარგებლობაში არსებულ ფართს საკუთრებაში არ მომცემენ, ისღა დამრჩენია, უარი ვთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და თავშესაფარი სხვა ქვეყანაში მოვითხოვო.

**„კვირის ქრონიკა“ ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს დაუკავშირდა და ბინების პრივატიზაციასთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა.**

**— საქართველოში 200 ათასამდე ადამიანს საცხოვრებელი ფართი არ აქვს რეგისტრირებული, როგორ მოხდება ამ ფართების ლეგალიზაცია? წინა ხელისუფლების დროს მიღებული 73-ე ბრძანებულება ანულირებულია, ბრძანებულების თანახმად, საცხოვრებელი ფართების მართლზომიერი მოსარგებლეები იყვნენ პირები, რომლებსაც საცხოვრებელი ფართები 20 წელი და მეტი წელია აქვთ სარგებლობაში. როგორ შეცვლება ამ ბრძანების ახალი ვერსია?**

– 73-ე ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობისთანავე ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის 189-ე დადგენილება – „კანონიერი მოსარგებლეებისთვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. ამგვარი ცვლილება განპირობებული იყო მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის უფლებამოსილების განაწილებით.

**— სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია და სახელმწიფო ქონების დაკანონების პროცესი ხომ არ შეეხება იმ ადამიანებს, რომელთაც, თავის დროზე, იგივე სახელმწიფოს მიერ, დროებით სარგებლობაში აქვთ საცხოვრებელი ფართები გადაცემული. ხომ არ დაემუქრებათ მათ ამ საცხოვრებელი ფართებიდან გამოყრა?**

– სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია გულისხმობს სათანადო გამოკვლევის შედეგად სახელმწიფო ქონების აღრიცხვასა და რეგისტრაციას. შესაბამისად, ეს პროცესი ითვალისწინებს კონკრეტულ ქონებასთან მიმართებით უფლებრივი მდგომარეობის გამოკვლევას და მხოლოდ ამის შემდეგ დასრულდება რეგისტრაციის პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ის პირები, ვისაც აქვს კანონიერი უფლება, ფლობდეს სახელმწიფო ქონებას, ამ პროცესში თავიან უფლებებს შეინარჩუნებენ.

**— როდის მოხდება მართლზომიერი მოსარგებლეების იურიდიულ მფლობელებად დარეგისტრირება?**

– მართლზომიერი მოსარგებლეების მიერ მესაკუთრედ რეგისტრაცია დამოკიდებულია მათი მხრიდან საჯარო რეესტრისთვის შესაბამისი მოთხოვნით მიმართვაზე.

**— აქვს თუ არა ეკონომიკის სამინისტროს, ქონების მართვის სააგენტოს შემუშავებული კანონმდებლობის სახით საცხოვრებელი ფართების დაკანონება, პირად სარგებლობაში გადასაცემად?**

– საცხოვრებელი ფართების კანონიერი მოსარგებლეებისთვის საკუთრებაში გადაცემა რეგულირდება კანონიერი მოსარგებლეებისთვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის 189-ე დადგენილებით.

**ასეთი დავარცხნილი პასუხი გაგვცა ეკონომიკის სამინისტრომ. საკითხავია, რომელ ეტაპზე შეუძლია სახელმწიფოს და ამ შემთხვევაში ქონების მართვის სააგენტოს ამ ადამიანებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება? როგორც ჩანს, მომავალ არჩევნებში კვლავ „დააბოლებენ“ ამ ადამიანებს და 200 000 ხმას მიიღებენ...**

# „ჰეი, თქვენ სოროსელებო, გაუმაძღარნო ზიზღითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და ეკლის მორთმევა მომინდა“

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

მაშ ასე, მანჭვა-ღრეჯანი, კბილთა ღრჭენანი, დორბლის დენანი, კბენა-ღრენანი, ტრაკზე კბენანი! სამში ერთი (თუ ორი არა) მოღალატეა. ხუთში უკვე ველარ გაარკვევ, ვის რა ამოძრავებს და ვის რა „აწვალებს“. ამ ქვეყანაში სიყვარულიც კი (რომელიც, ფაქტობრივად, აღარ არსებობს) ყველას თავისებური აქვს, ანუ აქაც ყველა თავის ინტერესებს ატარებს. მაგალითად, ყოფილი „მხედრიონელი“ დოდო გუგეშაშვილი (ყოველ შემთხვევაში, ეს სტატუსი მისი გვარითა და სახელით შექმნილი „ფეისბუკ“-გვერდიდან გავრცელდა) ამ „სათუთ“ გრძნობას ასე ხედავს, ასე აღიქვამს (სტილი დაცულია):

ძარღვიან სიტყვას იპოვი, მერე ამ სიტყვაზე მთელი ლექსის დაშენება-აშენება შეგიძლია. ეგრე ყოფილა ქვეყანაც – თუ ერთ გონიერ ნაბიჯს გადადგამ და ერთ ძარღვიან აზრს იპოვი, მერე ამ აზრზე სახელმწიფოს აშენება-დაშენებაც შეგიძლია. ვერ ვიპოვეთ ვერც სიტყვა და ვერც აზრი იმიტომ, რომ (ავტორი ტატო ჩანგელია):

**„თქვენ ცხოველების ემბრიონები ხართ,**
**თქვენ დატენილი იარაღები ხართ,**
**თქვენ კიდობანში მჯდარი არსებები ხართ,**
**თქვენ ტელევიზორები ხართ,**
**თქვენ მეტროს ვაგონის გამცილებლები ხართ,**
**თქვენ უიარაღო მგზავრები ხართ,**
**თქვენ დავარდნილი ჭაღები ხართ,**
**თქვენ გამათბობლები ხართ,**

უკეთესია. დიახ, ჩვენ უიარაღოები ვართ და მაინც ერთმანეთს ავტომატის ლულას ვჩრით პირში. თუ დაგვჭირდა, შუბლსაც ვუხვრეტთ ერთმანეთს. თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო, უთქვამთ ძველებს. მოსაკლავი იყოს, თორემ იარაღი არაა პრობლემა. დღეს ყველა თავისებურად ფილოსოფოსობს. მაგალითად, ლევან ბერძენიშვილი გვამოძღვრავს, რომ ჩვენ შინაგანი აქტით მაინც ვგრძნობთ ცოცხალსა და მკვდარს:

„გვამი რომ ნახო, მიხვდები, ცოცხალია თუ მკვდარია, თუმცა იქაც შეიძლება შეცდომა დაუშვა, მაგრამ კიდევ უამრავი მკვდარი არსებობს. მაგალითად, ლამაზი ლექსი – „ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა“ – ჩემი აზრით, მკვდრადშობილი ლექსია, ვიღაცის აზრით კი არის შედევრი. ეს არის შინაგანი



ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

**„ჰეი, თქვენ სოროსელებო, გაუმაძღარნო ზიზღითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და ეკლის მორთმევა მომინდა“**



**დოდო გუგეშაშვილი: „ღამით კორპუსთან მიადექით „კალაშნიკოვით“ და ეზოშივე მისი სახელის ძახილით ერთი აბოიმა დაცალეთ, ეს ცნობისთვის, რომ იცოდეს თქვენი მისვლის შესახებ. შემდეგ სახლის კართან მიდით და მეორე აბოიმით კარებზე გული გამოსახეთ, შეანგრიეთ, შიგნით შედით, ავტომატის გახურებული ლულა ტუჩებზე მიადეთ და უთხარით, რომ თქვენც ლულასავით ხურხართ, შემდეგ კი მკლავებში მოიგდეთ და ექუქუნეთ“.**



**ლევან ბერძენიშვილი: „მაგალითად, ლამაზი ლექსი — „ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა“ — ჩემი აზრით, მკვდრადშობილი ლექსია, ვიღაცის აზრით კი არის შედევრი“**

„უმარტივესია! ღამით კორპუსთან მიადექით „კალაშნიკოვით“ და ეზოშივე მისი სახელის ძახილით ერთი აბოიმა დაცალეთ, ეს ცნობისთვის, რომ იცოდეს თქვენი მისვლის შესახებ. შემდეგ სახლის კართან მიდით და მეორე აბოიმით კარებზე გული გამოსახეთ, შეანგრიეთ, შიგნით შედით, ავტომატის გახურებული ლულა ტუჩებზე მიადეთ და უთხარით, რომ თქვენც ლულასავით ხურხართ, შემდეგ კი მკლავებში მოიგდეთ და ექუქუნეთ“.

აქ ქალბატონი დოდო სტილისტურ შეცდომას უშვებს, სწორია „ქუნქური“ და არა „ქუქუნი“. საერთო ჯამში კი ვერ გაამტყუნებ, ვისაც რა „პროფესია“ აქვს, ისე გამოხატავს სიყვარულსაც. მიდი, „აბოიმა“ დააცალე თავზე, მერე კედელზე ტყვიით გული გამოსახე, ავტომატის ცხელი ლულა ჩაუდე პირში და... თუ ავტომატი არ გაქვს და ბუღალტერი ხარ, მაშინ „ჩოთქის“ კოჭები დააცალე თავზე, კედელზე გული ამოკაწრე და „ჩოთქის“ ჩარჩო ჩაუდე პირში, უთხარი, რომ შენც ისევე დუღხარ, როგორც ერთ-ერთი შპს-ს შემოსავლები. თუ მწყემსი ხარ? აი, მაშინ ცოტა უფრო რთულად იქნება საქმე, შენს სატრფოს კომბალი უნდა ჩაუდო პირში და უთხრა, რომ შენც ისევე შიშხინებ, როგორც შამფურზე აბნეული ციკნის მწვადი. როცა საქმეს მორჩები, ცოტა განზე გამოდი, პირჯვარი გადაიწერე, ღმერთს შეხედე და დედას მადლობა გადაუხადე, რომ მაინც კაცად გაგზარდა, არასამთავრობო სექტორში არ გაგგზავნა და პატრიარქის ლანძღვა არ დაგავალა. კი, ბატონო, ვიცხოვროთ ასე (სხვანაირად აღარ გამოდის), ერთმანეთს ხან ავტომატის ცხელი ლულა ჩავჩაროთ პირში, ხან კიდევ კომბალი, მაგრამ „რაზვე ეტა ნარმალნა“?! საერთოდ, პოეზიაში ასეა: თუ ერთ

**თქვენ თოჯინები ხართ.**
**ჭყავის დედა, ბოლო ხმაზე,**
**გაიქცა და ჩაეხუტა პოლიტიკოსს**
**პავილიონთან.**
**იმ პოლიტიკოსს, რომელმაც გუშინ**
**სამშობლო გაყიდა სხვისი.**
**გაიქცა დედა,**
**ბღავილით მივარდა მაღაზიის**
**ვიტრინასთან და არაყი იყიდა.**
**დალია დედამ არაყი**
**და მთელი ღამე უისტიტს ჰგავდა.**
**თქვენ ის დედა ხართ, რომელიც**
**სიხარულით ჩაეხუტა,**
**მაღაზიის ვიტრინასთან დამნაშავე**
**პოლიციელს, შემდეგ ქუჩის მოსახვევში,**
**ეკლესიის გვერდზე,**
**ვულკანიზაციის მოპირდაპირე მხარეს**
**არამზადა პადრეს და პავილიონთან**
**მოღალატე პოლიტიკოსს“.**

გუშინ სამშობლო გაყიდეს, დღესაც ჰყიდიან, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ, მოღალატე პოლიტიკოსებს ეხუტებიან, მათ სურათებს კედლებზე ჰკიდებენ, მერე ხსნიან, მერე სხვა მოღალატეებისას ჰკიდებენ. ასე იცვლება ჩვენს ცხოვრებაში ფათრეთები, შავ-თეთრი სურათები. ადამიანები ვერ პოულობენ ცხოვრების არსს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდე, რისთვის მოეთრიე და საით მიეთრევი? აქ ყველა ბრძენია, ყველამ ყველაფერი იცის. ამ დროს ყველა სულელია და არავინ არაფერი იცის. თუ ყველა ბრძენია, მაშინ არ უნდა ვცხოვრობდეთ ასე ცუდად, ანუ ძალიან ცუდად. სიმართლეს გვეუბნება პოეტი, ჩვენ ტელევიზორები ვართ, ჩვენ აზერბაიჯანულ გაზზე მიერთებული გამათბობლები ვართ, ცოტა ხანში რუსულ გაზზე მიგვაერთებენ და დაგვარწმუნებენ, რომ ასე

აქტი, რომელიც წყვეტს, ეს ცოცხალია თუ მკვდარია. მკვდარი სიცოცხლის მერე კი არ არის, მკვდარი არის აქ და ახლა. ყველა არასწორი აზრი არის ნარჩენი, ანუ მკვდარი. ჩვენ ვცხოვრობთ ცოცხალსა და მკვდარს შორის, აქ უამრავი მკვდარია“.

დიახ, ბატონო ლევან, აქ უამრავი მკვდარია – მათ შორის, პოლიტიკოსებიც. სწორედ ეგაა უბედურება, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ცოცხლებსა და მკვდრებში, ოღონდ ომით გაუმაძღარი არაგველები არაფერ შუაში არ არიან, უბრალოდ, რეალობაა ასეთი. თქვენც გაგაცოცხლეს 2012-ში, მაგრამ გაცოცხლდით კი? (ავტორი იამზე კიკნაძე):

**„ჰეი, თქვენ სოროსელებო,**
**გაუმაძღარნო ზიზღითა,**
**თქვენს საფლავებთან მოსვლა და**
**ეკლის მორთმევა მომინდა.**
**ჭრელკაბიანო ბიჭებო, „ბიკინი“**
**ხომ არ შეგხსნიათ?!**
**ეს ღვარძლი არის,**
**თუ მართლა ეშმაკის**
**დიდი ცეცხლია?!**
**უგემოვნებო ქალებო,**
**ასე რამ გაგახალისათ,**
**ჟრიალი ხომ არ მოგინდათ**
**ბებერი ჯორჯის ხმალისა?!**
**სიმღერა ხომ არ მოგესმათ**
**იქ ჯოჯოხეთის ქვაბისა?!**
**იქნებ, მე თვალი მატყუებს,**
**ზეცა მაბრმავებს კრიალა,**
**მაშინ თქვენ თვითონ დაწექით**
**და აღიარეთ ხმიანად:**
**რომ არც ზიზღი გაქვთ**
**ქრისტესი და არც**
**მზაკვრობა მთლიანად,**

**მა ეს ბებერი სოროსი**
**ასე რამ ააბრდღვიალა?!**
**ჰეი, თქვენ სოროსელებო,**
**გაუმაძღარნო ზიზღითა,**
**თქვენს საფლავებთან მოსვლა და**
**შეკურთხებაიც მომინდა“!**

ამას წინებზე ინფორმაცია გავრცელდა იაპონელი მეცნიერები ღორისა და ადამიანის ჰიბრიდზე მუშაობენ, ადამიანი ღორად უნდა გადააქციონ, ან პირიქითო... შეიძლება ერთდროულად ადამიანიც იყოს და ღორიცო. ეტყობა, იაპონელებმა არ იციან, რომ ჩვენ ამ სფეროში ძალიან დიდი მიღწევები გვაქვს, თორემ თავს აღარ შეიწუხებდნენ, ჩამოვიდოდნენ და საკუთარი თვალით ნახავდნენ. სამაგიეროდ, ჩვენ სხვა კუთხით გვაქვს ჩავარდნა (ავტორი გიორგი ბებიაშვილი):

**„ჩვენ არ გვაქვს საკვები,**
**ჩვენთვის იზრდება ხმელი ბალახი,**
**ჩვენ არ ვმუშაობთ**
**და ველარც ვუჩივით**
**ცარიელ ქუჩებს,**
**მკვდრებიც ქრებიან**
**ოქტომბრის წვიმაში,**
**ომი ჯერ კიდევ არ იწყება**
**და ჩვენ ვჭამთ ხმელ ბალახს,**
**ჩვენ ვიკვებებით სოციალიზმით,**
**ჩვენ ვიჭამთ დაუჭრელ ფრჩხილებს,**
**ჩვენ არ გვაქვს სათქმელი**
**და ვუყურებთ სიცარიელეს,**
**ჩვენ არ ვუჩივით არავის**
**და რას ველოდებით ყოველდღე,**
**როდესაც მოხრილი დავყურებთ**
**საშიშ გამაგრებულ ყვერებს**
**და ვეძებთ ხვრელებში შესაღწევ კიბეს“.**



საააკაშვილი ისრაელს ესტუმრა, მივიდა გოდების კედელთან და პატარა ხვრელში წერილი შეაცურა.

ხმა კედლიდან:

– სად მაქვს ამდენი?!

*****

– რატომ ცხოვრობენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ასეთ ფუფუნებაში?

– ძირითადად, მტკიცებულებების არქონის გამო!..

*****

– ნადირობა ნამდვილი სპორტია! განსაკუთრებით მაშინ, როცა ტყვიები დაგიმთავრდება, დათვი კი ისევ ცოცხალია!..

*****



ტყეში ხეტიალისას დაკარგული მამაკაცები შემთხვევით უცნობ მოხუცს წააწყდნენ:

– ბაბუ, გვასწავლე, როგორ მივიდეთ უახლოეს სოფლამდე?

– პირდაპირ იარეთ და მარიხუანის მინდორს მიადგებით, მერე ეგრევე გამოჩნდება მოლაპარაკე მდინარე...

*****

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ვინ დარეკა?

– აბა, რა ვიცი. მგონი, სინოპტიკოსი იყო ის ჩემანალა!

– საიდან მოიტანე?!

– რაღაც სისულელე მკითხა: „აბა, მზეო, ჰორიზონტი სუფთაა?“

*****

– პოლიციის თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის დაჯარიმებული ხართ 100 ლარით!

– აჰა შენ 1000 ლარი და ყური დამიგდე!..

*****



– როგორ სვამს რუსი?

– როგორ და ჯერ სვამს იმას, რაც უნდა, მერე იმას, რაც შეუძლია, ბოლოს კი იმას, რაც რჩება...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# 18–24 იანვრის ჰოროსკოპი



### ვერძი 21.03-21.04

**სიყვარული –** ეს კვირაც იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ ახლობელ და საყვარელ ადამიანებს ყურადღება არ მოაკლოთ. თუ საჩუქრებს არ დაიშურებთ, კმაყოფილი იქნება არა მხოლოდ თითოეული თქვენი გარშემომყოფი, არამედ თავადაც ამაღლებულ განწყობას შეიქმნით. მეტიც, მატერიალურ ინვესტიციებსა თუ გულუხვობაზე საწინააღმდეგო სქესთან თქვენი ურთიერთობა პირდაპირ კავშირშია. მოკლედ, წინ ბევრი წარმატება გელით, მთავარი კი ის არის, უკან არ დაიხიოთ.

**სამსახური –** თქვენი საქმიანობა მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს, როგორც მატერიალურს, ისე ინტელექტუალურს.

**სასიკეთო დღეები:** 20, 21 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 იანვარი.

### კურო 22.04-21.05

**სიყვარული –** მაქსიმალურად წარმოაჩინეთ საკუთარი თავი. თუ თავდაჯერებულობა არ გიმტყუნებთ, ასეთ შემთხვევაში, პირადი ცხოვრება საუკეთესო შედეგებით დაგასაჩუქრებთ. გამოჩნდით ხალხმრავალ ადგილებში და გახსოვდეთ, რომ ამჟამინდელი ნაცნობობითა და შეხვედრებით ურთიერთობების ციკლს მთელი წლით ადრე განსაზღვრავთ, ან შესაძლოა, თქვენი მომავალიც კი სწორედ ამ პერიოდზე იყოს დამოკიდებული.

**სამსახური –** ახალი პროექტების წამოწყების დროა, არ შეგაშინოთ უკვე არსებული საქმის გაფართოებამ.

**სასიკეთო დღეები:** 19, 22, 23 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 იანვარი.

### ტყუპები 22.05-21.06

**სიყვარული –** გამონახეთ დრო მიმდინარე მოვლენების გასაანალიზებლად, შეეცადეთ, წარსულში დაშვებული შეცდომების მიზეზებში გაერკვეთ. არ არის გამორიცხული, მეგობრების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა გჭირდებოდეთ. მთავარი ახლა ის არის, რომ წარუმატებლობებში არც საკუთარი თავი დაადანაშაულოთ და არც არავინ სხვა. სულ მალე სიტუაცია გამოსწორებისკენ წავა და ნანატრ ჰარმონიასაც მოიპოვებთ. ჯერჯერობით კი დევიზად შემდეგი სიტყვები გაიხადეთ: მოთმინება და გამძლეობა!..

**სამსახური –** ახალი საქმეების წამოწყებისგან თავი შეიკავეთ.

**სასიკეთო დღეები:** 20, 24, იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 იანვარი.

### კირჩხიბი 22.06-22.07

**სიყვარული –** სამწუხაროდ, სიმშვიდის მოლოდინი არ უნდა გქონდეთ. დიდი ალბათობით, სასიყვარულო ფრონტზე ყველაფერი ისე არ წავა, როგორც იმედოვნებდით. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის გახდება, რომ თავისუფლების შეგრძნების დაუძლეველი სურვილი გაგიჩნდებათ, რაზეც, პრინციპში, უარი არ უნდა თქვათ. არ არის გამორიცხული, პარტნიორთან არსებული ურთიერთობა გაცივდეს.

**სამსახური –** ნუ ჩაიციკლებით მხოლოდ საკუთარ შეხედულებებზე, გაითვალისწინეთ კოლეგების პოზიციაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიასკო გარდაუვალია.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 იანვარი.

### ლომი 23.07-22.08

**სიყვარული –** ახალი ნაცნობობისთვის მოცემული მომენტი უკიდურესად არახელსაყრელია. თუ ამას არ გაითვალისწინებთ, შესაძლოა, გული გატკინონ. კარგს იზამთ, თუ მიმდინარე კვირაში სერიოზულ გრძნობებს გვერდზე გადადებთ და მთელ ძალისხმევას კარიერული წინსვლისკენ მიმართავთ. წარმატებით შეიძლება მხოლოდ სამსახურებრივი რომანი განვითარდეს. თუ დაოჯახებული ხართ, შესაძლოა, მეუღლის მხრიდან კომპრომისზე წასვლის სურვილის არქონამ ურთიერთობა დააზარალოს.

**სამსახური –** ძალიან ხელსაყრელი დროა ახალი პარტნიორების მოძიებისთვის, კონტრაქტების გაფორმებისთვის, დაწინაურებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 18, 24, იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 იანვარი.

### ქალწული 23.08-22.09

**სიყვარული –** თქვენი დროა, უამრავი შანსი მოგეცემათ და უნდა იმარჯვოთ! სიყვარულში დიდი წარმატება გელით. გარდა ამისა, უცხო ენების ცოდნა დაგეხმარებათ, პირადი ხასიათის საკითხები ძალიან მარტივად მოაგვაროთ. არ არის გამორიცხული შეხვედრა უცხოელთან, რაც შესაძლოა, სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

**სამსახური –** თუ შეძლებთ და უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტებს დაამყარებთ, საქმიანობა ბევრად მეტ შემოსავალს მოგიტანთ.

**სასიკეთო დღეები:** 19 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 იანვარი.

### სასწორი 23.09-22.10

**სიყვარული –** წინ არც ისე მარტივი კვირა გელით. მზად იყავით ნებისმიერი არასასიამოვნო სიურპრიზისთვის, რასაც დასჭირდება თქვენი სწრაფი რეაქცია და მზადყოფნა, დარტყმამ არ წაგაქციოთ. სიტუაციები წამიერად შეიცვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მერყეობა დამღუპველი იქნება. ასევე არახელსაყრელი კვირაა დაოჯახებული სასწორისთვის, თუმცა პარტნიორები კრიზისს გადაიტანენ, ეს იმას ნიშნავს, რომ სამომავლოდ გრძნობა ნებისმიერ გამოცდას გაუძლებს.

**სამსახური –** ფინანსური რისკების კვირაა. ფულს ნურც გაასესხებთ და ნურც თავად აიღებთ ვალს.

**სასიკეთო დღეები:** 20, 21 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 24 იანვარი.

### მორიელი 23.10-21.11

**სიყვარული –** მოცემულ პერიოდში თქვენი არც ისე მსუბუქი და ფეთქებადი ხასიათი შესაძლოა, მთელი თავისი „ბრწყინვალებით“ წარმოჩინდეს, რაც პირად ცხოვრებაში პრობლემებს მოგიმატებთ. გაგიჩნდებათ თავგადასავლებში თავით გადაშვების სურვილი, რაშიც ცუდი არაფერია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გული თავისუფალი გაქვთ. ხოლო თუ პარტნიორი გყავთ, მეორე ნახევარს კიდევ ერთი თაფლობის თვე მოუწყვეთ.

**სამსახური –** გაისტუმრეთ ვალები და დაფარეთ კრედიტები. მოცემულ მომენტში შესაძლოა, ბევრად მეტი დაკარგოთ, ვიდრე იშოვნოთ.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 იანვარი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**სიყვარული –** პრობლემები საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში დროებით მეორე პლანზე გადაინაცვლებს და ადგილს მატერიალური ხასიათის საკითხებს დაიკავებს. მოგიწევთ უფრო მეტი დროის სამსახურისთვის დათმობა. სამაგიეროდ, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგები პერსპექტივაში გაგახარებთ თქვენც და თქვენს მეორე ნახევარსაც, რაც, რასაკვირველია, ურთიერთობაზე დადებით გავლენას იქონიებს.

**სამსახური –** ბევრი საქმე გექნებათ, შესაძლოა, ზედმეტად ბევრიც, მაგრამ არ შეშინდეთ, ყველაფერს გაუმკლავდებით.

**სასიკეთო დღეები:** 18, 23 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 იანვარი.

### თხის რქა 22.12-19.01

**სიყვარული –** ბოლოს და ბოლოს, ბედი თქვენც გაგიღიმებთ. მიმდინარე კვირა მოგცემთ უნიკალურ შანსს, საწინააღმდეგო სქესთან მშვენიერი ურთიერთობა ააწყოთ. ამაში იგულისხმება როგორც ნაცნობობა, ისე ძველი ურთიერთობის აღდგენა. უფრო მეტიც, ამ კვირაში მეუღლეებიც კი შესაძლოა, ვნების ქარ-ცეცხლმა მოიცვას. არამც და არამც არ შეგრცხვეთ გრძნობების სააშკარაოზე გამოტანის. იყავით გამბედავი და ნურც ექსპერიმენტებზე იტყვით უარს.

**სამსახური –** წარმატება გელით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენი საქმიანობა სარეკლამო ბიზნესს უკავშირდება.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 იანვარი.

### მერწყული 20.01-18.02

**სიყვარული –** სიყვარულში საკუთარი პოტენციალის გამოვლენისთვის არც ისე ბევრი შესაძლებლობა გექნებათ. დიდი ალბათობით, სიყვარული უფრო მეტი სანერვიულოს მომტანი იქნება, ვიდრე სასიამოვნო და სასიხარულო მომენტების. მორალურად მზად იყავით პარტნიორთან ურთიერთობის გამწვავებისთვის. უახლოეს დღეებში მოთმინება და ხასიათის სირბილე მაქსიმალური დოზებით უნდა გამოავლინოთ.

**სამსახური –** დაასრულეთ ადრე დაწყებული საქმეები, რათა ხელი ახალ პროექტებზეც მიგიწვდებოდეთ.

**სასიკეთო დღეები:** 24 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 იანვარი.

### თევზები 19.02-20.03

**სიყვარული –** ერთ ადგილზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჩერდეთ. გაემგზავრეთ საზღვარგარეთ, ქალაქგარეთ, თუმცა, თუ არც ერთი გამოდის და არც მეორე, კონცერტზე წადით, გამოფენაზე, არ აქვს მნიშვნელობა, ოღონდ არ გაჩერდეთ. რაც უფრო ბევრგან გამოჩნდებით, მით მეტია შანსი, რომ მარტოობას ბოლოს მოუღებთ. ინტელექტუალური ურთიერთობა თანამოაზრეთა წრესთან თქვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხს გაპოვნინებთ, მაგრამ რაც მთავარია, მონათესავე სულს მიაგნებთ.

**სამსახური –** იდეალური მომენტია ნებისმიერი ახალი პროექტის წამოწყებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 19 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 იანვარი.

## ანომალია



# „თუ სიყვარულითა და პატივისცემით არ მივიღებთ ამ საქმის კეთებას ჩვენი ფუძის შთამომავალნი, შეწყდება ჩვენი გენეტიკური და კარმული საქმიანობა!“


მაია იასეშვილი

599 94-64-58




**საქართველოში მრავალი გვარია, რომელიც საზოგადოებისთვის მკურნალ-მეწამლეობის იდუმალ ცოდნას უკავშირდება. სამონასტრო მედიცინის ფუძემდებელთა შორის მოხსენიებულია პაიჭაძეთა გვარი. სწორედ ამ გვარის წარმომადგენელია ჩვენი დღევანდელი სტუმარი ნანა პაიჭაძე, რომელიც მის ცხოვრებაში მომხდარი ანომალიური მოვლენების შესახებ გვესაუბრება.**

**— ქალბატონო ნანა, რატომ დაუკავშირეთ თქვენი საქმიანობა მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, ძვალ-სახსართა დაავადებების მკურნალობს? ეს ხომ სარისკო საქმეა, მით უმეტეს იმისთვის, ვისაც არა აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება.**




– ეს კითხვა ჩემს პაციენტებსაც გასჩენიათ და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემი სამკურნალო მეთოდების შესახებ იცის. ჩემი ამჟამინდელი საქმიანობა ჩემს ნება-სურვილს არ უკავშირდება. ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ აუცილებლად ვიმუშავებდი აღნიშნულ სფეროში, რადგან ჩემი გვარის ქალბატონების კარმული მისიაა მკურნალ-მეწამლეობა ძვალსახსროვან დაავადებასთან დაკავშირებით, ჩვენს საგვარეულო მალამოებსა და მკურნალობის მეთოდებს ანალოგი არა აქვს და ამ იდუმალ ცოდნას მხოლოდ პაიჭაძეთა ქალბატონები ფლობენ, თანაც ცოტანი, მხოლოდ ისინი, ვინც გვარის ფუძიდან მოდიან.

> **„თავს ვდებ მხოლოდ იმ დაავადებათა განკურნებაზე, რაც პაიჭაძეთა ქალების კარმული მისიაა და ვალდებული ვარ, უკან არ დავიხიო... ესენია მწვავე რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, ლორდოზი, ქვემო კიდურების სისხლძარღვთა შევიწროება, მენჯ-ბარძაყისა და სამწვერა ნერვის ანთება, ჰაიმორიტი, შიდა ქალის წნევა, შაკიკი და ის ძლიერი ტკივილები, რომელიც მარილების დაგროვებას ახლავს ქუსლისა და ტერფის არეში, პოლიართრიტი, ტრომბიტი და ყველა ის დაავადება, რაც ძვალ-სახსარს უკავშირდება“**

**— საიდან იცით, რომ თქვენი გვარის კარმული მისიაა ძვალ-სახსართა მკურნალობა? მით უმეტეს, თქვენი გვარი სამონასტრო მედიცინას უკავშირდება. კარმული მისიის დადგენა ეზოთერიკოსთა და ასტროლოგთა საქმეა, ეს კი შეუსაბამო ცნებაა საეკლესიო მედიცინისთვის.**

– იმ დროს, როცა ჩემი გვარის ქალებს ამ საქმის შესრულება დაეკისრათ, მაგიური მედიცინა, ასტროლოგიური მედიცინა და სამონასტრო არ იყო მკაცრად გამიჯნული. მაგიური მედიცინის ერთ-ერთი სახეობაა შელოცვებით მკურნალობა, რომელსაც დღეს თითქმის აღარავინ იყენებს, მოხუცი ბებიების გარდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შელოცვებმა თავისი მაგიური ზემოქმედების უნარი დაკარგა. ჩემი წინაპრები იმდენად კარგად ერკვეოდნენ ასტროლოგიაში, რომ არასდროს არღვევდნენ მცენარეთა შეგროვების წესებს, ზედმიწევნით იცოდნენ, რომელ მცენარეს დღის რა მონაკვეთში, რომელ თვესა და რიცხვში ჰქონდა გამძაფრებული სამკურნალო შესაძლებლობები. მე რომ ასტროლოგიურ პარამეტრებს არ ვიყენებდე ჩემს სამედიცინო საქმიანობაში, ყურადღებას არ ვაქცევდე მთვარის ფაზებსა და ჩემი პაციენტების ასტროლოგიურ მონაცემებს, ჩემს მკურნალობას ის ეფექტი არ ექნებოდა, რაც აქვს. ჩემს პაციენტებს შესაძლოა, უბრალო ცნობისმოყვარეობა ჰგონიათ, როცა გვარ-სახელთან ერთად დაბადების წელს, თვესა და რიცხვს ვეკითხები. არსებობს სამკურნალო ბალახები, რომლებიც დროის მოკლე მონაკვეთში თუ არ მოიკრიფა, როცა მისი სამკურნალო შესაძლებლობები არის გააქტიურებული, აზრი არ აქვს მის მოხმარებას. სამკურნალო მალამოების შექმნის დროს კი პარაფსიქოლოგიური ცოდნის გათვალისწინებაც აუცილებელია. დადებითი მუხტითა და სურვილებით თუ არ გააჯერე წამალი, ისე სასურველ შედეგს ვერ მიიღებ. ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და პედანტური წესრიგით ამზადებდნენ სამკურნალო პრეპარატებს და ჰოროსკოპის მიხედვით ამა თუ იმ პაციენტისთვის პოზიტიური დღე თუ არ არის მკურნალობის დაწყების პირველი დღე, არასდროს არ ვიწყებ მკურნალობას. ჩემი საქმიანობა მაიძულებს, წინაპართაგან დაკანონებულ ტრადიციებს არ გადავუხვიო, არც იმას დაგიმალავთ, რომ ჩემი სამკურნალო პრაქტიკა მხოლოდ ძვალსახსროვან დაავადებათა მკურნალობით არ შემოიფარგლება, თუმცა კარმული მისია, ანუ აუცილებლობა მხოლოდ ძვლოვანი სტრუქტურის მკურნალობაა, დანარჩენი ცოდნა, რაც წინაპართაგან გადმომეცა, უფლება მაქვს, არ გამოვიყენო ჩემს სამკურნალო პრაქტიკაში. ამ არჩევანში თავისუფალი ვარ. ასე იყვნენ ჩემი გვარის მკურნალ-მეწამლე ქალები.

**— ქალბატონო ნანა, გარდა წინაპართაგან გადმოცემული ცოდნისა, რამ გაამდიდრა თქვენი პრაქტიკული საქმიანობა?**

– ჩემი წინაპრები, ასტროლოგიის გარდა, დიდ ყურადღებას აქცევდნენ მაგიური ცოდნის გამოცდილებას, დღეს სიტყვა „მაგია“ არცთუ სასიამოვნო დატვირთვით გამოირჩევა, მაგრამ მწვანე მაგია სხვა არაფერია, თუ არა ფიტოთერაპიით მკურნალობა. ბუნებაში ყველაფერი წონასწორობაშია, უფალმა თუ დაავადება გამოგვიგზავნა სამკურნალოდ უამრავი საშუალება მოაყოლა. ამიტომაც მოსდევს ტკივილს განკურნება, აღმართს – დაღმართი, მწუხარებას – სიხარული. გარდა იმისა, რომ მწვანე მაგიის, ან ფიტოთერაპიის შესაძლებლობებს ვეცნობი, უძველესი და თანამედროვე სახელმძღვანელოებიდან და ინტერნეტსივრციდან მაქვს საკუთარი მინიშნებებიც და ამას მაინცდამაინც მისტიკით არ ვხსნი. მიქელანჯელო ამბობდა, რომ ქვაში თვითონ ცხოვრობს ქანდაკება და სწორედ ზედმეტი ნაწილის მოშორებაა საჭირო. თუ მკრეხელობად არ ჩამითვლით, იგივეს თქმა შემიძლია მცენარეებზე. თვითონ მცენარეები მიგვითითებენ თავიანთ სასარგებლო თვისებებზე. მაგალითისთვის ქრისტესისხლას დაგისახელებთ, რომელსაც უამრავი დაავადების მკურნალობის უნარი მიანიჭა ბუნებამ. მე იმას არავის ვუმტკიცებ, რომ ვაჟა-ფშაველას მინდიასავით ყველა ხე და ბუჩქი მელაპარაკება და მზამზარეულ რეცეპტებს მაწვდის, მაგრამ ბევრი რამ შევამჩნიე დაკვირვებისა და ექსპერიმენტების შედეგად. ბებიაჩემი კი ამბობდა, შინაგანი ხმა ყოველთვის მკარნახობს, რა დაავადება რით უნდა მოვარჩინოო. ბებია მაღალწნევიანი იყო და წამალს არასდროს სვამდა, რაღაც ბალახებს შემოიწყობდა შუბლზე, 10-15 წუთით ჰქონდა შეკრული და ურეგულირდებოდა წნევა. თითქმის საუკუნეს ისე მიაღწია, რომ სააფთიაქო წამალი არ დაულევია. ამას ბუნების საიდუმლო ენის ალქმით და შემეცნებით მიაღწია. მეც მაქვს ჩემი მიგნებები ფსიქოთერაპიის სფეროში, რაც არსად წამიკითხავს და არც არავის უსწავლებია. ამას ვხსნი გენეტიკური, ანუ სისხლის მეხსიერებით და არა, მაინცდამაინც ჩემი ნიჭით. ჩემი დიდი ბებია, რომელიც დაქვრივების შემდეგ მონაზონი გახდა, ზენაარისგან განდობილი ადამიანი იყო, მკურნალ-მეწამლეობის შესახებ ისეთი ინფორმაციები მიეწოდებოდა, რაც ჩვენთვის, ერში მოღვაწე ადამიანისთვის, ცოტა შორს არის. სხვათა შორის, მას მხოლოდ ნაკურთხი წყლით, სეფისკვერითა და ლოცვითაც მოურჩენია მძიმე ავადმყოფები და არა მხოლოდ სამკურნალო მცენარეებით. ხშირად მეცხადება სიზმრად, როცა მგონია, რომ



გამოუვალ მდგომარეობაში ვარ, ყოველთვის მაპოვნინებს ხოლმე ოპტიმალურ გამოსავალს. სიზმარი სწორედ ის ხიდია, რომლისგანაც წუთისოფელი და მარადიული სოფელი გამიჯნული არ არის. სანამ პრესასა და ტელევიზიაში იქნებოდა ე.წ. ბუმი კლინიკური სიკვდილის თემებზე, ანომალიურ თემებზე და საზოგადოება გაიგებდა ამა თუ იმ ანომალიის შესახებ, მე ბავშვობაშივე ვიყავი ინფორმირებული იმ თემით, რასაც კლინიკური სიკვდილის ფენომენი ჰქვია, რადგანაც ჩემი დიდი ბებია სწორედ ასტრალურ სამყაროში მარადისობის ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ გახდა მონაზონი და მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სამკურნალო საშუალებასა და ღვთისმსახურებას. განსაკუთრებული შედეგები ჰქონდა უშვილო წყვილებთან, ბებია ძალიან ახალგაზრდა დაქვრივდა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო საყვარელი ადამიანის დაკარგვამ. საშინელი დეპრესია უძღოდა მის ასტრალურ მოგზაურობას, მერე როცა ღრმადმორწმუნე ადამიანად აქცია იდუმალების კარიბჭესთან მიახლოებამ, ყველა ნაცნობსა და უცნობს უშლიდა წრეგადასულ გლოვას და დიდხანს სამგლოვიარო ტანსაცმლის ტარებას. როცა ბებია ქმარს საიქიოში შეხვედრია, მას უთქვამს, – ტბორში ვდგავარ შენი ცრემლებისგან, გირჩევნია, ლოცვით მიეშველო ყველა ცოცხალსა და გარდაცვლილს, ვისზეც გული შეგტკივაო. არ ვიცი, მონაზვნის გზა გარდაცვლილმა მეუღლემ მიუთითა თუ მისი არჩევანი იყო, მაგრამ თურმე ბებიამ იმ დღიდან სამუდამოდ დაიშრო გლოვის ცრემლები და სიკვდილზე ფიქრიც გაუადვილდა. ისიც გვითხრა, ქმარს რომ ძალით არ გამოვეგდე მარადისობის ქვეყნიდან, ჩემი ნებით არასდროს წამოვიდოდიო. საიქიოს ხან სინათლის ქვეყნად იხსენიებდა, ხან თეთრ მარადისობად, ოღონდ ანომალიურ მოვლენას, რომელსაც კლინიკური სიკვდილი ჰქვია, ბებია კლინიკურ სიკვდილად არ მოიაზრებდა. უბრალოდ, ამბობდა, იმ ქვეყანას ვიყავიო და ვერავინ დააჯერებდა, რომ, რაც იქ ნახა, სიმართლეს არ შეეფერება. ბრაზდებოდა, როცა მის მონათხრობს ხილვად ან სიზმრად აფასებდნენ, ამ უცნაური მოგზაურობისას ბებიამ საიქიოს ცხოვრების უამრავი რამ გაიგო, ნათელხილვის ნიჭი ჰქონდა თუ ეს უბრალო ინტუიცია იყო, არ ვიცი, მაგრამ რასაც იტყოდა, კარგსა თუ ავს, შეუძლებელია, არ აცხადებულიყო. ამბობდა, სულისთვის შეუძლებელი არაფერია, ოღონდ ამას თავისუფალ და მონანიე სულზე ამბობდა, რომელსაც ზიარების მადლი ჰქონდა მიღებული და ამ სოფლადვე ჰქონდა ცოდვები მონანიებული.

> **„როცა ბებია ქმარს საიქიოში შეხვედრია, მას უთქვამს, — ტბორში ვდგავარ შენი ცრემლებისგან, გირჩევნია, ლოცვით მიეშველო ყველა ცოცხალსა და გარდაცვლილს, ვისზეც გული შეგტკივაო“**

**— შეკვეთილ სიზმრებს თუ ნახულობთ, ქალბატონო ნანა, როცა რაღაცის გაგება გინდათ და არ ფლობთ იმ საკითხზე სათანადო ინფორმაციას?**

– პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არასდროს ვიღებ, მიუხედავად იმისა, რომ მაქვს ბებიისგან გადმოცემული მზამზარეული უნიკალური რეცეპტები სხვადასხვა დაავადებისთვის, ასევე, გამაახალგაზრდავებელი, სახის მოვლის შესანიშნავი საშუალებები. მაგალითისთვის მინდა ვახსენო – ლოკოკინის ჟელეს გამაახალგაზრდავებელ თვისებებზე, როგორც კანის მოვლის საშუალებაზე, მსოფლიო მხოლოდ ათი წელია ალაპარაკდა, მაშინ, როცა ბებიაჩემი უძველეს დროს მიმართავდა თავის გამაახალგაზრდავებელ საცხებში მის გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ სახის მოვლისა და გაახალგაზრდავების უნიკალურ რეცეპტურას ვფლობ, თავს ვდებ მხოლოდ იმ დაავადებათა განკურნებაზე, რაც პაიჭაძეთა ქალების კარმული მისიაა და ვალდებული ვარ, უკან არ დავიხიო.

**— მაინც, რომელია ეს დაავადებები?**

– ესენია მწვავე რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, ლორდოზი, ქვემო კიდურების სისხლძარღვთა შევიწროება, მენჯ-ბარძაყისა და სამწვერა ნერვის ანთება, ჰაიმორიტი, შიდა ქალის წნევა, შაკიკი და ის ძლიერი ტკივილები, რომელიც მარილების დაგროვებას ახლავს ქუსლისა და ტერფის არეში, პოლიართრიტი, ტრომბიტი და ყველა ის დაავადება, რაც ძვალ-სახსარს უკავშირდება. სხვა დანარჩენებზე პასუხისმგებლობას არ ვიღებ.

**— ქალბატონო ნანა, თქვენი შვილები პაიჭაძეები არ არიან, რომ მალამოების დამზადება ასწავლოთ, მათი ხელიდან გაცემული პრეპარატები არ გააკეთებს თავის საქმეს?**

– მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია, თუმცა ხედავენ ჩემი საქმიანობის პროცესს და შეუძლიათ, მომბაძონ კიდეც, მაგრამ არა მგონია, ეს მოუნდეთ, რადგან ყველა ადამიანი თავისი მისიით იბადება და ის საქმე უნდა გააკეთოს, რისთვისაც ქვეყნიერებას მოევლინა.

**— თქვენ შემდეგ ვინ გააგრძელებს თქვენ ტრადიციას?**

– ყოველთვის მოდის მინიშნებები, ვისაც უნდა გადაეცეს გვარის ტრადიცია, ამ ფაქტს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა ჩვენგანი, ვინც ჩვენი წინაპართა ცოდნა დღემდე მოვიტანეთ. ისიც ვიცით, თუ რუდუნებით, სიყვარულითა და პატივისცემით არ მივიღებთ ამ საქმის კეთებას ჩვენი ფუძის შთამომავალნი, შეწყდება ჩვენი გენეტიკური და კარმული საქმიანობა... და თუ ეს შეწყდა, ესეც უფლის ნება იქნება.

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



## პროფესია



# შესაძლებელია, რომ გარეშე პირი მობილურსა და კომპიუტერში ისე შემოვიდეს, რომ ამის შესახებ ვერ გაიგო?

## როგორ უნდა დაიცვან თავი არასასიამოვნო ფაქტებისგან თანამედროვე ტექნოლოგიების მომხმარებლებმა?

## რას გვირჩევს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი?










> **„ყოფილა შემთხვევები, ერთ დღეში 400 ლარი გამიკეთებია“**

> **„უკვე გავრცელებულია კომპიუტერში დასაყენებელი უფასო პროგრამები და ლოგიკურია, რახან პროგრამა უფასოა, მის დამამზადებელს რაღაც შემოსავალი მაინც ექნება, ტყუილად ხომ არ გააკეთებს? ამიტომ ამ პროგრამის დაინსტალირების დროს სხვადასხვა პროგრამებია ჩაქსოვილი და მომხმარებელი ხშირად არ აკვირდება პროგრამის დასაყენებელი ტექსტის პირობებს, შემთხვევით აყენებს ისეთ რაღაცებს, რაც კომპიუტერს აზიანებს“**

> **„ხშირად, მაღაზიაში, არაპროფესიონალი კონსულტანტების შეცდომის გამო, მომხმარებელი ზარალდება“**

**თანამედროვე ტექნოლოგიები დღითი დღე პოპულარული და მოთხოვნადი ხდება. დღეს უკვე იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც ან თანამედროვე მობილური, ან კომპიუტერი არ ჰქონდეს. როგორც კბილის ატკივების დროს გვჭირდება სტომატოლოგის მომსახურება, ასევე არის აქაც — სხვადასხვა გაჯეტების, ლეპტოპებისა და ტელეფონების დაზიანებისას, გვჭირდება სპეციალისტის ჩარევა, რომელიც პრობლემას აღმოფხვრის და ყველაფერს წესრიგში მოიყვანს. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, 29 წლის ბექა ვარდოსანიძეა, რომელიც აღნიშნული სფეროს ირგვლივ ჩვენთვის გასაგებ ენაზე გვესაუბრება და რამდენიმე ძალიან საჭირო რჩევასაც გვაძლევს:**

– მე ეს სფერო ჩემით ავითვისე, თვითნასწავლი ვარ (იღიმის). ვმოღვაწეობ, ასე ვთქვათ, თანამედროვე, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ეს არის მობილური ტელეფონები, კომპიუტერები და ა.შ. დღეს, 21-ე საუკუნეში „ვიკებს“ გვეძახიან ადამიანებს, რომლებსაც გვიყვარს სხვადასხვა გაჯეტები და ტექნოლოგიები.

— **რამდენი ხანია, რაც ამ სფეროთი დაინტერესდი და გადაწყვიტე, რომ შენი პროფესია სწორედ ეს უნდა ყოფილიყო?**

– ჩემი პირველი პროფესია იურისტობაა, სისხლის სამართლის სპეციალისტი ვარ, რადგან პრინციპულობა და სამართლიანობა ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ ასევე ბავშვობიდან მიყვარდა ჩხირკედელაობა, ხატვა, ძერწვა, რადიოები არაერთხელ დამიშლია და ამიწყვია (იცინის). და როდესაც ჩვენს ქვეყანაში ფეხი შემოდგა თანამედროვე ტექნოლოგიებმა, რომელზეც ოპერაციული სისტემა „ვინდოუსი“ იყო ჩაწერილი, თავისთავად გამიჩნდა ინტერესი, გამერკვია, რა იყო ეს? ჩემი პირველი კომპიუტერიდან ყველაფერი ჩემით ავითვისე და როდესაც ქვეყანაში უკვე ნორმალური ინტერნეტი შემოვიდა, სხვადასხვა სტატიებს, ინფორმაციებს ვკითხულობდი და ყველაფერს ვითვისებდი, რაც კი ახალი გამოდიოდა, ვსწავლობდი, ვიგებდი, რა იყო მისი დადებითი და უარყოფითი მხარე. შემდეგ, როდესაც სასწავლებელი დავამთავრე, ამ სფეროში დავიწყე მუშაობა, იურისტობა კი ძალიან მინდოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მაშინ რა დრო იყო – ან ვიღაც უნდა დაგეჭირა, ან შენ დაგიჭერდნენ.

— **სად მუშაობდი?**

– სხვადასხვა კომპიუტერული მომსახურების ფირმებში, სადაც ძალიან დიდი გამოცდილება დამიგროვდა. სამწუხაროდ, იქ არ იყო შესაბამისი დაფასება – შრომა უფრო მეტი იყო, ვიდრე ანაზღაურება და თავი დავანებე. თუმცა, თუ სადმე მიმუშავია, ყველგან ამ სფეროში ვიყავი. დღეს კი, ძირითადად, პერსონალური გამოძახებების კუთხით ვმუშაობ.

— **რამდენი ხანია, რაც ამ საქმიანობით ხარ დაკავებული?**

– დაახლოებით, 12 წელია. თავიდან კომპიუტერული ტექნოლოგიები მაინტერესებდა, მაგრამ, როდესაც უკვე თანამედროვე მობილური ტელეფონები შემოვიდა თანამედროვე ოპერაციული სისტემებით (რასაც ანდროიდი ჰქვია), პირველი ტელეფონიც ანდროიდი ვიყიდე და შემდეგ ეს სფეროც ავითვისე.

— **შენ კონკრეტულად კომპიუტერულ პროგრამებზე მუშაობ, ხომ? თუ ტექნიკის შეკეთებაც შედის მაგაში?**

– მე არ ვარ, ასე ვთქვათ, ხელოსანი, მაგალითად, ელექტრობაზე არ ვმუშაობ, თუმცა ყოფილა ისეთი შემთხვევები, დიაგნოსტიკა გამიკეთებია, დამიშლია და ამიწყვია... ძირითადად, პროგრამულ უზრუნველყოფას – ოპერაციული სისტემების გამართვას, ვირუსებისგან გაწმენდას, განახლება-გაწმენდას ვახდენ.

— **რამდენად შემოსავლიანია შენი საქმიანობა? მაგალითად, თვეში რამდენ ლარს შოულობ?**

– ყოფილა შემთხვევები, ერთ დღეში 400 ლარი გამიკეთებია, მაგრამ ეს ძალიან შრომატევადი საქმე იყო. საერთოდ, რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, ჩემთვის ანაზღაურება მეორეხარისხოვანია, ჩემთვის უმთავრესია ხარისხი და ის, როგორი კმაყოფილი იქნება მომხმარებელი და რომ ჩემი ხელი დიდხანს აღარ დასჭირდეს (იღიმის).

— **რაიმე კონკრეტული პროგრამები თავადაც ხომ არ გაქვს შემუშავებული?**

– ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, რა თქმა უნდა, ცოდნის გაღრმავება სულ მინდა, სხვადასხვა ოპერაციულ სისტემებთან უკვე დავიწყე მუშაობა, იქნება ეს ვიდეომონტაჟი, გრაფიკა (ხატვა კი მეხერხება) თუ სხვა. ბავშვობაში როცა ვხატავდი, ყოველთვის განვიცდიდი ფერების ნაკლებობას, იმ დროისთვის სახატავი მასალებით ვერ გადმოვცემდი იმ ფერებს, რომლებიც მე მინდოდა და ახლა ძალიან მინდა, ფოტოშოპის და პლანშეტების გამოყენებით ვისწავლო დეკორაციები და ბევრ ფერზე მიმიწვდეს ხელი. მაქვს ერთი პროექტი: მოგეხსენებათ, საქართველოში მომხმარებლების უფლებები მეტ-ნაკლებად დაცულია, მათ ინფორმაცია, ძირითადად, არ გააჩნიათ და ტექნიკის შეძენისას დამოკიდებულები არიან კონსულტანტებზე. ვიცი მაღაზიები, სადაც მართლა ძალიან მაგარი კონსულტანტები ჰყავთ, მაგრამ ხშირად, არაპროფესიონალი კონსულტანტების შეცდომის გამო, მომხმარებელი ზარალდება.

— **პირადად შენ თუ გქონია მსგავსი უსიამოვნო შემთხვევა?**

– კი, მქონია, მაგალითად, ლეპტოპზე დამჭირდა ერთი ნაწილის, „ქულერის“ (გამაგრილებელი) შეცვლა და მთლიანად დედაპლატა შემიცვალეს. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს საერთოდ არ იყო საჭირო. ამიტომაც მაქვს გეგმაში ისეთი პროექტის შექმნა, რითაც მომხმარებელი მაქსიმალურად იქნება ინფორმირებული. მაგალითად, დღეს მობილური ტელეფონები იმდენად ვითარდება, რომ ზოგი მათგანის პროცესორი ზოგიერთ კომპიუტერზე ძლიერიც კი არის. ამიტომ მომხმარებელმა უნდა იცოდეს, პირველ რიგში რისთვის უნდა მას ტელეფონი და იცოდეს, რა არის მისი ძირითადი კრიტერიუმები, რის მიხედვით უნდა შეაფასოს – უნდა ჰქონდეს ძლიერი ელემენტი, ძლიერი შიდა მეხსიერება თუ სხვა? შეიძლება ბრენდულობის მიხედვით შეაფასონ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რა მხარდაჭერა ექნება იმ ბრენდს მომავალში არსებულ პროდუქტზე, რადგან არის ხოლმე, როცა განახლებებს აღარ უშვებენ. მაგალითად, ანდროიდი ოპერაციული სისტემაა და განახლებები, თითქმის, ყოველ წელს გამოდის.

— **შესაძლებელია, რომ გარეშე პირი მობილურში და კომპიუტერში ისე შემოვიდეს, რომ ამის შესახებ ვერ გაიგო?**

– კი. არის ვირუსები, რომლებსაც ე.წ. „რუდ კიტერს“ ეძახიან, რაც დაშორებულ ადმინისტრირებას ნიშნავს. მაგალითად, ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ვიღაცამ ვიღაცას „ფეისბუკი“ პირდაპირ გაუტეხა. შეღწევა ხდება ვირუსის მეშვეობით, რომელსაც შემდეგ პირდაპირ აქვს წვდომა შენს კომპიუტერთან. ასეთი ვირუსები, სამწუხაროდ, ტელეფონზეც არის უკვე, მქონია შემთხვევა, როდესაც ტელეფონი თავისით აყენებდა რაღაც მავნებლურ პროგრამებს, წაშლიდი და ისევ ხელმეორედ აყენებდა და ამას ვერ აკეთებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ინტერნეტს გაუთიშავდი.

— **როგორ უნდა დაიცვას თავი ასეთი არასასიამოვნო ფაქტებისგან თანამედროვე ტექნოლოგიების მომხმარებელმა?**

– პირველ რიგში, არ უნდა გახსნან უცნობი ლინკები, დააკვირდნენ, როგორია ლინკის საიტის სახელწოდება, თუ მასში ძალიან არეული ციფრებია, არავითარ შემთხვევაში არ გახსნან. ზოგადად, მოერიდონ უცხო საიტებზე ლინკების გახსნას, რადგან არის ისეთი ტიპის ვირუსები, რომლებსაც არანაირი ანტივირუსები არ იცავს, რაც კი არსებობს. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ჩემი მეზობელი მიგზავნიდა „ფეისბუკზე“ რაღაც რეკლამებს, ჩავედი მასთან და ვნახე, რომ მისი ანტივირუსული პროგრამა უკვე გადაკეთებული იყო ვირუსად. ასევე, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გახსნან უცხო მაილები (ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული წერილები-ლინკები). და კიდევ მთავარი: უკვე გავრცელებულია კომპიუტერში დასაყენებელი უფასო პროგრამები და ლოგიკურია, რახან პროგრამა უფასოა, მის დამამზადებელს რაღაც შემოსავალი მაინც ექნება, ტყუილად ხომ არ გააკეთებს? ამიტომ ამ პროგრამის დაინსტალირების დროს სხვადასხვა პროგრამებია ჩაქსოვილი და მომხმარებელი ხშირად არ აკვირდება პროგრამის დასაყენებელი ტექსტის პირობებს, შემთხვევით აყენებს ისეთ რაღაცებს, რაც კომპიუტერს აზიანებს და მის მუშაობას ანელებს. სწორედ ამიტომ ხდება ხოლმე, როდესაც ბრაუზერით, მაგალითად გუგლით, სადაც არ უნდა შეხვიდეთ, ყველგან რეკლამები გიხტება, რაც ბრაუზერის შიგთავსს აზიანებს. ამ რეკლამებს ეძახიან ე.წ. „სპამერებს“, რომლებიც შეიძლება მავნებელი არ იყოს, მაგრამ სადაც არ უნდა შეხვიდეთ, ყველგან ამოგიხტებათ და მუშაობის პროცესს საგრძნობლად ანელებს. ამიტომ ჩემი რჩევა იქნება: თუ რაღაცის დაყენებას დააპირებენ, დაინსტალირების დროს აუცილებლად დააკვირდნენ ტექსტის შინაარსს და გათიშონ ყველა ის მონაცემი, რაც მათთვის სასურველი არ არის.

# რა სასწაული შეემთხვა ნუგზარ კვაშალს ფერისცვალობას?



„მომიახლოვდა ეს ტანდაბალი კაცი და უცნაური რამ მითხრა, — ის ორი ლიმონი ძალიან ცოტააო და კიდევ ოთხი ლიმონი მომცა. დღემდე გაურკვეველია ჩემთვის, რანაირად გაიგო, როცა ლიმონი მონასტრის ეზოში მოვწყვიტე. ლიმონის სამკურნალო თვისებებზე ბევრი თქმულება დაწერილა, მაგრამ რა მადლიც და კურნების უნარიც იმ ლიმონს აღმოაჩნდა, ერთი შეხედვით დაუჯერებელია“




მაია იასეშვილი
599 94-64-58


**რუბრიკის სტუმარია მომღერალი ნუგზარ კვაშალი.**

— **ბატონო ნუგზარ, ხართ თუ არა მისტიკით დაინტერესებული?**

– მისტიკა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების ნაწილია, ამიტომაც ყველა ადამიანის ცხოვრებაში მეტ-ნაკლები ადგილი უკავია მისტიკურ მოვლენებს, ოღონდ გაუცნობიერებლად.

— **როგორ ფიქრობთ, ადამიანის ცხოვრების გზას მისი ბედისწერა განსაზღვრავს, თუ შემთხვევითობათა ერთობლიობა?**

– მიმაჩნია, რომ ბედისწერას ყველა თავად ქმნის, ბედმა ისიც თქვა, უფალმა გამომიგზავნა განსაცდელი, ან პირიქით, უფალმა მომცა შანსიო. უფლის წყალობა კარგია, მაგრამ ყველაფერს უფალს ნუ დავაბრალებთ, ღმერთს არავის წარუმატებლობა და მარცხი არ უნდა, უფალმა შექმნა ადამიანი, რომელმაც თვითონ უნდა აირჩიოს თავისი ცხოვრების გზა და წესი, ღმერთმა ადამიანი თავისუფალი არჩევანით შექმნა, ამიტომაც, ადამიანის ცხოვრება მის ხასიათზე, თვისებებსა და მიზანსწრაფვაზე მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე მის ბედისწერაზე.

— **თქვენ ფიქრობთ, რომ ბედის შეცვლა შესაძლებელია?**

– ადამიანმა თვითონ უნდა დაუკავშიროს თავისი ბედი საყვარელ ადამიანს, საყვარელ საქმეს და ასე შექმნას თავისი გასავლელი გზა. სიმღერის ნიჭი ღმერთმა მომცა, მაგრამ ჩემი ბედი თავად დავუკავშირე ანსამბლ „ივერიას“ და მადლიერი ვარ უფლის, დღემდე ასე ლამაზად რომ მომიყვანა.

— **ბატონო ნუგზარ, მხოლოდ ხილული სამყაროსი გჯერათ, თუ არაამქვეყნიურისაც?**

– ერთ ამბავს მოგიყვებით, ჩემი მეგობარი დავით გიგინეიშვილი, სანატორიუმ „ლიკანის“ მთავარი ექიმი გახლდათ, მეგობრები ზაფხულში წავედით მასთან დასასვენებლად, ლიკანში ჩვენი ყოფნა დაემთხვა ფერიცვალობას, სანატორიუმთან ახლოს ერთი მოკრძალებული, ძველი საყდარი იდგა, რომელსაც ფანჯარა არ ჰქონდა. ნახევრად მიწაში იყო ჩაფლული საყდარი. ბახუსის ეშხში შესული მეგობრები შევედით საყდარში სალოცავად და სანთლების დასანთებად, საყდრის სხვადასხვა კუთხეში ავანთეთ სანთლები, ღმერთს მოვუბოდიშეთ, რომ ისეთი მორწმუნეები არ ვიყავით, როგორიც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი უნდა იყოს, ამ დროს ჩვენგან ანთებულ სანთლებს თითქოს ვიღაცამ ერთბაშად სული შეუბერაო, ყველა ერთად ჩაქრა. როგორც გითხარით, საყდარს ფანჯარა არ ჰქონდა და დახურულ სივრცეში ნიავიც არ ქროდა, სანთლები თავისით ჩაქრა. ამ ხილვამ შეგვაშინა, ჩავთვალეთ, რომ უხილავმა ძალამ სანთლები ჩაგვიქრო და ეს ბუნებრივი ძალა გავანაწყენეთ. სანთლები ხელახლა ავანთეთ, ვილოცეთ და სანამ ყველა სანთელი არ ჩაიწვა, საყდრიდან არ წამოვედით. ყველა იქ მყოფთა აზრით, სანთლები იმიტომ ჩაქრა, რომ უფალს რწმენაში გავეძლიერებინეთ.





— **ბატონო ნუგზარ, თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი შემთხვევა, რასაც სასწაულთა ქრონიკაში განიხილავთ?**

– ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც თვითმფრინავი არ დამჯდარა, ფრთები ვერ გაუშლია, მაგრამ შიში მაინც არ მიგრძვნია, რადგან ყოველთვის მჯერა, რომ ღმერთი მიფარავს. ერთხელ, თურქეთში მივფრინავდით, თვითმფრინავმა აეროპორტში ერთი წრე დაარტყა, მაგრამ ვერ დაჯდა, ვერც მეორე წრეზე დაჯდა, 8 წუთის განმავლობაში გაგრძელდა ასე. ეს 8 წუთი 8 საათად მომეჩვენა. მართალია, შიში არ მიგრძვნია, მაგრამ ეს იყო შემთხვევა, როცა სიკვდილს ჩავხედე თვალებში. მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, როცა ადამიანი სიკვდილს თვალებში ჩახედავს, მთელი ცხოვრება თვალწინ გაუელვებსო. მართალია, კინოკადრებად დავინახე მთელი ცხოვრება, მაგრამ პარალელურად მჯეროდა, რომ ეს ჩემი სიცოცხლის ბოლო დღე არ იყო.

„სიკვდილს ჩავხედე თვალებში. მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, როცა ადამიანი სიკვდილს თვალებში ჩახედავს, მთელი ცხოვრება თვალწინ გაუელვებსო. კინოკადრებად დავინახე მთელი ცხოვრება“

— **სიზმრებს თუ აქცევთ ყურადღებას?**

– სიზმარზე დამოკიდებული კაცი არ ვარ, მაგრამ ამ ფენომენის უგულებელყოფაც არ შეიძლება. ერთ უცნაურ სიზმარს გავიხსენებ, რომელმაც ჩემი რწმენა კიდევ უფრო გაამყარა. 17 წლის ვიყავი, როდესაც აპენდიციტის ოპერაცია გავიკეთე, საკმაოდ რთული მდგომარეობა მქონდა. როცა ოპერაციას მიკეთებდნენ, თურმე იმ დროს, იმ წუთებში, ჩემი ბაბუა გარდაიცვალა. როცა პალატაში გადამიყვანეს, ჩემს სანახავად ჩემი მშობლები შემოვიდნენ, მამაჩემმა მითხრა, – ვიცი, ბაბუა როგორც გიყვარდა, მაგრამ



ყველა სიკვდილის შვილები ვართ და უნდა გამაგრდეო. ჩემი აღმზრდელი ბაბუა ძალიან მიყვარდა და რასაკვირველია, ტირილითა და წუხილით შევხვდი ამ ამბავს. მეორე დღე რომ გათენდა, დილით პალატაში დედა და მამა შემოვიდნენ და მამამ იგივე მითხრა, რაც წინა დღეს, ჩემი დამშვიდება დაიწყო. მე გაკვირვებით შევხედე, – გუშინ რომ შემოხვედი, ეს ამბავი ხომ უკვე მითხარი-მეთქი. მშობლებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, რამე ხომ არ მიჭირდა. შემდეგ გავაცნობიერე, რომ სანამ ნარკოზიდან გამოვიდოდი, სიზმარში ვნახე ის ინფორმაცია, რაც მეორე დღეს ჩემმა მშობლებმა მითხრეს. როცა რეალურად ეს ამბავი შევიტყვე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ერთი და იგივე ამბავი განმეორდა. ეს მართლაც ამოუცნობი მოვლენაა.



— **ბატონო ნუგზარ, გარდა სიზმრისეული მინიშნებებისა, თუ გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომლის ახსნასაც დღემდე ამაოდ ცდილობთ?**

– ერთმა პიროვნებამ თავისი იდუმალი ნიჭით ძალიან გამაოგნა, წმინდა მიწაზე, იერუსალიმში ვიყავი ჯვრის მონასტერში, რამდენიმე ადამიანთან ერთად წავედი. მარტო ვიდექი ეზოში და ტაძარში შესულ მეგობრებს ველოდებოდი. მონასტრის კედელთან მსხმოიარე ლიმონის ხე დავინახე, ცდუნებას ვერ გავუძელი და ორი ცალი მოვწყვიტე. როგორც გითხარით, ჩემს გარდა, იქ არავინ იყო და ვერავინ დამინახა, ჯიბეში რომ ლიმონი ჩავიდე. ალბათ, იცით, რომ კურთხევის გარეშე წმინდა ადგილიდან არაფრის წაღება არ შეიძლება, მაგრამ გავიფიქრე, ამას სამკურნალო თვისებები ექნება, რადგან წმინდა ადგილზე იყო ამოსული. მალე ეკლესიიდან ის ადამიანები გამოვიდნენ, ვისაც ველოდებოდი. მათ გამოჰყვათ ტანდაბალი მამაკაცი, რომელიც მომლოცველებს ჯვრის მონასტრის ისტორიას რუსულ ენაზე უხსნიდა. მომიახლოვდა ეს ტანდაბალი კაცი და უცნაური რამ მითხრა, – ის ორი ლიმონი ძალიან ცოტააო და კიდევ ოთხი ლიმონი მომცა. დღემდე გაურკვეველია ჩემთვის, რანაირად გაიგო, როცა ლიმონი მონასტრის ეზოში მოვწყვიტე. ლიმონის სამკურნალო თვისებებზე ბევრი თქმულება დაწერილა, მაგრამ რა მადლიც და კურნების უნარიც იმ ლიმონს აღმოაჩნდა, ერთი შეხედვით დაუჯერებელია. მიმაჩნია, რომ სწორედ იმ წმინდა მიწის მადლი და ძალა გამოჰყვა.

— **უცხო ცივილიზაციების, უცხოპლანეტელთა არსებობის თუ გჯერათ, ბატონო ნუგზარ?**

– თელავში გასტროლებზე ყოფნის დროს, მე და ალექსანდრე ბასილაიამ ამოუცნობი მფრინავი ობიექტი დავინახეთ, რომლის გარშემოც სამხედრო ვეტრმფრენები დაფრინავდნენ, მაგრამ შეტევაზე არ გადასულან. ეს ამოუცნობი ობიექტი ჩვენი თვალთახედვიდან მალე გაქრა, იმხანად ასეთი ფაქტები საქართველოს ძალიან ბევრ ქალაქში დაფიქსირდა. ბევრი რამ წამიკითხავს და მსმენია ამოუცნობი მფრინავი ობიექტებისა და დედამიწაზე მათი კონტაქტორების შესახებ, რამდენიმე კონტაქტორსაც ვიცნობ მისტიკის სამყაროდან, მაგრამ მათ ვინაობას არ დავაკონკრეტებ, რათა ხალხი მაინც იუმორად და მოგონილ ამბად აღიქვამს მათ მონათხრობ ისტორიას.

„თელავში გასტროლებზე ყოფნის დროს, მე და ალექსანდრე ბასილაიამ ამოუცნობი მფრინავი ობიექტი დავინახეთ“

— **ბატონო ნუგზარ, თუ გჯერათ, რომ არსებობს იმქვეყნიური ცხოვრება და გარდაცვალება ადამიანის დასასრული არ არის?**

– ძნელია შეუცნობელზე პასუხის გაცემა, ამაზე არაერთ ადამიანს უფიქრია და ეჭვიც გასჩენია მიღმიერ სამყაროში სიცოცხლის შესახებ, მაგრამ არა გვაქვს უფლება, ღვთის ნათქვამ სიტყვასა და სამართლიანობაში ეჭვი შევიტანოთ და მაინც ასე გიპასუხებთ – ალბათ, არსებობს...



მოსამართლე:

– იმედი მაქვს, იცით, რა გელით, თუ სასამართლოს ცრუ ჩვენებას მისცემთ!

მოწმე:

– დიახ, ვიცი – „მერსედესს“ დამპირდნენ...

*****

– რა კავშირია საქართველოს ეკონომიკურ ზრდასა და პლანეტა ნეპტუნს შორის?

– არც ერთი არ უნახავს არავის, მტკიცებულებები კი ურთულესი დაანგარიშებებით მოჰყავთ!..

*****



ქერა ავიაკომპანიაში რეკავს, უნდა, რომ ბილეთი დაჯავშნოს.

ოპერატორი:

– რამდენი ადამიანი გაფრინდება თქვენთან ერთად?

– აბა, მე რა ჯანდაბა ვიცი? თვითმფრინავი თქვენია და...

*****

– საშინელ და საზიზღარ დროში გვიწევს ცხოვრება!

– რატომ?!

– იმიტომ, რომ გვეშინია „აიფონის“ დაკაწვრის, მაგრამ ფეხებზე გვკიდია ადამიანისთვის სულში ჩაფურთხების!

*****

ბანკი, საკრედიტო განყოფილება:

– კრედიტი მჭირდება სასწრაფოდ!

– რა გეგმები გაქვთ?

– გეიკლუბის გახსნას ვაპირებ.

– და ვინ ივლის მერე იმ თქვენს გეიკლუბში?

– რა ვიცი, ათასნაირი პიდარასტი – კოტიკო მოვა, გივიკო მოვა, ისინი მოვლენ, ვინც ლიფტში ღილაკებზე კევს აწებებენ, მოსამართლეები მოვლენ, პოლიტიკოსები...

– უკაცრავად, მაგრამ, სამწუხაროდ, კრედიტზე უარი უნდა გითხრათ...

– ოოო, მაშინ თქვენც აუცილებლად უნდა მობრძანდეთ!..

*****



მოხუცი ქალი „კალიასკაში“ ჩაიხედავს:

– უი, როგორი საყვარელი ტყუპები არიან! ორივე ბიჭია?

– არა, ბიჭი ისაა, მარჯვნივ რომ წევს, მარცხნივ რომაა, ეგ ნესვია!..

*მომზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ნიდერლანდელმა პოლიციას შესჩივლა, 2400 აბი ექსტაზი მომპარესო



როგორ ჩანს, მართალი ყოფილა, რომ ამბობდნენ, კოლექციონერებს მეორე სართულზე ყველაფერი დალაგებული ვერ აქვთო. აბა, რად გინდა 2400 აბი ნარკოტიკი, თუ არც მომხმარებელი ხარ და არც გამსაღებელი. მე შენ გეტყვი და ესთეტიკური სიამოვნების მიღება შეიძლება აბების ცქერით.

კოლექციონერი, ალბათ, პოლიციაში არც განაცხადებდა გაქურდვის შესახებ 2400 აბიდან 40 შხამიანი და სიცოცხლისთვის საშიში რომ არ ყოფილიყო.

ნარკოტიკების მფლობელი თურმე 20 წლის განმავლობაში აგროვებდა ძვირფას კოლექციას და თითოეულ აბს მონეტისთვის განკუთვნილ ყუთში დებდა.

მამაკაცი აცხადებს, რომ არც მომხმარებელია და არც გამსაღებელი. კაცის გულწრფელობით შეფიქრიანებული პროკურატურა ფიქრობს, წაუყენოს თუ არა ნარკოტიკული ნივთიერების შენახვაზე ბრალი.

„იმის გამო, რომ აბები დაიკარგა და ნივთმტკიცება აღარ გვაქვს, შეუძლებელია შენახვაზე ბრალის წაყენება“, – ამბობს პოლიციის თანამშრომელი ნებერი და იქვე ამატებს, რომ პირადად მას სჯერა უიღბლო კოლექციონერის ნაამბობი.

როგორც აღმოჩნდა, შავ ბაზარზე დაკარგული ქონების საერთო ფასი 11 ათას ევროს შეადგენს.

აბა, შე დალოცვილო, რომელ 11 ათასი ევროს პატრონს უძინია მშვიდად, რომ შენ შეგრგებოდა.

**smoking-room.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ორსულობის დადგენა უკვე სმარტფონ-ტესტის საშუალებით შეიძლება



სპეციალისტებმა სპეციალური აპლიკაცია შექმნეს, რომლის გადმოწერის შემთხვევაშიც ქალბატონები ორსულობის დადგენას შეძლებენ.

პროგრამა Bბლუეტოოტჰ-სთან ერთად მუშაობს და სმარტფონთან სინქრონიზაციით ორსულობის ადრეულ სტადიასაც ადგენს.

გარდა ამისა, აპლიკაციას აქვს სპეციალური კითხვარი, რომელიც ადგენს, სასურველია თუ არა ქალისთვის ორსულობა. შედეგის პასუხი სწორედ ამ კითხვაზეა დამოკიდებული. პასუხის მისაღებად მომხმარებელს 3 წუთი დაცდა მოუწევს. იმისთვის, რომ მოლოდინი არ იყოს დამღლელი, აპლიკაციაში ჩატვირთულია სხვადასხვა მელოდიები მედიტაციისთვის და სახალისო ვიდეოები. აქვე პროგრამას აქვს უსაფრთხოების კოდი, რომლის შეყვანის შემდეგ ის რჩება სმარტფონში.

**fortuna.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ვენაში უსახლკაროებს გიდებად დაასაქმებენ



ვენაში მცხოვრებ უსახლკაროებს საშუალება ეძლევათ, რომ გიდად იმუშაონ.

უსახლკაროებს სპეციალურად მოამზადებენ იმისთვის, რომ ექსკურსიას გაუძღვნენ და მსურველებს აჩვენონ, როგორ ცხოვრობს ქუჩაში ხალხი.

ავსტრიის 12 ათას უსახლკაროთა შორის 7 ათასი ვენაში ცხოვრობს. მეწარმე პერინ შობერი პროექტ ფერების ტურის ავტორია, რომელმაც იზრუნა, რომ მისი პროექტი შრომის ბაზარზე გართულებების გარეშე დაშვებულიყო.

ექსკურსიის ხანგრძლივობა ორ საათ-ნახევარი იქნება და ამ დროის განმავლობაში ტურისტები ნახავენ ადგილს, სადაც უსახლკაროები ღამეს ათევენ, სამზარეულოს, სადაც მათთვის წვნიანი მზადდება და სოციალური დახმარების პუნქტს. 10-კაციანი ჯგუფისთვის ტურის ღირებულება 150 ევრო იქნება, რაც პროექტის თითქმის ერთადერთი შემოსავალია.

მთავარი სამიზნე აუდიტორია სკოლა, უნივერსიტეტი და საეკლესიო ჯგუფები იქნება.

შობერის თქმით, პროგრამის მიზანია, აჩვენოს, რას ნიშნავს ქუჩაში ცხოვრება. საჭიროა, რომ ხალხში აღარ იყოს შიში და უნდობლობა. ამასთანავე, გამოიძებნოს გზები, როგორ შეუძლია ქალაქს და მის მცხოვრებლებს უსახლკაროების დახმარება.

„გიდის პირადი ისტორია არ გასაჯაროვდება, რადგან ეს მის მიმართ არაკეთილსინდისიერი საქციელი იქნებოდა“, – აღნიშნა პერინ შობერმა.

დღეისთვის უკვე ოთხმა ადამიანმა გაიარა მომზადება.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ოჰაიოში სასადილო სვირინგიან სტუმრებს ფასდაკლებას სთავაზობს



ბიზნესს განათლება არა, კეთება სჭირდებაო, – ბრძანა უცნობმა ბრძენმა და როგორც აღმოჩნდა, მართალიც ყოფილა.

ოჰაიოს შტატის ქალაქ ლეიკვუდში არის პატარა სასადილო, რომელიც სხვა სასადილოებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ერთ მშვენიერ დღეს საკვები პუნქტის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და საჭირო იყო სასადილოს პოპულარობის გაზრდაზე ზრუნვა.

ვინმე იფიქრებს, რომ ფლაერები დაბეჭდეს, ან პრომოგოგონები დააყენეს და მათთან არსებული კვების პლუსებზე ალაპარაკეს. არა, ფასდაკლება შემოიღეს, მაგრამ არა უსასყიდლო. ვისაც სურს, სასადილოს 25-პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლოს, მათი საფირმო სენდვიჩი უნდა ამოისვირინგოს და ნაკლებ ფასად კვება სიცოცხლის ბოლომდე გარანტირებული ექნება.

ადგილზე მისულ სტუმრებს, რომლებისთვისაც სიახლე ჯერ უცნობი იქნება, რომ არ დაიბნენ და მშიერი არ დარჩნენ, იქვე ტატუ სალონი ემსახურება. ეს ტატუ სალონი, თავის მხრივ, ფასდაკლებას სთავაზობს სენდვიჩის ამოსვირინგების მსურველებს.

ჰოდა, არიან ასე ჰარმონიულ-საქმიან ურთიერთობაში სასადილო და ტატუ სალონი და სტუმარიც კმაყოფილია იაფი კვებით.

**smoking-room.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ქორწილი კუბოსთან — ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილ შეყვარებულზე დაქორწინდა



ტაილანდში გოგონა თავის შეყვარებულზე დაკრძალვის დროს დაქორწინდა. უცნაური ქორწინება მხოლოდ სიძის სიკვდილის შემდეგ შედგა. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი გულის შეტევით უეცრად გარდაიცვალა. მისმა საცოლემ კი ქორწილის გაუქმება არ ისურვა.

„მე ვოცნებობდი ჩვენს ქორწილზე. მე ჩვენს თავს ვხედავდი ხელიხელჩაკიდებულს. მე შენ მიყვარხარ. იცოდე, რომ ჩვენი ოცნება ახდა“, – დაწერა პატარძალმა „ფეისბუკზე“.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ინდოეთში 15 ადგილას სელფის გადაღება აიკრძალა



ინდოეთის პოლიციამ მუმბაიში 15 ადგილას სელფის გადაღება აკრძალა, ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

აკრძალვა ტურისტებისთვის ყველაზე პოპულარულ ადგილებსაც შეეხო. გადაწყვეტილება მას შემდეგ მიღეს, რაც რამდენიმე დღის წინ სელფის გადაღებისას ზღვაში 18 წლის გოგო დაიხრჩო.

გასულ წელს ინდური ფესტივალის მიმდინარეობისას სელფისთვის აკრძალული ზონები ხელისუფლებამ ასევე უსაფრთხოებისთვის დააწესა. ყველა ასეთ ადგილას საგანგებო ამკრძალავი ნიშანი დგას.

მუმბაის პოლიციის წარმომადგენელი დჰანანჯაი კულკარნი ამბობს, რომ ადგილები, სადაც სურათების გადაღება აკრძალულია, ტურისტებს შორის ყველაზე პოპულარულია.

გასულ კვირას სამი გოგო ბანდრაში ზღვასთან ახლოს სურათის გადაღებას ცდილობდა, რა დროსაც ისინი წყალში გადაცვივდნენ. ორი მათგანის გადარჩენა მოხერხდა, ერთი კი – დაიხრჩო.

**fortuna.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მეცნიერული აღმოჩენები, რომლის შესახებაც გასულ წელს გავიგეთ



ყოველ წელს უფრო და უფრო იზრდება სხვადასხვა დარგში მეცნიერულ აღმოჩენათა რიცხვი. ამჯერად კვებასთან დაკავშირებულ 2015 წლის სიახლეებზე ვისაუბრებთ.

**1. ღამის კვება მეხსიერებას ვნებს**

კალიფორნიის უნივერსიტეტის ამერიკელმა მეცნიერებმა თაგვებზე 2-კვირიანი ექსპერიმენტი ჩაატარეს. მღრღნელები ორ ჯგუფად გაანაწილეს. პირველ ჯგუფს მხოლოდ ღამით აჭმევდნენ, მეორე ჯგუფს – მხოლოდ დილით.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჯგუფის თაგვებს ერთი და იმავე დროით ეძინათ, პირველი ჯგუფის თაგვებს მალევე დაეწყოთ პრობლემები. მეხსიერებასა და სწავლაზე პასუხისმგებელი ცილების გამომუშავება სერიოზულად შეუმცირდათ. შედეგად კი, ღამის კვებას მიჩვეული თაგვები გაცილებით ცუდად გადიოდნენ მეხსიერების ტესტებს.

**2. ჯანსაღი საკვები შესაძლოა, სიმსუქნის მიზეზი გახდეს**

კორნელის უნივერსიტეტის ლაბორატორიის მკვლევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიმსუქნის მიზეზი მხოლოდ სწრაფი კვება და ცხიმიანი საკვები კი არა, ჯანმრთელი, დაბალკალორიული პროდუქტიც შეიძლება გახდეს.

ექსპერიმენტში 100 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებსაც კინოსეანსის დროს დაბალკალორიული ორცხობილა შესთავაზეს.

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ თუ ადამიანი დარწმუნებულია, რომ დიეტურ საკვებს მიირთმევს, ზომიერების გრძნობას კარგავს და ველარ აღიქვამს, რომ უკვე დიდი ხნის დანაყრებულია.

**3. ვაშლი ცხიმებს წვავს**

აიოვის უნივერსიტეტის ჯგუფი, დოქტორ კრისტოფერ ადამსის ხელმძღვანელობით, მივიდა დასკვნამდე, რომ ვაშლის ხშირი ჭამა 15 პროცენტით ზრდის კუნთების მასას და 50 პროცენტით ამცირებს ცხიმს.

მეცნიერების თქმით, ეს ფაქტი ურსულის მჟავას დამსახურებაა. ის ააქტიურებს სიგნალებს, რომელიც კუნთების აქტიურ მუშაობასა და ცხიმის შემცირებას უწყობს ხელს. ასევე, ვაშლი სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის დონეს ამცირებს.

**4. შოკოლადი ოპიატებს შეიცავს**

თურმე, კაკაოს მარცვლები, რომლისგანაც შოკოლადს ამზადებენ, ნივთიერება ვან-



დანამიდს შეიცავს. ადამიანის ტვინზე ზემოქმედებს და და დამოკიდებულებას იწვევს.

თუმცა, დამოკიდებულების სულ მცირე ეფექტიც რომ გამოიწვიოს, საჭიროა 30 კილოგრამი ნატურალური შოკოლადის მირთმევა. ასე რომ, თუ 1-2 კილო ტკბილეული თუ შემოგეჭამათ, ნუ აღელდებით. პირიქით, განაგრძეთ ტკბობა.

**5. ყველი დამოკიდებულებას იწვევს**

გარდა შავი შოკოლადისა, დამოკიდებულებას ყველიც იწვევს. ასეთ დასკვნამდე მიჩიგანისა და კოლორადოს უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ.

საქმე ისაა, რომ ყველი კაზეინის ცილას შეიცავს. ცილა კი მონელების დროს ნივთიერება კაზომორფინს ავრცელებს. სწორედ კაზომორფინისა და დოფამინის რეცეპტორების ურთიერთქმედება იწვევს ადამიანის ყველზე დამოკიდებულებას.

**6. შამპანური მეხსიერებას აუმჯობესებს**

რიდინგის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა გამოიკვლია, რომ ყურძნის შემადგენლობაში პინო ნუარი და პინო მენე შედის, რისგანაც შამპანური იწარმოება. მეცნიერული ნაერთი მეხსიერებას აუმჯობესებს და თავის ტვინის დაავადებათა რისკს ამცირებს.

მეცნიერები ამბობენ, რომ ასაკის გამო გამოწვეული მეხსიერების პრობლემის მოხსნა კვირაში 3 ჭიქა შამპანურით შეიძლება.

მართალია, ექსპერიმენტი ჯერ მხოლოდ თაგვებზე ჩატარდა, მაგრამ სადაც ამდენი გამოვიკვლიეთ, რა ძალა დაგვიჭერს, რომ უახლოეს მომავალში მოხალისეებზეც არ ჩავატაროთ და უფრო დაზუსტებული ინფორმაცია არ მოგაწოდოთ შამპანურის სარგებლიანობის შესახებ.

**7. ცხარე საკვები სიცოცხლეს ახანგრძლივებს**



ჩინელი მეცნიერები 7 წლის განმავლობაში 30-დან 79 წლამდე ასაკის 500 000 ადამიანის რაციონს იკვლევდნენ. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ვინც კვირაში 3-ჯერ მაინც ჭამდა ცხარე საკვებს, 14 პროცენტით უფრო მეტი იყო, ვიდრე იმ ადამიანების, რომლებიც სულაც მწყრალად იყვნენ წიწაკასთან.

ყველაზე კარგი მაჩვენებელი კი იმათ ჰქონდათ, ვინც სულაც პირდაპირ წიწაკა ჩილის მიირთმევდა.

**8. მარილიანი საკვები წყურვილს არ იწვევს**

თურმე, მარილიანი პროდუქტების გამოყენება ადამიანში წყურვილს არ იწვევს. ამ დასკვნამდე ჰაიფას უნივერსიტეტის პროფესორი მიკა ლეშემი მივიდა.

ექსპერიმენტი 58 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფზე ჩატარდა. ისინი სამ ქვეჯგუფად გაანაწილეს: პირველი მარილიან თხილს მიირთმევდა, მეორე – ახალს, ხოლო მესამე – დაშაქრულს. სტუდენტებს სთხოვეს, რომ ექსპერიმენტის დაწყებამდე 2 საათით ადრე არ მოეწიათ და წყალი არ დაელიათ. ხოლო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ყოველ 15 წუთში სპეციალურ ანკეტაში შიმშილის დონე უნდა დაეფიქსირებინათ.

შედეგად კი აღმოჩნდა, რომ სამი ჯგუფის წევრებს ერთნაირად სურდათ წყლის დალევა, რაც იმას ამტკიცებს, რომ მარილი წყურვილს არ იწვევს.

**9. ყავა ღვიძლის კიბოს რისკს ამცირებს**

კიბოსთან ბრძოლის მსოფლიო ფონდმა და კიბოსთან ბრძოლის ამერიკულმა ინსტიტუტმა გამოიკვლია, რომ ყავა ღვიძლის კიბოს პროფილაქტიკის ეფექტური საშუალებაა.

ექსპერიმენტში სხვადასხვა ქვეყნის 8 000 000 ადამიანი მონაწილეობდა, რომელთაგანაც 24 000 სხვადასხვა ფაზაში მყოფი ღვიძლის კიბოს დიაგნოზი ჰქონდა დასმული.

მოკლედ, კვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც ყოველდღე 1 ჭიქა ყავას სვამდნენ კიბოს რისკი 29 პროცენტით უფრო ნაკლები ჰქონდათ მათთან შედარებით, ვინც ყავას საერთოდ არ მიირთმევდნენ.

*newsland.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## თუკი თქვენი შვილი ასე ხშირად ზის, სასწრაფოდ ექიმს მიმართეთ



როდესაც ბავშვები გადაადგილებას, სიარულს, ხოხვას იწყებენ, მშობლებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.

ბავშვის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი კუნთების სწორად ფორმირებაა, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ჯდომის მანერაც ასრულებს.

აშშ-ის ბავშვთა სამედიცინო ცენტრის „პენფილდას" ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ყველაზე საშიში „w" პოზაში ჯდომაა, როდესაც ბავშვებს ფეხები სხვადასხვა მიმართულებით აქვთ მოკეცილი.

ამ მოსაზრებას ეთანხმებიან ლუისვილის უნივერსიტეტის მეცნიერები. მათი თქმით, ეს პოზიცია კუნთების მინიმალურ ძალისხმევას მოითხოვს – ამიტომ ბავშვებს, რომლებიც ამ პოზაში ხშირად სხედან, ცერებრალური დამბლისკენ აქვთ მიდრეკილება.

ასეთ პოზაში ჯდომა შესაძლოა, ჯანმრთელი ბავშვისთვისაც საშიში აღმოჩნდეს: არასაკმარისად განვითარებულმა კუნთებმა, შესაძლოა, სახსრებისა და ხერხემლის პრობლემა წარმოშვას, რაც ზრდასრულ ასაკში იჩენს თავს.

ამიტომ დაიზღვიეთ თავი ზედმეტი გართულებებისგან და თუკი აღმოაჩენთ, რომ თქვენი პატარა ხშირად დიდ დროს ატარებს „w" პოზაში, შეეცადეთ, გადააჩვიოთ და აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ლეგენდარული მსახიობი ალან რიკმანი 69 წლის ასაკში გარდაიცვალა



კინოსა და თეატრის ინგლისელი მსახიობი, ლეგენდარული ალან რიკმანი 69 წლის ასაკში გარდაიცვალა. მსახიობი სიმსივნეს ებრძოდა. რიკმანის გარდაცვალების ცნობა მისმა აგენტმა დაადასტურა.

ალან რიკმანის ყველაზე წარმატებული ფილმებია: harry potter, die hard, truly madly deeply, robin hood, prince of thieves.

რიკმანმა ძალები რეჟისურაშიც მოსინჯა. მან გადაიღო საკმაოდ გულისამაჩუყებელი ფილმი „ზამთრის სტუმარი". ფილმმა ვენეციის კინოფესტივალის ჯილდო და კიდევ რამდენიმე პრემია მიიღო. 200 წელს ალანმა გაახმოვანა პატარა ავი თევზი ჯო მულტფილმში „მიშველეთ! მე თევზი ვარ". ალანი საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ძალიან აქტიურად იყო ჩართული და აქტიურად ეხმარებოდა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა „amnesty international" და „children on the edge". 2001 წელს ითამაშა ნოელ კოვარდის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „riverside studios". პიესა 2002 წლის 6 იანვრამდე თეატრების სცენებიდან არ ჩამოსულა.

რიკმანმა მთავარი როლი შეასრულა რობერტ სტურუას „ჰამლეტში". სტურუასთან მუშაობისას ალან რიკმანი სამჯერ იმყოფებოდა საქართველოში: პირველად 1979 წელს, შემდეგ კი 2007 და 2009 წელს და რუსთაველის თეატრის სცენაზეც გამოვიდა.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ბრიტანელი საიმონ უოტსონი 800 ბავშვის მამაა



ბრიტანელი სპერმის დონორი რეკორდს ამყარებს.

ბრიტანელი საიმონ უოტსონი ირწმუნება, რომ უკვე 800 ბავშვის მამაა. მომდევნო 4 წლის განმავლობაში ის გეგმავს რიცხვი 1000-მდე გაზარდოს. სპერმის დონორის თქმით, ის კვირაში, საშუალოდ, ერთი ბავშვის მამა ხდება. უოტსონის განცხადებით, ქალები უკვე ერიდებიან ძვირად ღირებული ხელოვნური განაყოფიერების კლინიკებში გაკეთებას და ამჯობინებენ, არალიცენზირებული დონორები გამოიყენონ. თუმცა ექსპერტები საზოგადოებას აფრთხილებენ, რომ სპერმის ასეთი ფორმით მიღების შემთხვევაში ქალები დაცულები არ არიან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან. რისკს შეიცავს ასევე ისიც, რომ შესაძლოა, გენეტიკურად სპერმის მფლობელი რაიმე დაავადების მტარებელი აღმოჩნდეს და მომავალში შვილს გადაეცეს.

*plus.kvira.ge*



მკაცრი მამა ქალიშვილს ტუქსავს:

– ნინიკო, წუხელ დაგინახე, ვიღაც ახალგაზრდასთან მანქანაში სექსი გქონდა, ვინ არის, რას წარმოადგენს, რა ურთიერთობა გაქვს?!

ქალიშვილი ღრმად ჩაფიქრდა:

– და რა ფერის მანქანა იყო, გახსოვს?

*****

მამაკაცი მკითხავთან მივიდა. მანაც, როგორც კი კლიენტის ხელს დახედა, ეგრევე გამოუცხადა:

– ხვალ თქვენი ცოლი მოკვდება!

– ეგ ისედაც ვიცი, შენ ეს მითხარი, დამიჭერენ?

*****



სკოლის მოსწავლეები საუბრობენ:

– მე მგონი, ჩემი მამებიდან ერთ-ერთი გეი უნდა იყოს...

– მართლა? რა საშინელებაა! ჩემი ორივე მამა ნორმალურია!..

*****

საუბარი „სკაიპში".

მამაკაცი:

– „პრივეტ", როგორ ხარ?

ქალი:

– ცუდად!

– რატომ?

– სექსი მინდა!

– რა პრობლემაა, ხვალ მოვალ და ჩემგან როგორც ყოველთვის!

– რას ნიშნავს, როგორც ყოველთვის?

– მარტინი და პრეზერვატივები ჩემზეა!

– სიმართლე გითხრა, მე მისი ქმარი ვარ. სექსი მინდა იმიტომ, რომ მას „ის ამბავი" აქვს. მის „სკაიპთან" ვარ იმიტომ, რომ ჩემის პაროლი დამავიწყდა, მაგრამ პირობას გაძლევ, მას აუცილებლად მოგიკითხავ!..

*****



ბიჭი გოგოს:

– შენ გჯერა, რომ სიზმარი შეიძლება ახდეს?

– რა თქმა უნდა?!

– ჰოდა, მიდი, გაიხადე!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

## ინგლისელებმა ფეხებმომტვრეულ კატას პროთეზებით უშველეს



ზღაპრული პერსონაჟი – ჩექმებიანი კატა ბრიტანეთში გაცოცხლდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ის არა ჩექმებიანი, არამედ პროთეზებიანი კატა გახლავთ, რომელსაც მომტვრეული კიდურების ნაცვლად, ბიონიკური იმპლანტანტები დაუყენეს.

როგორც ირკვევა, კატას სახელად ოსკარი ჰქვია, მისი უბედურება კი მას შემდეგ დაიწყო, რაც კომბაინმა ორივე უკანა კიდური მოჰკვეთა - უბედური შემთხვევა გასული წლის ოქტომბერში მოხდა და მას დღემდე ცხოველი მოძრაობას, ფაქტობრივად, ვერ ახერხებდა.

საბოლოო ჯამში, როგორც ეს ევროპელებს სჩვევიათ ხოლმე, კატას გულჩვილი მილიონერი პატრონი გამოუჩნდა, რომელმაც ოსკარის ოპერაცია 4 ათასი ფუნტი სტერლინგით დააფინანსა.

დღეს უკვე 2 წლის ოსკარი მოძრაობას თითქმის ჩვეულებრივად ახერხებს და ამასთან ერთად, გახლავთ მსოფლიოში პირველი კატა და შეიძლება – ცხოველიც, რომელიც პროთეზებით დადის.

*factroom.ru*

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

**555 125 770; 596 777 773**

## ბედნიერი ცოლ-ქმარი გრიპით არ ავადდება?



– ბედნიერი ქორწინება გრიპის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა, – სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს ბრიტანელმა მეცნიერებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ვირუსით, ძირითადად, ის ადამიანები ავადდებიან, რომლებიც ცოტა ხნის წინ რჩეულების გარეშე დარჩნენ.

როგორც ირკვევა, კვლევის მონაწილეებმა სისხლი ვაქცინაციამდე და ვაქცინაციის შემდეგ ჩააბარეს. მათ, ასევე, მოუხდათ ანკეტის შევსება, სადაც უნდა ეპასუხათ კითხვებზე, რომლებიც პირად ცხოვრებაში სტრესის გადატანას უკავშირდებოდა.

მიღებული შედეგების დახმარებით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში განცდილი უსიამოვნებები ნეგატიურ გავლენას ახდენს იმუნიტეტზე, სისხლში იკლებს ანტისხეულების დონე და შესაბამისად, ვირუსს მოქმედებისთვის გაცილებით ხელსაყრელი პირობები ექმნება.

ბრიტანელი სპეციალისტების განმარტებით, აღნიშნულ სფეროში მუშაობა კიდევ დიდხანს ვერ დასრულდება, რადგან დასადგენია, როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი ორგანიზმთან ერთად კონკრეტული დაავადებების დამარცხების საქმეში.

*medkarta.com*

## მამაკაცებმა ცხელი აბაზანები არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთო



თურმე, მამაკაცებისთვის კატეგორიულად არ არის რეკომენდებული ცხელი აბაზანების მიღება, ან ცხელი ჯაკუზის ბუყბუყით გართობა, რადგან ეს მათ პოტენციაზე და ასევე, რეპროდუქტიულ უნარებზე უარყოფითად მოქმედებს.

სწორედ ამაზე მიუთითებს კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

აღმოჩნდა, რომ ცხელი წყალი, ფაქტობრივად, ანადგურებს ლიბიდოს. გარდა ამისა, მაღალი ტემპერატურა ნებისმიერი ფორმით ხელს უშლის სპერმის გამომუშავებას და სპერმატოზოიდების მოძრაობას ზღუდავს.

უნდა ითქვას, რომ კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 3 წლის მანძილზე მიმდინარეობდა და გამოტანილი დასკვნა სპეციალისტებმა მხოლოდ კარგად შესწავლა-გაანალიზების შემდეგ გამოაქვეყნეს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*dr20.ru*

## ღარიბებს 10 ათას ევროზე ძვირიანი ავტომობილების შეძენა აეკრძალებათ



ჭორიკანა მეზობლებმა იციან ხოლმე ღვარძლიანად ჩალაპარაკება: „რომ ჰკითხო, ფული არ აქვს და ნახე, რა მანქანით დაბრძანდებაო"...

არა, მაინც, ვისი რა საქმეა, ვინ როგორი მანქანით დადის?!

ეს კითხვა გერმანიის ხელისუფლებას რომ დაუსვათ, გიპასუხებენ:

– ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ უზრუნველყოფას იღებენ, აღარ ექნებათ უფლება 10 ათას ევროზე ძვირიანი ავტომობილი შეიძინონ. ეს, დიახაც, რომ ჩვენი საქმეა!..

სწორედ გერმანიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მოქალაქეები, რომლებიც სახელმწიფოსგან გარკვეულ სოციალურ დახმარებას იღებენ, ვალდებულები იქნებიან, ისე იცხოვრონ, როგორც ნამდვილ ღარიბებს შეეფერებათ.

ამ დრომდე ღარიბ გერმანელებს მაქსიმუმ 14,5-ათასევროიანი ავტომობილის შეძენის უფლება ჰქონდათ, თუმცა ამიერიდან მათ აღნიშნული ნიშა შეუმცირდათ.

ისე, ქართველ ღარიბებსაც რომ შეეძლოთ 10 ან 14-ათასევროიანი მანქანების შეძენა, მათ ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა, ალბათ...

*vesti.ru*

## უძილობას ყველით, თაფლითა და ცაცხვის ჩაით განდევნით



რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკონ სხვადასხვა სასტიკი დიეტის მომხრეებმა, რომ საღამოს 6 საათის შემდეგ საკვების მიღება არაფრით შეიძლება, ძილის წინ ყველის, თაფლისა ან ცაცხვის ჩაის დაგემოვნება უძილობას ადამიანზე გაბატონების სულ მცირე შანსსაც კი არ დაუტოვებს.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ დასკვნამდე ნორვეგიელი მეცნიერები მას შემდეგ მივიდნენ, რაც 200 მოხალისეზე ექსპერიმენტი ჩაატარეს – თითოეულ ადამიანს დავალებული ჰქონდა ერთი კვირის განმავლობაში დაწოლამდე ნახევარი საათით ადრე 20 გრამი ყველი მიეღო.

შედეგებმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტში მონაწილე ადამიანების 72 პროცენტს დაძინება საერთოდ აღარ უჭირდა.

– ყველი დიდი რაოდენობით ამინომჟავა ტრიპტოფანს შეიცავს, ნივთიერებას, რომელსაც სტრესის მოხსნა და ძილის პროცესის დარეგულირება შეუძლია, – ასეთია მეცნიერების დასკვნა.

გარდა ამისა, უძილობასთან საბრძოლველად ნორვეგიელი სპეციალისტები დაწოლამდე თაფლისა და ცაცხვის ჩაის მიღებასაც გვირჩევენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*

## ქრონიკა



ხალხური სიბრძნე:

– თუ „პახმელიაზე" გაღვიძებულს პირში კბილის ჯაგრისი არ გეტევა, ესე იგი ხელში ფეხსაცმლის „ჩოთქი" გიკავია!..

*****

კაზინოში მძარცველები შეცვივდნენ:

– დაწექით ყველანი!!!

ხმა ერთ-ერთი მაგიდიდან:

– ამ კარტში როგორ დავწვე, „სტრიტი" მიჭირავს!..

*****



მოხუცი სურენა სიკვდილის პირასაა, ძლივსღა სუნთქავს. სასთუმალთან შვილიშვილს უხმო:

– ახპერჯან, „კუხნიდან" შემწვარი თევზის სუნი გამოდის და მიდი, ერთი ორი ნაჭერი მომიტანე...

შვილიშვილი ბაბუასთან რამდენიმე წუთში დაბრუნდა:

– ბაბომა თქვა, არავითარი ერთი და ორი ნაჭერი, ეს თევზი ქელეხისთვის არისო...

*****

– საიდან იცი ასე კარგად სომხური ენა?

– სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელი სომეხი მყავდა და...

*****

რწყილმა ზეცას ახედა და მეორე რწყილს გადაულაპარაკა:

– საინტერესოა, ნეტა თუ არის სიცოცხლე სხვა ძაღლზეც?

*****

– ექიმო, ჩემი ქმარი სიფილისით დაავადდა! მიშველეთ, გადამარჩინეთ, რა ვქნა, არ ვიცი!

– და თავად რატომ არ მოვიდა?

– მან ჯერ არაფერი იცის...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

» 211359457

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „კვირის ქრონიკაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2298-0016

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 00.21

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.